

902.6(47,922)

მ. თაყაიშვილი

# არხეოლოგიური

# მღვრეაშუკობანი

№ 5


## შენიშვნანი.

თ 2K-9104

წიგნი პირველი.

ტფილისი

ელექტრონის სტამბა წიგნების გამომცემელ ქართველთა სწავლ. ინსტიტუტის  
1907



## წინასიტყვაობა.

არსებობს მრავალი მრავალფეროვანი და შენიშვნის იტყობებოდა სხვა და სხვა დროს ჟურნალ „მომხმეში“. ჩვენ იმედი გვაქონდა ჟურნალის საშუალებით დაგვესტამბა მთელი ის დიდძალი მასალა, რომელიც შეგვარივეთ საქართველოს სხვა და სხვა ნაწილებში მოგზაურობის დროს, მაგრამ იმედი სრულად არ გაგვიმართლდა: ზოგჯერ ჩვენ ვერ მოვიცალეთ თავის დროზე მიუკეცილებლად მასალა, ზოგჯერ საკმაოდ დიდი არ იყო და ჟურნალის რიცხვს არ გამოდიოდა, შემდეგ კიდევაც სრულიად დაიკეტა, და ამგვარათ ჩვენი მასალის ბეჭდვა შესწედა. ამიტომ ჩვენ ვერ ვიძინებდით დაბეჭდვა იმ მასალისა, რომელსაც პირველი გვერდის შენიშვნაში უპეუნეთ, ესე იგი წაღკისა, გომორეთისა, დბანის ხევისა, კასრეთისა, ტანძის-პითარეთისა, ბოლნისისა, ადბუღასისა და სხვა, ანამედ კასეთში შეკრებილი მასალაც ვერ დაფამთავრეთ. ის, რაც დასიტყვა, ესაა პირველ წიგნათ გამოდის სულ რამოდენიმე ცალი.

## ე. თაყაიშვილი.

---

## ცომილუბანი

გვ. სტრიქონი	სწერის	უნდა იყოს
123 9 ქვემოდაში	ჩეკს	ჩეიზ
126 5 —	ფურცელი	ფურცელი
მე-19 გვერდზე, მე-4	სტრიქონი	ზემოდაში, სიტყვების შემდეგ
„მაღვა არტანუჯელის“	უნდა მიემატოს: —	„შვილის ბეჭის“ —.

---

## საძიებელი არხეოლოგიურის მოგზაურობანის და შენიშვნანისა.

<b>იმერეთი. საჩინო</b>	83.
მდებარეობა საჩინოსი . . . . .	1
სოფელი ვანი . . . . .	2
ძველი ნაქალაქევი აზნაურთ ახვლედიანების ეზოში და იქ ნაპოვნი ნივთები . . . . .	3
ვანის ეკლესია. . . . .	7
ხატები ვანის ეკლესიისა . . . . .	9
ვანის სახარება . . . . .	12
სოფელი ისრითი . . . . .	19
სოფელი დიხაშხო . . . . .	20
სოფელი სადგერი. . . . .	21
სოფელი ქედა . . . . .	21
ძველი ტობანიერი . . . . .	23
<b>გურია</b>	
სოფელი აჭი . . . . .	24
სოფელი ლეხაური. . . . .	26
სოფელი ძიმითი . . . . .	28
სოფელი მაკვანეთი . . . . .	31
სოფელი გურიანთა, ციხე . . . . .	31
გორისტყერდი . . . . .	34
ქედა. . . . .	36
შემოქმედი . . . . .	37
<b>ქართლი</b>	
სოფელი ურბნისი. . . . .	41
წარწერები ურბნისის ეკლესიისა . . . . .	43
ეპიტაფია ურბნელის ევდემოზისა . . . . .	47
წარწერა სამრეკლოსი . . . . .	50
წარწერა ძველი კანკელისა . . . . .	51
ნივთები ურბნისის ეკლესიისა . . . . .	51

-----	83•
ეპიტაფიები . . . . .	55
ხელთნაწერები. . . . .	56
<b>სკრის ხეობა</b> . . . . .	59
ეკლესია შალიკაშვილებისა, . . . . .	61
ქიტეტაშვილის ეკლესია . . . . .	62
ეკლესია ედიშერ შალიკაშვილისა . . . . .	63
ეკლესია ღვთის მშობლისა . . . . .	64
უდაბნო . . . . .	65
<b>შენიშვნები ბატონიშვილის ვახუშტის ისტორიის და გეოგრაფიის ხელთნაწერების შესახებ</b> . . . . .	67
კათოლიკოსის სამწყსო ზემო ქართლს, ანუ სამცხე-საათაბაგოს. . . . .	74
სამცხე-საათაბაგოს მღუდელ-მთავარნი. . . . .	76
წესი და განგება კურთხევისათვის მეფისა დროსა, თუ ვითარ დაჰსდენ მღუდელთ-მთავარნი სრულიად საქართველოსანი . . . . .	78
წესი და განგება დარბაზისა, რომელი აღესრულების მცხეთას კურთხევისა მეფეთასა, . . . . .	80
მოქცევა ქართლისა. . . . .	81
კურთხევა მირონისა, . . . . .	82
აღსავალთათვის სამღუდელ-მთავროთა საყდართა . . . . .	83
მეფე ირაკლი მეორის და კათოლიკოზ ანტონ პირველის სიგელი სამღვდელ-მთავრო განწესების რიგის შეცვლის შესახებ. . . . .	85
შენიშვნები დავით რექტორისა ვახუშტის ისტორიის ტექსტის სიტყვების განმარტების შესახებ . . . . .	90
სხვა ხელთ-ნაწერები ვახუშტის ისტორიისა და გეოგრაფიისა . . . . .	96—105
<b>რუისი</b> . . . . .	105
წარწერები რუისის ეკლესიისა . . . . .	106
ეპიტაფიები . . . . .	108
ხატები და ნივთები რუისის ეკლესიისა . . . . .	109
ხელთნაწერები, . . . . .	113
კანკელი რუისის ეკლესიისა. . . . .	124
<b>დავთარი რუისის სამწყსოისა 1715 წელს შედგენილი ცალკე</b>	
წიგნათ, აქ სრულად დაბეჭდილი. . . . .	127—207
<b>ახალ-ქალაქი</b> (გორის მაზრისა) . . . . .	207
ელენე გრუზინსკის ხატები და ნივთები . . . . .	208
მაოივე ხელთნაწერები და წიგნები . . . . .	211
<b>ერთაწმინდა</b> . . . . .	213



	83-
კედლების წარწერები . . . . .	213
ხატები. . . . .	214
წიგნები . . . . .	217
ეპიტაფიები . . . . .	218
<b>ბრძენი აღმოსავლეთისა ანუ განზრახვა მასი სახელმწიფოსა-</b>	
<b>თვის მმართველობისა, პოლიტიკური ტრაქტატი ალექ-</b>	
<b>სანდრე ამილახვარისა, აქ სრულად დაბეჭდილი .</b>	222 — 241
<b>კახე-ი. თელავი.</b>	
თელავის სობორი . . . . .	241
წიგნები და მათი წარწერანი . . . . .	242
ხელთნაწერები . . . . .	244
ფერისცვალების ეკლესია. . . . .	247
ეკლესია ვახვახიშვილებისა . . . . .	251
<b>იუალთო . . . . .</b>	<b>253</b>
წიგნები ეკლესიისა . . . . .	253
ხელთნაწერები . . . . .	256
ლენერალ ვლადიმერ ათანასეს-ძის მაცაშვილის ოჯახში დაცული	
ხელთნაწერები . . . . .	256
<b>შუამთა . . . . .</b>	<b>265</b>
წარწერები ეკლესიისა . . . . .	266
წიგნები . . . . .	266
ეპიტაფიები . . . . .	269
ძველი შუამთა . . . . .	270
წარწერები. . . . .	271
<b>კისიტაური</b>	
კიანო ერისთვის სახლში დაცული ჯვარის და ხატის წარწერები.	272
ხელთნაწერები . . . . .	273

## არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი\*)

საჩინო. ვანა. სოფელი ვანი სამია, ორი გურიაში და ერთი იმერეთში. ის ვანი, რომელზედაც ჩვენ გვექნება ლაპარაკი, მდებარეობს იმერეთში, ქუთაისის მაზრაში, ბაღდადის საბოქაულოში. სულ ბაღდადის საბოქაულოში ითვლება 52 სოფელი, ამათში 22 სოფელი ეკუთვნის იმ ნაწილს, რომელსაც ეწოდება საჩინო. საჩინოს სოფლები გაშლილი არიან ერთის მხრით რიონის მარცხენა ნაპირზე და მეორეს მხრით ახალციხის მთების სამხრეთის კალთებზე. გარდა რიონისა საჩინოს ბევრი პატარა მდინარეები ჩამოუდის, რომელთა შორის უფრო შესანიშნავია მდინარე სულორი. მანძილი მთებსა და რიონს შუა დიდი არ არის, ესე იგი ვანი საჩინოს პატარა აქვს, და ეს მხარე უფრო გაჭიმულია სიგძეზე, საჯავახოდან ქორისწლამდი.

---

\*) არხეოლოგიური მასალა, რომელიც ამ სათაურით იბეჭდება, შეკრებილია 1894—1900 წლებში სხვა და სხვა საქართველოს ნაწილებში ნოგზაურობის დროს. ამ მასალის შეკრებაში გვეხმარებოდა ბ-ნი ა. ვ. ქუთათელაძე, რომელიც უმეტეს შემთხვევაში ჩვენთან ერთად მოგზაურობდა. თუ არ მისი დახმარება ჩვენს მასალას ჯეროვანი სისრულე არ ექნებოდა, ნამეტნავათ წალკაზე შეკრებილს წარწერებს: ზოგჯერ აქ საჭირო იყო ზიფათიან კიბეებზე ასვლა და წარწერების ხავსის მოცილება და გარეცხვა, რომ წარწერები გამოჩენილიყო და წაკითხვა შესაძლებელი გამხდარიყო. ამ გვარ შრომას ყოველთვის ასრულებდა ა. ქუთათელაძე. ზოგჯერ წარწერები ჩამონგრეული ლოდებით იყო დაფარული, ზოგჯერ ერთი ადლის სიმაღლე მიწით; აგრეთვე სასაფლაოს ქვის წარწერები ანუ ეპიტაფიები უმეტეს შემთხვევაში დაფარული იყო მიწით და ნაკელით, ვინაიდან მცურებულ ეკლესიებში ამ მხარეში ყოველგან საქონელს ამ-

სილამაზე მთა-გორიანი ადგილებისა, ანკარა წყლები, მშვენიერი მოსავალი ყოველ გვარი ჭირნახულისა და შეზავებული ჰავა ხდის საჩინოს ერთ საუკეთესო ადგილად მთელს იმერეთში. ამიტომ გასაკვირალი არ არის, რომ ძველად ამ მხარეს „საჩინო“ უწოდეს. მაგრამ რაც ძველად „საჩინო“ იყო, ეხლა დროთა ვითარების გამო „უჩინო“ შეიქნა. ტყუილად კი არ არის ნათქვამი, წინანი უკანო და უკანანი წინო. თავი და თავი მიზეზი საჩინოს ჩამორჩენისა სხვა იმერეთის ნაწილებთან შედარებით არის უგზობა. ამიერ კავკასიის რკინის გზა ასცილდა საჩინოს და გაიარა რიონის მარჯვენა ნაპირზე. დღემდის რიონზე არ გაუკეთებიათ ხიდი, რომელსაც შეუძლია მტკიცე კავშირი მისცეს საჩინოს რკინის გზასთან და შეაერთოს ორივე მხარე რიონის ნაპირებისა. სასოფლო გზებიც საჩინოში მეტად ცუდ მდგომარეობაშია. ამ მიზეზების გამო საჩინოს ნაწარმოებს ბაზარი არა აქვს და ხალხიც ქონებრივად ჩამორჩენილია სხვა იმერეთის მკვიდრებთან შედარებით.

შუა ადგილს საჩინოსა შეადგენს სოფელი ვანი. აქ არსებობს სამინისტრო სკოლა, აფთეკა და სავაჭრო სახლები. ვაჭრობა უმთავრესად ებრაელების ხელშია, რომელნიც უძველეს დროიდან სახლობენ აქ და, როგორც ყოველგან იმერეთში, ლაპარაკობენ მარტო ქართულად, ხოლო ებრაული სჯული მტკიცედ დაუცავთ. უძველესი წარჩინებული გვარი ამ მხარისა იყო ჩიჯავაძე. ამ გვარის წარმომადგენელი ეხლა ცოტაღაა. ეხლან-

---

ყოფებენ ზამთარ-ზაფხულში. ამ გვარი წარწერების გამოჩენა დიდ შრომას თხოულობდა და ერთი კაცისთვის შეუძლებელი იყო. ამას გარდა საჭიროდ ვრაცხთ ჩვენი უგულითადესი მადლობა გამოუცხადოთ: პატივცემულ თავადს დ. ზ. ბარათაშვილს, რომელმაც დაგვეხმარა აღბულახის (ბელიკლიუჩის) არე-მარის ირხეოლოგიურის მხრით გამოკვლევაში; თავადს ნ. ვ. ორბელიანს, რომელმაც დბანისის სიძველენის გამოსაკვლევად მიგვიწვია; თავადს გ. ი. ორბელიანს, რომელმაც კაზრეთის და პითარეთის სიძველენი გაგვაშინჯვა; და ნამეტნავად პატივცემულს დ. ზ. სარაჯიშვილს, რომელმაც მატერიალური დახმარება აღმოგვიჩინა ერთ-ერთ მოგზაურობის დროს.

დელ თავად-აზნაურობას შეადგენენ ლორთქიფანიძენი და ახვლედიანები. უკანასკნელი გვარი ლეჩხუმიდან არის გადმოსული აქ შემდეგ დროებში.

ვანი შესანიშნავია არხეოლოგიურის მხრითაც. აქ არის პატარა მოგძო გორაკი, რომელსაც ირგვლივ მანძილი ექნება არა უმეტეს სამი ვერსისა. გორაკი ბუნებით შეზღუდულია ხრამ-ღელეებით და მისაველი აქვს მარტო ერთი მხრით. ამ გორაკზე ეხლა სახლობენ აზნაური ახვლედიანები, სულ ათი კომლი, და გორაკი დაყოფილი აქვთ ეზოებად. წინედ, როგორც ცხადად ხჩანს, მთელი გორაკი სჭერია ქალაქს. ზეზე აქ მარტო ერთი ძველი ნაშთი მოჩანს. ეს არის პატარა ეკლესია თლილის ქვისა, ეხლა დანგრეული. კედლებზე არავითარი წარწერა არ მოიპოვება. მხოლოდ ეკლესიის ახლოს ჩვენ ვიპოვეთ ნატეხი პატარა ქვისა, რომელზედაც გამოსახული ყოფილა, როგორც საფიქრებელია, მაშენებელი ეკლესიისა თავის შვილითურთ. შვილის სურათი დაცულია, ხოლო მამისა შენახულა მარტო წელს ქვემოდ. შვილის სურათს ზემოდ ხუცურად აწერია: „ძეა ბაკურ.“ წარწერა მამისა არ შენახულა. ეკლესიის იატაკის ქვემოდ აკლდამა აქვს ძვლებით სავსე. ამ აკლდამამ 1889 წელს დიდი ალიაქოთი ასტეხა ადგილობრივ მცხოვრებელთა შორის. ხსენებულს წელს აქ მუშაობდნენ არხეოლოგიურის მიზნით ფრანგი იაკობი და ცნობილი ღირეკტორი წინეთ ქუთაისის გიმნაზიისა და ეხლა ბათომისა ა. ი. სტოიანოვი. როდესაც აკლდამის კარებს მიაგნეს, ყველას ეგონა, აქ დიდი ხაზინა აღმოჩნდებოდა, და ამიტომ ადვილად აღარ გაახსენებინეს აკლდამა. მოსთხოვეს ფრანგს იაკობს ანგარიშის გასწორება, რომელმაც ერთ კვირამდის გასტანა, და ამ დროს განმავლობაში შეიარაღებული დარაჯები ადგნენ თავს ამ ადგილს და დიდი სიფთხილით იცავდნენ ვითომც და ხაზინას. შემდეგ, როდესაც აკლდამა გახსნეს, აღმოჩნდა მხოლოდ ძვლები, როგორც მოსალოდნელი იყო.

მიწის თხრის დროს და ისეც, მეტადრე ავდრების შემდეგ, ახვლედიანების ეზოში ხშირად პოულობენ ოქროს და ვეცხ-

ლის ფულებს, საყურეებს, სამაჯეებს და სხვა-და-სხვა ნივთებს. ამ მხრით ეს პატარა გორაკი კერძის მიტრიდატის მთას მოგვამონებს. აქ ნაპოვნ ნივთებს უმეტეს შემთხვევაში იძენენ ებრაელები და შემდეგ დიდ ფასად ყიდიან. აქ ჯერ კიდევ 1852 წ. იპოვეს გამოქანდაკებული კაცის თავი ბერძნულის ხელობისა (Кавказъ 1852 г. № 36). ამას გარდა ოცის წლის წინეთ ერთ ახვლედიანს მიწის თხრის დროს თავის ეზოში იქ, სადაც ეხლა პროკოპი ახვლედიანი ცხოვრობს, უპოვნია ძველი სასაფლაო, მარმარილოს პატარა კუბოთი. კუბოში ყოფილა ოქროს ჯოხი (კვერთხი) გველის მსგავსი თავით, ოქროს ბადე, ოქროს სამაჯეები, ოქროს საყურეები, ბეჭდები, შვიდი ოქროს ფუელი და სხვა. ყველა ეს ნივთები მნახველს გაუყიდა ებრაელებში ჩუმად, რომ სხვებ ახვლედიანებს არ შეეტყვოთ ზეწილში არ გამოსდავებოდნენ. ნანახი ნივთები ჩვენ ჩამოვთვალეთ გლეხის სიტყვით, რომელიც ახვლედიანს ეხმარებოდა ამ ნივთების ამოღებაში და რომელიც დღესაც ცოცხალია. აქ უნდა შევნიშნოთ, რომ გლეხს ლაპარაკში ცოტა არ იყოს საგნის გაზვიადება შევნიშნეთ. მაგალითად მან გადმოგვცა, რომ ბეჭედს ისეთი თვალი ჰქონდა ჩასმულიო, რომ ბნელი ლამე გაანათლაო. ნივთების ამოღება ახვლედიანმა ვერ გაბედაო, მე ამოვიღე და შემდეგაც სულ ეშინოდა ახვლედიანს საფლავისო და ვგონებ შიშმა მოუღო ადრე ბოლოო. ეს საუკეთესო საარხეოლოგიო ნივთები მეცნიერებისთვის სამუდამოდ დაიკარგა, ხოლო ერთი ქვა ხსენებული საფლავისა ახალ სასაფლაოს ქვად გაუხდიათ ვანის ეკლესიის გალავანში. ზოგი რამ ნივთები ფრანგს იაკობს და სტოიანოვსაც უნახავთ 1889 წ. ამ ადგილას მუშაობის დროს.

ამ ოთხი წლის წინედ (1896 წ.) არხეოლოგიური კომისიის მონღობილობით ჩვენ რამდენიმე ადგილი გავთხარეთ სანიმუშოდ ახვლედიანების ეზოში და ანგარიში წარუდგინედ კომისიას. ამას გარდა დავათვალიერეთ ყველა ის ნივთები და აქ ნაპოვნი ფულები, რომელნიც ჯერ კიდევ არ გაეყიდად პატრონებს. სხვა და სხვაობა ნივთებისა ამტკიცებენ სხვა და სხვა ტომთა კულტურ გავლენას ვანის ქალაქზე. უძველესი ნაშთები ეკუთვ-

წიან მისირს ანუ ეგვიპტეს. აქ ძლიერ ხშირია მისირის პატარა ვერცხლის ფულები ზედ გამოხატული კუროს (აპისის) თავით, რომელთაც დიდი გასავალი ჰქონდათ ძველ საქართველოში. ამას გარდა კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის თანა-შემწესთან ლ. გ. ლაპატანსკისთან ჩვენ ვნახეთ ვანში ნაპოვნი პატარა ოქროს „მასკა“, რომელიც ისე წააგავს ძველ მისირის ძეგლებზე გამოხატულს სახეებს, თითქო ამ უკანასკნელებიდან იყოს გადმოღებული. ძველი ბერძნების გავლენა წარმოდგენილია ვერცხლის და ოქროს ფულებით და აგრეთვე აქ ნაპოვნი გამოქანდაკებულ კაცის თავით. ძველი რომაელების გავლენას გვიმტკიცებენ აგრეთვე ბევრი ვერცხლის და ოქროს ფულები, რომაელების დროისა, მეტადრე კეისრების ხანისა, და აგრეთვე კუბოში ნაპოვნი ნივთები, რომელზედაც ზემოდ გვექონდა ლაპარაკი. როგორც სჩანს, კუბო თავის ნივთებით ჰკუთნებია რომაელების დროის კაცს ანუ უკედ ვსთქვათ რომაელ დიდებულას შვილს. ამას გარდა ჩვენ ვნახეთ აქ სპალენძიდან გაკეთებული არწივის სურათი (aquila), რომელიც ექვს გარეშე რომაულს ხელობას შეადგენს. ვანის ქალაქს არა მცარედი მნიშვნელობა უნდა ჰქონებოდეს პონტოს მეფეების დროსაც, ვინაიდან პონტოს მეფეების (მიტრიდატების) ვერცხლის ფულები ძლიერ ხშირად იპოვება აქ. ვიზანტიის დროსაც ვანი უმნიშვნელო არ ყოფილა, ჩვენ ვნახეთ რამოდენიმე ოქროს ფული კონსტანტინეს და ელენესი და სხვა ვიზანტიელის მეფეებისა და აგრეთვე პატარა ეკლესია, მიწაში ჩაფლული, რომელზედაც ქვემოდ გვექნება ლაპარაკი. ვანი უნდა ყოფილიყოს ახალშენი ჯერ ეგვიპტელებისა, შემდეგ ბერძნებისა და ბოლოს რომაელებისა. ძველი რომაული ინდოეთის გზა, ვკანებ, ჯერ ვანზე გაივლიდა, შემდეგ ბაღდადზე და მერმე შორაპნით გადადიოდა ლიხის მთაზე.

ოქროს საყურეები, სამაჯეები, სარტყლების სამკაული და აგრეთვე სხვა ნივთებიც ოქროისა, რომელნიც აქ იპოვებიან, ჩვენის აზრით უმეტეს შემთხვევაში შორიდან მოტანილნი არ არიან, არამედ აქ ნაკეთები. არც მათი საკეთებელი ოქროა შორიდან

მოტანილი. ძველი ვანის ნიადაგს ყოველგან ემჩნევა ოქროს სილა, მეტადრე ღელე საქვაბიაში, რომელიც ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით უვლის გორაკს. ხშირად აქ კარგი მოზრდილი მარცვლებიც შეგხვდებათ ოქროსი. ქალები და ბავშვები ზოგჯერ თითო მისხალსაც აკროვებენ აქ ოქროს სილას. თუ თქვენ ღელე საქვაბიის ნაპირს აპყვებით, ადვილად დარწმუნდებით ქარხნების ნაშთებიდან, გვირაბებიდან, ქვებიდან და ზოგჯერ ნაპოვნ ტყვიის დაურჯაკებიდან, რომ ამ ღელეში ოქროს სილა უცრიათ და ურეცხიათ და აგრეთვე ქარხანებიც ჰქონიათ.

ძველი ქალაქი ვანისა თავის ნაშთებით დამარხულია ცხლანდელი ახვლედიანების კარ-მიდამოში. სადაც არ უნდა მიადგეთ თხრას ამ გორაკზე, ყოველგან იპოვით ეგრედ წოდებულს „კულტურულ ნიადაგს“, ქვის კედლებს, სხვა-და-სხვა შენობებს, თიხის ქურქლის ნატეხებს, ქვევრებს და სხვა. ქვის კიბეები და ძველი შენობის ნაშთები ზოგჯერ ზეზედ ამოსქვივიან, მაგრამ ჯეროვანი გამოკვლევა ამ ადგილისა შეუძლებელია, მანამ აქ ახვლედიანები სახლობენ. მუშაობის დროს მათ კარ-მიდამოები უფუქდებათ და ხშირად გამოკვლევა რომელიმე ადგილისა დაგარწმუნებთ, რომ ახვლედიანების სახლების აულებლად მუშაობა შეუძლებელია. მაგალითად ერთი სახლი ზედ ძველ სასაფლაოზე უნდა იყოს მოქცეული, როგორც ეტყობა აქ მკვდართან მოშორებით ცხენიც ყოფილა დამარხული. ყოველ შემთხვევაში ცხენის თავი აშკარად გამოჩნდა თავის ლაგამით, და ამ ადგილას წინად ოქროს რომაული ფულიც ეპოვნა სახლის პატრონს. სასაფლაოზე ჩვენის აზრით გორიაკი (კურგანი) ყოფილა ამართული. მეორე ადგილას, როდესაც ჩვენ ერთი ამალღებული ადგილი გავთხარეთ, გამოჩნდა მიწაში ჩაფლული პატარა ეკლესიის ნანგრევები თლილის ქვისა. თალში ეკლესიას ჩატანებული ჰქონია პატარა ქურები ხმის მოსაცემად. სვეტების თავები, რომელნიც საქალებოს აერთებდენ ეკლესიასთან ჩუქურთმიანები იყვნენ, მდარე ხელობისა, მაგრამ როგორც ეტყობა, უძველესი დროისა. გამოვაჩინეთ თუ არა ერთი ნაწილი ეკლესიისა, იძულებული შევიქენით, მუშაობა შეგვეწყვიტა, ვინაიდან ნანგ-

რევების მიყოლამ დაგვარწმუნა, რომ თუ კირილე ახვლედიანის სახლი არ იქმნა აღებული, ისე ხსენებული ეკლესიის ნანგრევების მთელი გამოჩენა შეუძლებელია. ამას გარდა სახლს გვერდით მუხა უდგია და ეკლესიის უმთავრესი ნაწილი მის ძირების ქვეშოდ სიღრმეში იკარგება ეს მაგალითი გვიჩვენებს, რომ ვანში შესაძლოა ვიპოვოთ უძველესი ნაშთებიც ქრისტიანობის პირველ დროისა, მიწაში ჩაფლული. საზოგადოდ უნდა შევნიშნოთ, რომ ძველი ვანის ქალაქის გათხრა და გამოკვლევა დიდ შუქს მოჰფენს მისი რს, ბერძნების, რომაელების და ვიზანტიელების გავლენას საქართველოში. ეს გამოკვლევა მომავალზეა დამოკიდებული და ჩვენგან გამოთქმული შენიშვნები მხოლოდ მოსაზრებას წარმოგვიდგენენ იმ მცირეოდენი ნაშთების მიხედვით, რომელნიც ჩვენ ვიპოვნეთ თუ ვნახეთ. ეხლა თავი დაეანებოთ ამ მიწაში ჩაფლულ ძველი ცახე-ქალაქის ნაშთებს და შევუდგეთ ქრისტიანობის დროის ნაშთებს ვანისა, რომელნიც ჩვენ დღემდის ნაკლებად ვიცოდით. ამ გვარ ნაშთს წარმოადგენს ვანის ეკლესია და მასში დაცული არქეოლოგიური ნივთები. ხსენებული ეკლესია ცოტა მოცილებით არის ახვლედიანების კარ-მიდამოზე და შეადგენს უმთავრესს ეკლესიას მთელს საჩინოში.

**ვანის ეკლესია.** ვანის ეკლესია მიქელ მთავარანგელოზისა უკუშბათია. აშენებულია ადგილობრივი თლილის ქვისაგან. სიგრძე აქვს 19 ადლი, განი 10 ადლი და 13 გოჯი (ჩრდილოეთის ეკვდერს აქ არ ვათვლით). დასავლეთის კედლით ეკლესიას მიშენებული აქვს საქალბო შემდეგის დროისა, ჩრდილოეთის კედლით არის ეკვდერი აგრეთვე, როგორც ეტყობა, შემდეგის დროისა. ეკვდერს არ უჭირავს მთელი სიგრძე ეკლესიისა, არამედ სიგრძე აქვს 10 ადლი და 13 გოჯი, განი 7 ადლი და 6 გოჯი. ჩრდილოეთის ეკვდერი აშენებული უნდა იყოს ძველად წარჩინებულის ადგილობრივ მცბატონის ჩიჯავაძეებისაგან. ეკვდერი მათი სამარხავი ყოფილა. ეკვდერის კედლები შიგნით ყოფილა მთლად დახატული, ხელობა მხატვრობისა მდარეა. მხატვრობას ასო მთავრული წარწერები აქვს. აქვე ყოფილა



დახატული მაშენებლები ეკვდრისა და სხვა პირნიც ჩიჯავაძეების გვარისა, მაგრამ მათი წარწერები აღარ ჩანან, მხოლოდ სამხრეთის კედელზე დახატულთ კაცს და ქალს ქართულის დიდებული ტანისამოსით ძლივს და შერჩენიათ წარწერა, რომელშიაც ამოვიკითხეთ სიტყვები:

[მთ]ავარი ვბტნ (ვახტანგ). მიქელაძის ქალი ხვარამზე.

ეკლესიას წინედ ეკვდერი ჰქონია სამხრეთის კედლითაც. მაგრამ შემდეგ მოუშლიათ, და კარი ამოუშენებიათ. ესლა დარჩენილია სამი კარი, ერთი დასავლეთისა და ორი ჩრდილოეთის კედელში. ერთი ამათგანი ეკვდერისათვის გაუჭრიათ. ეკლესიას სულ ხუთი ფანჯარა აქვს: სამი აღმოსავლეთის კედლით და თითო ჩრდილოეთის და სამხრეთის კედლით. აღმოსავლეთის ფანჯრების ზემო პირები შემკობილია ჩუქურთმიანი ქვების არშიებით. ამას გარდა აღმოსავლეთის კედელში ჩატანებულია ქვიდან გამოქანდაკებული გეგმა ეკლესიისა. დასავლეთის კედელში ჩატანებულია წმინდის გიორგის ქანდაკი ლამაზი ასომთავრული წარწერით

ზემოთ:

წო გი

ქვემოთ:

წო გი მთვრო მწმო გზე

წე ღისა ღღთა ევესა

ღღსა და უღრსა გის

ხელობა ამ ქანდაკის და აგრეთვე ხასიათი ასომთავრულისა ჩვენ მაინდამაინც ძველ ნაშთათ არ მიგვაჩნია. სიტყვა „ღღთა“ უნდა იკითხებოდეს ჩვენის აზრით „ლოლობერიძეთა“, რომელნიც სხვა წყაროებში ერისთავად არ იხსენებებიან.

ამავე კედელშია ჩატანებული მერჰენდელი უშნო გამოქანდაკებული სურათი სხვა წმინდანისა ჯვარით ხელში და უშნო მხედრულის წარწერით, რომელიც ჩვენ წამოხვლის ხანს შევ-

ნიშნით და გაჩევა ველარ მოვასწარით. შიგნით ეკლესიას იატაკი აქვს ქვისა. კედლები წინედ დახატული ყოფილა, მაგრამ ეხლა სურათები ემჩნევა მხოლოდ საკურთხეველში, ეკლესიის კედლები კირით არის შეთეთრებული და სურათები აღარ სჩანან. საკურთხეველის კედელში შიგნიდან დატანებულია სამი ჩაღრმავება (ნიში), რომელთა შორის ერთი ისე დიდია, რომ კაცი ადვილად დადგება შიგ. როდის ან ვისგან არის ვანის ეკლესია აშენებული არა სჩანს, მაგრამ ჩვენის აზრით მეთერთმეტე საუკუნის უწინდელ დროს არ უნდა ეკუთვნოდეს. ვანის ეკლესია წინედ მონასტერი ყოფილა და მონასტრად არის მოხსენებული ძველ საბუთებში.

დასავლეთის მხრით ვანის ეკლესიისა ამართულია მაღალი სამრეკლო თლილის ქვისა. ქვემო ნაწილი სამრეკლოსი ექვსკუთხედი სახისა წარმოადგენს ოთახს. სამრეკლო ერთი დროის არ არის ეკლესიასთან. სამრეკლო ყოველ შემთხვევაში უკეთესი ნაშენებია ვიდრე ეკლესია.

ვანის ეკლესიის არხეოლოგიურ ნივთთა შორის საყურადღებონი არიან შემდეგნი:

1) დიდი ხატი ღვთის მშობლისა,  $130,2 \times 81$  სანტამეტრი, ვერცხლის აშიით. ამ ხატზე ორი ამობერილი სურათია ღვთის მშობლისა მაცხოვრითურთ, ერთი დიდი შუაში და მეორე პატარა ქვემოლ. დიდი სურათი ღვთისმშობლისა ირგვლივ შემკობილია სხვა ამ გვარივე ხელობის სურათებით ათორმეტთა საუფლოთა და სხვებით. აქ წარმოდგენილია ხარება, შობა, მირქმა, ნათლისღება, ფერისცვალება, იერუსალიმში შესვლა, გოლგოთაზე წასვლა, ჯვარცმა, აღდგომა, ამაღლება, მეორედ მოსვლა, მიძინება ღვთისმშობლისა და სხვა. თითოეული სურათი ცალკე ნაჭერს წარმოადგენს და ეს ნაჭრები მიჭედლილია ხატის ფიციარზე. პატარა ღვთისმშობლის სურათს ზემოდ ცოტა არ იყოს დაზიანებული ასომთავრული წარწერა მოიპოვება. ეს წარწერა ცალკე ვერცხლის ფურცელზე ყოფილა გაკეთებული, მაგრამ მოხელეს, როდესაც სურათები მოუთავსებია ხატის ფიციარზე, მთელი წარწერიზა ადგილი აღარ დაჩენია. ამიტომ დაწერილს

ფურცელი გაუჭრია და მარცხენა ნაწილი მისი ცალკე ქვემოდ მიუჭედია. წარწერა იკითხება ასე:

1. წ. [მშობე]ლო კრისტე (sic) ღმრთისო ჩვენო შეეწიე და
2. შეიწყალე და აცხოვნე: სული ამ
3. ის მომქედის ფრიად ცოდვილის
4. ქაიხოსროს ლალიაშვილის: სული: ყვლა
5. დის და მარაის და უკუნით უკუ
6. ნისამდეამინ: უფალო ვინცა ამას შენდობა
7. უთხრა თქვენცა შეგინდოს ღმერთმა.

ქვემო აშიაზე იმავე ხატისა დაცულია სამ სტრიქონიანი წარწერა, მაგრამ სამთავე სტრიქონებს თავი და ბოლო აკლიათ:

1. [...ვი]გლს: მოდგინე: მე: ვახუშტ: ჩიჯაძემან: და: თანა: მეცხედრემან: ჩემა ბატონმან: ანა: კილაძის [ასულმა შემკობად ხატისა
- 2 ამის] ყოვლა: წმიდის: თორმეტ საუფლოთა: სახსრად: და: საოხად: ფრიად ცოდვილსა: სულისა: ჩენისავის: ყოვლად[ე აწ და მარადის და
- 3 უკუ]ნისამდე: ამინ: უალო: ვინცა: ამთ შენდობა უთხრა: შენცა: შეგინდოს ღმერთმა:

II. ვერცხლის<sup>1</sup> ხატი მიქელ მთავარ ანგელოზისა, 66,5 X 43,8 სანტიმეტრი. ზემო აშიაზე აქვს მხედრული წარწერა, რომლის თავი და ბოლო დაფარულია სხვა გვერდის აშიებით:

1. [მო]ვაქედინე ხატი ესე ზეშთა ნათელ თვალ შეუდგამისა ღთ მთავრისა წინაშე მდგომარისა ძალთა და ბძანებათა ღთ.
2. და მის ყოფითა აღმასრულებელისა დიდისა უკორცოთა ძალთა მთავრისა მიქაელისა მე ფდ ცოდვილმან ჩიჯაფა[ძემან]
3. [ვა]ხუშტი სულისა ჩემისა და ახალ მიცვალებულისა მე-ულდისა ჩემისა ლოლაბერიძის

1) ჩაბნახსი ნათლისმცემლის ხატის გამოქვეყნებისას ახალი  
ქვეყნის კვლევის დასრულებული მუშაობის შედეგად, მხ. შიგ. 21, გ. 10; მისივე  
გაზეთის 1973 წლის 28.

4. [ასუ]ლისა მარებისა სალხინებელად და ძეთა და ასულთა ჩემთა სადღეგრძელოდ.

III. ოქროთ დაფერილი ვერცხლის ხატი მთავარ ანგელოზთა მიქაელისა და გაბრიელისა,  $54,5 \times 42,6$  სანტიმეტრი. ზემოდ გამოხატულია ქრისტე ბერძნულის წარწერით:  $I^C X^C$ . ქვემოდ მთავარ-ანგელოზნები ბერძნულივე წარწერით:  $M^X \Delta, \Gamma^B \Delta$ . ზემო აშიაზე აქვს მხედრული წარწერა:

1. კ: ჩვენ: საქართველოს: ჯანიშინმა: ბატონის: შვილმან: ვახტანგ: მოვაქედინეთ: ხატი: ესე: მას: ქამსა: ოდეს: სულ კურთხეული: სიძე: ჩვენი:
2. ჩიჯავაძე: საზვერელი: მიცვალა: ეს: ხატი: მათის: სასოფლოსი: მათის: სულის: საოხად: და: სახსრად: მოგვიქედინებია: ქეს: აქათს: ჩლც: თვესა: იანვრისა: კვ:

ჩვენს წყაროებში ცნობილი არ არის, რომ ვახტანგ მეექვსის სიძე ყოფილიყოს საზვერელი ჩიჯავაძე.

IV. ხის ხატი ივანე ნათლასმცემლისა გაძარცულია. დარჩენილია მარტო სურათები სახარების შინაარსიდან ქართულის წარწერით. ნაწილები არ შენახულან.

V. ოქროთ დაფერილი ხატი ღვთისმშობლისა ოთხი ძვირფასი ქვით (ზურმუხტით და ლალებით). ქვემო არშიაზე ყოფილა წარწერა, მაგრამ არშია ეხლა შემოძარცული აქვს. ჩვენ გადმოგვცეს, რომ ეს წარწერა ინახება გრიგორ ლორთქიფანიძის ოჯახშიო, მაგრამ ჩვენ ვეღარ ვნახეთ. ღვთისმშობლის და მაცხოვრის სახეებს აწერია:

ღეღა ღა ძე ღა.

VI. ვერცხლის ჯამი მხედრულის წარწერით:

წინამძღვარი სვიმონ მოიხსენოს ღწ.

VII. ხის დასაკეცი ხატი ათორმეტთა-საუფლოთა ათონურის ხელობისა, ვერცხლის არშიებით, რომელთა შორის ზოგი გაძარცულია. მხედრული წარწერა არშიებზე ალაგ ალაგ აღარა სჩანს, მხოლოდ იკითხება:

:ქ: ეს თორმ[ეტ]ი საუ[ფლო] გენათლის გედეონისა...

VIII. ძველ ხელნაწერთა შორის ვანში შენახულა მარტო ერთი ტყაეის სახარება, მაგრამ ეს სახარება თავის სურათებით, საუცხოო ხელოვნების შემკობილობით, სათაურებით და ასომთავრულებით ათას სხვა ხელნაწერად ღირს. პირველად ამ სახარებას მიაქცია ყურადღება ა. ი. სტოიანოვმა, რომლის თხოვნით ეს ტყაეის წიგნი გელათში გადიტანეს, მაგრამ შემდეგ ვანის საზოგადოებამ მოითხოვა უკან სახარება, რომელიც უკვე დაუბრუნდა ვანის ეკლესიას. ვანის სახარება ჩასვენებულია მდიდარ ხელოვნურად შემკობილ კუბოში, რომელიც მოგვაგონებს წიგნის ყდას. შემდეგ ეს კუბო თავის სახარებითურთ ჩადებულია მეორე ვერცხლის უბრალო ბუდეში, რომელიც ზემოდ სისქეზე იღება მხოლოდ, და უკანასკნელად სახარება ამ ორი კუბოთი ერთად მოთავსებულია ტყაეის ჩანთაში, რომელსაც მობმული აქვს ვერცხლის ძეწკვი მხარზე ჩამოსაკიდათ. ამ გარემოებას დაუტყავს ვანის სახარება დროთა მსვლელობისაგან და კარგადაც მოუღწევია ჩვენამდის. ხელოვნურად ნაჭედ ბუდეზე წარმოდგენილია ამობერვილი სურათები იესო ქრისტეს აღდგომისა და ჯოჯოხეთში ჩასვლისა ყველა ჩვეულებრივის სცენებით. მეორე მხარეს ჯვარცმაა გამოსახული. ხსენებულ ბუდეზე წარმოდგენილნი არიან აგრეთვე ოთხივე მახარობელნი თავიანთ ემბლემებით. ეს ხელოვნური ბუდე თურმე ერთად ერთი წარმომადგენელია იმისი, რასაც ვიზანტიელები უწოდებდნენ „თეკე“-ს. ექვს გარეშეა, რომ ეს სახარება ზემო აღნიშნული ბუდითურთ წარმოგვიდგენს ქართულ ხელობას თამარ მეფის დროისას და ეს ქართული ხელობა ამ ბუდისა და სახარებისა იცნო მეცნიერმა ნ. კანდაკოვმა, რომლის მშვენიერ აღწერაზე ამ ნაშთისა ხელოვნების მხრით მიუთითებთ მკით-

ხველს და აქ საუბარს არ გავაგძელებთ. სახარება უნახავთ გელათში ყოფნის დროს ხსენებულს მეცნიერს ნ. კანდაკოვს და დ. ბაქრაძეს (იხ. Опись пам. др. въ нѣк. хр. и мон. Грузіи, стр. 47—50). რაც შეეხება წარწერებს ვანის სახარებისა, ამათზე შემოკლებული ცნობებია შეტანილი რუსულად ზემო ნაჩვენებ შრომაში, ქართული ტექსტი სრულებით დაბეჭდილი არ არის და ზოგიერთი წარწერებიც მოხსენებული არ არის. მაგალითად გარეგან ვერცხლის კუბოს წარწერა სრულებით არ იხსენიება. ნამდვილად კი აქ სწერია მხედრულად:

1. ქ.: გეხვეწებით.: ჩვენ: ცოდვილი: ესე ჩიჯავაძე: ვახუ-  
შტი: და:.
2. თანა: მეცხედრე: ჩვენი: ღოღაბერიძის: ქალი: მარეხ:.  
თქვ
3. ენ: შემბრაღეთა: და: შემწყნარებელთა: ჩვენთა: თქვენ:.  
ოთხთა:.
4. თავთა: მახარებელთა: მათე: მარკოზ: ლუკას: და: იოვან-  
ნეს: ძველადვ
5. ე: ჩვენთა: სახლთაგანე: მოქედილი: ბრძანებულ:.  
ხართ: ჟამთა:.
6. გამოსვლისაგან: დარყეულ: ხართ: სხვეფ: გასაკეთებლად:.  
ხელი: არ შე
7. გემართოდათ: სხვა: ვერა: გავბედეთ: რა: კუბო: შეგიმ-  
ზადეთ: აწ: მადლისა:.
8. თქვენისათვი: მას: გრძელს: საუკუნოს: ცოდვილსა:.  
სულსა: ჩვენსა: შეწე: და: მეოხ: ეყვენით:.

თვით სახარება  $29,4 \times 20,7$  სანტიმეტრი, ნაწერია მშვე-  
ნიერ ეტრატზე მოსხო ნუსხა ხუცურით ორ სვეტად. თითოე-  
ულს სვეტზე დატეულია 21 სტრიქონი, მეთაური ასოები და  
სათაურები ნაწერია ოქროთი. კამარები მშვენიერი ნახელავია.  
აგრეთვე საუცხოვო ფერადებით არის დახატული ოთხი მახა-  
რობელი და იესო ქრისტე, რომელიც აკურთხებს ოთხ მახა-  
რობელს. სულ სახარება შეიცავს 274 კაბადონს.

მარკოზის სახარების ბოლოს მე-126 კაბადონის მეორე გვერდზე ტექსტის ხელით სწერია:

წნო მახარებელნო  
გნმადლიერეთ ცო-  
დვილი იე რნ ფდსა  
უძლრბასა შა მყოფ-  
მან კლ ვყავ წერით,  
მოსაქმებად წისა ამის  
სახარებისა:-

იოანე მახარებელის ბოლოს მოყვანილია პირველად ან-  
დერძი გიორგი მთაწმინდელისა:

ესე საცნაურ იყვნ ყლთა:  
რ ესე წა ოთხთვი ახლდ  
გვთარგმნია\*). ფდითა იძ-  
ულეებითა მშთა ეიეთ-  
მე სლრთაათა. და ბერ  
ძულთა სხრებათა და  
შეგვიწამებია. ფდითა გ-  
ამოწულლვითა. და  
ვინცა ვინ დასწერდეთ.  
ვითა აქა ჰპოოთ ეგ  
რე დაწერეთ. თუ ამის  
გნ ჯერ გიჩნდეს დაწე  
რაჲ. ლთისა თს სიტყთა  
ნუ სცვალეობთ. ად ვა  
აქა სწერია ეგრე და-  
წერეთ. და თუ არა რა  
მე გაშუნდეს ჩნნი ყნი  
სხრებანი პლოგნ წდად

\*) ზოგიერთ სხვა ვარიანტებში გიორგის რედაქციის სახარებისა სწე-  
რია: „არა ახლად გვთარგმნია“, რომელიც უფრო საჭეუმბარიტია.

თარგმნილია და კთლდ  
ხან მეტნიცა და საბა წმი-  
დურნიცა. მუნით დაწე-  
რეთ. ღისათჳს ერთ-  
მანერთსა ნუ გაჰრევთ.  
და გლზკისა  
გეორგისთჳს რწნ ესე  
ვთარგმნე ლცუა ყვთ:\*)).

.: . .: . .: . .: . .: . .:

ამას შემდეგ უფრო წვრილი ასოებით მოთავსებულია  
ბოლო სიტყვაობა თვით სახარების გადამწერისა:

სყრელნო ჯერ არს რა წსა ამის  
სხრზისა ერობა: გნემარტოს სიწ-  
მიდეს თქვენსა: და არა თვთ უჯლზბით  
ჰგონოთ შეცვლჳ სიტყთაჲ წისა ამჳს სა-  
ხრზისა. ანუ ანდრძსთჲ. . . ად ესე სა-  
ცნაურ ყენ ყლთა რ ყნივე ქა-  
რთულნი სხრზნი მთა წით აღწე-  
რლნი და გამოსრულნი ღირსისა  
მმისა გის თარგმნილნი. საეკლე-  
სიოჲსა სახარებისგნ რლ მთწ-  
მიდელნი იკმარებენ აღწერილ  
ნი არიან: და არა მისგნ რლი  
თვთ გი თარგმნა და ნუსხად მდე-  
ბარე იყო ღიდსა წიგნის საცაესა:  
ად მისგნ გარდაწერალის გნ:  
და მას ნუსხასა თა ფდი ნაკ-  
ლულეგანებჲ აქს და ვჰ-

\*) ზოგჯერ აშიებზე შენიშვნებია თვით გეორგისა. მაგალითად მე-66  
კაბადონის აშიაზე სწერია: „არცა ძემნ. ესე სიტყვჲ სამთა ბერძულთა  
სახარებათა არა ეწერა: არცა მე დავსწერე“.



გონებ რ'ლ თჳთ შჯ'ლობით ვიეთ-  
 მე ეკადროს ო'ს შ'ა შეცვლაჲ  
 სიტყვს'ჲ გინა ანდერძისაჲ ვ'ე  
 მწერლისგ'ნ გ'ნრყუნად: . ს' ჩ'ნ-  
 თა ამათ შ'ა ჟ'ათა. დიდი მ'ლწეთა  
 შ'ს ბერი ზაქარია მორაეიდა მთ-  
 ასა წ'ა, ძიებად ყო გ'ის მ'რ აღწე-  
 რილისა წ'ისა მის ს'ხრებისათჳს: და  
 პოა დიდსა წიგნის საცავსა შ'ა:  
 და აღიესო სიხრ'ლითა: და მ'რ  
 გადმოეწერა შატბერდელსა ხ-  
 უცესსა სტ'ფნეს და აღმორაეი-  
 და, რომანიას: მე კ'ლთ ვყავ ცოდვილ-  
 მ'ნ. ი'ე აღწერად: რ' აღრითგ'ნ ს-  
 წყუროდა ს'ლსა ჩემსა მოგებად წ'სა სახ'რე-  
 ბისა: აწ ვინცა სწერდეთ  
 ვითა აქა ჰპოოთ, ეგრე დაწერეთ წენტილითა: და  
 პტ'ვთა ზ'ა მეორითა  
 სიტყუთა: . რ' ანდერძი ვითა აქა სწერია  
 ესრე პოენილ არსნუსხას: .

ამას ქვემოდ ორი სტრიქონი ბერძნული ასომთავრუ-  
 ლი წარწერაა და შემდეგ მე-XII საუკუნის მხედრულის ხელით  
 სწერია:

1. ქ. ესე სახარებაი: მე ი'ნე უღირსმან: სპყარმან და მლო-  
 ცველმან: წ'ის: \*)
2. დედუფლის: თამარისმან ვიოფლე: წერით: ქალაქსა შინა  
 კონსტანტინპოლის: ლოცვა ყავთ:  
 ყ'ლთა:

---

\*) ეს არა პირველი მაგალითია, რომ თანა მედროვენი თამარ დე-  
 დოფალს „წმიდათ“ მოიხსენებენ.

შემდეგ ტექსტით ხელით სწერია;

ღბა და მადლობა, ღთისა მიზეზისა  
 ყლთა კთლთაჲსა: და მომღებელისა:.


მე-274 კაბადონის პირველ გვერდზე მხედრულის ხელით  
 XII—XIV საუკუნისა სწერია:

„წ. შემოსწირა: წმიდა: ესე ოთხთაფი: პატრონმან ნათ-  
 ამან ჩუენ: საბოთარსა: და შორეთელთა: პირველ ხატ-  
 სა: მაცხოვრისასა: და წისა: გნი: შოროთისასა და წისა ნიკზს:  
 სააღაპედ: მისისა მეუღლისა ბექაისა: შალვა არტან-  
 უჯელისაჲ შეილისათუის: და მისთუის: და ჩუენ გაუჩინ-  
 ეთ აღაპი: ქეს: შობისა: წთა კვრიაკესა: დღესა: გარდაი-  
 კდებოდეს ტრაპეზით: კარგი და საპატიოი: სრული  
 და დაუკლებელი: აღაპი: და რაოდენნიც მღდელნი იყუნ-  
 ენ ჟამსა უწირვიდენ პატრონსა: ბექასა: და მისსა მეუღლე  
 ყოფილსა ნათანიხოს: და ნუ დააკლებენ წირვასა: მოკს-  
 ენებასა: და შენდობასა: მას მწუხრსა ცისკრად: და წირვას  
 ზედა: მღდელნი ლ მწირნი ლ ჰლოცვიდენ ლ შენდობითა მოიკსენ-  
 ებდენ და ვინც: დააკლოს და უგულებელს ყოს: იყავნ კრულ  
 წყეულ და შეჩვენებულ: და დამამტკიცებელნი: ღთმან აკურ-  
 თხნეს და დაამტკიცნეს ამინ:“

აქ მოხსენებულნი პირნი ნათაჲ (ნათელა) ანუ ნათანი-  
 ხოს და მისი მეუღლე ბექა, შალვა არტანუჯელის შვილი, სხვა  
 წყაროებში ცნობილნი არ არიან.

მე-273 კაბადონის მეორე გვერდზე მე-XVIII საუკუნის  
 მხედრულით სწერია:

„ქ. ჩვენ აფხაზეთისა კათალიკოსმან და მეფის ძემან იოსებ  
 დავიხსენით წმინდა ესე სახარება და გამოვიკითხეთ და საჩინრს



ვანს მთავარ ანგელოზის ეკლესიის შეწირული ყოფილიყო პირველ. და ახლა ისევ ეს ჩემი ნაყიდი სახარება საჩინოს ვანს მთავარ ანგელოზის ეკლესიისათვის შემიწირავს ორივე ვეცხლის კუბოთი და მისის ვეცხლის ძეწვით შემკობილი კორცთა ჩემთა სასიმთელოთ და სულისა ჩემისა საოხად. ყოვლად სამღვდლოს ქუთათელ მიტროპოლიტის მაქსიმეს მოწმობით. და ვინც ეს ჩემი ნაყიდი იმ ეკლესიას გამოსწიროს შეჩვენებული იყოს ამინ. დაიწერა ქორნიკონსა ქეს აქეთათას შვიჯას სამოცდა თექვსმეტს და თვესა ძაისსაჲ. აბჲ. მე არხი-დიაკონს ეფთვიმეს დამიწერია ზე მაწამეც ვარ ამისი:—“

მეფისძე
იოსებ

ამას შემდეგ ხელის-მოწერაა თვით ქუთათელ მიტროპოლიტის მაქსიმესი და შუაში უზის ბეჭედი მაქსიმესი:

ქუთათელ მიტროპოლიტი  
მაქსიმე ვამტკიცებ ვინც გა-  
მოსწიროს შეჩვენებული  
იყოს ამინ.

ამ წარწერაში მოხსენებული იოსებ აფხაზეთის კათოლიკოზი იყო ძე იმერთა მეფის ალექსანდრე V (1727—1752) და ძმა იმერთა მეფის სოლომონ I.

მოკლედ ისტორია ვანის სახარებისა, როგორც სჩანს წარწერებიდან ასეთი ყოფილა:

ვინმე ზაქარია ბერს მთაწმინდაზე უნახავს სახარება ავტოგრაფი გიორგი მთაწმინდელისა და გადმოუწერია, ზაქარიას სახარების ცალიდან გადმოუწერია სახარება შატბერდელ მღვდელს სტეფანეს, და სტეფანეს გადმოწერილ ნუსხიდან გადმოუწერია ვანის სახარება თამარ მეფის სიცოცხლეში მისვე მლოცველს იოანეს. ამჲნა მდებარეობს კონსტანტინეპოლის მახლობლათ. აქ იყო ქართველების სავანე აშენებული IX

საუკუნეში იღვწიან ქართველის მიერ. ეს სავანე ცნობილია. **სახსარტყვის** სახელით. ჩვენის ფიქრით, სახარება თამარ დედოფლის ბიბლიოთეკას უნდა კუთვნებოდა. შემდეგ ვანის სახარება შალვა არტანუჯელის/სკოლს ნათას ანუ ნათანახას ჩავარდნია ხელში და შეუწირავს შარტყვის ეკლესიისათვის, რომელიც მდებარეობს ახალქალაქის მაზრაში, მდინარე ასპინძის სათავეში, და აქამომდის გვარინათ არის დაცული. საათაბაგოდან, ალბად ამ მხარეს გათათრების შემდეგ, სახარება გადმოუტანიათ ვანში. ამას შემდეგ ეს განძი ერთხელ კიდევ დაკარგულა და გამოუყიდა აფხაზეთის კათალიკოზს მეფის ძეს იოსებს 1776 წელს და დაუბრუნებია ისევ ვანის ეკლესიისათვის საჩინოში. ბოლოს უნდა შეგნიშნოთ, რომ როგორც თვით სახარება ვანისა იშვიათ ნაშთს წარმოადგენს ხელოვნებისა, იმდენადვე და გაცილებით მეტად კიდევ შესანიშნავია კუბო სახარებისა, რომელიც ისეთ თვალსაჩინოს და ძვირფას ნაშთს ეკუთვნის ქართულის ხელოვნებისას, როგორც არის ხახულის ღვთის მშობელი გელათში და ანჩას ხატი ტფილისში.

ქვემოთ  
ქვეს

**ასწითი.** ვანის ზემოდ მდინარე სულორის მარცხენა ნაპირზე სოფელ ისრითში არის პატარა ძველი ეკლესია წმიდის გიორგისა თლილის ქვებით ნაშენი. დასავლეთის მხრით ეკლესიას მიშენებული აქვს ფიცრის ეკვდერი. ეკლესიას სიგძე აქვს 8 ადლი და 9 გოჯი, განი შეიდი ადლი და ორნახევარი გოჯი. კარი წინედ ერთი ჰქონია სამხრეთის კედრით და შემდეგ გაუკეთებიად მეორე კარი დასავლეთის მხრითაც ეკვდერისათვის. ამ პატარა ეკლესიის კარს და ორ სარკმელს აღმოსავლეთისა და დასავლეთისას ჩუქურთმის შემკობილება აქვს იმგვარივე ხელობისა, როგორც კაბენის და გუდარების მონასტრებს. და ამიტომ ეს პატარა საყდარი მე-XII—XIII საუკუნეს უნდა ეკუთვნოდეს. ამგვარი შემკობილება საყდრის ფანჯრებისა და კარისა სხვა საჩინოს ეკლესიებზე ჩვენ არ გვინახავს. შიგნით ეკლესია დახატული ყოფილა ძველათ. ნაშთი მხატვრობისა ემ-

ჩნევა კიდევ საკუროთხეველის კედლებს. დასავლეთ კედელზე დახატული ყოფილა კაცი დიდებულის ქართულის ტანისამოსით და ამ მხატვრობას წარწერაც ჰქონია, რომლიდგან დარჩენილა მარტო ორი ასო ...დრ...

კანკელი ეკლესიაში ხისაა ახალი. ძველი ხატები აქ არ შენახულა. მოიპოვება მხოლოდ ორი ხატი წმიდა გიორგისა ფიცარზე ნახატი. ერთს ვერცხლის არშია ჰქონია, რომელიც მოუძარცავთ, მხოლოდ რამოდენიმე ქვა კიდევ შერჩენია ხატს. ამას გარდა აქვე დაცულია კიდევ ხატი წმ. ბასილისა ფიცარზევე ნახატი. ეკლესია მთელია, მაგრამ ეხლა გაუქმებული.

**დახაშხა.** ვანს და ისრითს შუა ერთ ბორცვზე სოფელ დინაშხოში არის ეკლესია სამებისა, რიყის ქვით ნაშენია, სიგძე აქვს 11 ადლი და 7 გოჯი, განი 6 ადლი და 6 გოჯი. კარი აქვს მარტო სამხრეთის კედრით, ფანჯარა ოთხია: ორი სამხრეთით და თითო აღმოსავლეთით და დასავლეთით. ამ ეკლესიას ლამაზი ალუბასტრის კანკელი აქვს და ზემოდ აწერია მხედრულად:

„ქ. ყოვლისა შემძლებლო და ცხოველ მყოფელო სამებაო წმიდაო, ნათელო დაუსაბამო ძალთაგან შემოქმედი ქველის მოქმედებითა შენითა არა არსისაგან არსებად მოიყვანენ ყოველნი, შენ მიერისა მოწყალებისა მომლოდნეთა თავადთა: ლორთქიფანიძე როსტომ, ტატუ, ბეჟან და ბესო ეისურვეთ და გიძღვენით მცირე ესე მსახურება. შეიწირე ვითარცა მწვლილი ქრივისა, ცრემლი ჰეტრესი, სულთქმა მეზვერისა და დაგვიფარე ბოროტისაგან, უუმოსა სიკვდილისაგან, და საშინელსა მას დღესა განკითხვისასა ღირს მყვენ მარჯვენითა თანა აღრაცხვად“.

ეს წარწერა ძველი არ არის და უნდა ეკუთვნოდეს მეცხრამეტე საუკუნის პირველ მეოთხედს. აქ მოხსენებულ პირთა შვილები ზოგი დღესაც ცოცხალია.

შიგნით კედლებზე დახატულნი არიან ლორთქიფანიძეთა გვარეულობის პირნი. ერთს მათგანს ხელში უჭირავს გეგმა ეკლესიისა. სურათებს წარწერებიც აქვს, მაგრამ ჩვენ არ გადმოგვიღია, ვინაიდან ღამე მოგვიხდა ხსენებული ეკლესიის ნახვა.

სოფელ დიხაშხოს მღვდელთან ჩვენ ვნახეთ ხელ ნაწერი წიგნი **ხანდუკი** კუთვნილი გრიგორი ლორთქიფანიძისა-წიგნი, როგორც ვიცით, ნათარგმნია არჩილ მეფის თაოსნობით. თავში სწერია: „ზანდუკი წიგნისა ამის საქმეთა რწლსა გარე შეიცავს: შემოკლებით მოთხრობათა დაწყებული დასაბამითგან სოფლისა მეფობადმდე კოსტანტინე პალიოლოთისა უკანასკნელისა ბერძენთა მეფისა“. სულ ხელნაწერი შეიცავს 245 კაბადონს.

**სადგერა.** სოფელ ვანს ქვემოლ სოფელ სადგერში ორი პატარა ეკლესია მოიპოვება, ერთი კარის ეკლესია ჩიჯავაძეებისა, რომელიც ჩვენ არ გავვიშინჯავს, და მეორე დანგრეული უბრალო ქვისა.

**ქედა.** ხუთის ვერსის ქვემოლ სოფელ ვანისა მდებარეობს სოფელი ქედა. ქედაში გორაზე წამოდგმულია ქვის ეკლესია წმ. გიორგისა, სიგძე აქვს 16 ადლი და 7 გოჯი, განი 11 ადლი და 9 გოჯი. ეს ეკლესია ძველი არ არის, მაგრამ ძველი ეკლესიის ადგილზეა აშენებული და ზოგიერთი ქვები ძველი ეკლესიისა მოუხმარებიათ ამისათვის. კანკელი ხისა აქვს და ხატები კანკელისა ტილოზეა ნახატი, სხვათა შორის აქ დახატულია ქრისტეს შემდეგ წმიდა ნინოც.

I. თავი ხატი წმიდა გიორგის ვერცხლისა არის, 47 X 33,5 სანტიმეტრი, და შემდეგი ასომთავრული წარწერა აქვს:

ქ. წმიდა გიორგი  
ქესაო აღიდე ხე  
ვი ქედელი ნადს  
ფოთელს შეს ღმთმ  
ა ხას ხერეს ნიკს

გგის ქოქოს მონინა  
 შვილს შედს ღმერთმა

ხსენებულ ხატზე წმიდა გიორგის სურათის გარდა ცხენით გამოხატულია არშებზე მახარობლები, წმ. პეტრე, წმ. ბასილი, წმ. მარინე, გრიგორი ღვთის მეტყველი და სხვა. ამას გარდა აშებზე წარმოდგენილია სცენები წმიდის გიორგის ცხოვრებიდან: ურმის თვლით ტანჯვა, თავის კვეთა და სხვა. ხატს აქვს წმიდა გიორგის ნაწილები ცალკე კარებით. ხელობა მდარეა.

II. ვერცხლისავე ხატს ღვთისმშობლისა,  $14,5 \times 14$  სანტიმეტრი, ექვსი ძვირფასი ქვით შემკობილს აქვს მხედრული წარწერა:

ივ ქე

ესე: ხატი: . მოჰედე: . მე  
 თეკლა: . მინაშვილმა: .  
 ჩემის: . სულის: . სახსრად:

III. ვერცხლის ჯვარი ტარზე ჩამოსაცმელი,  $32,7 \times 24$  სანტიმეტრი, აქვს ორი ლალი, და მდარე ნახელავია.

IV. სპილენძის დასაკეცი ხატი თორჰეტ საუფლოთა.

V. კამარა ვერცხლისა მხედრულის წარწერით:

ქ. შემოგწირეთ. ესე. შესწირავი. წმიდას.  
 ზთავარ. ანგელოსის. ეკლესიას. ღინარალის.  
 მეუღლემ. ბარბარემ. ფეშხუმი. და. კამარა.  
 ჩემის. მიცვალეზულის. სულის. სმეოხთ. რომელმაც.  
 გამოსწიროს. რისხამდეს. საუკუნოთ. მამა. და. ძე.  
 და სული X წმიდა X თვესა. იანვარისა. ა. ჩუაგ. წელსა.

VI. ხელნაწერი აქ ინახება მარტო ერთი. ეს არის ფსალმუნების თარგმანი სულ 15 კაბადონი მხედრულის ხელით ნა-

წერი. სათაურები ხუცური აქვს წითელი მელნით შესრულებული. დასაწყისი: „მოჰსცეს ჟამსა მას საუკუნესა, და კ'დ ჯუარი უჯისა რ'ლნ ჟამსა“. ხელნაწერი ეკუთვნის მეთვრამეტე საუკუნეს წერის მიხედვით და არაფერს საყურადღებოს არ წარმოგვიდგენს.

**ძველი ტობანიედა.** ძველი ტობანიერი ძვეს მთაში ოთხი ვერსის მანძილზე ახალი ტობანიერიდან. აქ დაცულია ძველი ეკლესია, ცოტა არ იყოს, უხეიროდ ნათალი ქვისაგან ნაშენი. სისქე კედლებისა არის  $1\frac{1}{2}$  ადლი. ეკლესიას სიგძე აქვს 17 ადლი და 2 გოჯი, განი 11 ადლი და 11 გოჯი. აღმოსავლეთის მხარეს იქ, სადაც ორივე ნაწილი სახურავსა უერთდება ერთმანეთს, ჩატანებული არის ცხვრის თავი ქვიდვან გამოქანდაკებული. ფანჯარა სამი აქვს: თითო აღმოსავლეთის, დასავლეთის და სამხრეთის კედლით. ეკლესიას ეკვდრები ჰქონია ჩრდილოეთის მხრით, სიგძით 8 ადლი და 10 გოჯი, განით 4 ადლი და 14 გოჯი. ეს ეკვდერი ეხლა დანგრეულია. დანგრეულია აგრეთვე დასავლეთის ეკვდერიც, ანუ კარის ბჭე, სიგძით 11 ადლი და 11 გოჯი, განით 4 ადლი და 11 გოჯი. ეხლა დაცულია მხოლოდ სამხრეთ-დასავლეთის კუთხეში ეკლესიისა შემდეგ დროში მიდგმული პატარა ოთახი. დასავლეთის კარს ზემოთ ქვაზე გამოქანდაკებულია ჯვარი, მარჯენივ კაცის სახეა ულაზათო, ქვემოდ მაგრატელი და ვერძი, ზემოდ გველი და სამი ფრინველი. აღმოსავლეთის კედელში ჩატანებულია ჯვარი და აგრეთვე აღმოსავლეთის ფანჯარა შემკობილია გრეხილით. დარის მსგავსი ლავგარდანი აღმოსავლეთის მხრით ჩამონგრეულია. ეკლესიას შემოვლებული აქვს გალავანი. ძველი ტობანიერის ეკლესია აშენებული ყოფილა სამების სახელზე, ხოლო თავი ვერცხლის სამების ხატი დიდი ზომისა გაუძარცვავთ ავაზაკებს და ეხლა დარჩენილია მარტო შუა ნაწილი, რომელიც განცალკევებული ყოფილა, ეს ნაწი-



ლი წარმოგვიდგენს იესო ქრისტეს ტახტზე მჯდომარეს. ხელობა მშვენიერია. ხატს ხუცურად აწერია:

„მე ვარ ნათელი სოფლისა“.

ერთ ვერცხლის ფეშხუმს აწერია:

„წინამძღვარი სვიმონ“.

სხვა ნივთები წარწერებით აქ აღარ შენახულა.

## ბ უ რ ი ა

აჭი. აქის პატარა, მაგრამ ერთი უძველესთაგანი ეკლესია გურიაში, აწერილი აქვს დ. ბაქრაძეს თავის არხეოლოგიურს მოგზაურობაში (Арх. пут. по Гуріи и Адчарѣ, стр. 104—107), მხოლოდ დ. ბაქრაძეს როგორღაც დარჩენია შეუნიშნავი ორი უძველესთაგანი წარწერა აქისა, ერთი თვით ეკლესიის სამხრეთის კარის ზემოთ და მეორე ოქროთი დაფერილ ვერცხლის ჯვარზედ, რომელიც დაცულია დღემდის აქის ეკლესიაში. სამხრეთის კარს ზემოდ დიდ ოთხ-კუთხედ ქვაზედ გამოქანდაკებულია ჯვარი ოთხ-კუთხედში ჩასმული და ამ ოთხ-კუთხედის მარჯვნივ და მარცხნივ მოყვანილია უძველესი ასომთავრულით ხუთ სტრიქონიანი წარწერა, რომელიც ჩვენის აზრით ასე იკითხება:

I.	ქ. წო გი მე	ოხ ექმენ
	პატრონთ	სორს რტს
	და უშნიანს და	მოხ ექმნ ნკლზ
	აქილსა და	გალატოზთა მქლს
	და მკე	ცსა

უქარაგმოთ ეს წარწერა ესე უნდა იკითხებოდე :

„წმიდაო გიორგი, მეოხ ექმენ პატრონთ: საღირს, რატს და უშანიანს(?), და მეოხ ექმენ ნიკოლოზ აქიელსა და გალატოზთა მიქელს და მკეციძესა(?)“.

არც ერთს პირს ამ წარწერაში მოხსენებულს ჩვენ არ ვიცნობთ. მართალია ნიკოლოზ აქიელი, ესე იგი აქის საყდრის წინამძღვარი, გვართ თაყაიშვილი, ცნობილია ჩამოდენი მე სიგელ-გუჯრებიდან მეჩვიდმეტე საუკუნის დამლევს და მეთვრამეტეს დასაწყისში (ბაქრადის მოგზაურობა გვ. 106—107, 290—291), მაგრამ ყოველად შეუძლებელია ეს წარწერა ამ ნიკოლოზ აქიელს თაყაიშვილს მივაწეროთ. ჩვენის აზრით წარწერა ბევრად უფრო უძველესია მეჩვიდმეტე და მეთვრამეტე საუკუნოებზე როგორც პალეოგრაფიულის ნიშნებით, ისე აღწერაში მოხსენებულ პირებით. საღირი რატი და უშანიანი პირველად იხსენებიან გურიის წარწერებში.

II. ვერცხლის ჯვარი, ოქროთ დაფერილი, რომელზედაც ჩვენ ვლამპარაკობთ, უბრალო ჯვარი არ ყოფილა, არამედ ჯარის წინ სატარებელი დროშასავით. მედალიონები ძვირფასი ქვებით შემკულნი მარჯენივ და მარცხნივ და აგრეთვე ზემოდ, რომელნიც ჰქონია ამ ჯვარს, დღემდის არ შენახულან, ხოლო კვალი-და აჩნია მარტო. ქვემოდ ჯვარს აქვს პრტყელი სოლი, რომლითაც ის ალბად ხეტარზედ იყო ჩამოცმული. ჯვარის მეორე გვერდზე ასომთავრულით სწერია:

ჭ	ძე	ლო:
ცხ		რები
სო.		მეხ
ეყვ	შნთ	ა მკბთა დ
ლეს	მას	გნკთხვსას.
შეიქმნა	ჯ'ი	ესე ბეთსა ღთ
ს მშბლისა		ოქროსა დ
	ა ვერ	ცხლი
	ს წის	ა უ
	ფლ	ებსა
	დღფ	ლსა თ
	მრის	ს აღი
	დენ	ღთმნ

უქარაგმოთ:

„ჩი ძელო ცხოვრებისაო, მეოხ ეყავ შენთა მკობთა დღესა მას განკითხვისას. შეიქმნა ჯვარი ესე ბეთანიასა (თუ ბეთლემსა?) ღვთის მშობლისა, ოქროსა და ვერცხლის წმიდისა, უფლებასა დედოფლისა თამარის, აღიდენ ღმერთმან“.

როგორც წარწერა უჩვენებს ეს მშვენიერი ჯვარი გაკეთებულია თამარ მეფის დროს (1184—1212) ბეთანიას ან ბეთლემს.

**ჯეხაუნი.** ლეხაურის ეკლესიის საყურადღებო ნაშთების აღწერას მკითხველი ნახავს დ. ბაქრაძის მოგზაურობაში (გვ. 107—113). აქ მოვიყვანთ ძნელოდ წმიდა იაკობის ოქროს ხატის ასომთავრულს წარწერას, რომელიც საშვალეებს მოგვცემს, ეს ხატი თამარ მეფის დროს მივაწერათ.

I. „ქ. ეპა ყოველთა არსთა ღმერთ-მეუფისა, სამ-ხატოვნებით სამ-ბრწყინვალისა მზისა ძმად საყვარლად წოდებულო მარტულო, ბრძენ-მართლ-წმიდა ღვთის მეტყველო იაკობ! გუექმენ მცველ-მფარველ მონა მსასოებელთა ვარდანის ძესა მარუშიანსა მითუტთ და საძმეგატთას ასულსა ხათთა (ხათუთა?), ხატისა ამის შენისა მამკობელთა სული[სა ჩუენისა] სუფევად“..

ნიშნები და მართლ-წერა აქ მოყვანილი წარწერისა არ დაგვიცავს. ხაზ-გასმული სიტყვები ბაქრაძის შრომაში გამოტოვებულია. ხსენებული წარწერა ამტკიცებს, რომ წინაპარნი გურიის მთავრებისა ანუ გურიელებისა ვარდანიძენი ყოფილან, როგორც ისტორიკოსმა ბატონიშვილმა ვახუშტიმ გადმოგვცა. ამიტომ მით უფრო საყურადღებოა ეცოდეთ დაქვემდებარებით დრო, თუ როდის ცხოვრობდა აქ მოხსენებული უძველესი წარმომადგენელი გურიელებისა. თამარ მეფის დროს დიდებულითა შორისო, შენიშნავს დ. ბაქრაძე, მოხსენებულია რომელიმე მარუშიანიო და მასზე ხომ არ არის აქ ლაპარაკიო? ამას გარდა ბაქრაძის შრომაში გამოურკვეველი დარჩა, ხათთა ასულია თუ მფულღე მარუშიან ვარდანის-ძისა (გვ. 335). ეხლა ხაზ-გასმული სიტყვები გვიმტკიცებს, რომ ხათთა სამძივართ

ასულია და როგორც საგონებელია მეუღლე მარუშიან ვარდანისძისა. თამარ მეფის დროის დიდებულთა შორის მოხსენებულია როგორც მარუშიანის ისე სამძივარიც (იხ. მარიამის ვარიანტი) ქარ. ცხოვრებისა, გვ. 408, 410, 709. H. G. 430, 582, n. 5).

ეს ერთად მოხსენება მარუშიანის და სამძივარისა გვაძლევს მეტს საბუთს უფრო დაბეჯითებით მივაწეროთ ლეხაურის ხატი წმინდა იაკობისა თამარ მეფის დროს და მის წარწერაში მოხსენებული მარუშიან ვარდანისძე, რომელსაც ცოლად ჰყოლია სამძივართა ასული ხათთა ანუ ხათუთა, უძველეს წარმომადგენელად გურიელებისა.

II. ღვთის მშობლის ხატზე, რომელიც მდარე ხელობისაა, აწერია უშნო მხედრულის ხელით ზემოთ: „ყოვლა წმინდა“ და ქვემოთ:

„ყოვლა წმინდაო, შეიწყალე სული გულბდის მას ღღესა განკითხვისასა“.

III. მეორე კარგ ღვთის-მშობლის ხატზე ვერცხლისა მოყვანილია კარგად დაცული ასომთავრული წარწერა, მაგრამ გარჩევა მისი ადვილი არ არის.

ღ. ბაქრაძეს ამ რიგად მოჰყავს წარწერა:

„ქ. მ. ყდ. წო. მეოხ და. მფრველ. ექმ. პტრნსა. კბერს. და. მსსა. მუესა. ვიოქს. ჩწნ. და. მსს. მშენებელს... ვსდ... მსმრქე“.

ავტორს ჰგონია აქ კახაბერის მეუღლის სახელი ანნათ იკითხება (გვ. 109). ჩვენ მიერ ქვემოთ მოყვანილი გარჩევა მხოლოდ ცდა არის ამ საინტერესო წარწერის წაკითხვისა. სურათი ხატისა თავის წარწერით, რომელიც კარგად არის გამოსული, მოყვანილია კანდაკოვის გამოცემაში. ჩვენის აზრით აქ სწერია:

1 ქ მ ყდ წო მეოხ და მფრველ ექმ[ნ] პატრონს კბერს და მსსა მუელს

2. ა საგჩუქს ანნ და მსს მშენებელს ხეს და მს მსს მქე... ჩვენის მოსაზრებით ეს წარწერა ასე უნდა იკითხებოდეს,

\*) საპატივითი აქვს საძივარისა და სამძივარის მშენებელთა სამძივარის მარუშიან ვარდანისძის ღვთის-მშობლის ხატზე (გვ. 109, 73-74)

„ქორონიკოსს მ. ყოვლად წმიდაო, მეოხ და მფარველ ექვენ პატრონს კახაბერს და მისსა მეუღლეს სავჩუქს, ამინ, და ამისს მაშენებელს ხავს (?) და მის მონას მიქე[ლს]“.

ქორონიკონი წარწერისა უჩვენებს 1352 წელს და ამ დროს მიაწერენ ლეხოურის ეკლესიის აშენებას.

**ძამითი.** ძიმიითის ეკლესია ხისაა წმიდა კვირიკეს სახელობაზე აშენებული. ეს ეკლესია დ. ბაქრაძეს თვითონ არ უნახავს, მხოლოდ მისთვის მოეტანათ ორი წარწერა, ერთი წმ. გიორგის ხატისა და ძეორე ზარისა. ჩვენ საქიროთ მიგვაჩნია მოვიყვანოთ აქ წარწერები ძიმიითის ყველა ხატებისა 1):

**I.** თავ ხატს ძიმიითის ეკლესიისა შეადგენს წმიდა კვირიკეს ხატი, რომლის სახელზეც ეკლესია არის აშენებული. ხატი ვერცხლისა არის ოქროთი დაფერილი შუა ზომისა. ამ ხატს ასომთავრულით აწერია:

1. ღო და: წო: კვე: შწე: გგს: თხს: მს მს თი
2. ნთს და კს: იოწ: წო კვე: შწე: მლს მს
3. გწს: შწე: წდაო: კკე:

ამ წარწერის სიტყვები, როგორც მკითხველიც ხედავს, ძრიელ შემოკლებულია და ამიტომ ადვილი მისახდენი არ არის. ჩვენის მოსაზრებით წარწერა უნდა იკითხებოდეს ასე:

„ღმერთო და წმიდაო კვირიკე, შეეწიე გიორგის, თახოს, მის მეუღლეს თინათინს, და კოსტანტინეს, იოანეს, წმიდაო კვირიკე, შეეწიე; მღვდელს ჰის გიორგის შეეწიე, წმიდაო კვირიკე“.

**II.** წმიდის გიორგის ხატი ვერცხლისა ოქროთ დაფერილი შუა ზომისა. ქვემოთ აშიაზე აქვს ასომთავრული წარწერა:

1) როგორც გაზეთებმა გვაცნობეს ძიმიითის ეკლესია თავის ხატებით და ნივთებით სულ დამწვარა. ამბობენ აქ განცალკავებულს ყუთში ინახებოდა ბევრი სამკაული თავადთა გუგანავათაო, რომელიც ჩვენ არ გვიანახავს.

შე და გაუმარჯვე დადიან გურიელსა  
გ'გის ამენ.

ვინ უნდა იყოს ეს დადიან-გურიელი გიორგი? დადიან-გურიელის წოდებას ატარებდა დადიანი გიორგი II, რომელიც ცხოვრობდა მეორე ნახევარში მეთოთხმეტე საუკუნისა († 1383). ამ გიორგის მოიხსენიებენ წარწერანი ხოპისა სამეგრელოში და ჯუმათისა გურიაში (Бакрадзе, Арх. пут. по Гур. и Адчарх, стр. 264, 268—9. Brosset. Voyages ar. VII Rapp. pp. 38—40. H. G. t. II. 1, p. 247, 646). გურიელებთა შორის, როგორც ჩვენ ვიცით, გიორგი ხუთი იყო. ამათში გურიელი გიორგი III († 1684) ერთ გუჯარში თავის თავს დადიან-გურიელად იხსენიებს (ბაქრაძის მოგზაურობა გვ. 293). სხვა გურიელები თავის თავს გურიელ-დადიანებათ იხსენიებენ. ჩვენის აზრით ეს წარწერა გურიელ გიორგი III ეკუთვნის და არა დადიან გიორგი II, რომელზედაც ზემოთ გვქონდა ლაპარაკი. დიმიტრი ბაქრაძის მოსაზრებით უძველესი გურიელები და უძველესი დადიანები ერთ და იმავე სვანთა ერისთავების ვარდანიძეების შთამომავალნი უნდა იყვნენ (Бакрадзе. Арх. пут., стр. 268—269).

III. ვერცხლის ხატი ღვთის მშობლისა ოქროთ დაფერილი და შემკული ძვირფასის ქვებით. ქვემოთ აშიაზე მხედრული წარწერა აქვს:

1. ქ მოვქედეთ: ხატი: ყოვლა წმიდა: თეთროს
2. ნისა: ნასხიდამან: გუგუნავა: და: თანა მე
3. ცხედრემან: თეთრო: და: ძემან: ჩვენმან ო
4. თარმან: სადღეგრძელოდ: საუკუნეს: სულისა: საოხად.

ეს ხატი, როგორც წარწერა უჩვენებს, წინეთ ჰკუთნებია თეთროსნის ეკლესიას, რომელიც ქობლეთის მახლობლათ არის ბათომის ოლქში. თვით გუგუნავანი, ეხლანდელი ძიმიტში მსახლობელნი თავადები, ქობლეთიდან არიან მოსული იმ დროს, როდესაც ქობლეთი ძალათ გაათათრეს ოსმალებმა.

IV. ვერცხლის ხატი მთავარ ანგელოზებისა ოქროთი დაფერილი. ქვემოთ აშიაზე აქვს მხედრული წარწერა:

1. ქ. ღმერთო:.. ყოვლის:.. მწყრობელო იესო:.. ქრისტეჲო:..
2. ღმერთო:.. და:.. მქიელ(sic):.. გბრიელ:.. მთავარ ანგელოზო:..
3. აღდგერძელე:.. და:.. აცხოენე:.. ლიპარი ართუმელაძე:.. და:..
4. გევედრები:.. თანა:.. მეცხედრე:.. თინთინ:.. ორთავე:.. შინა:..
5. ცხორებათა:..

V. წმიდი გიორგი ხატს კუბოზე აწერია ჯერ ასო მთავრულით:

წა გი ჯიხანჯურისა

შემდეგ მხედრულად:

ქ: ეჰა შენ დაღო მხნეო მხედარო და ღვაწლით შემოსილო და ხვარასანთა ტყვეთა მხსნელო, სასწაულთ მოქმედო, ახოვანო და წმიდაო მოწამეო გიორგი, შეგამკეთ და შემოგწირეთ კუბო ესე მე გუგუნავამ ეახუშტიმ და თანა მეცხედრემან ჩემმან, ბატონის გურიელის სახლის შეილმა, დადიანის ქალმა, ლელა, ძეთა ჩვენთა აღსაზრდელად, სულთა ჩვენთა საოხად, ღღეთა ჩვენთა სადღეგრძელოდ, სასიკეთოდ, ამინ და [კირილეისონ \*].

ეს ხატი, როგორც ეტყობა, ჰკუთნებია ჯიხანჯურის ანუ როგორც ეხლა ეძახიან ჯიხანჯირის ეკლესიას, რომელიც უნდა ყოფილიყო აშენებული ჯიხანჯირად წოდებულს წვერვალზე, მდინარე ჩოლოქის მახლობლად.

VI. ზარზე აწერია მხედრულად:

თავადნი გიორგი და სვიმონ გუგუნავა\*).

ბააჯეთი. ბაილეთის პატა ეკლესია აშენებულია, როგორც ერთი კვინკლოსის წარწერიდან ვიცით, 1609 წ. (იხ.

\*) ეს წარწერა მოყვანილია ბაქრაძის შრომაშიც.

ჩვენი სტატია *Историческія приписки двухъ кинелосовъ и хронологическій переченьъ событій по нѣкоторымъ другимъ источникамъ*, стр. 26). ეკლესიის ნივთები აწერილი აქვს დ. ბაქრაძეს თავის მოგზაურობაში (გვ. 269—272). არ არის მოყვანილი მხოლოდხუცური წარწერა პატარა ვერცხლის ჯამისა, რომელიც აქ მოგვყავს:

„ქ: ამისა: დეკანოზსა: დავითს: ქარჩილაძესა: და: ძესა:  
მისსა: გაბრიელს: ცოდვანი: მისნი: შეუნდნეს: ღმრნ: ამინ:“

ეს დავით ქარჩილაძე იხსენიება კიდევ ერთ ვერცხლის ჯვარის წარწერაში ბაილეთისავე საყდრისა. დავით ქარჩილაძე ცხოვრობდა გურიელი გიორგის და მისი ცოლის ელენეს დროს მეთუთხმეტე საუკუნის დასაწყისში.

**მაკვანეთი.** მაკვანეთის ეკლესია ახალია, ხისა, მთავარანგელოზების სახელზედ აშენებული. ვერცხლის ხატს მთავარანგელოზებისას ქვემო აშიაზე ჰქონებია მხედრული წარწერა, რომელიც ეხლა მოცილებულია, მაგრამ ცალკე ინახება. აშიაზე მხედრულათ აწერია:

„ღმერთო: . და: . მთავარ: . ანგელოზო: . მოიხსენე: .  
ნაკაშიძე: . მამუკა: . ღმერთო: . მოიხსენე: . დეკანო-  
ზი: . ამისი: . იოანე.“

აქ მოხსენებული მამუკა ნაკაშიძე, ჩვენის აზრით, ის მამუკა არის, რომელიც დახატულია ციხის საყდარში გურიანთას მეუღლით ხვარამზითურთ და ძით ბეჟანით. მამუკა ნაკაშიძე მოხსენებულია გურიის სიგელ გუჯრებში გურიელი მამია III († 1717) და გიორგი IV († 1726) დროს, ესე იგი მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისში და ამაზე უძველესი არც ჩვენგან მოყვანილი წარწერა არის პალეოგრაფიის მიხედვით.

**გურჯანთა.** ცახე. ციხის ეკლესია გურიანთისა აშენებულია ღვთის-მშობლის სახელზედ. მე აქ ვნახე შემდეგი სიძველენი, რომელნიც დ. ბაქრაძეს თავის მოგზაურობაში აწერილი არა აქვს (გვ. 272—275):



I. თავი ღვთის-მშობლის ხატი ამ ეკლესიისა ვერცხლისა ოქროთ დაფერილი, შემკობილია რვა ძვირფასი ქვით, ხატს სუდარი აქვს მაუდისა მრავალი წერილი მარგალიტებით და სხვა ძვირფასი ქვებით შემკობილი. ამას გარდა სუდარზე ჩამოკიდებულია 45 ოქროს თათრული და ვიზანტიური ფულები. ზურგის ვერცხლის ფიცარზე ხატს მხედრულათ აწერია:

1. ქ.: მოგკედეთ: და: შეგამკევით: ხატი: ყოფ-
2. ლად: წმიდისა: ღთის: მშობელისა: მე:
3. - - - - -
4. - - - - - 1)
5. და ცხოვნებისათვის: მას ჟამსა: ოდეს: მოვე-
6. ლ: და: აღვაშენე: ციხე: ესე: გურიანთისა:
7. მოიკედე: ხელითა: ფრიად: ცოდვილისა:
8. ოქრომკედლისა: იოვანესითა: და:
9. დეკანოზისა: ეფრემ: ცერცვაძისა:
10. შეუნდნეს: ღმრთი: ორსავე: ცხოვრებასა:
11. კიდევ: თქვენი: წინსამძღომი: ჯუარი: მოგიკე-
12. დინე: ძეთა: ჩემთა: წარმართებისათვის: ამენ.

ტყვილად დამაშვრალა ამომჰრელი ზემო ნაჩვენებ ორი სტრიქონისა: ამით არ დაიფარება სახელი გურიელისა, რომელიც აქ ყოფილა მოხსენებული და რომელსაც გურიანთის ციხე აუშენებია და, როგორც საგონებელია, ეკლესიაც ციხისა. ამ გურიელის სახელს ვტყობილობთ მთავარ-ანგელოზის და წმიდა მარინეს ხატის წარწერიდან. ხსენებულ ხატს სრულიად იმავე ასოებით მხედრულად აწერია:

„ქ.: მოგკედა: ხატი: მთავარ-ანგელოზისა: და: წმიდისა: მარინესი: ბატონის: შვილმან: მამია: და: მეუღლემან: მისმან: თინათინ: ისხენით: წაწყმედისაგან:.“

ხელი ამ წარწერისა და ღვთის-მშობლის ხატის წარწერისა ერთი და იგივეა და უსათუოთ ერთ და იმავე კაცის ხელით არის

1) ეს ორი სტრიქონი ვერცხლისა წარწერით განგებ ამოჰრილია დანით.

ამოჭრილი. ამას გარდა ოქრომჭედელი იოანე (გვართ წიქრიძე) იხსენიება კიდევ შემოქმედის წარწერაში ღვთის-მშობლის ხატზე, რომელიც აგრეთვე შეუმკვია გურიელ მამიას და მის მეუღლეს თინათინს 1601 წელს (იხ. ბაქრაძის მოგზაურობა გვ. 123—124). გურიელი მამია და მისი მეუღლე თინათინ, ათაბაგის ასული, დახატულნი არიან მაცხოვრის ხატზე შემოქმედში, მეფურ ტანისამოსით და გვირგვინებით, მუხლ-მოდრეკილნი მაცხოვრის მიმართ. ხატი შეუმკვიათ მათ (წარწერა ნახე ბაქრაძის შრომაში გვ. 129). მამია გურიელი მთავრად გახდა 1600 წელს თავის მამის გიორგი II შემდეგ და მოკლულ იქმნა თავისავე შვილის სიმონის ზიერ 1625 წელს. გურიელ მამიას და მის მეუღლეს თინათინს, ათაბაგის ასულს, ეკუთვნის აგრეთვე შემკობა მთავარ-ანგელოზების ხატისა ჯუმათში, რომელსაც წარწერა აქვს ისეთივე მხედრულის ხელით, როგორც ციხის ღვთის-მშობლის ხატს (ბაქრაძე. გვ. 264). ამოჭრილს ორს სტრიქონზე ღვთის-მშობლის ხატისა ჩვენის აზრით უნდა წერებულყო: „ფდ ცოდვილმან გურიელმან მამია და თანა მეცხედრემან ჩვენმან თინათინ საოხად ჩვენისა სულისა“.

II. წინ საძლომი ჯვარი ვერცხლისა, ოქროთ დაფერილი, რომელიც ჩვენ წარწერაშია მოხსენებული, დაცულია ციხის ეკლესიაშივე. წარწერა არა აქვს.

III. აქვე დაცულია კიდევ ვერცხლის ჯვარი, ოქროთ დაფერილი და შემკობილი სამი ძვირფასი ქვით.

ხელობა ამ ნივთებისა ერთგვარია და უნდა ეკუთვნოდეს იმავე ოქრომჭედელს იოანეს, რომელიც ზემო მოყვანილ წარწერაშია მოხსენებული.

საემოთ იმავე ღვთისმშობლის ხატზე სხვა მხედრული ხელით აწერია:

„ზოსიმე: ცერცვაძესა: და მეუღლესა: მისსა: შეუნდნეს: ღმერთმან: ეფრემს: ცერცვაძესა: და მეუღლესა მისსა \*): შეუნდნეს: ღმერთმან.“

\*) დედანში შეცდომით სწერია „შენსა“.

IV. ხატი მაცხოვრისა ვერცხლისა, ოქროთ დაფერილი და შემკობილი ძვირფასი ქვებით. ქვემო არშიაზე მხედრულად აწერია:

„შევამკვე ეს მაცხოვრის ხატი ერისთვის ასულმან ეფემიამ“.

V. ღვთის-მშობლის ხატი ვერცხლისა ოქროთ დაფერილი ხის კუბოთი. ქვემოთ ხუცურათ აწერია:

ქ მოვაქდინე: ხატი: ესე: წმიდის: ბბილს: მე: იოვკიმ: წინ-მძღვრმან: შმგწირე: ყოვლ-წმიდსა: სულის.

ესე იგი: „მოვაქდინე ხატი ესე წმიდის ბაბილის მე იოვკიმ წინამძღვარმან, შემოგწირე ყოვლად-წმიდასა სულსა“.

ბაბილის საყდარი ციხის მახლობლად მდებარეობს გურიანთას.

**გორის-ფერდს.** გორის-ფერდს ეკლესია მდებარეობს ცნობილის მონასტრის შემოქმედის მახლობლად, მთის კალთაზე ანუ ფერდოზე და ამიტომ ჰქვია გორის-ფერდი. აქ ითხრება ერთნაირი მოლურჯო საშენებელი ქვა, რომლიდანაც აშენებულია შემოქმედის მონასტერი და სხვა ეკლესიები გურიაში. ამგვარ ქვას ხმარობენ გურიაში ბუნებრივ საშენებლათაც. აქ მალლობზე შემოქმედის პირ და პირ ძველად ყოფილა მშვენიერი ეკლესია თლილის ქვისა, რომელიც ეხლა დანგრეულია, მაგრამ ქვები ჯერ კიდევ გაზიდული არ არის. გურიაში საზოგადოთ დაცულია მრავალი ხატები, ჯვრები და სხვა საეკლესიო სამკაულები მონასტრებში და საყდრებში, მაგრამ თვით ეკლესიები, როგორც ვიცით, შესანიშნავი ხელობისა არ არიან. გორის-ფერდში დარჩენილი ქვების მიხედვით უნდა ვიფიქროთ, რომ გორის-ფერდის ეკლესია საუკეთესო ყოფილა გურიაში. ნაშთი სვეტებისა, სვეტების თავებისა და ძირისა გვიჩვენებენ, რომ ეკლესიას გუმბათი ჰქონია. თუ როგორი ჩუქურთმებით ყოფილა შემკობილი ეს ეკლესია, ამას ვტყობილობთ დღემდის აქვე დაცულის ხუთი ქვისაგან. ეს ქვები შემკობილია შესანიშნავი ჩუქურთმებით და სხვა-და-სხვა სახის ჯვრებით. ქვებს ორთა შუა სათვალავით სიმაღლე აქვთ ერთი აღლი და

ხუთი გოჯი, განი ერთი ადლი. სინაზე და სიწმინდე ამ ჩუქურთმებისა მოგვაგონებს საუკეთესო დროის ხელობას საქართველოში. ჩვენის აზრით ეს ქვეები კანკელის ძირს უნდა წარმოადგენდენ. კანკელში, როგორც ეტყობა, ბევრი სხვა ქანდაკებაც ყოფილა წმიდანებისა. აქ ვიპოვეთ ჩვენ ქანდაკება ხარებისა, თუმცა ხელობა მისი საიმისო ლაზათიანი არ არის. ამას გარდა ჩვენ შეგვხდა კიდევ ქვა, რომელზედაც გულია გამოქანდაკებული. არა უწყით, თუ როდის ან რა მიზეზით დაინგრა ეს ეკლესია, მტერმა შემუსრა თუ მიწის ძერამ, დროთა ვითარებამ თუ მოუვლელობამ. შემოქმედის ეკლესია უფრო მდარე ხელობისა დღემდის დაცულია და მდებარეობს ერთი ვერსის მანძილზე გორის-ფერდიდან. ხალხის ფანტაზია შემდგვის თქმულებით ხსნის მიზეზს გორის ფერდის ეკლესიის დანგრევისა და შემოქმედის დარჩენისა:

შემოქმედის ეკლესიას და გორის-ფერდისა, გადმოგვცემს თქმულება ხალხისა, აშენებდნენ ერთ და იმავე დროს, შემოქმედს აშენებდა თავი ოსტატი, ხუროთ-მოძღვარი, ხოლო გორის-ფერდს მისი შეგირდი. შემოქმედს და გორის-ფერდს შუა გაბმული იყო საბმელი. როდესაც თავი ოსტატი შემოქმედში ერთს ქვას დააშენებდა კედელს, მოსწევდა საბმელს და მით აცნობებდა შეგირდს, რომ მასაც ერთი ქვა დაეშენებინა სიფრთხილით. მაგრამ შეგირდმა განიზრახა ეჯობებინა ოსტატი. სათვის და უფრო ადრე აეშენებინა გორის-ფერდის ეკლესია. ამიტომ სწაელება თავის ოსტატისა მან გულს არ იღვა. სანამ ოსტატი ერთ ქვას დააშენებდა შემოქმედს, შეგირდს ორი ქვა ჰქონდა დაშენებული გორის-ფერდის ეკლესიაზე. ამ რიგათ გორის-ფერდის ეკლესია აშენდა მაშინ, როდესაც შემოქმედისა შუამდის არ იყო მოყვანილი: ამიტომ გორის ფერდის ეკლესია ვერ გამოვიდა კარგი ნაშენი და მასთან კიდევ ოსტატმა დასწყევლა ნაშრომი თავის ურჩი შეგირდისა და ეს სიჩქარით აშენებული ეკლესია დაინგრა.

იმ ადგილას სადაც ძველი ქვის ეკლესია იყო აშენებული, შემდეგ დროში დაუდგამთ ხის ეკლესია, მდარე ხელობისა. რომე-

ლიც უფრო უბრალო სახლს, ჯარგვალს, წააგავს, ვიდრე ეკლესიას, ეკლესიის აშენებისათვის დიდი შრომა არ გაუწევიათ, ქვები ძველი ეკლესიისა არ აუკრეფიათ, არამედ თვით მიულაგებელ ქვებზე დაუდგამთ ახალი ეკლესია. ჩვენ არ ვიცით, როდის არის აშენებული ეს ხის ეკლესია, ხოლო ხის კარი ამ ეკლესიისა, თუ არ თვით ეკლესია, ყოველ შემთხვევაში გაკეთებულია 1811 წელს. ეს კარი ხარატიანია, მდარე ხელოებისა, და უშნო მხედრული წარწერა აქვს:

„წელსა ჩუა, იანვრისა 8, დაიწყო, ცხრას თებერვალს (ს) გაათავა“.

ვგანებ ამ დროს ეკუთვნის თვით ხის ეკლესიის შეროხილება ამ ძველი ეკლესიის ნანგრევებზე.

ქედა. გორის ფერდის ზემოდ მოიპოვება ნანგრევები ქედის ეკლესიისა. ეკლესია პატარა ყოფილა, ეხლა სულ დანგრეულია. ტრაპეზის ქვა დაცულია. ერთი იოანე ნათლის მცემლის ხატი ქედის ეკლესიისა ეხლა დაცულია ახალ ეკლესიაში, რომელიც დიდი ხანი არ არის რაც ააგეს შემოქმედის ძირში. ხატი 39 X 30 სანტიმეტრი, ხისაა და ყვითლად შეღებილს ზურგზე მხედრულად აწერია:

„ქ: ეჰა: შენ ნათლით შემოსილო: ჰი ყოვლად სატრელო (sic) ნათლისმცემლო ქრისტესო დიდო იოანე. ვიგულეთ და ვიგულსმოდგინეთ ჩვენ ცვა-ფარვათა შენტა მონდობილმან მგელაძემ იოვაკემ მათე მისმა ძმისწულმა ასე რომე ძველი ოდესმე ნათლის მცემელი ქედის ყოფილიყო და უსჯულებასა შანა მოშლილ იყო ახლა განვაახლეთ ახუშენტ (sic) საყდარი ახალი და ესე ხატიც ჩვენ დავახატვიეთ და შამოგწირეთ ჩვენდა საცხოვნებლად და სადღეგრძელოდ და შვილთა ჩვენთა და მომავალთა აღსაზრდელად და განსაძლიერებელად. ვინცა ამას ჩემს მომავალს შამოეცილოს შენ შერისხდი და შენი ნათელღებული ქრისტე ყოვლის მპყრობელი ღმერთი, და კირიელესონ ამინ. იკურთხა საყდარი ესე მიტროპოლიტი შამოქმედელისგან პატრონობასა გურიელი მამიასა. თვესა მარტსა 8 დღე-

სა ხუთშაბათსა ქორონიკონსა უმზ ქრისტეს აქეთ ათას შვი-  
დას ორმოცდა თვრამეტსა. ამ ალაგის კაცის ამენ დართუ-  
ლობით მიქნიეს საქმე ყოველიფერი ვიც (sic) შენდობა მიბრ-  
ძანოთ თქვენცა შეგინდოს ღმერთმან“.

ქორონიკონი ამ წარწერისა უჩვენებს 1759 წელს და არა  
1758-ს. აქ მოხსენებული მამია გურიელი არის მამია IV, ძე  
გიორგი IV. ამ რიგად ქედის ეკლესია მეორედ აშენებული  
ყოფილა 1758—1759 წლებში გურიელი მამია მეოთხის დროს.

ამავე ეკლესიაში დაცულია იოანე ნათლის მცემელის ხა-  
ტი აკიშის საყდრისა. აკიშა ღელეა, რომელიც ერთვის ქუდეს  
შემოქმედის ზემოდან. ამ მდინარის პირზე ყოფილა პატარა  
ეკლესია, ამ ჟამად დანგრეული და მისი ხატი გადმოუტანიათ  
ახალს ეკლესიაში. ხატს აწერია მხოლოდ:

„წწყლი: წინა მორბედი ნათლის-მცემელი იოანე“.

შემოქმედი. შემოქმედის შესანიშნავი სიძველენის აღწერა  
მოყვანილია დ. ბაქრაძის არხეოლოგიურ მოგზაურობაში (გვ.  
114—158) და ზოგი მათგანი გამეორებულია სურათების და-  
მატებით მეორე თხზულებაში (Опись пам. древн. въ нѣк. храм.  
и монаст. Грузіи, стр. 111—133). ამ უკანასკნელში ჩამოთვლი-  
ლია რვა შესანიშნავი ხატი, რომელნიც პირველ მოგზაურო-  
ბის შემდეგ დაკარგულან სამუდამოდ შემოქმედის მონასტრი-  
დან (გვ. 133). პირველ მოგზაურობის აღწერაში დ. ბაქრაძეს  
სრულებით გამოჩენია აუწერელი თავი ხატი შემოქმედის მონ-  
ასტრისა, ანუ ფერისცვალების ხატი, რომელიც ზარზმიდან  
არის მოტანილი შემოქმედში და ასეენია ზარზმათავე წოდე-  
ბულს შემოქმედის მეორე ეკლესიაში. მეორე თხზულებაში  
მოყვანილია სურათი ამ ხატისა (გვ. 131) და მცირე აწერი-  
ლობის შემდეგ მოხსენებულია, რომ ხატს ქვემოლ მიქედლილი  
აქვს წარწერა, რომელიც უჩვენებს 888 წელსო. რაკი ამაზე  
უძველესი ხატი იშეიათია არა თუ გურიაში, არამედ მთელ  
საქართველოში, ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია მოვიყვანოთ აქ  
წარწერა, რამდენადაც ჩვენ გავარჩიეთ. ამას საჭიროდ ვრაცხო  
დავსძინოთ, რომ სრული აღდგენა წარწერისა შეუძლებელია,

ვინაიდან ზოგიერთი სტრიქონების თავი და ბოლო დაკარგულია და შუაშიაც ზოგიერთი ასოები დაზიანებულია. ამას გარდა სიტყვები ერთობ ძრიელ შემოკლებულია. სიგჟე ხატს აქვს 2 ადლი, განი 1<sup>1</sup>/<sub>4</sub> ადლი. აშიები შემდეგი დროის ხელობისა არის, კანდაკოვის შენიშენით მეთორმეტე საუკუნის. ბოლო წარწერა კი თანამედროვე უნდა იყოს ხატისა. სულ წარწერა შეიცავს 4 სტრიქონს ასომთავრულისას. ცდა ამის გარჩევისა მეტი არ იქნება:

1. სხთა ღთა შმსა ხატი ესე მწედ(?) [მ]ამსა გსა ოფთათეს ნერსეს ევსა(?) [პ]ტკ[ისა].
2. მრნს ფრსა სლსა ერსა მთსა ქ. მ მასხლბსა პლსსა ქრკ იყ რვ.
3. სხთა ღთა მე ზდი ერთვი [ძე] სლ კხლსა ეთსა რბსი ღრს ვქენ შმდ პტსა ამს...
4. და შვრე სლი და ხცინი ჩემნი ხტო ფრს ცლბსო შე სლა ჩმს დლსა მას განკხ...

ჩვენის მოსაზრებით ეს წარწერა ასე უნდა წავიკითხოთ:

„სახელითა ლუთისათა შეიმოსა ხატი ესე მწედ (?) მამისა გიორგისა, უფალთ უფლისა ნერსესა, ერისთავისა პეტრიკისა<sup>1)</sup>, მირიანისა, ფერისა, სულასა, ერისა<sup>2)</sup> მათისა, მამასახლისობასა პავლესა, ქორონიკონი იყო რვ<sup>3)</sup>).

ქ. სახელითა ლუთისათა მე ზვიადი ერისთავი [ძე] სულ კურთხეულისა ერისთავისა რაბისი<sup>4)</sup> ღირს ვიქმენ შემკობად პატრიოსნისა ამის [ხატისა] და შეივედრე სული და ხორცი ჩემნი,

1) არა ვგონებ, რომ აქ სიტყვა „პატრიკისა“ იგულისხმებოდეს.

2) არა ვგონებ, რომ აქ სიტყვა „ერისთავისა“ იგულისხმებოდეს.

3) აქ საჭიროდ ვრაცხთ შევნიშნოთ, რომ ფოტოგრაფიულს სურათზე და მისგან გადაღებულს სურათზე კანდაკოვის გამოცემაში ეს ქორონიკონის ასოები მოწყვეტილია. ჩვენ რომ ვნახეთ ნაწყვეტი ამ ნაწილისა განცალკევებული იყო იქვე ხატზედ.

4) ეს გარჩევით სწერია დედანში, მაგრამ ადვილათ შეიძლება „რაბი“ „რატის“ მაგიერ იყოს მოყვანილი.

ხატო ფერისცვალებისაო, შეეწიე სულსა ჩემსა დღესა მას გან-  
კითხვისასა 1)“...

სახარება. შემოქმედის მონასტრის კუთვნილი სახარება, ნუსხურ ხუცურით ნაწერი, ორ სვეტად, in 4 პატარა ტანისაა, სათაურები უშნო გადაბმული ხუცურით არის ნაწერი. ტყავის ყდაზე მიჭედლია ქანდაკება ჯვარცმისა და აღდგომისა. ლუკას სახარების ბოლოს სწერია:

„ღო შე ამისი დამწერი ცოდვილი პე ან“.

ბოლოს სწერია:

„სახარებისა ამის კუბო და ერთი შეკრული ქაღალდი ესე რუსეთიდგან დუმბადეს შემოქმედელს იაკობს შემოქმედს დასადებად გიმოუგზავნია ჩნ გენათელმან ლორთქიფანიძემან ნიკოლოზ დავაწერინეთ“.

III. ერთ მაცხოვრის ხატს აწერია ასომთავრულით:

„ღო: დაიცევ: შამოქმედელი იაკობ“.

IV. ერთ ვერცხლის დასაკეც ხატზე აწერია:

„გნი გურიელი დედოფალი ელენე“.

V. ერთ ვერცხლის ხატზე, რომელზედაც გამოსახულია ამობერვით განჭედილი სურათი იერუსალიმს შესვლინა და ჯვარცმისა, აწერია ასომთავრულით:

1. ქ სახლითა ღთა მე მჰმ მქლ შევმოსე სიწა სა[ლხინებ]

2. ლად სლისა ჩმსა სადიდებლად ამისად..

შემდეგ მარჯვნივ აშიაზე: „ქრონიკონი იყო სკო“

ქრონიკონი უჩვენებს 1540 წელს. დ. ბაქრაძის მოგზაურობაში, ეს თარიღი გამოშვებულია (გვ. 128), და წარწერა ამიტომ მოვიყვანეთ \*).

1) მეცხრე საუკუნეში, რომელსაც ეს წარწერა ეკუთვნის (886 წელს), აქ ჩამოთვლილი სახელები იშვიათი არ არის.

\* მეორე შრომაში *Опись пам. древн.* გვ. 119, ამ ხატის შესახებ დრო ასეა განმარტებული: *приблизительно XV вѣка.*



ბაქრადის შრომაში (გვ. 137) მესამე რიგის პირველ წარწერის ბოლოს, სიტყვას შემდეგ „შეიქმნეს“ უნდა მოუმატოთ: „ესე სამწერობელნი“.

იმავე შრომის მე-139 გვერდის მხედრულ წარწერაში სიტყვებს შემდეგ: „შამოქმედელ მიტრაპოლიტმან ნიკოლოზ ხელმეორედ“ უნდა მიემატოს: „სურმთლად დაძველებული კუბო თავის სან..ლე კოლოფები გამოვცვალეთ განვაახლეთ..“

მე-146 გვერდის წარწერის ბოლოს სიტყვის მაგიერ „საშ“.. უნდა მიემატოს: „ოდეს მიაგო კცად კცადს საქმეთაებრ მათთა მაშინ გვიჩვენე ნაწილი“... ქვემოთ კიდევ აქ სწერია:

„ქ.: მიძინების ხატო: მიშუელე ოქრო: მქედელს მამნეს: და მეულლეს: ჩემსა“.

მე-147 გვერდის წარწერაში სიტყვას შემდეგ „მაკარის ძესა“ გამოშვებულია: „მეულლესა: მათსა“.

მე-148 გვერდზე (წარწერა 15) სიტყვის შემდეგ „საყდრისა“ იკითხება: „ალავერდს არის ჯვარი ესე“.

მე-138 გვერდზე ეპისკოპოსის კვერთხის წარწერას: „ქე აღე კე აფხაზთ მეფე“ დ. ბაქრადე ასე სთარგმნის: „Христѣ, прославъ кесаря аѡхазскаго царя“. შეიძლება აქ კორექტურული შეცდომა იყოს, მხოლოდ წარწერა კი ასე უნდა წავიკითხოთ: „ქრისტე აღიღე კასტანტანე აფხაზთა მეფე“.

VI. ეგრცხლის ფურცლებზე, რომელნიც ფიცარზეა მიკრული, იმ წარწერებს გარდა, რომელნიც დ. ბაქრადეს მოჰყავს (გვ.144—145), მოიპოვება კიდევ მხედრული წარწერები:

ქ. წმიდა: კვირიკე: სტეფნე: ახლისა: თეოკალიტე: სტეფანეს: ტვინი: არტემი: ონისიფორე: ძელი: ცხოვრებისა: წმიდის: გიორგის: სისხლი: პალადისი და სხვადა მრავალთა.

ქ: ახლისა: იოვანესი: მართასი: ლაზარესი: დისა: პალადისი: დიმიტრის სისხლი: ამძერი: მარინა: მარიამ: მაჯღანელი: თეოდოსია: იოვანე: მმარხველი და სხვადა: მრავალი.

ქ. გრიგოლი: თეოდოლოსი: ევსტრატი: ბართლომე: ნიკიტა: და სხვადა მრავალი: სახელი: არა: ეწერა:

ქ: ღთო: და ამათნო მადლნო: იხსენით: სატანჯველთა-  
გან ცნი: გაბრიელ: ოქრო: მჭედელი: და მეუღლე: მისი: სათუთა:  
ამინ: მამა: და: დედა: ჩემი: ცნი: იხსენით: ამინ. ძე(სა) ჩემსა:  
იესეს: წარმართე: ღთო: კარგი. ამინ. ამინ.

VII. ოქროს ფურცლების ნაწყვეტებზე ხუცუროთ სწერია:

ა) ქ. სხლითა : წსა: სმბსთა.... წნა: მ... ხოდ : შქნ :  
დიდი : ტბკი...

ბ) ..დბლისა : უფლთა : ეეთა : ბ...სა: მოიქედა : ხატი: ესე:

გ) ო...ლსაი : და სპლენძისა : სმკული : არს: სმნი : სდი-  
დბლდ : ა...ბსა ჩმსა : წა .....ექმნა.....

## ქ ა რ თ ლ ი

უწბნასი. ურბნისის უზარ-მაზარი ეკლესია ერთი უმთაე-  
რესთაგანი წარმომადგენელია საქართველოში ნამდვილი ძველი  
ბაზილიკისა. ეს ერთი ულამაზესთაგანი და მასთან მდიდრული  
ნაშთი არის ქართული ხუროთ მოძღვრებისა. უგამბათო ეკლესიას  
საქართველოში სიონს უწოდობდენ საზოგადოდ და მართლა  
ურბნისი უძველეს წარწერებში სიონათ არის ცნობილი. ურბნი-  
სის ეკლესია რამდენიმეჯერ არის თითქმის ძირითურთ აღმიფ-  
ხვრილი მტერთაგან და შემდეგ აღდგენილი მეფეთა და ების-  
კობოსთაგან. ამიტომ მასალა ეკლესიის კედლებისა სხვა-და-სხვა  
არის. ეხლა უმეტესი ნაწილი აგურით არის ნაშენი, მაგრამ საექ-  
ვო არ უნდა იყოს, რომ ძველათ ეკლესია თლილის ქვით ყო-  
ფილა აშენებული. თლილის ქვისა, მაგრამ ძალზე დამდნარი,  
არის უმეტესი ნაწილი ჩრდილოეთის კედლისა. ასეთი ქვით  
ნაშენი ეკლესია და ასეთივე დამდნარი კედლებით ჩვენ ვნახეთ  
სკრის ხეობის სათავეში. ჩვენ გვგონია ურბნისის ეკლესიის ქვე-  
ბიჯ სკრის ხეობიდან არის მოტანილი. შიგნით ეკლესია სამ  
ნაწილად (ნეფათ) არის დაყოფილი და ეს ნაწილები თითქმის  
თანასწორი და პროპორციულია. საზოგადოდ ურბნისის ეკლე-  
სიას რომანულს ხელობის ნაშთს მიაწერენ საქართველოში და,  
კონდაკოვის აზრით, განგებ დასაელეთ ეეროპიდან გამოწერილი  
ხუროთ მოძღვრებისაგან უნდა იყოს აშენებული არა უგვიანეს

XIII საუკუნისა. პირველათ ურბნისის ეკლესიის აშენებას მიაწერე თათეს ერთ მეათცამეტე სირიელ მაშათაგანს მეექვსე საუკუნეში. პირველ ეპისკოპოსათ ურბნისისა მოხსენებულთა ნეოფიტე, მახმადიანობაში ომარათ წოდებული, ნათესავი ხალიფასი, რომელმაც ქრისტიანობა მიიღო შიომღვიმის მონასტერში და ეწვალა არაბთაგან მერვე საუკუნის დასასრულს. ნეოფიტეს საფლავს დღემდის უჩვენებენ ურბნისის ეკლესიაში. ამ გვარათ საფუძველი ურბნისის ეკლესიისა უძველეს დროს უნდა მიეწეროს, მხოლოდ დროთა ვითარების გამო რასაკვირველია პირველდელი სრული სახე ეკლესიას არ შერჩებოდა. მაგრამ არა ვგონებ, რომ გეგმა სრულიად შეეცვალონ. ამიტომ კანდაკოვის აზრი მისაღები არ არის, ვინაიდან ურბნისის ეკლესია ისეთ ძველ დროს ეკუთვნის, რომ დასავლეთ ევროპიდან ხუროთ მოძღვრის გამოწერა შეუძლებელი იქნებოდა. იატაკი ეკლესიისა ეხლა აგურისაა, მაგრამ ძველათ, როგორც ეტყობა, ქვისა ყოფილა. ეკლესიას ორი კანკელი აქვს, ერთი ხისა, ლამაზი ნიხელავი, რომელიც, ჩვენის აზრით, ერეკლე მეორის მიერ უნდა იყოს გაკეთებული, ამიტომ რომ ამ გვარივე კანკელი მოიპოვება რუისის ეკლესიაშიც, რომელიც როგორც წარწერიდან სჩანს, ერეკლე მეორეს გაუკეთებია. ხის კანკელი ჰფარავს მეორე კანკელს ქვისას, ლამაზ ნიხელავს და შემკობილს მშვენიერის სურათებით. აქ მარჯვნივ გამოხატულნი არიან იესო ქრისტე და იოანე ნათლის მცემელი, მარცხნივ ყოვლად წმიდა და წმიდა ნინო. კანკელი გაუკეთებია ვახტანგ VI. ურბნისის ეკლესიას წინეთ ჰქონია შემოვლებული ზღუდე კოშკებით, ზღუდე ეხლა მოშლილია, მხოლოდ დარჩენილია ერთ ადგილას ალაყაფის კარები ეხლა ამოშენებული, თაღზე ამ კარებისა ამართულია მშვენიერი სამრეკლო ვახტანგ VI-ის დროისა. ურბნისის ეკლესიას როგორც საყურადღებო ნაშთს საქართველოსას საკმაოდ ვრცელი ლიტერატურა აქვს. ყველა ჩვენი ძველი ნაშთებას მკლევარი ყოფილა ურბნისში და ასე თუ ისე აუწერია მისი ნაშთები (იხ. Dubois, Voyage... t. III, p. 183—184. Brosset, Voyage ar-

chéal. VI, Rapp., p. 13—19. Муравьева, Грузія и Армения, ч. III. Бакрадзе, Кавказъ въ древн. пам. христ., стр. 151—162. Кандакова, Русскія Аревности., вып. IV, стр. 73. Графиня Уварова, Материалы по археол. Кавказа, вып. IV, стр. 141—145). თუ რა არის ახალი ჩვენ მიერ ქვემოთ მოყვანილ მასალაში, ამას მკითხველი დაინახავს ზემო ნაჩვენებ შრომათა შედარებიდან. ჩვენ ვეცადეთ, რამდენადაც შესაძლო იყო, სრულათ შეგვეკრიბა ყველა წარწერები კედლებისა, ნივთებისა, სასაფლაოს ქვებისა და აგრეთვე მინაწერები ხელთ-ნაწერთა და ვგონებთ ზეზე აღარაფერი დაგვრჩენია ღირს სახსოვარი, რომლის წარწერა არ მოგვეყვანოს. თუმცა არ მოველოდით, მაგრამ უმეტესი ნაწილი ქვემო მოყვანილი წარწერებისა და მინაწერებისა პირველათ იბეჭდება აქ.

I. სამხრეთის კარის ზემოდ ორად გაყოფილ ქვაზედ სწერია ძველი ამობერილი ასომთავრულით:

1. ოო ღო შე თე ებსკი	ძე ღკსი მშბლი მყო ასსა ებკსდ ოფს ზმსა ოთხნი იყს სტნი ქტცი ღპლ საჲ აღშბჲ ყთა გკ ლა ყი გთაბთა მქა <sup>1)</sup>
2. ასსაჲ ოღს ღნ ღს	
3. იყო ესე სნი დაძლ	
4. კთხნი და კქი გპლ	
5. იყს და მღლა ღნ ას ყი	
6. [ბჲ] ძაღისჲ მხთა	

უქარავმოთ ჩვენის აზრით წარწერა ასე უნდა წავიკითხოთ:

„უფალო ღმერთო, შეიწყალე თეოდორე ებისკოპოსი, ძეა ლუკასი, მაშენებელი ამისსაჲ, ოღეს ღმერთმან ღირს მყო ამისსა ებისკოპოსად, იყო ესე სიონი დაძველებულ უფროს ზომისა: ოთხნი კუთხენი და კანქელი (?) <sup>2)</sup> გაპობილ იყვნეს, სვეტნი

*კანქელი*

1) უკანასკნელი სტრიქონის ასოები სანახევროდ არიან დატულნი, უმეტეს შემთხვევაში ზემო ნაწილები.

2) ბროსეს აზრით ასოები „კქი“ უნდა ნიშნავდეს სიტყვას „ათოლიკე“-ს, რომელიც სომხურის გამოთქმით უდრის გუმბათს.

ქტცი (ქატაცი?)<sup>1)</sup> დამბალ იყენეს და მომბადლა ღმერთმან ამის ყოვლისაჲ აღშენებაჲ, ყოვლითა გაკეთებაჲ ძალისაჲ, მეოხებითა ღვთისათა ყოველი გათავებითა მიქმნია<sup>2)</sup>“.

ეს და ამგვარივე ასოებით დარჩენილი წარწერები უძველეს დროს უნდა ეკუთვნოდენ, მაგრამ განმარტება დროისა შეუძლებელია, ვინაიდან თარიღი არ უზის.

## II. აღმოსავლეთის კედელზე იმნაირივე ასოებით სწერია:

1. სბო წო შე მნჲ
2. უნი ქთრ უშნ და
3. ნშზნი მთნი უწნი
4. ამს სნი ქნ უნ ან

უქარაგმით:

„სამებაო წმიდაო შეიწყალე მონაჲ შენი ქავთარ, შუშან და ნაშობნი მათნი, შემწენი<sup>3)</sup> ამის სიონისნი. ქრისტემან შეუნდვენ, ამინ“.

## III. აღმოსავლეთისავე კედელზე იმნაირივე ასოებით:

ქარაგმით:

დბჲ შა ქე  
რ მდლე თე  
ებკსა ასსა  
აღშბჲ თნა

უქარაგმით:

დიღებაჲ შენდა ქრისტე,  
რამეთუ მომბადლე<sup>4)</sup> თეოდორე  
ებისკოპოსსა ამისსა  
აღშენებაჲ, თანა

<sup>1)</sup> არ ვიცით, რომელი სიტყვა უნდა იგულისხმებოდეს ასოებში „ქტცი“. ბროსე ამ სიტყვის აზრის მიხედვით კანკელათ სთარგმნის. თუმცა უფრო ჩვენის აზრით კანკელი უნდა იგულისხმებოდეს ზემო აღნიშნულ ასოებში „კქი“.

<sup>2)</sup> უკანასკნელ სტრიქონებს ბროსე ასე კითხულობს: „და მბადლა ღმერთმან ას ყოვლისაჲ, აღშენებითა გაკრძალვასა და... ღმერთსა ყოველი ვათავეთ ამ ქორონიკონსა“. ჩვენის მოსაზრებით ეს სტრიქონი ისე უნდა წავიკითხოთ, როგორც ზევით მოგვყავს.

<sup>3)</sup> ბროსე კითხულობს: შეწირულნი.

<sup>4)</sup> ბროსე კითხულობს: მიმადლე.

უწნთა მქლ            შეწვენითა მიქელ  
 ძსა კტსით            ძისა კოსტანტინესითა<sup>1)</sup>,  
 ქნ შნ ესე მე        ქრისტემან შეუნდვენ. ესე მე  
 აბთრ დწრე<sup>2)</sup>        აბიათარ დავწერე<sup>3)</sup>

IV. აღმოსავლეთისავე კედელზე წვრილის ხუცურით სწე-  
 რია:

ქე მნჲ ვხთნ  
 ქე მკხნე მნჲ შნი  
   ვხთგნ  
 [ქ]ე შე მნჲ შნი ცოდვ  
 ი . . . . . ან

აზრი ამ წარწერებისა მცირეოდენი განსხვავებით ერთი  
 და იგივეა, რომელიც საზოგადოდ ნიშნავს:

„ქრისტე, მოიხსენე მონაჲ შენი ვახტანგ“.

V. აღმოსავლეთისავე კედელზე მხედრულად სწერია:

ქი. ოი. ყლთა მწთა უწარჩინებულესო  
 პირველ მოწამეო სტეფანე, შეიწყალე ფრიად  
 ცოდვილი [მონაი] შენი მამუკა....<sup>4)</sup>

VI. აღმოსავლეთისავე კედელზე ბროსეს და მუსლოვს  
 შეუმჩნეია:

1) უკანასკნელ სამ სიტყვას ბროსე კითხულობს: მიქელა-ძისა გალა-  
 ტაზით.

2) ამ სიტყვის პირველი ასო „დ“-ია და არა „პ“-ი, როგორც ბრო-  
 სეს მოჰყავს.

3) ამავე ასოებით ნაწერი ქვის ნატეხი დატანებულია კიდევ შიგნით  
 საკურთხეველის კედელში, მაგრამ აქ განცალკევებული ასოები განირჩევა  
 მხოლოდ:

კ უ კ ტ  
 . . . უ

რალა თქმა უნდა სადაც ჩვენ „უ“-ნს უჩვენებთ ის ასონი „ო“-ნათაც  
 შეიძლება მივიღოთ.

4) ეს წარწერა პირველათ იბეჭდება.

ართ... { ბროსეს            ძნ დრი { მუსლოვს  
დედი            {                            დლთნ

ბროსეს აზრით, შინაარსი ან წარწერისა უნდა იყოს:

„არხიმანდრიტი დემეტრე დეკანოზი აღიდენ ღმერთმან“.

VII. ჩრდილოეთის კედელზე ხუცურად:

ოო ივ ქე            { უფალო იესო ქრისტე,  
კტი მამქლ შწყნ    { კალატოზი მამა მიქელ  
ას სნა მშბლნი    { შეიწყალენ ამის სიონისა მაშენებელნი.

აბთრ            { აბიათარ დეკანოზი  
დკზი ოო        { უფალო შეიწყალე  
შე

ქ. შე            { ქრისტე, შეიწყალე  
მნა შნი        { მონა შენი დეკანოზი  
დკ ზი            {                            ამინ.  
ან:

ქ. შე ზ        { ქრისტე, შეიწყალე  
ქრა მქ        { ზაქარია მქედლიძე(?)  
ლეაჲო        { დეკანოზი.  
ძეა დკ  
ნზი.

კ. შე მნა შნი { ქრისტე, შეიწყალე  
კანდკი        { მონა შენი კანდელაკი.

VIII. ერთ ქვის ნატეხზე, რომელიც ეკლესიაში მოიპოვება, სწერია <sup>1)</sup>):

„ქი. მოიხსენე უფალო. ყდ უღირსი: მონა შენი: ურბნელი: ევდემოზ საყდრისა: ამის...“

აქ მოყვანილი წარწერა ეპიტაფიას, ესე იგი საფლავის ქვაზე წარწერას; მოგვაგონებს, მაგრამ ეპიტაფია არ არის. ალბათ ევდემოზს რაიმე აუშენებია ურბნისში და ეს წარწერა მის შრომას უნდა მოიხსენებდეს, მაგრამ წარწერას სრულათ ჩვენამდის

1) ეს წარწერა პირველად იბეჭდება.

არ მოუღწევია სამწუხაროთ. ჩვენ ვიცით, რომ ევდემოზი ჯერ ურბნელი იყო, შემდეგ მანგლელი და ბოლოს არხი-ეპისკოპოსი ქართლისა. ევდემოზი დამარხულია მცხეთის სამთავროს მონასტერში და მისი ეპიტაფიიდან ვტყობილობთ, თუ როდის და რამდენი წლისა გადაცელილა იგი. აი მისი ეპიტაფია:

ქ ქს აქათ  
ათას შვიდას ა  
თსა მპყრობელ მმარ  
თებლობასა ვახტანგ  
ბატონის შვილისასა მე მთავ  
არ: ეპისკოპოზმან ევდემოს ოთხ  
მეოც შვიდის წლისა აღვესრულე ცხვ  
რება უფროს შრომა: და საღმობა  
ხოლო ჩემსა უწინარესნი არა განდიდ  
ებულ იყო სამთვაროსა არამედ:  
აწ ესე არს განსასვენებელი  
ჩემი ამას დავემკვიდრე რ  
მთნავს ესე მხილველნი  
შემინდობდეთ სიყვარ  
ულისათვს ღთისა მარ  
ტსა გ ქქსა ტყთ

ქორონიკონი უდრის 1711 წელს და არა 1710. თუ ევდემოზი 1710 წელს 87 წლისა იყო, მაშასადამე ის დაბადებულია 1623 წელს. ერთ ურბნისის გუჯარზე 1669 წლისა (იხ. ჩვენი საქართველოს სიძველენი, გვ. 324) მინაწერია თვით ევდემოზისა, სადაც ევდომოზი თავის თავს ასე იხსენიებს: „ჩვენ ქსნის ერისთავთა ერისთავის სახლისა ძემან“. ამ ფრაზას დ. ბაქრაძეა მიუცია საბუთი ეთქვა, რომ ევდომოზი ქსნის ერისთავის გვარისააო (Кавказъ въ древн. пам. христ., стр. 125), მაგრამ ეს შეცდომაა, სიტყვა „სახლისა ძემან“ ნიშნავს, რომ ევდემოზის დედა ყოფილა ქსნის ერისთავის ქალი. ევდემოზი გვარად რატიშვილი იყო, რაც ცხადათ სჩანს მისი ბრძა.



ნებით 1674 წელს გადაწერილის ყანჩაეთის გულანიდან, რომელშიაც მოიპოვება სურათი თვით ევდემოზისა და რომელიც ჩვენ ფოტოგრაფიით გადავალბინეთ.

IX. სამხრეთის კარის ზემოთ ძველი წარწერის მარჯვნივ ჩატანებულია ქვა შემდეგი მხედრული წარწერით:

ქ.: შენ:- ყდ.: სანატრელო:. ღვაწლ:.  
 მრავალო: და დიდებულო:.<sup>1)</sup> ყოელთა:.  
 მოწამეთა:.. უწინარესო:.. და უწარჩინებულესო:.  
 წმიდაო:.. სტეფანე:.. შემწე:.. მგქმენ:.. ორსავე  
 შინა:.. ცხოვრებასა:.. რომელმან:.<sup>2)</sup> აღვაშენეთ:  
 ძირითურთ:.. აღმოფხრული:.. ტაძარი:.. შენი:..  
 ჩვენ:.. დადიანის ასულმან:.. დედოფალმან:.. პტრონ-  
 მან:.<sup>3)</sup> მარიამ:.. რათა:.. მეოხ:.. ექმნა:.. სულსა  
 ჩემსა:.. და:.. სულსა:.. ძისა:.. ჩვენისა:.. სა  
 სურველისა:.. ოტისასა:.. წრე:.. ღთისა:.. შენისა:..  
 ღღესა მას ვაკითხვისასა:.. ქკსა:.. ტნვ.

ამრიგათ ურბნისის ტაძარი განახლებულია როსტომ მეფის მეუღლის დედოფლის მარიამის მიერ 1668 წელს.

X. სარდაფში სახლისა, რომელშიაც ეხლა ცხოვრობს ურბნისის მღვდელი, სარკმელის ზემო პირათ კედელში ჩატანებული იყო ქვა ორი წარწერით. ჩვენის თხოვნით ეს ქვა გამოიღო კედლიდან ურბნისის მღვდელმა სეით გამრეკველოვმა, რომელსაც შრომისათვის მადლობას ვუძღვნით. ორივე წარწერა ამ ქვისა პირველად იბეჭდება. ქვა ოთხ-კუთხედიანია, 104×52 სანტიმეტრი, მარჯვნივ ქვაზედ ხუცურად სწერია:

1. წ ეჰა: სამებაო: წო: მე: შნ: მრ: ნამუშაკვე: მიწა:  
 მიწისაგან და აწ

1) ბროსეს უწერია: ქებულო.

2) ბროსეს უწერია: რომელ.

3) ეს სიტყვა გამოშვებული აქვს ბროსეს.

2. ცა მე მუშაჲ: მიწიერობთა: შემზღებათა: ჟა: შნ: წთა: შს: მწმ
3. ეთა: უპირველესო: და ქს: ღა: თს: ღვაწლ: მრავლობით
4. ა: მსხვერპლად: შეწირულო: დიდო: მწმეო:
5. სტფნე: ჩნ: შნ მრითა: შეწვნითა: ხრისხსა: სყდ
6. რისა: შნისა: მჯდმრე: ურბნლ: ეპისკპსი: ხეხეულიძე: ნკზ უ
7. ღირსი: ესე: ღირს: ვიქმნ: მსხრზდ: ეკლსიასა შნისა: ღვიწყე აღშნბდ:
8. გლენისა: ამის: კოშკებიტრთ: და ზღუდე: გრე: მოვსდე: მს და ბქე: ესცა: სღგრ
9. საენიტრთ: ად ჩნცა: მოქენე: ოხთა: შნთა: ვითხვე: დიდსა: მს: ღლსა: გნკითხვსსა: ქკსა: უკზ:

XI. მარტხენა ნაწილზე იმავე ქვისა მოყვანილია მხედრულის ასოებით ლექსი. ვინაიდან ქვაზე იმდენი ადგილი არ დარჩენილა, რომ ტექსტი ლექსის რიგათ დაეწერათ, ამიტომ დაუწერიათ პროზის მსგავსად. ჩვენ ტექსტს ლექსის სახედ მოვიყვანთ, მხოლოდ ხაზებით უჩვენებთ, თუ სად თავდება ნამდვილზე სტრიქონები:

„ქ. მარტივად: მდგომი: ტბა|რა: ვიხილე სრულად უშენი:—|  
ვალავან კოშკებნი სიმაგრით სრა|განწყობილი უშენი  
ქართლს უს|ჯულონი მკვიდრობენ ვინ ძალ მწემეყო უშენი:-  
და პატივს მოგიბყრ(ო)ბ |ქვათავან არა ხარ პირველ უშენი.

ქ: განვასრულე: ვალავანი: ქკს: უნ: კან: ზენით:  
ისმიტელთ|ერთ. მირ. ჩვენ. ვიყვენით. განუს|ვენით:-  
რაც დამცალდა. კარ|გად. ვამკობ:- აქ მყოფო ნუ. მო|იწყენით

და შემდგომ. ჩუშსა: ვინაც დამკვიდრდეთ. უბადრუკი მომიხსენით.  
ამინ. ურბნელი ნიკოლოზ 1).“

ქორონიკონები ნიკოლოზის წარწერებისა უდრის 1739 წელს.

XII. სამრეკლოს დასაველეთის კედრით, ალაყაფის კარების ზემოთ, რომელიც ეხლა ამოშენებულია, თეთრ ქვაზედ მოყვანილია მხედრული წარწერა, რომელიც აქ პირველად იბეჭდება:

1. ქ: ჩვენს: დიდის: მეფის შჰანავაზის: ძის: ლევა-  
ნის: ძემან: და საქა
2. რთველოს მჰძრბელმან<sup>2)</sup> და კეთილად განმგჳმან  
ბატონის შვილმან: ვახ
3. ტანგ: და თანა მეცხდრჳმან ჩვენმან: დიდის  
ჩერქეზის: ბატონის: ასულმან: დედოფალმჳნ
4. რუსუდან აღვაშენე: სამრეკლო: ესე: გალაფან:.  
პალატითა: და: სხვა: სახლებითა: სულისა  
ჩვენისა: საოხად: და
5. ძისა ჩვენისა ბაქარის აღსაზრდელად შეიწირე  
შენ დვაწლ მრავალო პირველ მოწამეო სტ
6. ეფანე და მეოხ გვეყავ დღესა მას დიდსა  
განკითხვისასა მას ჟამს ოდეს გვადგა სარქრად ბები-
7. დას: შვილი: ჩემი ჯვარის მამა ურბნელი  
ფეისკოპოზი ფალავანდის შვილი ქრისტეფორე: ინ-
8. დიკტიონსა მეფობისა ჩვენისსა: გ: <sup>3)</sup> ქკს:

ტელ.

ქორონიკონი უდრის 1706 წელს.

1) უკანასკნელი ორი სიტყვა ხელჩართულათ არის ამოჭრილი ქვაზე, ისე როგორც ნიკოლოზ ურბნელის ხელის მოწერა მოიპოვება გუჯრებზე. ამომჭრელს წარწერისა სისწორით გადმოუღია ორიგინალი.

2) უნდა იყოს „მბრძანებელმან“

3) ასო ნამდვილზე ვგონებ უფრო „ბ“-ს წააგავს, რაც მართალი არ არის.

XIII. ძველ კანკელზე ქვისა<sup>1)</sup>, რომლის სისქე არის 14,5 ფოჯი, დაცულია მხედრული წარწერა ადგილ ადგილ მოსპობილი ახალი კარების გამოჭრით და ძველის გაფართოებით:

„... ა: და: განმგებელი: ქართლისა: ბატონიშვილი:  
ვახტანგ: რომელმან: შევამკე: კ[ანკელი ესე რათა  
მე]ოხ: მეყუხ: ორსავე: შინა: ცხოვრებასა: მეულ-  
ლით: ძით: და: ასულით: ქკოსა: ტელ“.

ქორონიკონი უდრის 1706 წელს.

### ნიგთები უბნისას კელესაისს.

I. წმიდა სტეფანეს ხატი ვერცხლისა, სურათი ნახატია ძელზე მინანქრის მსგავსი ფერადებით, 17,5 × 11 სანტიმეტრი, ხატში მოთავსებულია 33 ნაწილი სხვა და სხვა წმიდანებისა. თუ რომელი წმიდანების ნაწილები არის აქ ამას გვიჩვენებს მხედრული წარწერები ზურგისა, სადაც სწერია:

„სტეფანე, ნათლის მცემელი, ყოვლადწმიდის თმა, მათე მახარებელი, ლუკა, იოანე ოქროპირი, გრიგოლ ღეთის მეტყველი, წმიდა ეგნატე, წმიდა პროკლი, იაკობ დაჭრილი, ბიკტორ, კვიპრიანე, კოზმან, ქრისტეფორე ძლიერი, სტეფანე ახალი, დომენტი, კლემენტი რომთა პაპი, თეოდორე სტრატელატი, წმიდა ნიკიტა, ლოთ ქესაჲ, წმიდა პარასკევა, წმიდა მარინე, წმიდა ელიასი, წმიდა ანასტასიასი, წმიდა სერგისი, სვეტი ცხოვლის ხე, ძელი ქეშმარიტი“ (შუაში უზის). ხუთს ნაწილს სახელები არ აწერია.

კუბო ამ ხატისა, 47 × 34 სანტიმეტრი, შემკობილია ამობერვილი სურათებით, რომელზედაც გამოხატულნი არიან ყდ

<sup>1)</sup> წმ. ნინოს და ყოვლად წმიდის სურათები გადმოუღია და ჩაურთავს თავის გამოცემაში გრაფინია უვაროვისას (Mat. по Арх. Кавк., вып. IV, стр. 145). წარწერას გრაფინია უვაროვისა იხსენიებს, მაგრამ არ მოჰყავს, თუ რა წარწერა არის.

წა, იკ ქე, ნათლის მცემელი. აშიებზე წარმოდგენილია სცენები წმიდა სტეფანეს ტანჯვისა, რომელთაც უწერიათ:

განიყვანეს: გარეშე: ქალაქისა და ქვასა დაკრებდეს.  
 აქა წმინდა სტეფანე ჩაქოლვილი აღმოიღეს.  
 აქა სტეფანეს შესუდრა.  
 აქა სტეფანეს საფლავის დადება.  
 აქა სტეფანეს ნაწილის აღმოყვანება.

ვერცხლის აშიას ხატისა გარეშემო სისქეზე აქვს წარწერა წვრილი მხედრულის ხელით:

„ქ: ჩვენ: ღთვ: გვირგვინოსანთა: მეფეთა: ძის: ძემ: საქართველს განმგემან: ბატონიშვილმან: ვახტაგ: შევამკვეით: მონასტერი: ესე ურბნის წმიდა სტეფანეს: და მო[ვ]კედეთ ხატი ესე მინაქრითა და: ვერცხლის: კუბოთი: რათა: დღესა: მას: განკითხვისასა: დიდებული: მოწამე: სტეფანე: მხსელ: გვექმნას: ჩვენდა: თანა: მეცხედრესა: ჩვენსა: ჩერქეზ: ბატონის: ასულსა: და ძენი ჩვენნი: აღორძინოს: ამინ: ქსთ: ჩღზ“. <sup>1)</sup>

<sup>1)</sup> ქართული ტექსტი ამ წარწერისა პირველად იბეჭდება. რუსული თარგმანი მისი მოყვანილი აქვს დ. ბაქრაძეს (*Кавк. въ древ. пам. христ., стр. 152*). გრაფინია უვაროვისას ვერ შეუმჩნევია წარწერა ხატისა, და ეტვს აცხადებს, რომ ამ ხატზე წარწერა იყოს და ხატი მეფის ვახტანგის შეწირული იყოს. არ ვიცით, ამბობს გრაფინია, როდის ნახა ბაქრაძემ ხატი და ამოიკითხა წარწერა, შემოძლია მხოლოდ დავამოწმო, რომ ხატი, რომელსაც ბატონიშვილის შეწირულათ ხადიან ეხლაო, წარმოგვიდგენს ნამდვილათ წმ. სტეფანეს წვალეების სურათებსო და იმდენათ ულაზათოთ ნაქედია, რომ მეფის შეწირულათ არ ჩაითვლებო; ამას გარდა სახე წმიდანისა დახატულია ხატზეო და მინაქრის კვალიც არ არისო (*Мат. по Арх. Кавк. IV, стр. 144—145*). თუ რამდენათ შემცდარია გრაფინია უვაროვისა, ამაზე ლაპარაკი მეტია წარწერის მოყვანის შემდეგ. მინაქრათ ის ლამაზი სახე და სხვა ფერადები იგულისხმება, რომლითაც დახატულია თვით სტეფანეს სურათი და არა ვერცხლის შემკობილობა ხატისა, რომელიც ყოველ შემთხვევაში სრულებით ისეთი ულაზათო არ არიან როგორც გრაფინია მოიხსენიებს. ვინაიდან წარწერა ხატისა სისქეზეა მოყვანილი და მასთან წვრილი ასოებით, ამით აიხსნება, რომ ხსენებული წარწერა ვერც ბრძანეს შეუნიშნავს (*VI Rapp., p. 18*) და ვრც-გრაფინია უვაროვისას.

ამრიგათ ხატი მოუქედინებია ვახტანგ VI 1707 წელს.

II. ვერცხლის ბარძიმი, ოქროთ დაფერილი, რომელზედაც მოიპოვება ასომთავრული წარწერა:

„ჩნ ფდ ცოდვილოთა დავრდრმილოთა სატამ და მისმა მეუ-  
ლლემ მრიმ ვიღვაწეთ მცირე ესე შესაწირავი (ე შესაწირავი?)  
ვა ქვრივსა მის მიერ ბარძიმი ერთის ფეშხუმით: და შეგ-  
წირეთ შენ ქა ჩნთვს ჯრცმულსა რა მოგვეტვენ ცოდვანი  
ჩნნი დღესა მა (sic) საშინელსა განკითხვლსა რნც შეწირვი-  
დეთ წა მსხვერპლსა შნდობასა ჰყოფდეთ ჩნთს: წელსა ჩდმთ:  
ივნისს ლ მისხალი“.

III. ვერცხლის კამარა, რომელსაც მხედრული წარწერა აქვს:

ქ. ურბნისის. წის. სტეფანესათვის. შემეწირავს. მე. ურ-  
ბნელს. იუსტიანეს.

IV, ვერცხლის პირი წმიდა მარინეს ხატისა, (ხატი თვით დაცული არ არის) ასომთავრული წარწერით:

წი დო	მარინ
ე: მფრვ	ელა: ექ
ა მე	ნა
ხე	მში
ას	შა
ვ	ლ
ს	ა
ფარა	იშენს
	ამენა

უქარაგმოთ:

„წმიდაო მარინე, მფარველ ექმენ ხემშიაშვილსა ფარაიშენს  
ამენ“.

V. იუსტინე ურბნელის მიტრის ნაშთები. დაცულია მხო-  
ლოდ ცხრა რგვალი ვერცხლის ფირფიტა, რომლებზედაც გა-

მოხატულნი არიან ღმერთი საბაოთი, იესო ქრისტე, დედალეთისა, ოთხი მახარობელნი, იოანე ნათლისმცემელი და წმ. სტეფანე. ერთ ნაჭერზე აწერია მხედრულით:

„მე ფ'დ ცოდვილმან ურბნელ ეპისკოპოსმა იუსტინე მალაქემ გაეაკეთებინე მიტრა ესე და შემოგწირე შენ ჰ'ლ მოწამეს სტეფანეს. ვინც იხმართ შენღობას ჰყოფდეთ. ქ'კსა უაღ“.

ქორონიკონი უდრის 1786 წელს.

VI. საკურთხეველში მოიპოვება ძველი ხატები წმიდა იაკობისა და წმიდა ბარბარესი.

VII. სარტყელი აბრეშუმის ძაფით ნაკერი, რომელზედაც ხუცურად აწერია:

... ნ მ'სმა ბენ: დ'ანს ას'მა თ'მრ:.. შკ'რე ეს:.. ს'რყული:.. სახად:.. ვინც იხმართ თითო:.. შ'ნდბას ბძანებდეთ ამინ...  
უქარაგმოდ:

„...მისმა ბეჟან დადიანის ასულმა თამარ შეგვკერე ეს სარტყელი [სულისა ჩემისა] საოხად, ვინც იხმართ, თითო შენდობას ბძანებდეთ, ამინ...“

VIII. ნაშთები ხის ყავარჯენისა, ძვლებით მოქედილი.

IX. ვერცხლის აზარტეშა მხედრულის ახალის წარწერით:

„ქ. ურბნისის წ'ის სტეფანეს ეკლესიას შევსწირე კაკაშვილის ქალმა მარიამ სულის ჩემისა საოხად და საფლავის ფასათ. მისხალი:.. ით:..“

X. ენქერი მღვდელმთავრისა ოქროს კედით ნაკერი და მარგალიტებით შეძერწილი. ზედ გამოხატულია ყ'დ წ'ა, ი'ვ ქ'ე-ქვემოდ ხუცურად აწერია:

შ'ე: დ'რ { შეიწყალე ამინ.  
ეჯ'ნ ან

XI. გარდამოხსნა რუსული ხელობისა. ქვემოდ მხედრულად აწერია:

„ვარლამ მიტროპოლიტი მცხეთისა და ტფილისისა და ექსარხოსი ყრისა საქართველოსა და იმერეთისა“<sup>1)</sup>)

XII. ჯვარი ხისა ათონურის ხელობისა,  $27 \times 10,5$  სანტიმეტრი, ვერცხლის მილანქრიანის ბუდით, მშვენიერის ხელობისა და ძვირფასი ქვებით შემკობილი. ეს ჯვარი თავის მილანქრიანი ხელობით საუკეთესო ნივთს შეადგენს ურბნისის ეკლესიისა.

XIII. ჯვარი ვერცხლისა ძვირფასი ქვებით შემკობილი,  $12,1 \times 6$  სანტიმეტრი.

### ეპიტაფიები<sup>2)</sup>)

I. ქვა გადასული წარწერით. დარჩენილია მარტო სიტყვები:

... ვინც წაიკი... დეთ აღვესრულე: ქკს უმა:

II. სხვა ქვაზედ:

ქ. მოიხსენე: უფალო: დეკანოზის: მეუღლე: მიცვალებული: საფლავს შინა: მდებარე: სულკურთხეული... ვინც წარიკითხვიდეთ შენდობას ბრძანებდეთ.

აქ მოხსენებული მეუღლე დეკანოზისა უნდა იყოს დეკანოზის პანტელეიმონის ცოლი.

III. მესამე ქვაზედ:

ქ. აჰა მწარისა სუკუდილისა მახვილითა განკვეთილი და წაღთაგან საყვარელისა მამისათა უწყალოსა სიკვდილისაგან აღტაცებული რომელიცა ვიყავ მხოლოდ შობილი ურბნისის დეკანოზის პანტელეიმონის ძე იოანე წლისა ათორმეტისა და თთუსა ხუთისა დედისაგან ობლოდ დაშთომილი და აწ მამის ოხრად დამტევებელი დავიდევ ლოდი ესე საცნობელად

1) მე-2—11 ნომრებში მოხსენებულნი წარწერანი ნივთებისა აქ პირველად იბეჭდება.

2) ეპიტაფიები აქ პირველად იბეჭდება.



ყოველთა რომელნიცა იხილვიდეთ ოხანი მაგეთ თთვესა იენის-სა ა<sup>ლ</sup> ქს აქეთ ჩღზგ ქკს უ<sup>ლ</sup>“.

IV. ნეოფიტე ურბნელის საფლავის ქვას, რომელსაც მარცხენა სვეტის მახლობლად უჩვენებენ, წარწერა არა აქვს, როგორც ყველა ჩვენი ძველი წმინდანების და მეფეების საფლავს.

### ხელთნაწერება.

I. გულანი<sup>1)</sup> in folio დიდი ტანისა, 45 × 31 სანტიმეტრი, ნაწერია ორ სვეტად წვრილი ნუსხა ხუცურის ხელით. თითო სვეტზე დატეულია ორმოც და ათ ორმოც და ათი სტრიქონი. ხის ყდა ტყავე გადაკრული კოტა დაზიანებულია. ფურცლები ზოგი არეულია, ზოგი გასვრილი. სხვა-და-სხვა ადგილას ხელ ნაწერისა იმეორება მინაწერები საზოგადოდ შემდეგის შინაარსისა:

„მეფობასა სახელოვანისა გიორგისსა. და გამგეობასა ჩმ<sup>ს</sup>ა მეოთხესა აღვაწერინე მე გამგებელმ<sup>ნ</sup> ქართლისამ<sup>ნ</sup> ბატონის-შვილმ<sup>ნ</sup> ვახტანგ გულანი ესე. საოხად ს<sup>ლ</sup>ისა ჩ<sup>რ</sup>ისა. და მეუღლისა ჩ<sup>რ</sup>ისა ჩერქეზის ბატონის შვილის რუსუდანიასათჳს. და ძეთა. და ას<sup>ლ</sup>თა ჩ<sup>რ</sup>ნთა აღსაზრდელად. და შეესწირე ურბნის წ<sup>ა</sup> სტეფანეს: ქკა: ქეს აქათ: ჩღზ:“

მეორე ადგილას ვკითხულობთ:

„წ<sup>ო</sup> შ<sup>ე</sup> ფ<sup>დ</sup> ც<sup>ი</sup> იესე გ<sup>რ</sup>სევანიშვილი: ქკა ტყე:“

II. კონდაკი, 27 × 21 სანტიმეტრი, დაწერილია ქალაღ-ზე ორ სვეტად ნუსხა ხუცურით. ყდა ხისა დამტვრეულია. ბოლოს ტექსტის ხელით აქვს მინაწერი:

„ს<sup>რ</sup>ლ იქმნე[ს] ეს წესები თვესა მაისსა: ზ: ქკს: ტყე:“ — 1705.

1) ეს გულანი მოხსენებული აქვთ ბროსეს და ბაქრაძეს თავიანთ ნაშრომებში. ხალხა სხვა ხელთნაწერები მოხსენებულნი არ არიან და არც ქართული ტექსტია დაბეჭდილი გულანის მინაწერებისა.

აშიაზე მეორე ადგილას სწერია:

ქე შეიწყლვე ცრი ნკზ ძე დათუნასი.

ქე შე მღვნის თმაზას ძე სამებლი იოსბ.

ღო შე მღდელი მახარებლი.

III. კურთხევანი,  $21 \times 16$  სანტიმეტრი, დაწერილია ქალღმერთზე ნუსხა ხუცურის ხელით. ყდა გატეხილი აქვს. ნაწერის მიხედვით ხელთნაწერი მე-XVII საუკუნეს უნდა ეკუთვნოდეს.

IV. ფსალმუნი დავითისი,  $21 \times 17$  სანტიმერი, ნაწერია ქალღმერთზე ნუსხა ხუცურით, ყდა ტყავისა აქვს გაფუჭებული. ხელნაწერი მე XVIII საუკუნეს უნდა ეკუთვნოდეს. ერთ ადგილას გადამწერს ტექსტი აურევია და ამიტომ შენიშნავს:

„ძმნო ჩმნო ნუ მწყევთ იბკა გმვლინა და წა არსი: წინა უკან მომივიდა:—“

V. კონდაკი, რომელიც შესდგება სხვა და სხვა ხელთნაწერებიდან, მაგრამ ერთ წიგნათ არის შეკრული,  $16 \times 10,5$  სანტიმეტრი, წერა ნუსხა ხუცურია. ზოგიერთი ადგილები რუსულათ არის მოყვანილი. ბოლოს სწერია: „სრულ იქმნა სიწის განახლებისა: წესი და წირვა“, შემდეგ მოყვანილია რუსული ტექსტი იმისა, თუ რა უნდა თქვას დიაკონმა წირვის დროს. ამას შემდეგ მოყვანილია ქართული სათთვეო წიგნი (კალენდარი) და ბოლოს ნაბეჭდი ლოცვანი.

VI. იპოლიტე რომის პაპის წირვის წესი, ლამაზი ნუსხა ხუცურით ხაწერი ქალღმერთზე,  $16 \times 10,7$  სანტიმეტრი, ქალღმერთის ყდით. ბოლოს სწერია:

მრავალ ქმირ ურბნელ მიტროპოლიტი იწებ: იწ იწ შე მწერალი ამისი უღირსი მღდლი ნკლზ სიონის დეკანოზი: ჩღაპ: 1768“.

დასაწყისი ტექსტისა:

თთვესა იწვრსა ლ წისა მღდლ მოწამისა იპოლიტე ჰრომთა პაპისა:

VII. ურბნისის ტაძარს დღემდის შერჩენია მხოლოდ თორმეტი სიგელ-გუჯარი, რომელნიც ჩვენ სრულად აღვბეჭდეთ ჩვენს საქართველოს სიძველენში, ტ. I, №№ 266—277, გვ. 321—333.

როგორც სჩანს ზემო მოყვანილი საბუთებიდან უძველესი დროის განახლება ურბნისის ეკლესიისა თავს უღვია და კიდევაც ჯეროვანოთ შეუსრულებია თეოდორე ებისკოპოსს, ლუკას ძეს, შეწვევითა მიქელისა, ძისა კოსტანტინესა, რომელიც, როგორც საგონებელია, ყოფილა კალატოზი ანუ ხუროთ მოძღვარი. ეკლესიის განახლებას შესწევინა კიდევ აბიათარ დეკანოზი და ცოლ ქმარი ქაეთარ და შუშან. თეოდორე ებისკოპოსის ახლო დროს უნდა ეკუთვნოდეს დეკანოზი დიმიტრიც და შეიძლება ვახტანგიც, თუმც ეს პირი დეკანოზია, რაც საეჭვოთ უნდა ჩაითვალოს.

მეორეთ ურბნისის ეკლესია განუახლებია 1668 წელს ცნობილს მოღვაწეს და დედოფალს მარიაჰს, როსტომ მეფის მეუღლეს.

1706—1707 წლებში ვახტანგ VI გაუმშვენებია და შეუმკვია ურბნისის ეკლესია მშვენიერის კანკელით, საეკლესიო ნივთებით და წიგნებით. მასვე აუშენებია დღემდის კარგათ დაცული სამრეკლო და აგრეთვე გალავანი და პალატი, რომელთაც ჩვენამდის აღარ მოუხწევიათ. ვახტანგს მოუჭედინებია აგრეთვე ურბნისის წმიდა სტეფანეს თავი ხატიც. ერთი სიტყვით რაც უფრო თვალ საჩინო ნივთია დღემდის დაცული ურბნისის ეკლესიაში, უმეტესი ნაწილი ვახტანგ VI წყალობაა.

1707 წლიდგან 1739 წლამდის მტრებს ერთხელ კიდევ გაუხადგურებიათ ვახტანგის მიერ აშენებული გალავანი და აღნიშნულს წელს ურბნელს ნიკოლოზ ხერხეულიძეს ხელმჯორედ გაუკეთებია გალავანი კოშკებითურთ და შემოუვლია ზღუდე, აუშენებია სადგური სახლის კარისბჭე და სანივთური (სალარო). ჩვენამდის არც ამ გალავანს და სხვა შენობას მოუღწევია.

ურბნელებათ წარწერებში და სიგელებში ჩანან:

თევდორე ლუკას ძე, უძველესი დროისა; ვლასე 1566 წელს<sup>1)</sup>; ევდემოზ რატიშვილი 1669 წელს<sup>2)</sup>; იოსებ ჯავახიშვილი 1700 წელს<sup>3)</sup>; ქრისტეფორე ფალავანდიშვილი 1706 წელს<sup>4)</sup>; ელისე 1711 წელს<sup>5)</sup>; ნიკოლოზ ორბელიანი პროველ-ურბნელი 1717 წელს<sup>6)</sup>; ნიკოლოზ ხერხეულიძე 1739 წელს<sup>7)</sup>; იოსებ 1768 წელს<sup>8)</sup>; იუსტინე მალაღაძე პროველ ურბნელი 1786 წელს<sup>9)</sup>.

**სკნა.** ურბნისის ცოტა ქვემოთ, სადგურ სკრასთან, მტკუარს უერთდება მარჯვენა მხრით სკრის ვიწრო ხეობა. სკრის წყალი, ანუ როგორც ეხლა ადგილობრივ ეძახიან მეძღვება, პატარაა და ზაფხულში მინდვრების და ბაღების მოსარწყავად არის მთლად დარიგებული. ხეობა ვიწროა, როგორც მოვიხსენიეთ, მაგრამ სიგძეზე შვიდ-რვა ვერსის მანძილზე მიდის. ისტორიის წინა დროს ნაშთებათ ამ ხეობისა უნდა ჩაითვალოს ძველი სასაფლაოები. საფლავები ფიქალი ქვებისაგან არიან ნაშენნი და მათში კაცის ძვლებთან ერთად ხშირად ჰპოულობენ თიხის ჭურჭლებს და იშვიათად სამკაულებს და იარაღებს ბრინჯაოსა და რკინისა. საზოგადოთ კი ნივთებით აქაური საფლავები ღარიბია. ჩვენ რამოდენიმე ადგილას ვსინჯეთ აქ მოთხრა საფლავებისა და სხვათა შორის ვიპოვნეთ ორი თიხის კუბო, გრებილებით შემკობილი და საზოგადოთ ლამაზი ხელობისა. კუბოებში ძვლების მეტი არა რა აღმოჩნდა. ნაშთები კუბოებისა ამოვიღეთ მიწიდან და დავაწყვეთ სკრის მოუკრავის ეზოში. თიხის კუბოები მცხეთაშიაც არის ნაპოვნი და ერთი მათგანი ეხლა ინახება კავკასიის მუზეუმში, მაგრამ სკრაში ნაპოვნი კუბონი ხელობით ბევრათ უფრო ლამაზი არიან მცხე-

1) ნახ. საქართველოს სიძველენი ტ. I, გვ. 321—323.

2) საქარ. სიძველენი გვ. 324. დ. ბაქრაძე სცდება, როდესაც ამბობს, ვითომც ევდემოსი იხსენიებოდეს 1700 წლის გუჯრის მინაწერში.

3) Ibid. გვ. 326—328.

4) იხ. ზემოთ წარწერა სამრეკლოსი.

5) საქართ. სიძველენი I. გვ. 328—329.

6) ეს სჩანს რუისის ხელნაწერთა მინაწერებისაგან.

7) იხ. ზემოთ მისი წარწერა ქვაზედ და ლექსი და აგრეთვე საქართ. სიძველენი, გვ. 330—332. დ. ბაქრაძე შეცდომით ხადის ნიკოლოზ ხერხეულიძეს დომენტი II თანამედროვეთ მე-XVII საუკუნეში (Кавк. вѣдренн. пам. христ., стр. 152). აქ დომენტი III იგულისხმება.

8) იხილე ზემოთ მინაწერი იპპოლიტე რომის პაპის წირვის წესისა.

9) იხ. მიტრის წარწერა ზემოთ და აგრეთვე რუისის წიგნების მინაწერები.

თისაზე. საკვირველია, რომ ამ თიხის კუბოებთან ბევრი მიწაში ჩაფლული ქვევრებიც აღმოჩნდა. ამ ბოლოს დროს მოგვივიდა ამბავი, რომ ერთ ქვევრში ჩამარხული კაცი ჩანჩხიც უპოვიათ, ასე რომ ძველათ ქვევრებიც საფლავათ ყოფილა აქ ხმარებაში. თიხის კუბოების ნაშაები ჩვენ ვნახეთ კიდეც ცოტა ზემოთ, წყლის პირათ, ნიაღვარისაგან ჩამონგრეული.

ქრისტიანული ხელობის ნაშთებით სკრის ხეობა მდიდარია. აქ ძლიერ ბევრი ეკლესიები და ეკლესიების ნანგრევები შეგხვდებათ ყოველგან, მაგრამ მათში თვალ-საჩინო ხუროთ-მოძღვრების ნაშთი არ არის. უმეტესი ნაწილი სკრის ეკლესიებისა ჩვეულებრივის სახის არის, ესე იგი ნაშენია უბრალო ქვებით, სიგძე აქვს ათი თუ თერთმეტი აღლი, განი შვიდი თუ რვა აღლი, კარი ერთი სამხრეთის მხრით და თითო თანჯარა აღმოსავლეთის, სამხრეთის და დასავლეთის კედლებში და ზოგჯერ პატარა სამრეკლო დასავლეთის კედლის ზემოთ. ამ გვარზე სახის ეკლესიებია წამომდგარი მარჯენივ და მარცხნივ გორებზე ხეობის შესავალშივე. ორივე ეკლესია წმიდა გიორგისაა, მარჯენივ გომართას წმიდა გიორგი და მარცხნივ ელენთისა. გომართის საყდარს ქვის დაბალი კანკელი აქვს, ხატები ფიკრებისაა ქართულის წარწერებით წმიდანების სახელებისა. ეკლესიის დღეობა არის აღდგომის მეორეს დღეს და ბევრ ხალხს იზიდავს ხოლმე. ეკლესია ნაშენია რიყის ქვით.

სკრის ხეობა წინეთ ეკუთვნოდათ თავადთ შალიკაშვილებს. შალიკაშვილები ძველი წარჩინებული გვარია სამცხე-საათაბაგოისა. საათაბაგოს გათათრების შემდეგ ერთი შტო შალიკაშვილებისა გადავიდა გურიაში, მეორე კახეთში და მესამე დასახლდა ქართლში და შეიქნა პატრონი სკრის ხეობისა. შალიკაშვილებს სკრის ხეობაში აუშენებიათ თავის სასაფლაოთ პატარა ეკლესია ალანე ნათლის-მცემლისა. ეს ერთად-ერთი ეკლესია არის სკრის ხეობაში აკურით ნაშენი ზე ყავრით დახურული, სხვა ყველა ქვით არის ნაშენი და ქვითავე დახურული. ეკლესიას დასავლეთის კედლის ზემოთ პატარა სამრეკლო აქვს, რომელზედაც შერჩენილია ერთი პატარა ზარი, დასავლეთის კედელი გახეთქილია და ეკლესია მიტოვებულია. კანკელი ახალია ხისა, ახალი მხატვრობით, სიგძე საყდრისა არის 11 აღლი, განი 8 აღლი. სამხრეთის კარი ამოშენებულია და დარჩენი-

ლია დასაველეთის კარი, ფანჯარა სამი აქეს, თითო ყოველ მხარეს, გარდა ჩრდილოეთისა. დასაველეთის კედელში კარის ზემოთ დატანებული ყოფილა, როგორც ეტყობა, ორი მოწითაწონო თლილი ქვა მხედრულის წარწერებით. ორივე ქვა ჩამოვარდნილა, ერთი სრულიად დაკარგულა, ხოლო მეორე ვიპოვნეთ საყდრის მახლობლათ მდებარე. უკანასკნელ ქვაზე, ცოტა არ იყოს, უშნო მხედრულით სწერია:

მ წ 1) ქ. ჩვენ: ფრიად ცოდ  
ვიღმნ ყელთა კეთა უნარ  
ჩვლმნ თეთ დიდმნ სათბგ  
სა მყფმნ სქთვლოში ჩმ  
სულმნ რჯულის გულის  
თვის პატრმნ შლკიშვლმნ  
ძემნ როჭიკისმნ დედისა ჩმის  
არგვის ერისთვის ასულის  
ბტნის დრჯნის შლმნ . . .  
[აღვაშენე საყდარი ესე] . . .

პირველი ასოები ამ წარწერისა უნდა ნიშნინდეს: „უფალო წმიდაო ქრისტე.“ დანარჩენი წარწერის აზრი მარტივია, მაგრამ სამწუხაროდ სრული არ არის. ეკლესიაში ბევრი საფულავის ქვებია ზედ წარწერით, მაგრამ ყველანი ეცხრამეტე საუკუნეს ეკუთვნიან. წარწერების მიხედვით აქ მარხიან: სოლალაშვილის ასული მარიაში, მეუღლე ნიკოლოზ შალიკაშვილისა, რომელიც გარდაცვლილა სექტემბერში 1830 წელს; პარუჩიკი როსტომ შალიკაშვილი, გადაცვლილი 5 აპრილს 1840 წელს; მისი მეუღლე ბაზბარე თემანიშვილის ასული, გადაცვლილი 22 აგვისტოს 1874 წ., 60 წლისა; როსტომის ძენი: მიხეილ, ალექსანდრე და დიმიტრი, და სხვები.

ამ ეკლესიის ზემოთ წყლის მარჯვენა ნაპირზე არის მეორე ეკლესია ჩვეულებრივის სახისა, რომელსაც ეძახიან ქატკ

1) ეს ორი ასო ასომთავრულით სწერია ნამდვილზე.

ტაშვილის ეკლესიას. ეს გვარი ეხლა სკრაში აღარ ცხოვრობს, ზოგი ამოწყვეტილა და ზოგი ჯავახეთში გადასულა.

სკრის წყლის მარცხენა ნაპირზე, ზემოთ ამ ეკლესიისა, არის საკმაოთ დიდი ეკლესია ღვთის-მშობლისა. ფერდობი, რომელზედაც ეკლესია არის აშენებული, განგებ გასწორებულია და სამი მხრით ქვის კედელი აქვთ ამოყვანილი. საყდარი ფიქალი ქვებისაგან არის ნაშენი. სიგძე აქვს 17 ადლი, და 9 გოჯი, განი 10 ადლი და 5 გოჯი. კარები ჰქონია სამი სამხრეთით, დასავლეთით და ჩრდილოეთით, უკანასკნელი ამოშენებულია. ფანჯარა ოთხი აქვს. თითო აღმოსავლეთით და დასავლეთით და ორი სამხრეთით. ფანჯრები საკმაოდ დიდრონი და თუმცა ორი მათგანი სამხრეთის კედლით დახურულია შემდეგ დროში მიშენებული ეკვტერიო, მაგრამ ეკლესიაში მაინც საკმაო სინათლე არის. კანკელი ქვისაა, სიმაღლით სამი ადლი და  $7\frac{1}{2}$  გოჯი და სისქით 13 გოჯი, სიგძე კანკელისა არის 7 ადლი და 8 გოჯი. განსაკუთრებულს თვისებას ამ კანკელისას ის შეადგენს, რომ იქ კი არ იწყება და თავდება, სადაც საკურთხეველი იწყება, არამედ ცოტა ეკლესიისკენ არის გამოწეული. გარდა ამისა კარი მარტო ერთი აქვს სამეფო, შუაში. კანკელი სულ დახატული ყოფილა. ქვემოთ ხუთი წმინდანია დახატული სრული ტანით, ზემოთ თორმეტი წმინდანის სურათია წელს ზემოთ. ნიშებშიაც საკურთხეველისა დარჩენილია მხატვრობა. მხატვრობა საზოგადოთ ეხლა გაფუჭებულია, მაგრამ ეტყობა ლამაზი ყოფილა. უკეთ დაცულია სურათები შუა კარის თაღის ქვეშ კანკელისა, სადაც დახატულია იესო ქრისტე წელს ზემოთ ხუცური წარწერით:

„იჲ ქე ემნუელ,“ ესე იგი „იესო ქრისტე ემმანუელ.“ მარჯვნივ გამოხატულია ლავრენტი, მარჯვნივ წმ. სტეფანე წარწერებით: „წა ლავრენტოს, წა სტეფანე“. საკურთხეველის თაღში ზემოთ დახატულია ღვთის-მშობელი ძითურთ. კანკელს მიდგმული აქვს მომაღლო ქვა  $68 \times 48$  სანტიმეტრი, რომელიც სულ დახატული ყოფილა და ზემოთ ჩაღრმავებულია. ჩვენის აზრით ეს უძრავი სასანთლე უნდა ყოფილიყოს ეკლე-

სიის თავი ხატისა, რომელიც კანკელში შეღრმავებულ ადგილას ღნდა ყოფილიყო დასვენებული ამ სასანთლის პირდაპირ. შიგნით საყდარში ირგვლივ საჯდომები არის. ეკლესია მთელია, სახურავი ქვისა აქვს. დასავლეთის ეკვდერი ეხლა დანგრეულია. ეკლესია მიტოვებულია, მხოლოდ 15 აგვისტოს აქ დღესასწაული იციან, მარიობა, და მაშინ ბევრი ხალხი მოდის. ეკლესია, ჩვენის აზრით, ძრიელ ძველი უნდა იყოს, მაგრამ როდის ან ვისგან არის აშენებული არა სჩანს.

ხსენებულს ეკლესიას სამხრეთის მხრივ მიშენებული აქვს ლამაზი ეკვდერი თლილის ქვისა, კარგი ნაშენი და ლამაზი ნახელავი. ეს ეკვტერი თითქმის განცალკევებულ ეკლესიას წარმოგვიდგენს და თავის საკურთხეველი აქვს. ეკვტერი ორ ნაწილად იყოფა. დასავლეთის მხარე კარის ბჭეთ არის საყდრისთვის და აღმოსავლეთის ნაწილისთვის ეკვდრისა. აღმოსავლეთის ნაწილი სამლოცველოს წარმოგვიდგენს. აღმოსავლეთის ფანჯარას ზემოთ მშვენიერი ჯვარია ამოჭრილი და დასავლეთის კარიც ეკვტრისა შემკობილია ჩუქურთმებით. ირგვლივ კარს უვლის შემდეგი მხედრული წარწერა:

„ქ. ჩვენ ფრიად: ცოდვილმნ: და ყოვლის: კაცის: უნარჩევსმან: შალიკაშვილმან: ნაზირმნ: ედიშერ: აღვაშენე ეკუდერა: კარის: ბჭე: და: სამრეკლო: ესე: ჩემის: მონაღვაწისა: ფასით: ჩვენთა: ცოდათა: საოხად: და: ჩვენთა მიცვალებულთა: შესანდაობლად (sic): ვინცა: აღმოიკითხვიდეთ: უნდობას: ბძანებდეთ: ჩვენთა: მიცვალებულთათვის.

ქ. ამას ქვეშ ცოტა რამე გლეხის: კაცის: სასაფლო: იყო: და: ისიც იმათის ნებადართულობით მოვიყიდეთ დისე (sic) უმიზეზოთ და ყოვლის კაცის უცილებლად გაეასრულთ. ქკსა: ტუგ“.\*)

ქორონიკონი წარწერისა უდრის 1708 წელს. სამრეკლო, რომელიც ამ წარწერაში იხსენიება, არ შენახულა.

\*) ქორონიკონი მარცხნივ სწერია მოშორებით.



ამ ეკლესიის ქვემოთ მეორე ეკლესია არის ჩვეულებრივად სახისა, მაგრამ ასეთივე მასალით ნაშენი, როგორც ზემოდ აწერილი ეკლესია არის. აქაც კანკელი ქვისაა, მარტო ერთის კარით.

თითქმის ზემოხსენებული ეკლესიის პირდაპირ მარჯვენა ნაპირზე ხეობისა მდებარეობს ეკლესია ღვთის მშობლისა, თლილის ქვით ნაშენი, სიგძით 14 ადლი და 1 გოჯი, სიგანიტ 8 ადლი და 13 გოჯი. ფანჯარა სამი აქვს, თითო ყოველ მხრივ, გარდა ჩრდილოეთისა. კარები აქვს სამხრეთით და დასავლეთით. უკანასკნელი კარი ამოშენებულია, კანკელი ახალია, უბრალო, ხისა. ხატებიც, რომელნიც დარჩენილან ეკლესიაში, ხისაა ქართულის წარწერით წმიდანების სახელებისა. მხატვრობის კვალი აქა იქ ძლივს ემჩნევა. ეკვტერი დასავლეთის მხრით ეხლა დანგრეულია. კედლებში ამ ეკლესიისა ჩატანებულია ქანდაკებანი წმიდანებისა. ერთი მათგანი აღმოსავლეთის კედელში თავდალმა ჩატანებული. ეს იმის მაჩვენებელია, რომ ეკლესია განუახლებიათ და ქვა უხერხულათ დაუდვიათ. ერთ ქვაზე აღმოსავლეთის კედელში გარდა სხვა ჩუქურთმებისა ვარსკვლავია გამოხატული და ზემოთ ასომთავრულით აწერია:

ქ სხლი[თა ღთა] ესე ქვჲ  
 მე ლომჲნ ღვსი  
 შემდეგ ვარსკლავის გარშემო:  
 ქ მ ფ ს  
 თა თა

ჩვენის აზრით ეს წარწერა ასე უნდა იკითხებოდეს:

„სახელითა ღვთისათა ესე ქვაჲ მე ლომჲნ დაესდევით ქრისტეს მეუფისათა“.

ამას ქვემოთ კიდევ სხვა ეკლესია არის ჩვეულებრივის სახისა და მისი არე-მარე სავსეა ნასოფლარებით, როგორც საზოგადოთ მთელი ხეობა სკრისა. ამას ზემოთ ხეობაში მარჯვენა ნაპირზე წყლისა არის ძველებური ოთხ-კუთხედი მაღალი კოშკი, სადაც ეხლა ცხოვრობენ რამდენიმე კომლი ოსებისა. ამას ზემოთ

სკრის წყალს უერთდება კაკლის ხევი, და აქ არის ნანგრევები უბრალო ეკლესიისა. გაღმა მოჩანს იმერლების სოფელი რაქთი და სოფელში პატარა ეკლესია ჩვეულებრივის ტიპისა. ეკლესია ახლოს ჩვენ არ გვინახავს.

ამას ზემოთ სკრის წყალს ერთვის ღაღვის ხევი და შესართავთან იპოვება დანგრეული ეკლესია ფიქალი ქვებით ნაშენი ჩვეულებრივის ტიპისა. ამას ზემოთ მთაზე იფნაწაში სახლობენ ოსები, რომელნიც დიდი ხანი არ არის რაც აქ შეეხიზნენ. მათ სოფელში უბრალო ეკლესიის ნანგრევებია, ხოლო იფნარას ქვემოთ დაღვის ხევის პირად არის ძველი ეკლესია, რომელსაც ეხლა უდაბნოთ უწოდებენ. უდაბნო საუკეთესო ეკლესია არის მთელ სკრის ხეობაში. ეს ეკლესია წინედ მონასტერი ყოფილა. თუ მრვიდებთ მხედველობაში ბევრ ნანგრევებს, რომელნიც ეკლესიის გარშემო არის, უნდა ვიფიქროთ რომ აქ ბევრი ბერ-მონაზონი ყოფილა თავის დროს. მონასტერს გაღაფანი ჰქონია, წყალი გამოყვანილი ყოფილა მიღებით დაღვის ხევიდან. თვით ეკლესია უგუმბათოა, მაგრამ თლილი ქვისაგან ნაშენი. ქვა, რადგანაც ღბილი ყოფილა, ადგილ ადგილ ძრიელ გამოფუჭებულია და კედლები დამდნარი, მაგრამ ეკლესია მაინც მთელათ არის დაცული, ვინაიდან კედლები მაგარი აქვს. ამ ეკლესიის ქვა სწორედ ისეთავეა, როგორც ჩრდილოეთის კედელი ურბნისის ეკლესიისა. სიგძე ეკლესიისა არის 16 ადლი და განი, თუმც სამხრეთის ეკვდერსაც მივათელით, 15 ადლი. ამას გარდა ეკლესიას ჩრდილოეთის მხრითაც აქვს ეკვდერი, რომლის განი არის 4 ადლი და 11 გოჯი. ეკვტრებს ეკლესიის სიგძე აქვს, და როგორც მასალიდან ეტყობა ეკლესიასთან ერთ დროს არიან ნაშენნი. სამხრეთის ეკვტერი გაყოფილია ორ ნაწილად. აღმოსავლეთის ნაწილი წარმოადგენს სამლოცველოს. ამ სამლოცველოში აკლდამა ყოფილა, რომელიც ხაზინის მძებნელთ გაუთხრიათ, და ეხლა ნაგავით არის სავსე. დასავლეთის ნაწილი სამხრეთის ეკვტერისა კარისბქეს წარმოგვიდგენს ეკლესიისათვის და თვით ეკვტერის აღმოსავლეთის ნაწილისათვის. ჩრდილოეთის ეკვტერიც ორ

ნაწილად არის გაყოფილი. აღმოსავლეთის ნაწილი სამლოცველოა, დასავლეთის ნაწილი ჩვეულებრივი ოთახი, ჩრდილოეთის კედელი სანახევროთ მიწაშია ჩაფლული, ვინაიდან ეკლესია ფერღობზეა აშენებული. აღმოსავლეთის ფანჯარა ეხლა დაფარულია ჩამონგრეული მიწით და ქვებით. და ამიტომ ეკვტერში სრულიად ბნელა. ამიტომაც არის რომ ეხლა ოსები ეკვტერს საბნელეთს უწოდებენ. ეკვტერში ძრიელ დიდი სინესტეა. ეკლესიას კარი აქვს სამხრეთის კედლით და მეორე კარი არის ჩრდილოეთის კედელში ეკვდერში შესავალათ. ფანჯრები ოთხია საკმაოდ დიდრონი. ორი სამხრეთის კედელში ეკვტერის ზემოთ და თითო აღმოსავლეთისა და დასავლეთის კედლებში. ფანჯრებს სვეტების მსგავსი, გრებილები აქვს. საკურთხეველში ორი ნიშია. იატაკი ქვისაა, მაგრამ ეხლა დაფარულია ნაკელით ცხკრებისა და თხებისა, რომელთაც ოსები უშვებენ ეკლესიაში. კანკელი არ შენახულა, მაგრამ როგორც ნიშნებიდან სჩანს ქვისა ყოფილა. შიგნით მთელ საყდარს საჯდომები უვლის. სახურავი ქვისა აქვს და ზედ ეხლა ბევრი ხეებია ამოსული. ეკლესიის კედლები შიგნით სულ შემკობილი ყოფილა მშვენიერის მხატვრობით, რომელიც ეხლა გაფუჭებულია, მაგრამ სულ გადასული არ არის. წარწერები მხატვრობისა ასომთავრულია ძველი დროისა. დასავლეთის კედელზე მოსჩანს სურათები მამაკაცებისა და დედაკაცებისა ბოვშეებითურთ დიდებულთ ტანისამოსით, მაგრამ წარწერები აღარ განირჩევა და ამიტომ არ ვიცით, ვის ეკუთვნიან. არ ვიცით აგრეთვე, ვისგან ან როდის არის აშენებული უდაბნოს ეკლესია, მაგრამ თუ მივიღებთ მხედველობაში მის დამდნარ კედლების ქვას და ასომთავრულის ხასიათს მხატვრობის წარწერებისა უძველეს დროს უნდა ეკუთვნოდეს. ყოველ შემთხვევაში ეკლესია უნდა იყოს აშენებული არა უგვიანეს მეთორმეტე საუკუნისა.

## შესიშენება ბატონიშვილის ვახუშტის ისტორიის და გეოგრაფიის ხელთნაწერების შესახებ

სრული ისტორია და გეოგრაფია ბატონიშვილის ვახუშტისა მისივე ხელით გადაწერილი და დამთავრებული 20 ოკტომბერს 1745 წელს ინახება ეხლა პეტერბურგის სამეცნიერო აკადემიაში. ხელთნაწერი შეიცავს თიანჯის მთელს შრომას ბატონიშვილის ვახუშტისა. შინაარსი ამ ხელთნაწერისა ავტოგრაფისა ჩამოთვლილი აქვს ბროსეს მის მიერ გამოცემულ ვახუშტის გეოგრაფიაში (კვ. 1—XXX) და დ. ბაქრაძეს ვახუშტის საქართველოს ისტორიაში (კვ. XII—XVIII). ხსენებულ ხელთნაწერზეა დამყარებული ბროსეს გამოცემა ვახუშტის გეოგრაფიისა და ჩუბინაშვილის გამოცემა ქართლის ცხოვრების მეორე ტომისა, რამდენადაც მასში შეტანილია ვახუშტის ისტორიის ტექსტი საქართველოს სამსავეჯად და ხუთსათავროდ განყოფის შემდეგ. დ. ბაქრაძეს ვახუშტის ისტორიის პირველ ნაწილის გამოცემის დროს პეტერბურგის ხელთნაწერი არა ჰქონია ხელში. საზოგადოდ მადებელია, რომ, როდესაც ერთი და იმავე ავტორის სხვა-და სხვა ხელთნაწერები გვაქვს, უპირატესობა ყოველთვის ავტოგრაფს უნდა მივსცეთ. მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში გამოსადეგია სხვა ხელთნაწერებიც, არა ავტოგრაფები. ჩვენის აზრით ვახუშტის სხვა და სხვა ხელთნაწერებსაც მნიშვნელობა აქვს მისი ისტორიის და გეოგრაფიის ჯეროვანი გამოცემისათვის: ვახუშტის შრომა ისეთი დიდი და რთულია, რომ მისი დაწერა ერთის მიჯდომით წარმოუდგენელია. მას რამოდენიმე წელიწადი უნდა მასალა შეეკრიბა, გაეჩხრიკა, შეეთანასწორებინა და შემდეგ შესდგომოდა წერას. სხვა-და სხვა ნაწილი მისი ისტორიისა და გეოგრაფიისა სხვა-და-სხვა დროს არის ნაწერი და ამიტომ ის ხელთნაწერები, რომელნიც ისეთი სრულნი არ არიან, როგორც პეტერბურგისა, უმეტეს შემთხვევაში გადმოწერილნი უნდა იყვნენ იმ დროის ხელთნაწერებიდან, როდესაც ზოგიერთი ნაწილი ვა-

ხუშტის შრომისა ჯერეთ კიდევ დაწერილი არ ყოფილა. საზოგადოდ უნდა შევნიშნოთ, რომ ისეთი სრული ხელთნაწერი, როგორც არის აკადემიის ავტოგრაფი, ჯერ ჩვენში ცნობილი არ არის. სხვა ხელნაწერებიდან სჩანს, რომ წინეთ ავტორს ზოგიერთი ადგილები სხვანაირად ჰქონია მოთხრობილი, რომელიც მერმე გადუკეთებია; ზოგიერთი მასალა ერთ ადგილას შეკრებილი შემდეგ სხვა-დმ-სხვა ადგილას გადუტანია. ზოგიერთი შენიშვნები ხელთნაწერებიდან და სხვა საბუთებიდან ამოღებულნი სრულიად გამოუტოვებია შემდეგ შრომაში. ერთი სიტყვით მას გამოუცდია ის, რაც ჩვეულებრივია ყველა მწერლისათვის, რომელიც თავის შრომას რამოდენიმეჯერ გადაშინჯავს და შეასწორებს თუ შეამოკლებს. ვახუშტი 1724 წელს გაჰყვა რუსეთში თავის მამას ვახტანგ მეექვსეს და შრომა დაამთავრა მოსკოვში 1745 წელს. რუსეთში რასაკვირველია ვერაფერს ვერ დასწერდა, რომ მასალა საქართველოდან არ გაეტანა. ადვილად შესაძლებელია, რომ ზოგიერთი ნაწილი მისი შრომისა უკვე დაწერილი ჰქონდა, როდესაც ის რუსეთში წავიდა. იმ დროს ვახუშტი 28 წლის ჯაბუკი იყო. ძრიელ საქეშმარიტოდ მიგვაჩნია ის შენიშვნა, რომელიც გვამცნევს, რომ ქართლის ისტორია პირველად მეფე ვახტანგს ეკეთებინა ქართლმყოფობასა შინა და შემდეგ რუსეთს ბატონიშვილის ვახუშტის თანახლებითაო, და შემდგომად ვახტანგის ასტრახანს გარდაცვალებისა ბატონიშვილს ვახუშტის შეესრულებინაო. სრულ შენიშვნას ამ საგნის შესახებ ჩვენ ქვემოდმოვიყვანთ 1774 წლის ხელნაწერიდან. დ. ბაქრაძეს ეს შენიშვნა მოყვანილი აქვს დავით რექტორის მიერ გადაწერილ ხელთნაწერიდან, რომელ ზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი.

გარდა ამისა ზოგიერთ ხელთნაწერებში მიმატებულია ისტორიული და გეოგრაფიული ცნობები სხვა-და სხვა პირთ მიერ, რომელთაც ნაკლი ვახუშტის გეოგრაფიისა და ისტორიისა შეუესიათ თავიანთ ცნობებით და ეს ცნობები ჩვენთვის გამოსადეგნი არიან. ეინც მიიღებს შრომას და ვახუშტის ყველა ხელთნაწერებს შეუდარებს უკვე დაბეჭდილ ტექსტებს და

განსხვავებას ვაღიგვებ, ჩვენის აზრით, კარგ სამსახურს გაუწევს ჩვენი ისტორიის და გეოგრაფიის შესწავლას და დაგვანახვებს პროცესს ვახუშტის შრომისას. ჩვენ აქ აზრათა გვაქვს უჩვენოთ ზოგიერთი ხელთნაწერები ვახუშტის ისტორიისა და გეოგრაფიისა და მოვიყვანოთ ზოგიერთი ცნობები. ეს ცნობები უფრო გარეგანი იქნება, ვიდრე შინაგანი, ვინაიდან შედარება ტექსტებისა, რომელიც დიდ შრომას მოითხოვს, სრულებით არ გვიკისრია.

პირველად მოვიყვანოთ ცნობებს იმ ხელთნაწერის შესახებ, რომელიც დ. ბაქრაძეს ჰქონია ხელში ვახუშტის ისტორიის გამოცემის დროს და რომელიც გადაწერილია დავით რექტორის მიერ. ამ ხელთნაწერს ზ. ჭაჭინაძე დაკარგულათ ხადის (იხ. მისი გამოცემა ქართლის ცხოვრებისა ნაწ. III, გვ. II). ხელთნაწერი დაკარგული არ არის, მაგრამ ის ჯერ არ ეკუთვნის არც ერთს ჩვენს წიგნთ-საცავს, არამედ შეადგენს კუთვნილებას კერძო პირისას, ბ-ნი გაბაშვილისას.

I. ხელთ ნაწერი ვახუშტის ისტორიისა და გეოგრაფიისა დავით რექტორის მიერ გადაწერილი შეიცავს დიდ ტომს in folio, დაწერილია მუქ მტკიცე ქალაღზე წვრილის ნუსხა მხედრულის ხელით. სათაურები ნაწერია გადაბმული ასო-მთავრულებით და კინოვარიო. ყდა ქალაღდისა აქვს შავ-ტყავ გადაკრული, საბმულებით. გვერდები აღნიშნულია არაბულის ციფრებით. სულ ხელთნაწერი შეიცავს 826 გვერდს. გარდა ვახუშტის შრომისა, ხელთნაწერში მოქცეულია სხვა სტატიებიც, რომელთაც ჩვენ ქვემოთ მოვიხსენიებთ. ხელთნაწერი გადაწერილია 1813 წელს, მაგრამ ზოგიერთი შენიშვნები აშიებზე 1814 წელს არის დაწერილი სხვა მელნით. სათაურათ აწერია: „ისტორია გეორგიისა ანუ ყოვლისა საქართველომასა ქმნილი ვახუშტის მიერ ბაგრატიონისა, ძისა ვახტანგ მეფისა“. რიგი სტატიებისა ჩვენ ხელთნაწერში ასეთია:

1. ტომობა და ჰშთამომავლობა ქართველთა ნოეს ძის იაფგთის თესლისაგან, ვიდრე ქართლოსისა და ძმათა მისთამდე

და განყოფილებანი მათნი და ძეთა მათთა. აწ ზნეთათჳს ვიწყით ძჳსლიდან ახლამდე საქართჳსლომსათა 1)... (გვ. 1—21=ბროსეს გამოცემა ვახუშტის გეოგრაფიისა, გვ. 1—52).

ამით იწყება ტექსტი ჩვენი ხელთნაწერისა, რომელიც შეიცავს ზნეთა და ჩვეულებათა აღწერას ქართველთა, ხოლო ავტოგრაფში ვახუშტისა, რომელიც სამეცნიერო აკადემიის აზიურს მუზეუმშია დაცული, ამ ტექსტს მიუძღვის მცირეოდენი წინასიტყვაობა, რომელიც გარდა ავტოგრაფისა, სხვა ხელთნაწერებში არ არის (იხ. გეოგრაფია ვახუშტისა ბროსეს გამ. გვ. 1—4).

2. აღწერა სამეფოსა საქართჳსლომსა (23—29=ბროსეს გამ. გეოგრაფ. 52—66).

3. ძველი ისტორია საქართჳსლომსა 1469 წლამდე (გვ. 29—222=ბაქრაძის გამოცემა.)

თამარ მეფის ისტორიაში მოყვანილია გარდა რუსთველის იამბიკოსა ლექსი ანტონ კათალიკოზისა თამარის შესახებ (წყობილ სიტყვაობიდან) და შემდეგ შესხმა თამარ მეფისა თქმული დავით რეკტორის მიერ. შეიცავს სულ 30 ტაგვს.

4. უწყებულება მკითხველთათჳს (225—235=ქარ. ცხ. ტ. II, გვ. 10).

5. აღწერა აწინდელისა ქართლისა საზღურით. ითით, მდინარეებით და ადგილებით და მას შინა შენებულებათა (გვ. 239—293=ბროსეს გამ. გეოგრაფ. ვახუშტისა გვ. 134—278).

6. შემდგომად განყოფისა სამეფოსა სამ სამეფოდ და ხუთ სამთავროდ: ცხოვრება ზე ქმნულება მეფეთა ქართლისათა (297—400=ქარ. ცხ. ტ. II, გვ. 11—94).

აქ შედარებით ჩუბინოვის გამოცემასთან (ქართ. ცხ. მეორე ტომი) მინატებულია ჩვენს ხელთნაწერში:

ამასვე ქორონიკოსა (1744 წ.), აგვისტოს 11-ს, მოკლე კათოლიკოსი ნიკოლაოს ხერხეულიძე მახვლითა უღმრთოსა თაზიშვილის ტარიელისაგან და დასტუს კათალიკოსად ანტონი, ძე მეფის იესესი, რომელი იყო პირველ ქუთათელ მიტროპოლიტად, და ზიძამან თვსმან მეფემან ამან თეიმურაზ და ძემან ამის მეფის თეიმურაზისამან, მეფემან კახეთისამან ერეკლემ, ორთავე მისცეს კათოლიკოსობა და ნება ჰსცა შაჰნადირმან-ცა. ხოლო წელსა ქეს 1745, ქართულსა 433, იცხო მეფედ ცხებულობით თეიმურაზმან ოკტომბერს 1 მცხეთას, რომელსაცა ჰსცხო და აკურთხა გზრგვნოსნებით დისწულმან თვსმან კათალიკოს-არხიეპისკოპოსმან მეფას ძემ ანტონი დავითიან ბაგრატიონმან თან-კმაყოფათა ქართლისა და კახეთისა ეპისკოპოს წარჩინებულთათა.“

ამას შემდეგ მოყვანილია ის შენიშვნა, რომელიც გვამცნევს, რომ ისტორია ქართლისა ვახტანგს ეკეთებინა და ვახუშტის დაესრულებინაო.

7. აღწერა ტერეთისა, კახეთისა და კუხეთისა, კჭალად თუშეთისა და დიდოეთისა (402—423=ბროსეს გამ. გეოგრაფ. 282—333). ბროსეს გამოცემაში ამ სტატიის ფრაზა თავდება ასე: „ხოლო წელსა ქრისტესსა 917, ქართულსა 137, მოიხსენებენ სახელი ადარნასე პატრიკისა და ძისა მისისა, დინარ დედოფლის ქმრისა, და ძისა მათისა იშხანიკისა, რომელნიცა აღესწერეთ რიგოვანად თვის რიგსა ზედა.“ ჩვენს ხელთ-ნაწერში უკანასკნელი ფრაზა ამ აღგილისა ასე იკითხება: **რომელნიცა აღესწერათ რიგოვანად თვს თვსთა რაგთა ზედა, უკეთუ ენებოთ ღმერთსა. პირველი ფრაზიდან გამოდის, რომ ისტორია კახეთისა წინეთ დაუწერია ვახუშტის და გეოგრაფია შემდეგ, ხოლო ჩვენი ხელთნაწერის მიხედვით უმალ დაწერილია გეოგრაფია და შემდეგ ისტორია.**

8. ისტორია კახეთისა ძველის დროიდან 1744 წლამდე (გვ. 426—487=ქართ. ცხ. ტ. II, გვ. 96—145). ისტორია



- შეიცავს თავებს: მთავართა ზუს კახეთისათა (გვ. 426—430), აღმოჩენა და დაპყრობა აწინდელთა მეპატრონეთა კახეთისათა (431—433), ცხოვრება მეფეთათჳს კახეთისათა (436—487).
9. აღწერა აწინდელისა ოსეთისა ანუ კავკასიათა შინათა (გვ. 490—504=ბროსეს გამ. გეოგრაფ. ვახ. გვ. 424—460).
  10. აღწერა საჩინოთა ადგილთა სამცხე-საათაბაგოსთა (გვ. 507—531=გეოგრაფ. აღწ. ბროს. გვ. 70—130).
  11. ცხოვრება (ანუ ისტორია) სამცხე-კლარჯეთისა (გვ. 533—569=ქართ. ცხ. ტ. II, გვ. 146—176).
  12. აღწერა ეგრისის ქუცყანისა, რომელ არს აფხაზეთ იმერეთისა (გვ. 571—604=ბროს. გვ. 336—420).
  13. ცხოვრება ეგრისა ანუ აფხაზეთ-იმერეთისა (გვ. 607—673=ქართ. ცხ. 177—236).
  14. ქორონიკონები 1201 წლიდან 1753 წლამდე (გვ. 677—700=ქართ. ცხ. II, გვ. 237—258).
  15. სინხრონიული ტაბლიცები სხვა და სხვა სახელმწიფოს მეფეთა და მათ შორის ქართველებისაც (708—741).
  16. აღწერა სოფლის სახელთა (747—765).
  17. სია ფშავ-ხევსურთ სოფელთა, რომელნიც ვახუშტის გეოგრაფიაში მოხსენებულნი არ არიან და დავით რეკტორს შეუდგენია (767—768). მოგვყავს აქ ეს სია:

ძეთილშობილი ალექსის ძე რეკტორი დავით მისს უგანათლებულესობას, საქართველოს მეფის გიორგის ძეს, ბატონისშვილს დავითს ფშავსა და კევსურეთს ვახლდი წელსა (1800), ქკს უოლ<sup>1</sup>), ამას რიცხუსაშინა, დიდ-შეუვალი ღ საჭირო გზა ყოფი-

1) დედანში ფრჩხილებში რიცხვი არ უწერია, ქორონიკონი სწერია არშიახე და უდრის 1800 წელს.

ლა კაცთათვის საელოდ. მომავლად იგი სიტყვა, რომელი ჰსწერს კვტოს კურციოს ალექსანდრე დიდის ისტორიასა შინა ალექსანდრე მაკედონელისათვის, ვითარმედ „შევიდოდით ჩრდილოთ კერძო კლდეთა ფრიად იწროთა და მიუვალთა კაცთაგან და დავითარვოდით ნაპრალთა და დანახეთათა კლდისათა და მოგვეგებოდიან კაცნი ფრიად ველურ-ქმნილნი“. მუნ ყოფასა ჩემსა, რაოდენიცა ფშავსა ანუ სრულიად კვესურეთსა შინა სოფელნი თვალთა ჩემითა ვიხილე, მათ სოფელთა სახელნი თვითოეულად ამის უკუტ ქართლის ისტორიისა ბოლოს აღვჰსწერე: რადგან ამ ქართლის ცხოვრების აღწერასა შინა ქართლსა და კახეთში რაც სოფელია, შენი თუ უშენი, ყოველივე ეწერა, და ფშავ-კვესურისა კი არ ეწერა, მე დავჰსწერე, ვინც ნახოთ მეც მომიგონეთ. საქართველოს თავადთა და ახანურთა და ერთათვის მართებულთა, რომ იცოდენ. ფშავსა და ან კვესურეთს რამდენი სოფელია და ან სახელი რა ეწოდება, სრულიად ეს არის.

ფშავის ხეგის სოფელნი ესენი არიან:

უკან-ფშავი!	ა	მუქუ.	ბ	აგრეთვე ფშავსა ზ ხე-
ახალი.	ბ	გოგოლაურთი.	თ	სურს შუა არის სოფე-
წითელაურთა.	გ	ცაბაურთა	ი	ლი. ფშავნი ზ ხევესურნი
ხოშარა.	ე	უშილაურთა.	ია	ორნივე ცილობენ, არა
წიხო.	ვ	შუაფხო.	იბ	ჩვენია, არა ჩვენიაო. სა-
მათურა.	ზ 1)			ხელად ეწოდების: აკუ-
				შა.

*აქატი  
ქამის  
ჩიხი*

ხეგსურეთის სოფელნი ესენი არიან:

- |              |    |               |                 |
|--------------|----|---------------|-----------------|
| 1. უკანხადუ. | 13 | 5. ბაცალიგო.  | 9. როშკა.       |
| 2. წინხადე.  |    | 6. ატაბე.     | 10. ქმოსტი.     |
| 3. ზეისტეჩო. | 12 | 7. ბლო.       | 11. გუდანი.     |
| 4. ხიტალე.   |    | 8. ხორნაულთა. | 12. კორმეშიონი. |

1) ამ რიცხვებს ჩვენ ისე ვტოვებთ, როგორც დედანშია. როგორც ზედავს მკითხველი, ავტორს რიცხვი „დ“ გამოუშვია.

*1753-ის ფშავი*

*2) აქ უკან ხეგსურეთის ხეგსურეთის ფშავისა და სოფ. ხორნაულთის ფშავისა და სოფ. ხორნაულთის.*

კ. ხაჩიძე  
18. კათალიკოსის სამწყსო ზემო ქართლს, ანუ სამცხე-სა-ათაბაგოს (769-772). ეს წერილი სხვა ხელთ-ნაწერებიდან მოყვანილია ბ. ბაქრაძის მიერ მის გურია-აჭარაში არხეოლოგიურს მოგზაურობაში, (გვ. 79-82), მაგრამ დავით რექტორის მიერ გადმოწერილი ტექსტი ვარიანტს წარმოადგენს და უფრო ადრეა გადმოწერილი ნამდვილიდან, ვიდრე დაბეჭდილი. ამას გარდა თვით დავით რექტორის მოწმობა, რომ იგი გადმოწერილია „დიად ძველის წერილიდან“, ჩვენთვის უმნიშვნელო არ არის. ამ წერილს ჩვენ აქ მოვიყვანთ:  
მისის უწმიდესობის ენა ზემოაქსა საქართუჭლეს კათალიკოს-პატრიარქისა არს ზემო ქართლს, (რომელ არს სამცხესათაბაგო), სამწყსოდ თავადნი და სოფელნი:  
გაგვასამე მისის მამულითა: პარხალი\*) მისითა შესავალითა და აზნაურუვილებითა, საყმოდ და სამწყსოდ.  
სამპიფარა 1) მისითა სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკლესიითა.  
გაგებაშვილსა ჰყავს ბუნბულისძენი მათითითა სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკლესიითა 2).

- |               |              |             |
|---------------|--------------|-------------|
| 13. ხახმატი   | 21. მოწმოო.  | 26. არლოტი. |
| 14. ლული      | სადედაფლო    | 27. მიცუ.   |
| 15. ლიქოკი.   | სოფლები:     | ანხეციანის  |
| 16. ოხერხევი. |              | სოფლები:    |
| 17. უკანახო.  | 22. კისტანი. | 28. ამლა.   |
| 18. წინახო.   | 23. გურო.    | 29. ახიელი. |
| 19. გველეთი.  | 24. შატილი.  | 30. კიმლა.  |
| 20. დათვისი.  | 25. ხახაბო.  |             |

18. კათალიკოსის სამწყსო ზემო ქართლს, ანუ სამცხე-სა-ათაბაგოს (769-772). ეს წერილი სხვა ხელთ-ნაწერებიდან მოყვანილია ბ. ბაქრაძის მიერ მის გურია-აჭარაში არხეოლოგიურს მოგზაურობაში, (გვ. 79-82), მაგრამ დავით რექტორის მიერ გადმოწერილი ტექსტი ვარიანტს წარმოადგენს და უფრო ადრეა გადმოწერილი ნამდვილიდან, ვიდრე დაბეჭდილი. ამას გარდა თვით დავით რექტორის მოწმობა, რომ იგი გადმოწერილია „დიად ძველის წერილიდან“, ჩვენთვის უმნიშვნელო არ არის. ამ წერილს ჩვენ აქ მოვიყვანთ:

მისის უწმიდესობის ენა ზემოაქსა საქართუჭლეს კათალიკოს-პატრიარქისა არს ზემო ქართლს, (რომელ არს სამცხესათაბაგო), სამწყსოდ თავადნი და სოფელნი:

გაგვასამე მისის მამულითა: პარხალი\*) მისითა შესავალითა და აზნაურუვილებითა, საყმოდ და სამწყსოდ.

სამპიფარა 1) მისითა სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკლესიითა.

გაგებაშვილსა ჰყავს ბუნბულისძენი მათითითა სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკლესიითა 2).

\*) დედანში „პრხანი“ სწერია.  
1) ჩვენს დედანში სწერია „სამძიმარი“.  
2) ეს პარაკრაფი ზოგიერთ ვარიანტში არ არის.

1) ენა ზემოაქსა საქართუჭლეს კათალიკოს-პატრიარქისა არს ზემო ქართლს, (რომელ არს სამცხესათაბაგო), სამწყსოდ თავადნი და სოფელნი:  
2) მამულითა

აგაღისშვილთა და სლესელთა<sup>1)</sup> აქვს ლოგიოზისძენი<sup>2)</sup> სასაფლაოთა და მონასტრითა და კარის ეკკლესიითა.

ლასუდისძეთა აქვს კერკემელისძე სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკკლესიითა.

თაქთადისძეს აქვს ჩორჩანელი სასაფლაოთა და მონასტრითა და კარის ეკკლესიითა.

ერდისიავისა ერდისთავი ხუჯარსძეს აქვს ლობიერნი<sup>3)</sup> სასაფლაოთა და მონასტრითა და კარის ეკკლესიითა.

დასასამიკთა აქვსთ აბუსერის ძენი<sup>4)</sup> სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკკლესიითა.

ბაგდას ძენი სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკკლესიითა.

ლადაღისშვილთა აქვს ოთარაი სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკკლესიითა.

შალიკასშვილთა აქვს სერთვისარნი<sup>5)</sup> სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკკლესიითა.

ქამქამისძის ეულზედ არიან: ამატკავანთა აქვს თმოგველნი სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკკლესიითა.

შალიკასშვილთა ელისბაალს და იოთამს აქვს ბულაადა რასშვილნი სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკკლესიითა.

ჭრჩეულძანთა და ფარადანთა<sup>6)</sup> აქვს ასპანისძენი<sup>7)</sup> სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკკლესიითა.

სფარიდღანსა აქვს კალმახელი სასაფლაოთი, მონასტრითა და კარის ეკკლესიითა.

უზნასძეთა აქვს დუკასძენი სასაფლაოთი, მონასტრითა და კარის ეკკლესიითა.

1) ბაქრაძის გამოცემაში: სლესართა.

2) ბაქრაძე: ლონგისძენი.

3) ბაქრაძე: ერისთავთა ერისთავსა ხურსისძესა აქვს ლობიერნი.

4) დედანში სწერია: აბუსერისძენი.

5) ბაქრაძე: ხერთვისარნი.

6) ბაქრაძე: ფროდიანთა.

7) ბაქრაძე: ასპინძისძენი.

ქანასკეტელნი სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკლესიითა<sup>1)</sup>.

საზასაღანნი<sup>2)</sup> სანითა სასაფლაოთი, მონასტრებითა და კარის ეკლესიითა.

სახულანნი სასაფლაოთი, მონასტრითა და კარის ეკლესიითა.

ანძველნი<sup>3)</sup> სასაფლაოთი, მონასტრითა და კარის ეკლესიითა.

კაზასქენი სასაფლაოთი, მონასტრითა და კარის ეკლესიითა.

თუხანკელნი სასაფლაოთი, მონასტრითა და კარის ეკლესიითა.

მონასტრნი ოშვი<sup>4)</sup> მისითა შესავალითა.

დიდი და პატიოსანი ფაშაის მონასტერი მისითა შესავალითა და ეკლესიის შვილებითა უნაკლულოდ.

სამცხე-საათაბაგოს მღუღელ-მთაგანნი და მწვემსნი ანაინ<sup>5)</sup>

1. მაწეუჭტელი გვრგვინს ბისონიანი არის. იმისა სამწყსო: ყვიბის კორტანეთს შუა რომ წყარო ჰსდის, იმას ზეით ხეობა და სადგერი სრულად, აწყვერი, დიასამიძის სახლი, ახალციხე და ახალციხის წყალს ვაღმართი, გურიის წადგომამდის.

2. კუჭურდოელის სამწყსო: ხერთვისის ზეით სულ ჯავეხეთი ხავეთამდის<sup>6)</sup>.

3. იშხანელის სამწყსო: გურჯი-ბოლახს აქეთა, სულ თორთომი, ტაოსკარს ქვემოთი, არტანუჯისთავს საკრულავი ჰქვიან, იმას აქეთი, ვაღმით ორჯოხის მთას აქეთა, სულ საკავასიო, ისპირ-ტრაპიზონის მთას გარდმოღმა.

4. ანჩელის სამწყსო სამს-წყალს აქეთი ზანცხას<sup>7)</sup> და ოპიხას შუა დახატულა. იმას ქვემოთი ნიგალის-ხევი, ვაღმა ვაღმართი, გონიის სამზღურამდის.

1) ეს პარაგრაფი ჩვენს დედანში გამოშვებულია. ბაქრადისაში არის.  
2) ბაქრადე: სპასა ლარნი.  
3) ბაქრადე: ანძველნი.  
4) ბაქრადე „მონასტრიოშვილი.“ უნდა ყოფილიყა ჩვენი აზრით: მ-ა ნასტერი ოშვი ანუ ეოშნი.  
5) ეს სათაური ჩვენს დედანში არ არის.  
6) ბაქრადე: ჩვენამდის.  
7) ბაქრადე: ზანცხას.

*სამცხე-საათაბაგოს მღუღელ-მთაგანნი და მწვემსნი ანაინ*  
x) რ. ბაქრადე სძუხს: კობინს მონასტრის ძეგლს ზვიდ მწვერულში მონასტრის ქილა  
ქილი ეწყვილი ვაღმითა ზეითა, ხომალს მას ზეითა მონასტრის (ვაღმითა  
მის იქ. მ. 125 მ. 1). ეს იქ ეწყვილი, ხომალს მას ზეითა ვაღმითა თუ ვაღმითა  
მ-ა მონასტრისაში და სხვა მთა ვაღმითა ვაღმითა მწვერულს აქეთა  
რ. 125.

✓ 5. მტკვარის სამწყსო: დახატულას ზედათი, ანაკერტს აქეთი სულა, შავშეთი მიქიხიანათ, უწმინდესის კათალიკოზის, იმ ქვეყნის ეპისკოპოზის იასაულიც ის ყოფილა, აქარა დანდოლას ზეითი იმისია, დანდოლას ქვემოთი აქარა ქუთათლისა არის.

✓ 6. წურწყაბლას სამწყსო: ხერსიძის სახლი, სულა ბოტოტ-კევი ხერთვისსა ქვევით იმისია.

*გოთაჯა*

✓ 7. წყაროს-თაგელის სამწყსო: ზავეთი<sup>1)</sup> და იმას ზეით პალაკაციო კოლას სამზღურამდი, მტკვარს აქეთი არტანი<sup>2)</sup>.

✓ 8. ერუშნელის სამწყსო: ტლაოშს<sup>3)</sup> ზეითი, სულ არტანი კოლის სამზღურამდი.

? 9. ვალაშკერტელის სამწყსო: ყალზევანს<sup>4)</sup> ვალაშკერტს აქათ ზინუსი<sup>5)</sup> და დევა-ბოინს აქეთი.

? 10. ანელას სამწყსო: სულა ზარიშტიანი<sup>6)</sup> და შირაკიანი<sup>7)</sup>, და მალასბერეთი.

✓ 11. კანკელის სამწყსო: სულ კარი და კოლისა და ოლთისის სამზღურის გარდმოღმა გვაჩევანი და კალზევანი.

? 12. ბანკელის სამწყსო: სულ ზანი, ტაოს-კარი, ფანასკერტი, ჰარიზის ხეობა<sup>8)</sup>, სრულად ოლთისი, ნამურაკანი<sup>9)</sup>.

? 13. დადაშნელის სამწყსო: სრულად კოლა და ხორცევა-ნი ყარსალზედ მიდგამდის<sup>8)</sup>.

ამ ეპისკოპოსთ მაკურთხეველი და უფროსი ქართლის კათოლიკოსი არის და იმის კელთ არის ყოველივე.

ქართლის კათალიკოზისა სამცხე-საათაბაგოში რაც სამწყსო, ან თავადი ან აზნაური ჰსწერია, ან ამ საათაბაგოელთათ-სამ-მეტთა ეპისკოპოსთა სამწყსო სახელდობრივ, არც ეს ეწერა ამ გვარად ქართლის ცხოვრებაში, და მე დიად ძველის წერილიდან გარდმოვსწერე და ამ ქართლის ცხოვრების ბოლოს დავსწერეთ, ვინც წარიკითხოთ და ამისგან ისიამოვნოთ

- 1) ბაქრადე: ზევთი.
- 2) ბაქრადე: აქ არტანი.
- 3) ბაქრადე: ტლაოშოს.
- 4) ბაქრადე: ხინუსი.
- 5) ბაქრადე უმატებს: ზეითი
- 6) ჩვენს დედანში: პარიზის ხეობა.
- 7) ბაქრადე: ნამურაკანი.
- 8) ბაქრადე: ხორცევა-ნი ყარსალზედ მიდგამდის.

*ქ. ხეობა უმატებს, პარიზის ხეობა*  
*xx) არტანი და ბოინს*  
*ქ. ხეობა ნამურაკანი*

o) შახუბაჟი = ღონ Zari'sat, ხუცხუც უკანაგვერდ  
 oo) სრულად ღონ Shirakavan

და ირგოთ, მეც ლოცვით მომიხსენეთ, იუნიის 14, წელსა 1813, ხოლო ქართულსა ქორონიკონსა ზედა ფ<sup>1</sup>).

19. სია აფხაზეთის მეფეთა და საქართველოს მეფეთა დავით აღმაშენებლამდის (772—775).

**წესი და განგება კურთხევისათვის მეფისა დროსა, თუ გითარ დაჰსხდენ მღჳღუჯთ მთაგარნა ს<sup>7</sup>დ საქართუ<sup>8</sup>ლოასანი.**

მ მ

ფ მ

მემაჯუტნე:

მარტხენე:

- |   |  |
|---|--|
| <p>1. მობრძანდეს კათოლიკოსი საქართველოასა და დაჯდეს მეფისა ტახტსა ჴა მოკიდებით ნატითა და ბალიშითა.</p> <p>3. შემოვიდეს დიდის სომხეთისა მიტროპოლიტი და დაჯდეს კათოლიკოსის ქუ<sup>3</sup>პოთ ნატითა და ბალიშითა.</p> <p>5. შემოვიდეს მთავარეპისკოპოსი და დაჯდეს ნატითა და ბალიშითა.</p> <p>7. შემოვიდეს მაწყუტ<sup>4</sup>რელი და დაჯდეს ნატითა უბალიშოდ.</p> <p>9. შემოვიდეს კუმურდოელი და დაჯდეს.</p> | <p>2. მობრძანდეს კათოლიკოსი აფხაზეთისა და დაჯდეს ნატითა და ბალიშითა.<sup>2</sup>)</p> <p>4. შემოვიდეს ჳკონდიდელი და დაჯდეს ქუ<sup>3</sup>პო ამა კათოლიკოსისა ნატითა და ბალიშითა.</p> <p>6. შემოვიდეს ამა ალავერდელი და დაჯდეს ნატითა უბალიშოდ.</p> <p>8. შემოვიდეს ქისიყელი ბოდბელი და დაჯდეს უნატოდ.</p> <p>10. შემოვიდეს ნინოწმინდელი არხიმანდრიტელი(?) და დაჯდეს.</p> |
|---|--|

<sup>1</sup>) ქორონიკონი ჟგ<sup>4</sup> უდრის 1812 წელს და არა 1813-ს.

<sup>2</sup>) ეს მეორე მუხლი სრულიად გამოშვებულია სხვა ჩვენამდის მოღულის განწესებებში.



- |  |  |
|--|--|
| 11. შემოვიდეს იწხელი და დაჯდეს.                  | 12. შემოვიდეს ანჩელი არხი-მანდრიტელი (?) ჭ დაჯდეს. |
| 13. შემოვიდეს ტბამერელი <sup>1)</sup> და დაჯდეს. | 14. შემოვიდეს წურწყამელი და დაჯდეს.                |
| 15. შემოვიდეს წყაროს-თაველი და დაჯდეს.           | 16. შემოვიდეს ეარუმნელი <sup>2)</sup> და დაჯდეს.   |
| 17. შემოვიდეს მანგლელი და დაჯდეს.                | 18. შემოვიდეს წინ-წყაროელი და დაჯდეს.              |
| 19. შემოვიდეს რუსთაველი და დაჯდეს.               | 20. შემოვიდეს წილკნელი ჭ დაჯდეს.                   |
| 21. შემოვიდეს კაწარელი და დაჯდეს.                | 22. შემოვიდეს ურბნელი და დაჯდეს.                   |
| 23. შემოვიდეს მროველი და დაჯდეს.                 | 24. შემოვიდეს სამთავენელი ჭ დაჯდეს.                |
| 25. შემოვიდეს ნიქოზელი და დაჯდეს.                |  |

### აქა მამათ-მთავართათვის

#### მარჯუტყე.

1. შემოვიდეს ვალაშკერტელი და დაჯდეს.
3. შემოვიდეს კარელი და დაჯდეს.
5. შემოვიდეს ხარკაშნელი ჭ დაჯდეს.

#### მარცხენე.

2. შემოვიდეს ბოლნელი და დაჯდეს.
4. შემოვიდეს ანელი და დაჯდეს.
6. შემოვიდეს ტფილელი და დაჯდეს.

1) უნდა იყოს: მტბევალი.

2) უნდა იყოს ერუშნელი.



- |   |                                  |
|---|----------------------------------|
| 7. შემოვიდეს ბანელი და დაჯდეს.            | 8. შემოვიდეს წალკელი და დაჯდეს.  |
| 9. შემოვიდეს ჭერემელ-ქა ლაქისა და დაჯდეს. | 10. შემოვიდეს დბანელი და დაჯდეს. |
| 11. შემოვიდეს დადაბნელი და დაჯდეს.        | 12. შემოვიდეს გიშელი და დაჯდეს.  |

და სხუანი ყთა მონასტერთა მოძღუარნი და წინამძღუარნი მათითა წესითა დაჰსხდნენ და იქმნეს წესი ცერემონიისა გამოჩინებით სამსა უკუტს ღღესა.

მოგვყავს აქ შესადარებლად ზემო მოყვანილ განწესებისა წერა-კითხვის საზოგადოების წიგნთსმცაეის ნუსხა, რომელიც აღნიშნულია № 1492. ხოლო შესავალი მოგვყავს იმავე საზოგადოების ხელთნაწერიდან № 1612.

### ქ. წესი და განგება დარბაზისა რომელი აღესრულებას მცხეთას კუთხეგასა მეფეთასა.

შემდგომად კილობნით გამოსვლისა წარმოვიდა ძე თარზისი<sup>1)</sup>, ძის წული იაფეთისა, ნოეს შვილისა, და დაემკვიდრა ორთა მათათა შუა არარატისა და მასისისასა, ხოლო ძე მისი ქართლოს დაჯდა თავსა ქართლისასა, სადა შეერთვის არაგვი მტკუარსა, და დაიპყრა ხუნანიტგან ვიდრე ზღვადმდე სპერისა. მუნ ძემან მისმან იწყო შენებად ქალაქსა და უწოდა სახელი მისი მცხეთა. ოდეს ნაბუქოდონოსორ იელუსალიმი<sup>2)</sup> წარმოსტყუენა, მუნით ოტებულნი ჰურიანი მოვიდეს და დასხდეს მცხეთას. ხოლო აღექსანდრე მეფემან დაუტევა ქართლს ერისთავი სახელითა აზონ, და შემდგომად მისა მეფე იქნა ფარნავაზ მცხეთელი და ნათესაენი მისნი, და ჟამთა აღდგოკი მეფისათა ფარნავაზიანისათა იშვა უფალი ჩვენი იესო ქრისტე, და შემდგომად ოცდაათისა წლისა

1) უნდა იყოს: თარზისი.

2) დედანში სწერი: იალუსალიმი.

მოწერა ანა მღვდელმან და წარვიდეს ელიოზ მცხეთელი და ლონგინოზ კარსნელი და მუნ დახვდეს ჯუარცმასა უფლისასა, და ხედა წილად კუართი უფლისა ურიათა მცხეთელთა, და ეს-მა კმა სამქვეალთა დედასა ელიოზისასა, მყოფსა მცხეთასა, და გოდებდა ჰურიათათვინ და ქადაგებდა განათლებასა წარმართთასა, და შეისვენა, და მიეგება ელიოზ (ს) და მისი, და მოსცა კვართი უფლისა, რომელი სურვილით შეიტკბო, და მანცა შეისვენა. იყო ესე ნათესავისაგან ელი მღვდლისა, ხოლო ადერკი მეფესა სთნდა დიდად კუართი უფლისა, გარნა საკვირველებისა მისგან არაჲ კელყო, და დამარხა ძმამან მისმან ელიოზ და თვისი კუართითა მით ადგილსა მას, სადა იგი ენანი კაცთანი არა და-ღუმენ დიდებად ღვთისა.

### მოქცევა ქართლისა.

და შემდგომად ამალლებისა უფლისა, რაჟამს წილთ იგ-დეს მოცაქულთა, ყოვლად წმინდასა ღვთისმშობელსა წილ-ხვდა მოქცევად ქვეყანა საქართველოსა, და ნეტარვართ და სა-მგზის სანატრელ, რამეთუ სიქადულ ზვენდა არს შეწვენა წმი-ნდისა ღვთისმშობელისა, რომლისა წილხდომილნი ვართ. ქამ-თა მირიან მეფისა ნებროთიანისათა მოვიდა ნინო მოცაქული, რომელმან განანათლა ქუეყანა ქართლისა, მოვიდა ქალაქსა მცხეთას, იქმოდა სასწაულსა და კურნებათა მრავალთა, რომ-ლითა დაარწმუნა მირიან მეფესა და ნანა დედოფალსა და ყოე-ლსა ქართლსა. მაშინ სამოთხესა მას მეფისასა იხილეს, რომელ ფრინველნი უშვერითა ფრთითა განიბანიან და განსპეტაკიან, და ხეთა ზედან დასხდიან, და ყუავილსა მოისთვლებდიან, და კმითა ტკბილითა კობდიან. მაშინ გულის კმა ჰყუეს სამოთხისა მის სრულიად სამოთხედ შეცვალება და მოიღეს ძელი ქმნად კეთილად ეკლესიისა, და მოჰკეთეს ნაძვი იგი და შემზადეს შვი-დნი სვეტნი, და აღაშენეს კედელი ძელითა და შეუდგნეს მას ექვსნი სვეტნი, ხოლო სვეტი იგი უდადესი საშუალ ეკ-

ლესიისა აღმართებად ვერ შეუძლეს სიმრავლემან ერისამან მრავალ ღონებითა მანქანათა, და ფრიად უკვირდა მეფესა და მწუხარე წარვიდა, ხოლო ღამესა მას, ვითარ ილოცვიდა წმინდა ნინო, მოვიდა ჭაბუკი შემოსილი ცეცხლის ზეწარითა, აღილო სვეტი იგი და წარილო სიმაღლედ, რაჟრაჟოდენ იხილვა ჰაერით შთამომავალი ნელიად ნელიად ჩამოიცვალებდა ხარისხსა ვიდრემდის დადგა ძირსა, რომელსა მოკვეთილიყო, და ხედვიდა მეფე ყოვლისა ერისა თანა და სიხარული დიდი მეფისა და ყოვლისა ერისა, ხოლო სვეტისა მის ცხოვლისა იქმნებოდის სასწაულნი და კურნებანი მრავალნი, ხოლო მირიან მეფემან ხითა აღაშენა სამოთხესა მას შინა ეკლესია, და მაყუალთა მას ზედან ნინოსათა ეკლესია დიდი, და მოიყუანა მღვდელთ-მოძღვარი იოვანე მთაფარებისკობოზი და დადგინა ზემოსა ეკლესიასა, და განამტკიცნა სჯული ქრისტიანობისა დასაბამითგან წელთა ექვსიათას რვაას ოცდა თვრამეტსა და ქრისტეს ამალღებითგან სამას ოცდა თვრამამეტსა, ხოლო შემდგომად ჟამთა რაოდენთამე მეფე იქმნა დიდი იგი და ყოელთა მეფეთა უმეტეს სახელ განთქმული ვახტანგ გორგასალი. ამან აღმატებულმან ყოელთა მეფეთა ზედან აღაშენა ცათა ზობაძავი დიდი ესე საყდარი კათოლიკე ეკლესია და დაადგინა კათალიკოზი მთაფრად ყოვლისა ქრისტიანობისა, მთაფარ და უფალ ყოელთა ებისკოპოზთა, და ჰვიეს დასასრულამდე ჟამთა.

### კურთხევა მიწუნისა.

დიდნი შფოთნი და ამბოხებანი იქმნებოდეს ებისკოპოზთა ცილობისათეინ და ღვთივ-გვირგვინოსანმან მეფემან არჩილ არა სათნო იჩინა ამათ შფოთთა ქმნა და გვიბძანა განჩინად, ვითა ნიშანთა შეეტყუებოდა, და კელეპყავით მე გლახაკმან მიქიელ ქართლისა კათალიკოზმან და ვაკურთხე წმინდა მირონი. ოდეს მეფე, ათაბაგი, ქართლის ერისთავი, სპასალარი და ყო-

ველნი ერისთავნი და ყოელნი მღრღელოთ-მოძღვარნი შემო-  
კრბენ მცხეთას დიდსა ხუთშაბათსა, დიდსა სომხითის მიტრა-  
პოლიტსა მართებს ნივთთა ზედან დგომა, და ქვაბნი საკურთ-  
ხეველთათ გამოიხზნენ, მიტრაპოლიტსა და ქადაგსა ეტვირთნენ  
კეტნი ქვაბთანი, წინათ კეტთა მიტრაპოლიტი შეუდგენ და  
უკანათა ქადაგი, თუ მწირველი იყოს თეთრითა შესამოსლითა  
შემოსილი იყოს, თუ მწირველი არ იყოს, თეთრის ატლასის  
ჩაჩი თავსა ებუროს ყუანტიზული. მეორეთა ქვაბთა მთავარ-  
ებისკოპოზი ქვეშე შეუდგეს და წინა მივიდოდეს და უკანათა  
კეტთა მაწყვერელი და უკანა მთავარებისკოპოზი მიჰყუებოდეს,  
და რა უამს განაზავებდენ ტაკუკსა, ტაკუკი მაწყვერელს ეტ-  
ვირთოს და ყოელთა ებისკოპოზთა თითო კოკა მირონისა  
ეტვირთოს, და კეროვნები სვეტსა ცხოველსა გარემოადგენ  
და კათოლიკე ეკლესისა გალობასა გალობდენ<sup>1)</sup>).

### აღსავალითაჲს სამღჳდელ-მთავროთა საყდართა:

განწესება სასაყდრო აღსავალითი განწესებულ არს აღრით-  
განვე ძველთა მეფეთა და მამათ მთავართაგან ყოვლისა საქარ-  
თუტლო. მსათა და ამით სახითა წერილ არს ძველთა განჩინე-  
ბათა შინა მეფეთა გვრგვონან ყოფისა დარბაზობისათა.

რაჟამს იკურთხოს მეფე და დასჯდეს ტახტსა ზედა და  
ეპისკოპოსნი ამა წესითა დასხდენ:

1. ბრძანოს სრულიად საქართველოჲსა კათალიკოსმან და  
დაჰსჯდეს მარჯვენით მეფისა ტახტსა ზედა მოკიდებით ნა-  
ტითა და ბალიშითა.
2. შემოვიდეს ჰყონდიდელი და დაჰსჯდეს მარცხენით მე-  
ფისა ნატითა და ბალიშითა.
3. შემოვიდეს დიდის სომხითისა მიტრაპოლიტი და დაჰსჯ-  
დეს კათოლიკოსსა ქუცპოდ ნატითა და ბალიშითა.

<sup>1)</sup> ეს შესავალი ამოღებულია მეფორამეტე საუკუნის ხელთნაწერიდან,  
რომელიც წერა-კითხვის საზოგადოებას ეკუთვნის, № 1612.

4. შემოვიდეს მთავარ-ეპისკოპოსი და დაჰსჯდეს მიტროპოლიტის ქჷსმოდ ნატითა და ბალიშითა.
5. შემოვიდეს მაწყჷტრელი და დაჰსჯდეს მთავარეპისკოპოსსა ქჷსმოდ ნატითა და ბალიშითა.
6. შემოვიდეს აბბა<sup>1)</sup> ალავერდელი და დაჰსჯდეს ჟყონდიდელს ქჷსმოდ ნატითა უბალიშოდ.
7. შემოვის ქისიყელი და დაჰსჯდეს აბბა ალავერდელს ქჷსმოდ უნატოდ.
8. შემოვიდეს კუმურდოელი და დაჰსჯდეს ქისიყელს ქჷსმოდ.
9. შემოვიდეს ნინოწმიდელი არხიმანდრიტელი და დაჰსჯდეს ქისიყელს ქჷსმოდ<sup>2)</sup>.
10. შემოვიდეს იშხნელი და დაჰსჯდეს კუმურდოელს ქჷსმოდ<sup>3)</sup>.
11. შემოვიდეს ანჩელი არხიმანდრიტი და დაჯდეს ნინოწმიდელს ქჷსმოდ.
12. შემოვიდეს მტბეგარი და დაჰსჯდეს ანჩელსა ქჷსმოდ.
13. შემოვიდეს წურწყაბელი და დაჰსჯდეს მტბეგარს ქჷსმოდ.
14. შემოვიდეს წყაროსთველი და დაჰსჯდეს წურწყაბელსა ქჷსმოდ.
15. შემოვიდეს ერუშნელი და დაჯდეს წყაროსთველსა ქჷსმოდ.
16. შემოვიდეს მანგლელი და დაჯდეს ერუშნელსა ქჷსმოდ.
17. შემოვიდეს წინ-წყაროელი და დაჯდეს მანგლელსა ქჷსმოდ.
18. შემოვიდეს რუსთველი და დაჯდეს წინ-წყაროელსა ქჷსმოდ.
19. შემოვიდეს წილკნელი და დაჯდეს რუსთველსა ქჷსმოდ.

1) № 1612 აბბა.

2) ეს პარაგრაფი გამოტოვებულია 1612.

3) ამას ქვემოდ აკლია № 1612.

20. შემოვიდეს კაწარელი და დაჯდეს წილკნელსა ქუცმოდ.
21. შემოვიდეს ურბნელი და დაჯდეს კაწარელსა ქუცმოდ.
22. შემოვიდეს მროველი და დაჯდეს ურბნელსა ქუცმოდ.
23. შემოვიდეს სამთაენელი და დაჯდეს მროველსა ქუცმოდ.
24. შემოვიდეს ნიქოზელი და დაჯდეს სამთაენელსა ქუცმოდ.
25. შემოვიდეს ვალაშკერტელი და დაჯდეს ნიქოზელსა ქუცმოდ.
26. შემოვიდეს ბოლნელი და დაჯდეს ვალაშკერტელსა ქუცმოდ.
27. შემოვიდეს ანელი და დაჯდეს ბოლნელსა ქუცმოდ.
28. შემოვიდეს კარელი და დაჯდეს ანელსა ქუცმოდ.
29. შემოვიდეს ხარკაშნელი და დაჯდეს კარელსა ქუცმოდ.
30. შემოვიდეს ტფილელი და დაჯდეს ხარკაშნელსა ქუცმოდ.
31. შემოვიდეს წალკელი და დაჯდეს ტფილელსა ქუცმოდ.
32. შემოვიდეს ბანელი და დაჯდეს წალკელსა ქუცმოდ.
33. შემოვიდეს ქერემ ქალაქელი და დაჯდეს ბანელსა ქუცმოდ.
34. შემოვიდეს ღმანელი და დაჯდეს ქერემ ქალაქელსა ქუცმოდ.
35. შემოვიდეს დადაბნელი და დაჯდეს ღმანელსა ქუცმოდ.
36. შემოვიდეს გიშელი და დაჯდეს დადაბნელსა ქუცმოდ.

მეფე ირაკლი II და კათალიკოზს ანტონ I ეს განწესება, შეუცვლიათ და ამის შესახებ არსებობს შექდები განჩინება, რომელიც ეკუთვნის წერა-კითხვის საზოგადოებას და აღნიშნულია იმავე № 1492.

გამოვიძინით ჩუტნ (ჩნ) და ძამან ჩუტნმან (ჩნმან) ყოვლისა ზემოასა საქართუბლოასა მამათ-მთავარმან ანტონი და განვიხილენით განწესებანი წინაპართა ყოვლისა საქართუბლოასა მეფეთა და მამათ-მთავართანი და განჩინებათა შინა მათთა ვპოვენით საყდარი ყოვლად სამღუდელლოასა ნინო-წმინდელ მღუდელ-მთავრისა არხიმანდრიტელისა ესე გუარ:

„რაჟამს იკურთხოს მეფე და დაჰსჯდეს ტახტსა ზედა და  
„ეპისკოპოსნი ამა წესითა დაჰსხდენ:

„ბრძანოს ქართლისა კათოლიკოსმან და დაჰსჯდეს მარ-  
„ჯვენით მეფისა ტახტსა ზედა მოკიდებით ნატითა და ბალი-  
„შითა.

„შემოვიდეს ჭყონდიდელი და დასჯდეს მარცხენით მეფი-  
„სა ნატითა და ბალიშითა.

„შემოვიდეს დიდის სომხითის მიტროპოლიტი და დასჯ-  
„დეს კათოლიკოსსა ქუტსმოდ ნატითა და ბალიშითა.

„შემოვიდეს მთავარ-ეპისკოპოსი და დასჯდეს მიტროპო-  
„ლიტის ქუტსმოდ ნატითა და ბალიშითა.

„შემოვიდეს მაწყურელი და დაჰსჯდეს მთავარ-ეპისკო-  
„პოსსა ქუტსმოდ ნატითა და ბალიშითა.

„შემოვიდეს აბბა ალავერდელი და დაჰსჯდეს ჭყონდი-  
„დელს ქუტსმოდ ნატითა და უბალიშოდ.

„შემოვიდეს ქისიყელი და დაჰსჯდეს აბბა ალავერდელს.  
„ქუტსმოდ უნატოდ.

„შემოვიდეს კუმურდოელი და დასჯდეს ქისიყელს ქუტ-  
„მოდ.

„შემოვიდეს ნინო-წმიდელი არხიმანდრიტელი და დაჰსჯ-  
„დეს ქისიყელს ქუტსმოდ:

„განწესება ესე სასაყდრო აღსავალითი განწესებულ არს  
„ქუტსლთა მეფეთა და მამათ მთავართაგან ყოვლისა საქართუ-  
„ლოჲსათა და ამით სახითა წერალ არს განჩინებათა შინა მე-  
„ფეთა გვრგვონსან ყოფისა დარბაზობისათა.

ხოლო ოდეს იგი ღირსად სანატრელ-კსენებული მამა-  
„ჩუტნი (ჩნი) ცხებულ იქმნა და გვრგვონსან მეფობითსა საყ-  
„დარსა ზედა საქართუტლოისასა, წელიწადსა 1745, თთჳსა.  
„ოკდომბერსა 1, მაშინ პალატსა შინა სამეფოსა დასხდეს შემ-  
„დგომად მილოცვისა სამეფოჲსა ეპისკოპოსნი ესრეთ: დაჰსჯდა-  
„ყოვლისა ზემოჲსა საქართუტლოჲსა მამათ-მთავარი ანტონი  
„მარჯუტსნით მეფისა დიდებითა შესაბამითა.

ხოლო ვინაჲთგან არცა სამეგრელოჲსა და იმერეთისა ეპისკოპოსნი და არცაღა მესხნი იყუნეს მუნ სხუა და სხუათა მიერ მიზეზთა, და საყდარიცა სომხითისა მიტროპოლიისა მოშლილ-იყო ძტულოთაძტუს, და განეჩინათ ყოველი პატივი სომხითისა მიტროპოლიტისა აბბა ალავერდელისად, დაჯდა მარცხენით მეფისა აბბა ალავერდელი, ყოვლად სამღუდელო ნიკოლოზს ენდრონიკაშვილი, სომხითისა მიტროპოლიტისა პატივისა ღირს-ქმნილი მეფისა ლეონ პირტულისა მიერ, ადგილსა ჭყონდიდელისასა მარცხენით მეფისა. შემოვიდა და დაჯდა ქისიყელი ყოვლად სამღუდელო მიტროპოლიტი ონოფრი ენდრონიკაშვილი, და დაჯდა აბბა ალავერდელს ქტუპოდ. შემოვიდა და დაჯდა თვთ ყოვლად სამღუდელო ესე ნინო-წმინდელი საბა ქისიყელს ქტუპოდ.

აწ სადამე ჩტუნ (ჩნ) ირაკლი მეორემან ყოვლისა საქართუტლოჲსა მეფემან და ყოვლისა ზემოჲსა საქართველოჲსა მამათ-მთავარმან ანტონი ძტული უკუტ ესე განწესებაჲ ვიპყართ უცუტალებლად და მივეცით ნინო-წმიდელსა მღუდელ-მთავარსა ადგილი კრებასა შინა დკომისა ანუ ჯდომისა უზემოეს მანგლელისა, რუსთველისა, წალკელისა და, თუ სადამე იქმნეს განახლებაჲ კაწარელისა სავისკოპოსოჲსა საყდრისა, და ურბნელისა, და პროველისა, ნეკრესელისა, სამთავნელისა, ნიქოზელისა, და თუ სადამე იქმნეს განახლებაჲ ბოლნელისა სავისკოპოსოჲსა საყდრისა, და კუალად (კდ) ევ სახედ ხარჭანელისაცა, რომელი მოშლილ არს დღეს, ევ სახედ წალკელისაცა და დმანელისა საყდართა, რომელნიცა მოშლილ არიან დღეს. და გიშელისათა, რომელი აღრიდგან მოშლილ არს, მით რამეთუ ამათ ყოველთა ზემოკსენებულთა ეპისკოპოსთა და თვთ ტფილელთადაცა უზემოეს აქუნდა ადგილი კრებასა შინა ყოვლად სამღუდელოსა ნინო-წმიდელსა, ვითარ იგი წერილ არს განჩინებასა შინა მეფეთა გვრგვინოსან ყოფისა დარბაზობისათა.

ტფალელი უკუტ განჩინებასა მას შინა სამეფოსა ფრიად ქტუპორე დგებოდის, ანუ ჯდებოდის კრებასა შინა, ამისთჳს რომელ სამეფო ქალაქი არა იყო ტფალისი დროთა მათ შინა,



არამედ ნისანი და ქუთათისი. ხოლო ვინაჲთგან მოშლილ აქმნა ნისანი და სხუა სამეფო იქნა ქუთათისი, ტფილისი უკუტ ჰქმნეს მეფეთა ქალაქად სამეფოდ ქართლისა, რომლისათჳს პაპამან ჩუტნმან ირაკლი პირუტლომან ყოვლად სამღუდელო დომენტი ორბელიანი, ტფილელი ეპისკოპოსი, თან დასწრებითა უწმიდესისა იოანე დიასამიძისა ყოვლისა ზემოისა საქართუტლოჲსა მამათ-მთავრისათა და შემოკრებითა ეპისკოპოსთათა მიტროპოლიტ-ჰყო და შემდგომნი მისნი ყოველნი ყოვლად-სამღუდელონი ტფილელნი. ესევე საყდარი სამიტროპოლიტო ტფილელისა ღირსად სანატრელ ჰქსენებულმან მამამან ჩუტნმან მეფემან საქართუტლოჲსამან თეიმურაზ მეორემან, ოდეს იგი ჩუტნ მეფედ კახეთისად ვიყუტნით, თანკმობითა ჩუტნითა და ყოვლისა ზემოჲსა საქართუტლოჲსა მამათ-მთავრისა ანტონისათა წელიწადსა 1749 ქუტუჲსა ქისიყელისა მიტროპოლიტისა საყდრისა ვქმენით არა უგანგებოდ. ამისთჳს შემდგომად ქისიყელისა და ტფილელისა მიტროპოლიტთა აქუნდეს ადგილი მიტროპოლიტობით ამიერითგან ყოველთა ყოვლად-სამღუდელთა ნინო-წმიდელთა, ხოლო მიტროპოლიტობისა აღსავალიცა, პატივი და ჰქსენებაჲ ამიერითგან, ამისთჳს რომელ ვინაითგან ძუტლად მეფეთაგან კარისა ჩუტნისა ეპისკოპოსად განწესებულიყო ყოვლად სამღუდელო ნინო-წმიდელი, ჩუტნ არა უშესაბამოდ ვჰსაჯეთ მიტროპოლიტ-ყოფაჲცა ყოვლად-სამღუდელთათა ნინო-წმიდელთა“.

შემდეგ ჩვენგან გასარჩევ ვახუშტის ისტორიაში მოყვანილია:

21. საქართუტლოს მესამზღურეთა ადგილთა და ჰამბავთა აღწერა (779—786). ეს სტატია დაბეჭდილია პროფესორი ცაკარლის გრამოტებში, II, გვ. 8—13, და ჩვენის აზრით უნდა ეკუთვნოდეს თვით დავით რეკტორს.

22. შემოკლებული ისტორია მეფის ირაკლის მეორისა, რომელიც ეკუთვნის ომან მდივანს (ავტორი ჩვენს ხელნაწერში არ იხსენიება). ტექსტი ამ ისტორიისა (გვ. 796—826) ზოგიერთ განსხვავებას წარმოადგენს დაბეჭდილთან შედარებით

(იხ. კრთ. ცხ. ტ. II, გვ. 475—516). სანიმუშოდ ვარიანტებისა მოგვეყავს აქ ბოლო ამ ისტორიისა:

ხოლო შრომანი და ღვაწლნი მეფის ირაკლისანი არა აღვილ შესაძლებელ იყო აღწერად, არამედ რაოდენ ძალმედტა სმენითა და მეხსიერებითა სარწმუნოთა კაცთაგან ცნობით აღვჰსწერე, რომელი მოიწია მას ზედა ჟამსა მოხუცებულებისა მისისა უბედურებითი განსაცდელი, რომელი მოვიდა ალა-მაჰმად-ხან, მაჰმად ასან-ხანის შვილი ასტრაბათელი (რომელ არს ირკანია) და ალაოხრა ქალაქი ტფილისი მოწყვეტითა და ტყვეებითა, დაწვითა, აკლებითა, გაოხრებითა, დაქცევითა და განტაცებითა. ესი იქმნა რომელ მეფე ირაკლი განუშზადებელ იყო და მოელოდა რუსეთის დენერალს ღრაფ ლუდოვიჩს მკედრობითა რუსეთისათა მაშტსლებლად თვსად, ხოლო ღრაფმან ლუდოვიჩმან აღთქმა თვისი უარჰყო და განჰსდრკა პირობისაგან. ამის უკუტ რუსეთის მკედრობისა მომლოდნემან მეფემან ირაკლი არა შეკრიბნა ქართლ-კახეთისა და მთისა ლაშქარნი და განუშზადებელსა მეფესა ირაკლის ორთა-ქალისა ბაღებთა ველსა ეკვეთა და იძღავა მეფე ირაკლი, გარნა განერა მშვდობით და წარვიდა საერისთოსა შინა არაგვსასა მცირითა რაოდენითამე ერთგულითა კაცითა. შემოვიდა ალა-მაჰმად-ხან ასტრაბათელი, შაჰნადირის ძმის-წულის აღილ-შაჰსაგან საქურის ქმნილი და იგი უქმნა ქალაქსა ტფილისს, რა იგი ზემორე ამისსა აღვსწერეთ და ტფილისი დამ წარასხა სულნი ვიდრე სამოცი ათასამდე მოწყვეტილთა და მოკლულთა კიდე. მას ჟამსა ჰყუანდენ მეომარნი ერანელნი ვიდრე ორმოცდა ათასამდე და მეფესა ირაკლის ჰყუა ხუთასამდე მეომარნი და რაოდენნიმე იმერნი და იგინიცა ავადმყოფობასა მიცემულნი, ხოლო მის ჟამისა ვითარებათა და შემდგომთა ქმნილთა საქმეთა დავიდუმებ, ვინადგან შფოთნი და წყინებანი შეუდგებიან“.

ამის შემდეგ მოყვანილი ერთი ფრაზა აქ შეუსაბამოა:

„წელსა 1760(?) ქკს უპმ(?): ამას უკუტ წელსა განძლიერდა ყაჯარი ალა-მაჰმად-ხან, მაჰმად-ასან-ხანის შვილი ასტრაბათელი“.

ტექსტს ვახუშტის ისტორიისა და გეოგრაფიისა ხშირად აქვს შენიშვნები აშიებზე დავი რეკტორისა. ეს შენიშვნები წარმოგვიდგენენ განმარტებას სიტყვისა, ადგილისა და დროსა. ხშირათ ასეთივე განმარტება დავით რეკტორს ჩაურთავს შიგ. ტექსტში და აღუნიშნია ფრჩხილებში. ზოგიერთი შენიშვნები დავით რეკტორისა, რომელნიც ეხებიან საქართველოს ძველი ისტორიის, დ. ბაქრაძეს ჩაურთავს თავის გამოცემაში, მაგრამ ჩვენ მაინც სრულათ მოვიყვანთ ამ შენიშვნებს, რათა სრული წარმოდგენა ვიქონიოთ მათზე:

**საჩანგნი** არს რაოდენთა კეთილთა უფროსი, რათა მათ მიერ ბოროტი კაცნი შეშინდნენ (17).

**ჯანიბნი** არს მარქაფი (7).

**აფიკალი**.—მოხელე (13).

**სუბუღა**, რომელ არს ნარდიონი (25).

**კოღანბუღა**—ესე კოლიმბური არს რომელსა სპარსნი „საყას“ უწოდებენ, ჰივჭავსა ზედა უმცირესია, ჭრელი და მშვენიერი, ტფილისის გარშემო წალკოტნი სავსე არიან ზამთარ და ზაფხულ, უცხოლ ჰშტვენს<sup>1)</sup> (26).

**შაბანდუხი**—ესე შაბარდუხი არს შავი ქორი (26).

**აჩაზი**—არაზი არს, რომელსა ეწოდების რახსის, მდინარეთაგანი, რომელსაცა საღმთო წერილი გეონად უწოდებს (26).

**ლოქო**. ლოქო არს სომხური, ხოლო ქართულად ეწოდების ლლაფი (27),

**საწამანთუღა**. საწარმართული არს შალვარი, გინა ნიფხავ-კვართი (29).

**მოფუ**. მოგვი არს ჩექმა (29).

**ჩანი**. ჩანი არს ყარაბალი (34).

**ხეჩკა**. ხეჩკი არს საგურამო (35).

სპარსთა მეფე იყო მას ჟამსა (აღიქსანდრე მაკედონელის დროს) დარიოს კოდომანი (36).

\*) ამ მფირვენველს გურიაში „კულუმბურს“ უწოდებენ.

და დაუტევენა (ალექსანდრე მაკედონელმა ქართლს) ლაშქარნი ეიდრე ათასნი (ვახუშტი). ხოლო სხუასა ქართლის მცირესა მათიანესა შინა ჰსწერს მემისტორიე ქართლისავე ბრძენი ორასისა მხედრისა დატევებასა ქართლად აზონითურთ, რომელიცა ესე უკვე უფროს ჭეშმარიტ არს ორასისა მკედრისა დატევება (დავით რექტორი 35).

მეორე ადგილას იმავე საგანზე:

სხვასა გამოკრებილსა ქართლის ცხოვრებასა შინა ჰსწერს ორასს იტალიელს. მხედარს ალექსანდრე მაკედონელისაგან აზონთან დატოვებულს (37).

ჟღაჯან გინა აჟღაღან.

ბეგრადი და ბივრილი ერთი და იგივე არს. მე თვით მიწაწავეს ეს თვალი, ზღვისა და ცისფერი არს (55).

ბჭწამლი არს ეკალი, ღიჭი (55).

კილაკი არს ფოლოსი ბალნისა (59).

შკედანა არს ცხენოსანი, ხოლო მკვირცხლი ქვევითი (78).

ტაჯა. ტალა არს ყარაული (73).

ოზოჯი არს შუბი გრძელი, მაგარი და პირ ფართო წამახული.

აჯგა, ამბანა და მუშკი. ალვა სუნნელი, საკმეველი, ხოლო ამბარი სუნნელი, ზღვსაგან გამოიღებენ, რომელნიმე ფუტკართა ფიტასა იტყვან, სხვანი თევზთა შავსა. ხოლო მუშკი არს ხაზარეთის ცხოველი, თახვსა ჰგავს, ხოლო აფრიკისა ცხენსა და მათის ასოთაგან არს მუშკი (80).

ფანდაკი. ფანდაკი არს მაშისა და მოგვის მალაღი ქუსლი (82).

მედრისი მელრისი არს ქადილი 48,2 იერემია; გინა მულურობა არს ლომური ზახება 11. 10. ოსც.

მაგისტრალსი ჰრომაულია, მოძღვარი, განა ოსტატი (110).

ამის უკუტე ვეათიმისა და სოსთენისა ურთიერთ არს სიტყვს გებანი, უკეთუ გნებავს თუ ვითარ იყო, წარიკითხე მარგალიტისაგან გამოკრებილი წერილი და მუნ ჰპოვებ ყოველსავე

ვრცლად ამბავთა და პირთა დაყოფასა სომეხთა სოსთენისასა  
მვთიმი გრძელისა ხახულარისაგან (102),

კატაბანა — მატყუარი თუ სატყუარი ვეფხისტყაოსანში  
იხილე (104),

ფელაგონსა ვგონებ ჯარსა ციხეს გარმოდგომილსა კარ-  
ვებით (10).

საწანგნა ესე არს რაოდენთა კეთილთა უფროსი, რათა  
მათ მიერ ბორიტნი კაცნი შეშინდნენ (111).

საწანგი — ესე არს რაოდენთამე კაცთა უფროსი, რათა  
მათ მიერ გუნდნი და გუნდნი სწორედ ვილოდენ და ბორიტნი  
კაცნი შეშინდნენ. პეტრე ყაოიბი (ეს მენიწა ეკუთვნის  
პეტრე ლარაძეს, რომელიც თავის თავს ყარიბად უწოდებს  
ხოლმე).

ჭარღეთა ვგონებ ქეჯაოსა და მოაბის მჰსგავსს რასმე  
(111).

სეგასტოსა ბერძულია, ხოლო ქართულად თაყვანის სა-  
ცემელი, ესრეთ ითქმის (111).

ქსენონა — სასნეულო სახლი (120).

სეაჯა — ქალაქი არს დღესცა ყაზანის მკარეს, პირსა ზე-  
და ედილის მდინარისასა ზემორე (128).

ყაგჩაყი არს ყაზანი და მისი სამეფო. ესენიცა სკვითნი  
არიან და რომელიცა რუსეთის ნაწილსა შინავე აზიის ადკი-  
ლია და მუნ ხალხნი არიან მოსახლენი, ყოველნივე სკვითად  
სახელდებულნი არიან (128).

სილოდა. ნ.21. გალატელთა: ესე არს მათურალისა მიერ  
ხუმრობა, მასხარაობა, ზველვა, სიმღერა, როკვა, გინა სამე-  
ძაოთა ტრფიალვებთა აღსაძრველი რამენი, გინა ლენით ცნო-  
ბის მიღებათ კმოვანება უკაფიო და უშვერი, გინა მემთვრა-  
ლეობისათვის ვალის აღება. სილოდანი იგივე, ხოლო ზველვა  
არს მოკიცხართაგან სხვის მჰსგავსად საუბარი და სხუასავით  
სლტა და სიცილი და მისთანანი. ხოლო მფრინველნიცა არიან  
მზტლაფი, ვითა ზორაყი, რომელ არს თუთი, ჩხიკვი, კაქკაქი,

ცილა-მტკაველა, რომელ არს მაიმუნი და სხვანი ეგე ვითარნი (129).

გაგარა არს არაბული ლექსი ეწოდების მარგალიტსა (136).

ქედგორაკო — წარზიდულად (137).

დახა არს არა თუ ოდენ მწუხარებისა ქონებაჲ, არამედ უძვრესიცა, რამეთუ ენებ.ას მოსპოლჳა კეთილ-მოქმედისა მის მოყუასისა (137).

ნაჭარმაგევი არს ქართლის სოფელი კარალეთი (147).

დასო არს მალნარისა და ჰკშირისა, რომელთაცა ფიხთა სახელი არს, იხალე ისაიას შინა თავსა 9, მუხლსა 18 (143).

საგიმა არს ბერდუჯის მდინარე. ესრეთ სწერენ, არამედ მე ინჯად-ალისტევი მგონია, ამით რომ ბერდუჯს არცა სამზირო აქვს და არცა ევოდენი გზა არს ტფილისილამ, რომ დიდი ჯარი შემოეყაროს (151).

დახსი არს არეზი (156).

რანი არს ყარაბალი (156).

შაში არს დამასკო (166).

კანუ - ქალაქი არს თეოდოსიპოლი (171).

სიბა არა არს ქართული ენა, სხვათა ენა არს, ხოლო დანიშნავს: ძალი მკედრობათა (173).

საბდიგანი ეჭგონებ იყოს ლექსი სპარსული: საბ — პატრონი, დვანი — სამართალი, ესე იგი სამართლის პატრონი (175).

ამის უკუტ ერინჯა ნოინისაგან ჰშთამოდინ აწინდელნი კოსტანტინუპოლის სულთანნი, რომელ არიან ხონთქარნი (176)

ჩელტი არს პრტყელი მახვილი.

ბეთლემს ეჭგონებ ბეთანიად<sup>1)</sup> (227).

ადისტეგს ეჭგონებ, რომელსა აწ უწოდებენ აღსტაფას, ყაზახსა შინა მდინარესა.

მედსაშუმანი არს საზამთრო.

შუმშულა არს დასტამბო.

1) ეს განმარტება აქვს შემდეგ ფრაზას: და ამ დიდის ბაგრატის მამა დაეით იყო, რომელსა ჰმოწმობს გუჯარი ბარათიანთა ბეთლემისა.

აბმაზ არს დიოს ვარსკულავს სახელსზედ, რომელ არს ცისა მეექვსესა სარტყელსა ზედა, რომელსა არაბნი მუშთარს უწოდებენ. ხოლო არმაზ კერპი იყო აღმართულ ქართველთაგან სახელსა ზედა დიოსისსა (264).

დააბბეჭიდა არს მესობოტამია.

შაჰნაგაზ სპარსულია, ხოლო ქართულად ითქმის ყენის შვილის შვილი.

ესე ტენედოს არს ქალაქი ტროადისა, რომელი აწ უპყრიეს ოსმალთა, ხოლო ოსმალნი უწოდებენ ამა ტენედონდს ბოღჩა-ადა. წარიკითხე ბრძოლა ტროადისა და მუნ ჰსცნობ (390).

მუსუღი ქალაქი არს, ნინევი (398)

ესე ანსენი (იყალთოელი) იყო გვარად ვაჩნაძე, იბადის ძე, კაცი ბრძენი და მეცნიერი და ელინურისა ენისა ზედმიწევნილი, აქუნდა შკოლა იყალთოს მონასტერსა და იყო მოძღუარი სამეცნიეროსა დავით აღმაშენებელისა მეფისა. უკეთუ გნებავს, დიდის ჰჯულის კანონის ბოლოს შესხმად მისწერს თავის მოწაფეს დავით აღმაშენებელს, რომლისა თავი ესრეთ არს: „ამათდა მიმართ რასა იტყუ, რასა სიბრძნისა მოყვარება“ (417).

ზატრიაკი არს ელინური ლექსი, ხოლო ქართულებრ ითქმის ერისთავთ ერისთავი (427).

— ეუტყუთა რომელსა აწ უწოდებენ სოღანლუხს (477).

ესე ალიყულიხან არს, რომელიცა შდ ნადირშაჰს სიკუდილისა დაჯდა ყაენად და იწოდა სახელად ადილშაჰად (484).

რეჩა არს ჯამაგირი (486).

ასტრახათა არს ირკანია.

ჩანი არს ყარაბაღი (490)

ზბზენი არს ტყვია (490).

ნაჯადი არს მიმშველებელი (495).

იყა არს არაყი (496)

შეინკლუბა არს აბჯართ კეთება, ესე იგი საომართა იარაღთა (496).

ზაცასში არს ეპარხოზი ტაძრისა. ხოლო ეპარხოზი არს დიდი ვეზირი (526).

ანთჯატასი არს ელინური ლექსი, ხოლო ანთჯატოსი არს მონაცულები იპატისა. ხოლო იპატოსიცა არს ელინურივე, რომელიცა არს ქართულები მეფეთა წინარე მდგომარე (536).

მაგასტრასი არს ჰრომაული ლექსი, ხოლო ეწოდების მოძღვარსა ვინა ოსტატსა (539).

ლქხუმი არს იმერთა მეფისა ტალანი, ესე იგი ღამით მცველნი დარაჯანი (577),

სვისტატაკასი არს სამოწმო უსტარი ბეკდიანი, გარნა სხვათა ენა არს (647).

ბაშბაკა—მცირე ქალაქი ბამბაკისა და ერევნის სამზღვარს შუა დარაჩიჩასა, ხოლო დარაჩიჩისა შინა გამოჩნდა მადანი ფრიად საუცხოვო მარმარილოჲსა სამფერი, თეთრი მოყვითლო და მოლურჯო, და ამავე მარმარილოჲსა მადანსა შინა მჟავე წყალი. ესე მადნის გამოჩენა იქმნა დროსა, ოდეს დაიპყრა ქართლი და კახეთი რუსთა კელმწიფემან ალექსანდრე პირველმან, ძემან პავლე პირველისამან, ხოლო ამ ჟამს ტფილისს იჯდა და განაგებდა რუსი ვინმე უპირატესობის მმართველობით ღენერალ ლეიტენანტი და კავალერი ნიკოლა ჭედორიჩი რტისრჩევი ქეს აქათ ჩეიდ, ქკს ფბ. ხოლო ამ ნიკოლას უწინარეს იყვნენ რუსეთიდან სხვა-და-სხვა წარმოვლენილნი განმგებელნი (გვერდი 242) <sup>1</sup>).

ქაშოეთის ეკკლესია გუმბათიანი აღაშენა ამილახორმან გივმან, შაჰყულიხანად წოდებულმან, ხოლო იყო უწინარეს ქაშოეთის ეკკლესია წმიდის გიორგისა მცირე, გარნა ამან გივმან მცირის ეკკლესიის მახლობელ აღაშენა დიდი ეკკლესია გუმბათიანი, მოავლო გალავანი ოთხკოშკოვანი და შეამკო ყოვლითავე შვენეირად და უნაკლულოდ (272).

---

\*) ეს შენიშვნა სხვა მელნით არის დაწერილი და ტექსტის დაწერის დროს არ უნდა ეკუთვნოდეს.



II. მეორე ხელთნაწერი ვახუშტის ისტორიისა ეკუთვნის წერა-კითხვის საზოგადოებას № 281. ხელთნაწერი in 4<sup>o</sup> პატარა ფორმატისა 20 X 16,5 სანტიმეტრი, დაწერილია თხელ, მაგრამ მტკიცე ქაღალდზე წვრილის და ლამაზის ნუსხა მხედრულის ხელით. სათაურები, ზოგიერთი სტრიქონები, სიტყვები და ასოები ნაწერია წითელის მელნით, დანარჩენი ტექსტი შავის. სათვალავი ნაჩვენებია არაბულის ციფრებით თითოეული 8 ფურცლის შემდეგ. სულ შეიცავს 37 რვეულს, ანუ 296 ფურცელს. უდა ლამაზი აქვს ხისა წითელ ტყავ გადაკრული. გადაწერილია 1774 წ. პეტერბურგში. გადამწერი არა სჩანს. სათაური წიგნისა არის: **ცომობა და ჩამომავლობა ქართველთა და ცხოვრებაჲ ჰათი, რომელ ეწოდებას წაგნსა ამას ცხოვრება ქართლისა.**

ბა ქართლისა.

ეს ვახუშტის ისტორია შეიცავს:

- 1) აღწერას საქართველოს ზნე-ჩვეულებათა.
- 2) ძველ ისტორიას საქართველოისას 1469 წლამდე, ესე იგი სამ სამეფოდ განყოფამდე.
- 3) უწყებულებას მკითხველთათვის შესახებ საქართველოს ისტორიისა განყოფას შემდეგ.
- 4) გეოგრაფიას აწინდელისა ქართლისა.
- 5) ისტორიას ქართლისა შემდგომად განყოფილებისა, ესე იგი — 1469 წლიდან 1744 წლამდე.
- 6) ტაბლიცას საქართველოს მეფეთა სახლებისა და ცხოვრებისა; თუ რომელმა რამოდენი წელი, ან როდის იმეფა, წელთ აღრიცხვა ნაჩვენებია დასაბამითგან, ქრისტეს აქეთ, ბერძულის სათვალავით და ქართული ქორონიკონით.

უკანასკნელი ფურცელი ამ წიგნისა შეადგენს ვახუშტის შემდეგ მიმატებულს ცნობებს და ამისათვის აქ მოგვყავს:

მეფე ბაქარ გ წელი იმეფა, და მეფე ვახტანგ მოვიდა სპარსეთიდან, ქრისტეს აქეთ ჩდკ, ქართულსა უწ, იმეფა ქართლს ყოფაში დ წელი, და წარვიდა რუსეთს ქრისტეს აქეთ ჩდკდ, ქართულსა უიბ.

ხოლო ოსმალთ დაიპყრეს ქართლი და ფაშები მრავალნი გამოიკვალნენ მეფეებად და ბატონებად, და აოკრებდნენ ქართლს.

ხოლო შანადირის ჟამს ხანები სხდებოდენ და უმეტესი მწუხარება და ჭირი იყო ქართლსა შინა.

ხოლო მისცა მეფეს თეიმურაზს შანადირ ქართლი, და ძესა მისსა მეფობა კახეთისა, ქრისტეს აქათ ჩდჲდ. ქართულად უღბ.

ხოლო წარვიდა რუსეთს მეფე თეიმურაზ კელმწიფეს იმპერატრიცას ელისაბედ პეტროვნის წინაშე, თვისა აპრილსა ბ, ქრისტეს აქეთ ჩდჲ, და მიიკვალა სანქტპეტერბურხს წელსა ჩდჲბ, თთვესა იანვარსა მ, და წარმოიღეს და დამარხეს ასტრახანს სობოროში.

ხოლო ძესა თჯსა მეფეს ირაკლის დაუტევა ქართლი და ჰგაეს, აღიდნეს ღმერთმან და სუფევეითმცა იყოს უკუნისამდე.

ხოლო შემდგომად უკმოქცევისა რუსეთიდან დიდის პატივით მიღებული დიდს იმპერიაში და რუსეთის ეპარხია ერწმუნა ვლადიმერისა კათალიკოზ-პატრიარხს ანტონის, მეფისძეს, და მოვიდა ძმასა მისსა მეფეს ირაკლის თანა სიყვარულითა მისითა წელსა ჩდჲდ, ქართულსა უნა.

ხოლო ცხოვრობს ქართლსა შინა თჯსა ტახტსა ზედა საპატრიარხოს მრწმუნებელი.

ამის შემდეგ სწერია:

მაღალაშვილის ნიკოლაოს მდივნის ნაწერს დედაზე ვარდავსწერე წელსა ჩდჲდ—1774, თთვესა იანვარსა კდ სანქტპეტერბურხს.

ზემოხსენებული ტაბლიცის წინ, იქ სადაც თავდება ისტორია ქართლისა განყოფის შემდეგ, მოყვანილია ტექსტისავე ხელით შემდეგი საყურადღებო შენიშნვა:

ხოლო ესე ქართლისა ცხოვრება პირველვე მეფეს ვახტანგ თვით ეკეთებინა ქართლს მყოფობასა და მერმე რუსეთს ძველთა გუჯრებთა და ცხოვრებათა და მოხუცებულ მახსოვარ მეცნიერთა საქართველოს კაცთაგან დიდის გამოკვლევით და

გამოძიებით გულის მოდგინედ ეკეთებინა<sup>1)</sup>, რომ საქართველოს ცხოვრება ნოეს შვილის იეფეთის<sup>2)</sup> ქართლოსიდამ აქამომდე, რა როგორ ყოფილა, ან მეფენი ვინა მსხდარან და ან რა ჟამები და დრონი ყოფილან, ბატონიშვილის ვახუშტის თანხლებით ეკეთებინა, და აღარ დასცალეობოდა თანამდებობისაგან სიკუდილისა. მერმე მეფე რომ ასტრახანს გარდაცვალებულ-იყო ბატონიშვილს ვახუშტის შეესრულებინა და არს აქ მეფის ირაკლისამდე, და ამას იქით რაც იქმნას ქვეყანასა ამას საქართველოსა შინა, მატრიანეთ მწერალთ აღწერონ.

ჩვენი ხელ-ნაწერი საყურადღებო ვარანტს შეადგენს და ზოგიერთ ისეთ ცნობებს გვაძლევს, რომელნიც დაბეჭდილშს არ მოიპოვებიან.

აგიღოთ თუნდ ცნობები მთარგმნელების შესახებ ბაგრატი III დროს (980—1008), ჩვენს ხელ-ნაწერში სწერია:

ამის ბაგრატიისაზე იყვნენ: წმიდა ევთიმი, მთარგმნელი წიგნისა ჩვენისა, იოანე გრძელისძე, იოანე მამა ევთიმისა, არსენი ნინოწმინდელი ეპისკოპოსი, იოანე ხახულელი და ოქროპირი, ზაქარია მირდატის ძე, ანუ შირდატისძე, ნეტარი ბერი გრიგორი, ახალი აბრამ, არსენი, გიორგი, ვასილი ბაგრატიისძე, ხახულს მყოფი, პეტრიწი ფილოსოფოსი. სწერენ კვალად ეკკლესიისა მემატრიანენი: ამ ბაგრატი მეფისათანა მოვიდა სომეხთა წინამძღვარი და სჯულის მეცნიერი მათი ქადაგებად, რათა არწმუნოს მათ სარწმუნოება მათი ქართველთა, რომელსა ეწოდა სოსთენი. ამას ვერ ვინ წინააღუდგა, არამედ გამოიკითხა მეფემან და მოიყვანა ხახულის მთავარ ეპისკოპოსთან მყოფი ევთიმი გრძელი. ესე წინააღუდგა სოსთენს და არცხვინა წერილით გამო სამ-წმიდა არსობასა და ორსა ბუნებასა ზედა ქრისტესსა, ვითარ ვერღარა სცა სოსთენ სიტყვა და წარვიდა თავისადვე<sup>3)</sup>.

<sup>1)</sup> ეს სიტყვა არ არის დ. რექტორის ვარიანტში.

<sup>2)</sup> *ibid.* იაფეთის.

<sup>3)</sup> ციციანოვის ვარიანტშიც № წბრა-კითხვის საზოგადოებისა 1457 ესეა ეს პარაგრაფი. ამას ზემოთ ციციანოვის ვარიტით ეთანხმება ბაქრაძის გამოცემას.

მთელი ზემო-მოყვანილი ადგილი წითელის მელნით არის ნაწერი და აშიაზე ასეთი შენიშვნა აქვს: „ეს წითლით ნაწერი სულ ძველს დედასა კიდურზე სწერებია“.

ამგვარი შენიშვნები ბევრია ჩვენს ხელ-ნაწერში. ის რაც დედანში კიდურზე, ესე იგი აშიაზე ყოფილა ნაწერი, ჩვენი ვარიანტის გადამწერს ტექსტში შეუტანია, უმეტეს შემთხვევაში წითელის მელნით, და ამისათვის ყოველთვის შენიშნას, რომ ეს და ეს ადგილი კიდურზე ეწერაო, მაგრამ მე რადგან კიდურზე ადგილი არ იყო, აქ, ესე იგი ტექსტში, დავსწერეო. არშიები მართლა ძლიერ იწრონი არიან ჩვენს ხელ-ნაწერში.

ბაგრატ მეოთხის დროს (1027-1072) მთარგმნელების შესახებ შემდეგს ვკითხულობთ:

წმიდა ევთიმი მიიკვალა ქრისტეს აქეთ ჩქ<sup>მ</sup>, ქართულსა<sup>ა</sup> სმ<sup>მ</sup>“. ესენი მთარგმნელნი ამათ ჟამთა იყვნენ: ვასილი ბაგრატიძე, ანტონი მნათე ევთიმესაცა და მთა-წმინდელსაცა მოესწრნენ.

ქვემოთ კიდევ სწერია:

ესენი მთარგმნელნი ამ ჟამებთა იყვნენ. იოანე პატრიკ ყოფილი, ილარიონ თვალელი, გიორგი მთა-წმინდელის მოძღვარი, გიორგი შეყენებული, მოძღვარი გიორგისავე გიორგი, ოლთისელი გიორგი.

ქვემოთ კიდევ სწერია: „ხოლო აქა ყოფასა შინა (ესე იგი ბაგრატ მეოთხის კოსტანტინოპოლეს ყოფასა შინა) მეფისა თანა იყო გიორგი მთა-წმინდელი. ამას მოწმობს ხონორაფი (sic) ბერძენი, რაჟამს ბაგრატ მეფე აფხაზთა მივიდა კოსტანტინუპოლის (ეგრევე ციციშელის ვარ.)

ქვემოთ კიდევ სწერია: მთარგმნელი ესენი ამათ ჟამთა იყვნენ: იოანე პატრიკ ყოფილი და სტეფანე.

დავით აღმაშენებლის დროს მთარგმნელების შესახებ სწერია:

ჟამსა ამას იყვნენ მთარგმნელნი: ეფრემ მეორე, თეოფილე, არსენი იყალთოელი, იოანე ტარიჭის ძე.

არსენისას, მისრული მღვმეს იტყვს დავით მეფე, მე მაშინ-  
ნდელი კაცი ვარო, ოდეს არსენი დაროჯიდი ჭამა, მარჯვენას  
გვერდსა ზედა წვა, ნოსელს იკითხვდა და დოღმატიკასა აწა-  
მებდა და ცკლსა სოფია წმიდასასა იგივე მარტო იქმოდა,

ადარნასე I (619-639) მთავრობის ისტორიის ბოლოს  
სწერია

ჩვენნი მემატინენი ქართლისა სწერენ ძველს ეკკლესიის  
მატიანეს ბაგრატიონთათვს, რამეთუ არ მიუღეს ბერძენთა სვე-  
რი, ბოლო კლარჯეთი, ზღვს პირნი და ეგრისის მდინარეს  
იქითი, ვითარმედ შექცევასა კეისრისასა მოვიდნენ ბერძენნი და  
აღწერეს სრულიად ივერია, ანუ საქართველო (ესევეა ციცი-  
შვილის ვარიანტშიც)

მოგვყავს აქ ცნობები სხვა ვახუშტის ისტორიის ხელთნა-  
წერების შესახებაც, რომელნიც წერა-კითხვის საზოგადოებას  
ეკუთვნიან:

III. ისტორია და გეოგრაფია ბატონიშვილის ვახუშტისა.  
in 4<sup>o</sup> პატარა ტანისა, № 2410, დაწერილია ქალაქდზე ნუსხა  
მხედრულით, სათაურები და ზოგიერთი სიტყვები ნაწერია წი-  
თელის მელნით. ბოლოში ცოტა აკლია, სულ ხელთნაწერი  
შეიცავს ნჰნ გვერდს. უდა ქალაქდისა აქვს ტყავ გადაკრული.  
ხელთნაწერი უნდა ეკუთვნოდეს მეთვრამეტე საუკუნის დასას-  
რულს. ეს მით უფრო საჭეშმარიტოთ მიგვაჩნია, რომ ხსენე-  
ბული ხელთნაწერის ქალაქდ იმავე ფაბრიკის არის, როგორც  
წინანდელისა და ერთავს ქალაქდს უზის ერთი და იგივე ფი-  
ლიგრანი ანუ ნიშანი<sup>1)</sup>, ფორმატი ორთავესი ერთ გვარია და  
წერის ხასიათიც ძრიელ წააგავთ ერთმანეთს ორივე ხელთნა-  
წერში. რიგი სტატიებისა ამ ხელთნაწერში ისეთია, როგორც  
წინეთ აღწერილში და ამიტომ აქ საჭიროთ არა ვრაცხთ გა-  
ნვიმეოროთ. ხოლო უნდა შევნიშნოთ, რომ ჩვენს ხელთნაწერ-  
ში არ არის ტაბლიცა საქართველოს მეფეთა, რომელიც

<sup>1)</sup> გარდა რთული ნიშანისა ნაჩვენებია ასოები E. D.

მოიპოვება წინათ აღწერილ ხელთნაწერში, და რადგანაც ხელთნაწერს ბოლო აკლია, არ არის აგრეთვე ის შენიშვნაც საქართველოს ისტორიის შედგენის შესახებ, რომელიც მოხსენებულია წინა ხელთნაწერში. ტექსტი ხელთნაწერისა შეწყვეტილია ეხლა სიტყვებზე: „და კუალადცა არა დასცხრა გივი ოხრებად ქვეყანათა ლეკითა, ესე ყოველი ამცნო მეფემ თეიმურაზ შაჰნადირს და შაჰნადირ მოსცლა არაგვის საერისთვო თეიმურაზ მეფეს. ესე მოვიდა და დადგა ტინს და ბრძოდა ქსანს, მაშინ ლეკეთით ლტოლვილი ყაენის ძედ წოდებული წარვიდოდა ოსმალთა შინა და ეტიკ„...=ქარ. ცხ. ტ. II, გვ. 94. ყველა ის ადგილები მთარგმნელების შესახებ, რომელნიც ჩვენ ზემოთ მოვიყვანეთ წინა ხელთნაწერიდან, იმავე რიგით და იმავე ადგილებში მოიპოვებიან ჩვენს ხელთნაწერშიაც. აქედგან შეგვიძლია დავსკვნათ, რომ ორივე ხელთნაწერი ერთი და იგივე დედნიდან თუ არა, ერთგვარი ვახუშტის შრომიდან მაინც არიან გადმოწერილნი.

აქ მოვიყვანთ ერთ ადგილს კათალიკოზის ნიკოლაოზის შესახებ, რომელიც სხვა ვახუშტის ისტორიაში არ მოიპოვება:

„ამ ჟამსა ბიიცივალა კათალიკოზი ბატონიშვილი დომენტი, წელსა ზღმდ, ქართულსა უღა და დაფლეს მცხეთას, არამედ დასვა მანვე სიკვდილის ჟამსა კათალიკოზად ნიკოლაოს წერხეულიძე. ესე იყო უმეცარი და საეროთა უფროს გამწყო, ვიდრე სამღუდელოთა, და მოყვრობდა თათართა, ვიდრე ქრისტიანეთა. ამან ომთგარი ოქროს ქსოვილი, სვიმონ ბატონიშვილის ცოლის ანას მთავარილი, მცხეთისა, დასტრა და ბეჟან ერისთვის ცოლის ქათიბად შეაკერკინა და შიუბოძა საჭადაგო ხატი, მურასათი მთავარილი, შემუსრა გვირგვინი საპატრიარხო, ლეკან დადიანის შემოწირული, და ომთგარის მსხვილი მარგარეტ თვალთ შექუფილი, და სხვანი ხატი და ჯვარნი და სამსახურებელნი კათალიკე კელესიისანი შემუსრნა და განუიღნა, და არა ჯეროვნად იქცეოდა სამღუდელოთა წესითა, თუმიცა დიურომან მიუშკა, და ჭქმნა ბოროტი უსჯულგამან და დასაბამიდან არ მსმენელმან, უკეთურომან მაჭ-

მად ყოფილმან, თაზისჴილმან უსჯულმან ტარელ, მახვილითა მოკლას იგი. გარნა კინათგან საქართველოს პირველი მღვდელმთავარი იყო, კერა შეესებოდა კელი. მოსიკვდიდ“<sup>1)</sup>).

IV. ისტორია და გეოგრაფია ბატონიშვილის ვახუშტისა № 186, in folio, დაწერილია ქალაქდზე ნუსხა მხედრულის ხელით, სათაურები ნაწერია წითლურით. ხელით-ნაწერი ჩვენის აზრით ეკუთვნის მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს. ქალაქდს უზის ფილიგრანი A+C. ბოლო აკლია. რიგი სტატიებისა ისეთია, როგორც წინა ხელთ-ნაწერში, ხოლო აქ მიმატებულია აღწერა სერეთისა, კახეთისა და კუხეთისა და აგრეთვე ისტორია კახეთისა შემდგომად განყოფისა. სულ ხელთნაწერი შეიცავს 23 რვეულს. რვეულში ათ ათი ფურცელია, პირველი და უკანასკნელი ფურცელი პირველი რვეულისა, მერვე რვეული სრულად და ბოლოს კიდევ სამი ფურცელი მერმე არის მიმატებული ნაცვლად დაკარგულისა და ტექსტიც ახალის ხელით არის დაწერილი. უკანასკნელი რვეული შეიცავს შვიდ ფურცელს. თვალსაჩინო განსხვავებანი საჩქარო გადახედვით ვერ შევნიშნეთ. წიგნი აკინძულია, მაგრამ ყდა არა აქვს.

V. ისტორია და გეოგრაფია ბატონიშვილის ვახუშტისა №№ 45 და 46 ჩუბინაშვილის ბიბლიოთეკისა. ეს ორი ნომერი, ცალ-ცალკე შეკრული ყდაში, წარმოადგენს ერთი მეორისგან გაგრძელებას. ორივე ნაწერია სხვა-და-სხვა ქალაქდზე მეცხრამეტე საუკუნის პირველ მეოთხედში. ქალაქდებს უზის ფილიგრანებში წელნი 1812 და 1813. № 45 in folio, ნუსხა მხედრულის ხელით ნაწერი, შეიცავს:

1. საძიებელს წიგნისა. აქ სათაურებს გარდა გეოგრაფიისა და ისტორიისა ნაჩვენებია, თუ რომელი მეფე რამდენს წელს მეფობდა.
2. ხრონოლოგიური ცნობები ვახუშტისა.

<sup>1)</sup> სადაც ეს უნდა წერებუიყო იმ ადგილას №281-ში ადგილია დატოვებული. სხვა ხელნაწერებში და დაბეჭდილში ეს ცნობები არ არის.

3. სინხრონიული ტაბლიცა სხვა-და-სხვა სახელმწიფოს მეფეთა.
4. ნუსხა ვახუშტის გეოგრაფიაში მოხსენებულის სოფლებისა.
5. სამცხე-საათაბაგოს სამწყმო, სტატია ეთანხმება ჩვენგან ზემოთ დაბეჭდილს საზოგადოთ.
6. აღწერა საქართველოს ზნე-ჩვეულებათა.
7. ისტორია საქართველოსა 1469 წლამდე.

მეორე ტომში ამ ისტორისა ანუ № 47-ში მოთავსებულია:

8. აღწერა აწინდელისა ქართლისა.
9. ისტორია ქართლისა შემდგომად განყოფისა.
10. აღწერა ტერ-კახთ-კუხეთისა.
11. ისტორია კახეთისა.
12. ისტორია ირაკლი II, რომელიც ეკუთვნის ომან მდივანს, თუმცა მისი სახელი ჩვენს ხელთნაწერში არ იხსენიება. აქ ისტორია ირაკლისი იწყება 1744 წლიდან და თავდება 1795 წლით.
13. აღწერა ოვსეთისა ანუ კავკას შინათა.
14. აღწერა სამცხე-საათაბაგოსისა.
15. აღწერა ეგრის-იმერეთისა.
16. ისტორია იმერეთისა.

VI. ისტორია და გეოგრაფია ვახუშტისა № 1467, in folio, 36 X 24 სანტიმეტრი, დაწერილია ლურჯ ქალღმერთზე გაკრული ნუსხა მხედრულის ხელით და შავის მელნით. შეიცავს 442 ფურცელს და ბოლოს კიდევ 47 ფურცელი დაუწერელია დარჩენილი, თუმცა შრომა კი დამთავრებულია, სათვალავი ფურცლებისა არა აქვს; ყდა ქალღმერთისა ჰქონია, რომელიც ეხლა სანახევროდ დახეული და გაფუჭებულია, ბევრი ფურცლები ამოცვინებულია, და ზოგიერთი კიდევ აკლია თავში. თარიღი არა აქვს და არც გადამწერი სჩანს, მაგრამ ექვს გარეშე ხელნაწერი მე-XIX საუკ. დასაწყისს უნდა ეკუთვნოდეს. თავში



ერთი ორი ფურცელი უჭირავს სტატიას: „მაგალითი საშინელისა (sic) განკორციელებისა“. შემდეგ ამისა იწყება ვახუშტის შრომანი ამ რიგით:

1. შესავალი.
2. ზნენი და ჩვეულებანი საქართველოსანი.
3. ძველი ისტორია საქართველოსა 1469 წლამდე.
4. უწყება მკითხველთათვის.
5. აღწერა აწინდელისა ქართლის.
6. ისტორია ქართლისა შემდგომათ განყოფისა.
7. აღწერა ჰერეთისა, კახეთისა და კუხეთისა.
8. ისტორია კახეთისა ძველის დროდამ 1744 წლამდე.
9. აღწერა ოვსეთისა.
10. აღწერა სამცხე საათაბაგოსა.
11. აღწერა იმერეთისა.
12. ისტორია იმერეთისა ძველის დროდამ 1744 წლამდე.

VII. საქართველოს ისტორია ვახუშტისა in folio, № 1470, 34 × 21 სანტიმეტრი, დაწერილია მოსქო ქალაქდზე ლაშაზის ნუსხა მხედრულის ხელით, რომელშიაც ხშირია დიდრონი ხუცური ასომთავრულები კინოვარით, ნაწერნი მელანი ტექსტისა საზოგადოდ შავია. სათვალავი ფურცლებისა მხოლოდ პირველ ორ რვეულზეა ნაჩვენები. სულ შეიცავს 86 ფურცელს, უდა მაგარი აქვს ხისა შეტყავ გადაკრული. ბოლოში ხელნაწერს აკლია, და ტექსტი ეხლა შეწყვეტილია გიორგი მე-VII (1395—1407) მეფობაზე: „შეიკრიბნენ ყოველი თურქობა, დიდ ძალი ლაშქარი, უკეთუ არა ესვათ ყენი, არამედ ჰილწისა სჯულისა მათისა მხურვალეებითა წარმოემართნენ ქართლსა ზედა. მოესმა რა მეფესა მოსულა მათი და ვითარ გამარჯვებულ იყო... ისტორიას მიუძღვის წინ „აღწერა საქართველოს ზნე ჩვეულებათა“. ხელნაწერი უნდა ეკუთვნოდეს მე-XVIII საუკუნის დამლევს. თამარ მეფის ისტორიაში სხვათა შორის ჩართულია ანტონ კათალიკოსის ლექსიც თამარის შესახებ.

VIII ნაწყვეტი ვახუშტის ისტორიისა №1444. in 4, დაწერილია კარგ ქალაღზე მშვენიერის და წვრილის ნუსხა მხედრულის ხელით, მელანი შავი და წითელია. სულ შეიცავს თერთმეტ ფურცელს. მეთერმეტე ფურცელი სულ უკანასკნელი ფურცელი ყოფილა წიგნისა, ვინაიღვან აქ დაცულია შემდეგი ბოლო სიტყვაობა: „სიტყვაო ლუთისაო! შემეწყალე მე ცოდვილი მთავარ-ეპისკოპოზის ბესარიონის მონა ყოფილი გოგია, რომელმან აღესწერე პირველი სწავლისა შინა ჩემსა ქართლის ცხოვრება ესე: თთუჲსა აზრადსა ც, ქრისტეს აქათ ჩღათ, ქართულსა უაზ 1779“.

პირველი რვა ჩვენამდის მოღწეული ფურცელი შეიცავს ქართველთ ზნეჩვეულების აღწერას; ერთი ფურცელი უჭირავს გიორგი ბრწყინვალის მეფობის აღწერას, და ერთიც ვახუშტის ისტორიის მეორე ნაწილის წინა-სიტყვაობას.

**რუისა.** რუისი მდებარეობს მახლობლათ ურბნისისა, ორი ვერსის მოშორებით. რუისში უძველეს დროიდან ყოფილა დიდი საეპისკოპოსო ეკლესია, კათედრა მროველებისა. მროველ ეპისკოპოზი ანტონი მოხსენებულია შატბერდის კრებულში ამას უძღვნის დაჩი თავის წერილს პსალმუნების განმარტების თარგმანის შესავალში. ძველი ეკლესია რუისისა აღმოუფხრია ძირიანად თემურ-ლენგს მეთოთხმეტე საუკუნეში. ეხლანდელი გუმბათიანი და საზოგადოთ ლამაზი ეკლესია რუისისა აშენებულია, როგორც წარწერა უჩვენებს, ალექსანდრე მეფის მიერ (1413—1442). ეს ის ალექსანდრეა, რომელმაც მცხეთა განააზღვა. სამართლიანათ შენიშნავს დ. ბაქრაძე, რომ ძველი ეკლესია რუისისა ბევრათ უფრო დიდი და ულამაზესი ყოფილა ახალზე. რომ ძველი ეკლესია უდიდესი ყოფილა, ეს სჩანს საფუძველის ნაშთებიდან და რომ ულამაზესი ყოფილა, ამას ამტკიცებს ძველი ჩუქურთმები აქა იქ ჩატანებული ახალ ეკლესიის კედლებში. ჩრდილოეთის და სამხრეთის მხრით ეკლესიას აქვს ეკვტერები. ჩრდილოეთის ეკვტერის მარტო აღმოსავლეთის ნაწილია დაცული და ეს ეკვტერი მშვენიერი ნახელავია. შემკობილია ლამაზის თალით და გრეხილებით. სამხრეთის ეკვტერი მდარე ხელობის არის. მშვენიერი ჯვარი და სხვა ჩუქურთმები ამკობენ აღმოსავლეთის კედელს ეკლესიისა. ჩუქურთმები საკმაოდ არის სხვა კედლებშიაც. გარშემო ეკლესია-

უელის გალავანი. გალავანის შესავლის თავზედ ამართულია კოშკის მსგავსი ორ სართულიანი სამრეკლო, რომელიც აშენებულია პროველის დიონოსი ლარაძის მიერ. რუისის ეკლესია ძველ ხელთნაწერებში ღვთაების ეკლესიათ არის მოხსენებული, ხოლო შემდეგ ფერისცვალების ეკლესიათ იხსენიება. (სრული ცნობები რუისის ეკლესიის შესახებ ნახე: Баградзе. Кавказъ въ древнихъ памятникахъ христіанства, стр. 124—125. Матеріалы для археол. Кавказа, вып. IV, стр. 145—147. Brosset. Voyage. Rapp. IV, p. 7—8).

### წარწერები კედლებისა:

I. კარის-ბჭეს დასავლეთის მხრით აქვს ასომთავრული წარწერა:

1. წ. ზე აღიდენ ღწ მეფთა მეფება დიდისა აღექსნდრეს
2. რლსა მრ კდ აღეშენა საყდარი ესე აღიდენ ღწ და სწლი მთი კუხლ ეს.

II. მარჯვენით კარის-ბჭისა დასავლეთ კედელზე ხუცუ-რად აწერია:

ნ (?) გშანს: გრგლს: . შმნ  
 დნს ღმერთმ: . ჩმსა  
 : ლდა მდებლ შგწ  
 გისა. ხთი ღღე

III. ჩრდილოეთის კედელზე სხვა და სხვა ქვებზე ნაშთები წარწერებისა

1. წ: სზა: შწნს ღწ
- 2...რთ მწ აწ

IV. ჩრდილოეთის კარის ზემოთ:

ქ. ქსტე შე ფდ. [ცოდ]ვილი და  
 სახითა ოდნ მდდ[ელი]. სყს.

V. ჩრდილოეთის ეკვტერის კარის ზემოთ ძველი მხედრულის ხელით:

მოვედით ჩემდა ულნი დამაშურალნი  
კმოზს ქე. ქე შე გი.

VI. ამათ ზემოთ ნაწყვეტი ხუცურის წარწერისა

... ლითა ღთ.

VII. ჩრდილოეთის ეკვტერის შიგნით თალზე ხუცურათ:

ქე შე სლი იე ებსკპსსა ან

VIII. საკურთხეველში ჩრდილოეთის ეკვტერისა გრეხილიანი თალის არკაზე ყოფილა ორსტრიქონიანი ხუცური ასომთავრული წარწერა, რომლის თავი და ბოლო მოსჩანს მხოლოდ:

1. სხლითა ლითა მე. . . . . ძ დდფლისა

2. ვინცა ღ . . . . . თმო<sup>ა</sup> ან.

IX. სამხრეთის კარის მარცხნივ ასომთავრულით სწერია:

გალატოზთ ზედა მოეგსა შალვას შეუნდენეს ღმერთმან ამინ.

X. ჩრდილოეთის კარის მახლობლათ მერმენდელის ხუცურით:

წ. საბა შეუნენეს ღმერთმან.

XI. კანკელზე ხისა მხედრულათ სწერია:

კურთხეულ არს ღმერთი, რომელი სამობასა შინა ერთობითა და ერთობასა შინა სამგბით იქადაგების და იდიდების, მეტყველების, რომლისა შეწევნითა გაკეთდა კანკელი ესე ღუთაებისა მრავალ-ნაწილიანისა ფერის-ცვალების ხატისა ასამაღლებლად და განსაძლიერებელად უკეთილმსახურესისა მსახურისა და უმაღლესისა მპყრობელისა ყოვლისა ზემოისა საქართველოისა მეფისა ირაკლი მეორისა, დავითიან-ბაგრატიონისა, კეთილმორწმუნისა ყოვლისა საქართველოისა დედოფლისა და-

დიანის ასულისა დარეჯანისა და კეთილად წარსამართებელად ძეთა და ასულთა მათთა. მამათ-მთავრობასა ანტონი მეფის ძისა, დავითიან-ბაგრატიონისა, უნაკლულოდ შესრულდა კანკელი ესე საფასითა და წარსაგებელითა მროველ-მიტრაპოლიტისა ყოფიანის ძის ნიკოლოზისათა. საუკუნოდ იყავნ კსენება ჩისი. ნოემბრის ღ, წელსა ჩღზა, ქკს უჟათ 1).

XII. ზარზე, რომელიც ეხლა დაზიანებულია, მხედრულათ აწერია:

ჩვენ ყოვლად უსამღედლოესმან მროველ მიტრაპოლიტ-მან მაღალაშვილმან იუსტინემ გიძღვენ რუისის ღეთაების ეკლესიასა ზარი საფასითა ჩემითა საოხად გლახაკისა სულისა ჩემისათვს წელსა ჩეგ. ქკს. უჟა.

XIII. აღმოსავლეთის კედელზე სამრეკლოსა ხუცურათ აწერია:

ღმერთო შეიწყალე მაშენებელი სამრეკლო[სა] ლარაძე დიონოსი მროველი. ამის რეპლიკა იხილეთ მუზეუმის ექსპონატში.

ეპიტაფია.

I. საქართველოს მეფეთ მეფის ვახტანგის მეუღლე და იმერთა და კახთა მეფის არჩილის და ქართლის მეფეთ მეფისა და ყანდაარისა ქირმანისა ზირიშკისა და აიალათის მპყრობელისა და სპარსეთის სპასალარისა მეფის გიორგისა და ერანის მდივანბეგის ლევანისა და ძმათა მათთა დედა და ორბელის ძის ყაფლანის ასული დედოფალი როდამ ყოფილი ცქემოსანი ეკატერინე აწ მღებარე ვიქმენ მკვდრსა ამას საფლავსა ჩვენსა . . . . . ესე არს განსასვენებელი ჩემი ამას დავემკვდრე რამეთუ მთნავს ესე ქკს: ტოთ: სვეტო ცხოველო მფარველ ექმენ ძეთა ჩემთა ყოველთა!

1) წარწერები №№ II, IV, V, VI, VII, VIII აქ პირველად იბეჭდება.

*ქკს იმეხვეთ მათის სვიმ-ახოვლის ძეძღმისა რატი-მკვირძრა ქანჭკა. ამის მუდის აღწერა იყავს ისეთ-მგერე, რომელსა მოყვანილია აქ ჩემი ქ-ღვკაჩზე*

II. ეპიტაფია არა აქვს, მაგრამ საყდარში იპოვება საფლავები:

გრივალ მროველისა, რომელიც გარდაცვლილა მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისში და გერვასი მროველისა, რომელიც მიიღვა 1816 წელს. ამას გარდა რუსის ეკლესიაში მარხიან მრავალნი პირნი ბაგრატიონ-დავითაშვილებისა (ამათი შთამომავლობითი სია ნახე ბროსეს Rapp. VI, p. 8—10).

III. ქ. ვაი სიკვდილისა მანგლით მოკვეთილსა და მიწა მიწად მიქცეულსა ყაფლა ნის შვილის ასულსა და ნეულლისა ჩემისა გამზღელისა და პატრონსა საქართველოს მსაჯულთ უხუცესისა აბაშიძე ნიკოლოზისა და სამთა ძეთა და ექვსთა ასულთა ჩემთა ჩემთვის მტირალთა და განმ . . . . ფელსა და აწ საფლავსა ამას მდებარესა მხევალსა ანნა . . . . . ბისა რუისის ეკლესიისა სამწირველოს . . . . . სა მიწად მიცემულსა შემიწყალეთ მხილველთა და შენდობა ბძანეთ ჩემისა ცოდვილისა სულისათვის სიყვარულისათვის ქრისტესა აღვესრულე თებერვლის კდ ქკს [უაზ<sup>1</sup>).

### ხატება და ნიგუბა რუისის ეკლესიისა.

I. ხატი ფერისცვალებისა დიდი ზომისა, სულ 107 × 70 სანტიმეტრი, დიდი ხის კუბოთი, რომლის ერთ კარზე გამოხატულია პეტრე კლიტიურთ და მეორეზე პაულე. ზემოთ კუბოზე გამოხატულია მამა ღმერთი. ხატი წარმოადგენს ფიცარს სულ სავსეს სხედასხვა ნაწილებით. სიგრძეზე მოთავსებულია 22 უჯრა ნაწილებისა, განზე 25, ასე რომ სულ უნდა.

<sup>1</sup>) ქარონიკონი უდრის 1789 წელს. ეს ეპიტაფია აქ პირველად იბეჭდება.

იყოს 550 უჯრა ნაწილებისა, მაგრამ ზოგიერთი მათგანი და-  
კარგულია. წარწერები ნაწილების სახელებისა უჯრებზე ხუ-  
ცურია. ნაწილების ქვემოთ ხუცური წარწერაა, ძალზე გადა-  
სული და ამიტომ სრულათ არ იკითხება. ჩვენ აქ წავიკით-  
ხეთ:

- 1 ..თარ სხლ:. ქბლ:. კრხლ:. და დბლ არს  
სკნითგნ უკე:. მე:. გლხკმნ:. ფდ:. ცდვლმნ:  
და:. ყთა:. ეფისკოპთა:. და:. მნზნთა:. უნრჩევეს...
- 2 ..ნ:. მხლველ(?):. გლს:. მდგინებთ:. ვნებე:. კაზმდ:  
ენბთა:. ამთ ბრძანებითა პტრნის:. მერბისითა:  
დღეგრძლბით:. საუკნო:. იყვნ კსნბა:. მთი მრდის...
- 3 დ:. და:. სხლვდ (მ)ცველდ:. სლნისა ჩნისა:  
და მშბლთა:. ჩნთა:. სა(ოხდ) შეგამკვეინე ხატი  
ესე მფთ მეფისა:. კსტნტინესითა:. და:. დედფლთა  
დედფლისა [თსა?] ქ...<sup>2)</sup>

ჩვენის აზრით, ეს წარწერა ეკუთვნის კონსტანტინე III,  
რომელიც გამეფდა ქართლში 1478 წელს.

კუბოს კარებზე ხატისა მხედრულათ სწერია:

- 1 ღო ყნისა შემოქმედო და ყთა ცხოველთა ცხოელობისა  
მიმცემო მსმე
- 2 ნი სიტყუათა მათ შენთა საღთოთა რლსაცა იტყუ პირი-  
თა შრითა უტყუელი
- 3 თა საღთოსა შაწერილსა ესრეთ. „მოიძიეთ პირი და  
შევედრენით მე და შევი
- 4 სმინო ზეციით და მოწყალე [გ]ექმენე თქტუნ“: ხ მე მსმე-  
ნელმან ამათ სიტყუათმან

<sup>2)</sup> ეს წარწერა ვერ არის კარგათ წაკითხული ბროსეს მოგზაურო-  
ბაში. მეფე კონსტანტინეს სახელი იქ სრულებით არ იხსენიება.

- 5 მოვიძიე შემწე-მფარუტლად და პირი სახე და ხატი ღთა-  
ებისა შისა და წე შენსა წრ
- 6 მდგომილი ვყოფ ვედრებასა გულითა მძრწოლარითა და  
ვინათგან თვთ შენტს უწვი
- 7 ჰსჯულის მდებლობ მონისა შისა მოსეს შრთ და იტყვ  
ვდ „არა მეჩტნოთ წე პირსა ჩა
- 8 ცარიელი“: და ამისთვის მეცა წინაშე პირსა დიდებისა  
შისასა წარმოდგომილი კად
- 9 ნიერ ვიქმნები და მოგიძლტნი მცირითა წრსაგებელითა  
ჩთა შემზადებულსა შთასასწტნებელსა<sup>1)</sup>.
- 10 და შენცა უკტს ხატო ღთაებისაო შემწეო მორწმუნეთა,  
დიდებო მადიდ
- 11 ებელთაო, და მფარუტლო მსასოებელითა შენთაო, შენ  
შემწე ექმენ მორწმუნესა
- 12 შენსა შემომწირუტლსა ამის მცირედისა შესაწირავისასა,  
შენ დიდებო მადიდებელ
- 13 თა შენთაო დიდებულ ჰყავ მადიდებელი იგი ში მონა და  
მოსავი ღთაებისა შისა
- 14 ციცისშვილი ზაქარია და შეზლუდე ძალითა შითა უძ-  
ლეველითა, მეუღლი
- 15 თურთ თვისით, ძეებითურთ და ასულით და ნუ გარე  
მიაკევევ სასოებასა მის
- 16 სა და ეც ფარტა ყთა შა დღეთა მისთა:
- 17 წელსა 1786.

მეორე მხარეს მარცხენა კარისა მხედრულათ სწერია:

- 1 ყთა ცხოვრებისა და ცხოველ მყოფისა მეუფისა ჩნისა  
და ღისა ხატო სახეო და მაგალი
- 2 თო და უსაბამოჲსა ღთაებისაო ვინაჲთგან სათნო შესა-  
წირავ და მსხტპრპლ შენდა არს სული

1) აქ თავდება პირველი კარის წარწერა, დანარჩენი მოთავსებულია მეორე კარზე ანუ უკეთ ვთქვათ მეორე ნახევარზე.



- 3 შემუსრული გული შემუსრული და დამდაბლებული, რლ-საცა არა შეურაცხ ჰყოფ თქმისა
- 4 ებრ წწყლისა შისა დავითისა: ამისთვის უკუტ სასოებისა თვისისა შენ ზა დამდებელმან მო
- 5 ნამან შენმან ციკისშვლმან დედოფლის სახლთ უხუცესმან ზაქარიამ სულით და გულით შემუსრულით და დამდაბლებულით
- 6 მოგიძღუანა მცირედი ესე შესაწირაფი წა ბუდე ესე
- 7 შთასასტუნებელი და შემოგწირა სასოებითა ფდითა შენთაყუანის საცემელსა ყთასა ხა
- 8 ტსა ღთაებისასა: 1)
- 9 შთასასტუნებელსა ამას ბუდესა ხატისა ღთაებისა შისასა და შემოგწირავ მონა
- 10 შენი ციციშვილი დედოფლის სახლთ უხუცესი ზაქარია: ხ შენ ღთაებაო
- 11 შეუტუალებელო ყოველთაო ნუ უგულებულს ჰყოფ სასოებასა ჩემსა და მოიხილე
- 12 ზა ზეცით წმიდით სამკვდრებელით შენით და მოწყალე მექმენ და დამიფა
- 13 რენ ყთა ღღეთა ჩემთა მე მეუღლითურთ ჩემით და ძეებით და ასულით
- 14 ურთ, რათა მდის გადიდებდეთ შნ საფარტლსა შა შენსა დატულნი და
- 15 ქტლის მოქმედებისა შისა მმადლობელნი:
- 16 წელსა 1786 2).

ამ ხატის შესახებ ამბობენ, ვითომც ეს იყოს გაძარცვული ნაშთი იმ შესანიშნავი ნაჭედი ხატისა, რომელსაც მოიხსენიებს მურავიფი. ჩვენ გვგონია, ამ ხატს სრულებით არ ეხება მურავიფის სიტყვები.

1) ამას ქვემოთი სტრიქონები მოყვანილია მეორე მხარეს მარჯვენა კარისა.

2) ამ კუბოს კარების წარწერების ტექსტები პირველად იბეჭდება აქ..

II. ჯვარი გარეთ სატარებელი ვერცხლისა ოქროთ დაფერილი. მხედრული წარწერა ზემოთ ცოტა გადასულია, მაგრამ წაკითხვა მაინც შესაძლოა:

- 1 ქ. ეპა შენ ცისა მოქცევით მძღვანელო ზეშთა ზედან აღმაფრენისა სუფევად ყოველთა მაცხოვრისა
- 2 საჭეთ მჭრველი მტრთლ ჯ'ისა ამის მიმრთმელი რუისსა ვმროველობ ნიკოლაოზ ორბელისშვილი
- 3 ქ. წნო ძმანო ჯ'ი ესე ლარაძეთ მოუბოვებიათ დეონოსე პირველ ერუშნელი ყოფილა იმას შემოეწირა დიალ დალეწილ იყო აწ მე მ
- 4 როველ ურბნელმა ნიკოლაოზ ხელახლა გავაკეთებინე ვეცხლიც მოუმატეთ ვინც იხილვიდეთ პირველად დეონოსე მროველს
- 5 მოიკსენებდეთ და შემდგომად მეცა შენდობით მომიკსენებდეთ ლ'თისათჳს გე'ბი ქე'სა აქეთ ჩდოგ ქ'კს შუგ (sic)
- 6 მეფობასა ბაქარისასასა გაკეთდა ვინცა ამა საყდრისათვის შემამეწია რასმე ლ'ნ აკურთხოს ა'ნ<sup>1)</sup>.

### ხელთაწერება.

I. სახარება 33 X 21 სანტიმეტრი, დაწერილია ქალაღზე ნუსხა ხუცურით ერთ სვეტად. ყდა ვერცხლისა აქვს. სურათები ოთხთ.ა მახარობელთა და სათავეები თუმცა ფერადებით არიან ნახატნი, მაგრამ ხელობა საიმისო არ არის. ზოგი ფურცლები არეულია. ბოლოს სარჩევი და სარჩევის წინ სწერია:

- 1 დაიწერა წ'ჲ ესე სხრ'ებ'ჲ წელთა შუდი ათას ორას
- 2 ათ ხუთმეტს კ'ლითა ფ'დ ც'ოდვილისა დიმიტრისითა:
- 3 ვინცა მიემთხვეოდეთ წ'ა ამ'ს სხრ'ბსა, შენდობ'ჲსა
- 4 ჰყოფდით ჩ'მ ც'დვლისა თ'ს:.<sup>2)</sup>

1) ამ წარწერის ტექსტი აქ პირველად იბეჭდება.

2) 7215 წ. ქართულის სათვალავით უდრის 1611 წელს.

სარჩეის ბოლოს სხვა ხუცურის ხელით სწერია:

- 1 ეს წა სხრბა დაეგირბინა ნიკა კხს ხერხეულიძეს და
- 2 მე მროველ მატრაპოლიტბნ დავიკსნ სამ თუმნდ
- 3 იყო გირაოდ და მე თხუთმეტ მილანთული მივეც.
- 4 ჩმ ცდვლისათს შენდბახ ყოფდეთ მროველისა ისბისათს.

II. მმარხვანი 32 × 12 სანტიმეტრია, დაწერილია ქალაღდ-  
ზედ ნუსხა ხუცურით ორ სვეტად. ბოლოს სწერია:

ლო ღო შე ცდვლი გი.  
მეფობდა საქიდთეელოსოვრ  
სა შა. მეფე ვახტანგ ლეონის  
ძე ბაკრატიონი. მშინ უსჯლთა  
ოსმალთა მოტყუებით დაიპყ  
რეს საქართველო, და მშნ მეფე  
[ვ]ერლარა მდგომ აქმნა სპკვდრე  
ბლსა თსსა, და წრმოვიდა დედა-  
წულითა რუსეთად; და მრვლი  
ეფისკპსნი და დბლნი თან იახლა  
და თვთ მროველ ეფისკპზი ორ  
ბელის ძე ნკზ თან ეახლა რლ  
სა თა ჰყვეს ძმნი სმნი, და ძმი  
სწული ორი, და ბიძის ძე ერთი;  
თვნიერ ყრმებისა და დედათასა;  
მშინ სმფოსა ქლქსა მოსკოვს ყო  
ფასა შა მიბრძანა წერად მრხვ-  
ნისა ამისა და დავსწერე დიდის სსჯ-  
ილითა მრხენი ესე, მრვლ ქმ  
იერ ყოს უნ წეონი და ქმნი მისისნი;  
ხ წესი და რიგი რუსისა დავსწე  
რეთ; ვბი მე გლბკი მდღლი გიო  
რგი სმიერლი ებიტაშვრი ვინც  
ნამცთარი ნახოთ უდრტკნელდ

გამართვიდეთ, გბნი სყვრლნო  
 მკითხვლნო წყევა და შეჩვენებჲ  
 არა ჰყოთ ჩმ ცდვლისთს ად  
 გბნი ყთა მხილველთა ვინც იკ  
 მარებდეთ ღის სიყვრლნისა  
 თს ამს... მღღლთ მთვა  
 რსა მროვლ ნკზს შენდობით  
 მოიკსნებდეთ; და მეცა გბნი გლ  
 ახკი ამისი მწერალი მღღლი გი  
 გრდამოცვენებლის ნაბიჭვე  
 ისგნ თვთო შენდობას მეც მიხდი  
 ნებდეთ: ნაშრომი ჰკიეს. ხ მუშაკი  
 მტუტრ და ავლ:

ქეს: აქათ: ჩდ: კღ: თვე  
 სა: იენისსა: ა: მეფობასა  
 მე[ო]რესა იმპერატორი: პე აღ  
 ექსის შვლისსა:

შემდეგ ჩართულის ხუცურით სწერია:  
 ვერ მგრძნობი, ამის უმეცრებით წერისად:-  
 თუც დაგეფაროს ნუ საბასრო ბერისად:-  
 მგრძნობი ნუ ცხად ჰყოფს, ზეწერით უშვერისად.  
 გესავ შემინდოთ, ქს მსასოე სერისად.  
 უგრძნო ნუ ეძებს, ცხადად ვწერე შტერისად:-

შემდეგი ლექსი მოყვანილია მხედრული ასოებით:

მე დედა ზარდლის, ქსელისა უსუსტე:-  
 კეც კაცი ვმონებ, მემსხვერპლე თუ ხენეში:-  
 არა ხენეშთაგან, კაწახ მონოზანობ:-  
 მმკობსა ჩემსა, ვამკობ ძალისად ნიკოლოზ:-  
 მკსენ ვიყო მხილველთაგან ორბელიანი:-

ამ ლექსებს შუა სწერია:

ღთო მამაო ძეო და სულო წო, დიდად დიდებულო.  
და მეუფეო უფალო ჩემო იესო, ღთო და  
კაცო სრულო. შე მე ძე ორბელისა უღირსი  
ნიკოლოზ მროელი ცუდი მონაზონი.

შემდეგ სხვა ხელით:

უო ღთო ცი შე: ქეს აქეთ ჩღე:- ივლისს ით:  
ადესრულა

მე ორბელის შილმან: ქართველთა: იმერთა და კახთ მე-  
ფეთ დედის ძმიწულმან: და საქართველოს მოსამართლეთ უხუ-  
ცის ძემან: მროელ ეფისკოპოზმან ნიკოლოზ ალვაწერინე  
მარხვანი ესე: და შევსწირე ქართლში რუისის ღთაებასა: ვინც  
გამოსწიროს ღთნ დასწყევლოს და შეაჩვენოს:- ვინც იხილოთ  
შენდობას ვითხოვ ღთის გულისათვის:-

III მარწუხი 22,5 × 16,5 სანტიმეტრი, დაწერილია ქა-  
ლალდზე ნუსხა ხუცურით. სათაურები ნაწერია წითელის მელ-  
ნით, ყდა აქვს. ბოლოს სწერია:

აღიწერა და სრლ იქმნა საღმთო ესე: მარწუხი: წელსა  
1723 (უნდა იყოს 1753) თვესა. მაისსა: 30: საქართველოსა  
ზედან: მეფობსა: ცხებით გვრგვნოსნისა: მეფისა ერეკლესა ძისა:  
თეიმურაზისაზე: და ძისა მთისა. კხთა მეფისა ერეკლესასა: სა-  
ქართველოსა მამათვრისა: და უფროსად პატრიარქისა: ანტონი  
მეფის იესეს ძისათა: მშრომელისა მმუშკებელისა ქუთათელ მიტ-  
რპლიტ ყფლისა და ქრთლისა. არქივისკპზის ტიმოთესსა:  
ღო შეიწყალე ამისი მწხბლი ცი ქრისტეფორე:

IV. კურთხევანი 20 × 14,5 სანტიმეტრი, დაწერილია ქა-  
ლალდზე ნუსხა ხუცურით. თავი და ბოლო აკლია. ყდა არა  
აქვს. უნდა ეკუთვნოდეს მეთვრამეტე საუკუნეს.

V. გულანი in folio,  $45 \times 31,5$  სანტიმეტრი, დაწერილია ქაღალდზე ნუსხა ხუცურით და შავის მეღნიით. სათაურები ნაწერია წითელის მეღნიით. თავი და ბოლო აკლია. ქორონიკონი ჩვენ ვერ ვიპოვნეთ. ხელის და მასალის მიხედვით გულანი მე-XVII საუკუნეს უნდა ეკუთვნოდეს ან მე-XVIII დასაწყისს. ბოლოს მიკერებული აქვს ორი ტყავის ფურცელი, რომელზედაც სახარების განმარტების (თარგმანის) ტექსტი ყოფილა.

VI. ძილისპირი  $20,5 \times 14,5$  სანტიმეტრი, დაწერილია ქაღალდზე ნუსხა ხუცურით. უდა აქვს. ქორონიკონი არ უზის. ხელთნაწერი უნდა ეკუთვნოდეს მეXVII—XVIII საუკუნეს.

VII. მარგალიტი  $21 \times 16,5$  სანტიმეტრი, დაწერილია ქაღალდზე ნუსხა ხუცურით, ხელთნაწერში მოიპოვება ოთხი-ოდე სურათი საკმაოდ კარგი ნახელავი. ბოლოს ტექსტის ხელით სწერია:

წ: დაიწერა წიგნი ესე მრგლტი კელითა ფდ ცდვლისა რუისელი მდდელ მონოზონის კლიმაშვილის იოსებისთა სმეუფოსა ქლქსა რუსეთს მოსკოვს და შევესწირე წიგნი ესე რუის ხატსა ხთაებისსა ვინც გმოსწირ[ოს] ისიმც რისხვს და მისნი გწყობილნი და ნურც იქსნების სლით და კორციით და რანიც წნი სვიქსარსა შიგნ სწერიან ისიმც რისხეს ამის გმომწირლსა ან. ჩღგა. დაიწერა წიგნი ესე ჩღგა.

VIII. დასდებელნი ანდრია კრიტელისანი  $20,5 \times 14,5$  სანტიმეტრი, ნაწერია ქაღალდზე ნუსხა ხუცურით, თავი და ბოლო აკლია. ხელითნაწერი მე-XVIII საუკუნის უნდა იყოს.

IX. ეფრემ ასურის სიტყვაჲ ფერისცვალებისათჳს  $21 \times 15$  სანტიმეტრი, დაწერილია ქაღალდზე ნუსხა ხუცურით. ბოლოს სწერია:

მრავალ ეშირ წინამძღრის შვილი მროელ მიტროპოლიტი

გერმანე, რისა საფასითა აღვწერე უღირსმუნ მღღღმუნ სიონის დეკანოსუნ ნკლზ: ჩდჟს. 1768.

მე მროელ გერმანეს ამ მღთაებისათვს შემწირავს სულისა ჩემისა საოხად ნურვინ იკადრებთ გამოწირვად

X. წესი კურთხევისათვს ეკკლესიისა  $27 \times 12,5$  სანტიმეტრი, დაწერილია ქალაღღზე მხედრუღის ხეღით. ბოღოს აქეს მინაწერი:

გარღმიღთარღმნა რუსუღისაგან ქართუღად იღუმნის ტრიფიღესგან იუნის 21 წეღსა 1784

ქვემოთ სწერიღ:

ღმ

ხსენნედ იოღნემცღ უღირსი იკონოღოსღ დეკანოსი ტფიღლისს სოღნისღ აღმწერი ამისი მკითხნო 17<sup>30</sup>92.

XI. თთვენი, რომეღიღე შეიღავს საკითხღვებს იენისისღ, ივღისისღ აგვისტოსღ,  $31,5 \times 21$  სანტიმეტრი, დაწერიღიღ ქალღღღზე ნუსხღ ხუცურიღთ: ყღღ დღმტვერეუღიღ, თღვი დღ ბოღლო აკღიღ. ხეღთნღწერი ჩვენის აზრიღთ მე-XVIII საუკუნეს უნღღ ეკუთვენოღღღს.

XII. ნღწყვეტები დღვითის ფსღღმუნებისღ  $20 \times 15$  სანტიმეტრი ყღღში, ნღწერიღ ნუსხღ ხუცურიღთ. მხოღღღღღ რღმოღღენიღმე ფურცეღიღ დღცუღღი. ხეღთნღწერი ჩვენის აზრიღთ მე XVIII საუკუნეს უნღღ ეკუთვენოღღღს.

XIII. წიღნი იოღნე დღმღსკეღისღ  $16 \times 10,5$  სანტიმეტრი, დაწერიღიღ ქალღღღზე მხედრუღღღს ხეღით, ყღღ დღცუღღიღ. ბოღღოს სწერიღ:

ქეს აქეთ: ათღს შვიღღს ოცღღ რღვისღ ეს წიღნი მე მროვეღ ეფისკოპოზღმღნ ნიკოღღღღღ რუღისის ღთღეღღს შევესწირე: ისიღც რისხღვეს დღ იესო ქრისტე: დღ სუღღი წმიღღღ: ვინ იღ რუღისის ღთღეღის საყღღღღს ეს გღმღღსწიროღს ყოვეღს მროვეღსღ. დღ

წამკითხავთ გეხვეწები შენდობას მიბძანებდეთ: ღთის ყსივარულისათვის:

მე ორბელის შვილმან მროველ ეფისკოპოზმან ნიკოლოზ ალვაწერინე იოანე დამასკელის წიგნი ესე: ქალაქსა შინა ასტარხანს: ქართლიდამ რუსეთს მოვდიოდით მეფე ვახტანგს ვახლდით: იქ ქართლიდამ წამოღებული დიად ძველი წიგნი იყო: აღარც თაფი ჰქონდა: და აღარც ბოლო: რაც ჩნდა ეს გარდმოვაწერინე დაუკარგობისათვის: და შუაზედაც ცხრამეტი და ოცი თაფი ამოგლეჯილი იყო: რომელსაც ღნ ქართლის. თათრისაკან გამოკსნა გაღირსოსთ ამის გათავებას ეცადენით. ღთის სიყვარულისათვის: და ვინც ნახევდეთ თვითოს შენდობას მიბძანებდეთ და ამ წიგნს რუისის ღთაებას ნურადინ გამოსწირავს: თუ ვინ ძეგამოსწიროს, ისიმც ღთაება რისხავს.

ამის ბოლოს სწერია:

ღო შე ფდ ცდელი ისბ კლიმიაშვილი ამისი დამწერი.

XIV. ნეტაფრასი 21×16 სანტიმეტრი, დაწერილია ქალღმერთ ნუსხა ხუცურით. ყდა დაცულია, ბოლოს სწერია ტექსტის ხელით:

სადიდებლდ წისა სბისა. მე გლხკმნ ხუცეს მონაზონმ ვიგლს მოდგინე, და ალვაწერანე. საფასითა ჩმთა: ყდ წის ღის მშობლის შბის საკითხვი: და ჯის აძალღების ნეტაფრასი: და წამებჲ. წისა დბლის მთვრ მწმისა დიმიტრისა: და ტაძრად მიყვნების შესხმა და ქება და წამება: და წამებჲ წისა მოწამისა დბლისა რედენისა: ცხრბჲ და მოქლქბჲ წისა მმისა ჩნისა ნიკოლოზისა და მიცვლბჲ ყდ წისა ღისა მშობლისა შესხმა და ქბა: და ვინცა ჩმს უკან მიემთხვივნეთ ამთ ჩმთა ნალეაწთა შენდობჲსა ჰყოფდეთ ჩმ გლხკმნის ბერის გერმანესათს რა ლოცვა თქნი მეოხ მეყოს მე უდებსა და თქნცა სათნო ეყოთ შემოქმედსა: სანამ ცოცხლ ვიყო ნუ ვინ იკადრებთ მიმძლავრებით გინა მიხვეჭით ამ წიგ-



ნის მიღებულსა. და როცა მოვკდე მას უკან თქნ იცით ცოცხალი უკეთ მოიხმართ:

ამის ბოლოს იუსტინეს ხელით მხედრულათ სწერია:

მე მროვლმან მიტროპოლიტმან იუსტინემ შევწირე წმინდას ფერისცვალებისა ეკლესიასა მეტაფრასი ესე.

XV. სახარება ტყავისა 24,7 × 15,7 სანტიმეტრი, ნაწერია ნუსხა ხუცურით, თავში აკლია ეტრატის ფურცლები, რომლების მაგიერ მიკერებულია ქალაღის ფურცლები მერმენდელის ტექსტით. ტყავი ხელნაწერისა გადანარეცხი (პალიმფესესტი) მოჩანს. ყდა ხისა აქვს ტყავ გადაკრული, ბოლოს დართული აქვს სარჩევი ყოველ დღეური საკითხავებისა. როდის ან ვისგან არის წიგნი გადაწერილი, არა სჩანს, მაგრამ პალეოგრაფიურის ნიშნებით, ჩვენის აზრით, ხელთნაწერი უნდა იყოს გადაწერილი არა უგვიანეს მეთერთმეტე საუკუნისა. და როგორც სჩანს მინაწერებიდან ჰკუთნებია სვეტის საყდარს ტბეთის მახლობლათ. არა ტექსტის ხელით მინაწერები ამ სახარებაზე ბევრია და ზოგი მათგანი ძველ გვარებს მოიხსენებენ. მოგვეყავს აქ ეს მინაწერები:

1. ჩუენ სკუტვითა დავწერეთ დაწერილი ესე. პატრონმან ივწე საბაზიარო. გაგვშვა. და სხუა მრავალი კეთილი საქმე უყო სკუტსა აწ. ჩუენ გაუკეთეთ ყლთა სახარებისა წარკითხვაზედა და ლოცვა ვინცა მოვშლოს მისთუისმცა გაიკითხვის.
2. აღიდევ. სახარებაო. სლი ჩექას ძის დავთსა შეიწყალე. აქა და მს ს უკუნ.
3. სლსა ავალმშვილისა გვირგვირნასა შწ ღწ: ვინცა ესე ღცგ მთუშალოთ ღწ ჰკითხოს
4. სლსა [ავალი]შვილისა სუიმონისა შწ ღწ.
5. სლსა თურმანის ძისა მარუშიასსა შწ ღწ და სლსა მეუღლისა თუალისა შწ ღწ.
6. სლსა ილიას ძესა ქუმსას შეუნდნეს ღწ.

7. სულსა სულკურთხეულისა... შვილისა ბაზატისსა შ<sup>ნ</sup> ღ<sup>ნ</sup> მისა მეუღლესა გულსრამს შ<sup>ნ</sup> ღ<sup>ნ</sup>
8. სულსა დაქურისძესა კლადნონასა და მისსა შვილს გიორგის შ<sup>ნ</sup>ს ღ<sup>ნ</sup> ა<sup>ნ</sup>.
9. ელისესა შ<sup>ნ</sup>ს ღ<sup>ნ</sup> ა<sup>ნ</sup>.
10. ს<sup>ლ</sup>სა რჩეულსა შვილის ზავრა ყოფილისა ზაქარიასა შ<sup>ნ</sup> ღ<sup>ნ</sup> და მათსა ძესა ხორშს შ<sup>ნ</sup> ღ<sup>ნ</sup>
11. ს<sup>ლ</sup>სა თეთრადეს ინდოსა და მისთა დედა მ<sup>რ</sup>მთა შ<sup>ნ</sup> ღ<sup>ნ</sup> ა<sup>ნ</sup>.
12. ს<sup>ლ</sup>სა ყუდაძისასა აბრამს და მისთა დედთა მ<sup>რ</sup>მთა შ<sup>ნ</sup> ღ<sup>ნ</sup>.
13. სულსა ხარტშიძესა ივანსა და მისა მეუღლეს მანიერსა და მისა დაისაწულსა სალმინაერის შ<sup>ნ</sup> ღ<sup>ნ</sup>.
14. ს<sup>ლ</sup>ა მოზაუერადესა ზაურაშას შ<sup>ნ</sup> ღ<sup>ნ</sup>
15. ს<sup>ლ</sup>სა ქარციძესა მ... და მისთა დედა მამა შ<sup>ნ</sup> ღ<sup>ნ</sup>
16. ს<sup>ლ</sup>სა ქარციძესა ბღირიასა მეუღლესა მისსა მაიანს შ<sup>ნ</sup> ღ<sup>ნ</sup>
17. ს<sup>ლ</sup>სა დევადარადესა ბღირის ძისა მისა მეუღლესა კეკელასა და მისთა შვილთა შ<sup>ნ</sup> ღ<sup>ნ</sup>
18. ს<sup>ლ</sup>ა ლალივაშვილსა აეგაროზს მისსა მეუღლესა მაზისა თუალსა ხარადარს შ<sup>ნ</sup> ღ<sup>ნ</sup>
19. ს<sup>ლ</sup>სა ხუციძესა აბესლოშსა შეუნდნეს ღ<sup>ნ</sup>.
20. სულსა ბუჭიტძესა დარისპანსა შეუნდნეს ღ<sup>თ</sup>მ<sup>ნ</sup>
21. ს<sup>ლ</sup>სა სალომნიძესა იოსებსა შეუნდნეს ღ<sup>მ</sup>ერ<sup>თ</sup>მ<sup>ან</sup>.
22. ს<sup>ლ</sup>სა ლასურიძესა სფრიდონს და მისა მეუღლესა ყისყნსა შ<sup>ნ</sup> ღ<sup>ნ</sup>.
23. სულსა შალიკაშვილისა ელიასასა დღეგრძელობით ცოდვანი მისნი შეუნდნეს ღ<sup>მ</sup>ერ<sup>თ</sup>მ<sup>ან</sup>
24. ს<sup>ლ</sup>სა იროდნს მღმდელსა შ<sup>ნ</sup> ღ<sup>ნ</sup>
25. სულსა მკეციძის ასულს როდენ ყოფილს სიძესა და მის ძმის წულს იოსებს შეუნდნეს ღ<sup>მ</sup>ერ<sup>თ</sup>მ<sup>ან</sup>.
26. ს<sup>ლ</sup>ა კავაკასიძესა ზაქარიასა და მისა მეუღლე ულპიასა შ<sup>ნ</sup> ღ<sup>ნ</sup>
27. ს<sup>ლ</sup>სა ამილხოარის შავილსა(sic) იობ შ<sup>ნ</sup> ღ<sup>ნ</sup>
28. სულსა კოპასძეს როსაბს შ<sup>ნ</sup> ღ<sup>ნ</sup>

29. სულსა აღმაიფარს შ<sup>ნ</sup> ლ<sup>ნ</sup>
30. ს<sup>ლ</sup>სა ქუმასიასა შ<sup>ნ</sup> ლ<sup>ნ</sup>
31. სულსა შამიძესა იაჯავრსა შ<sup>ნ</sup> ლ<sup>ნ</sup> და მისა მეცხედრესა ანასა და მისა ძესა დაეითსა შ<sup>ნ</sup> ლ<sup>ნ</sup>.
32. სულსა გოგოლა შ<sup>ნ</sup> ლ<sup>ნ</sup>
33. შვილსა გ<sup>ნ</sup>ისა ელილბდეს შ<sup>ნ</sup> ლ<sup>ნ</sup> და მისა მეულღესა. ბისა ძესა რომანოზსა და მისა მეულღესა გულსურუმს შ<sup>ნ</sup> ლ<sup>ნ</sup>.
34. სულსა მალარაძესა გ<sup>ნ</sup>ის და მისა მეულღეს ქეთეონს შ<sup>ნ</sup>ს ლ<sup>ნ</sup>
35. სულსა ანტონიძესა დანიელს შ<sup>ნ</sup> ლ<sup>ნ</sup>
36. სულსა ვარდანძესა ნიკოლოზს მისა მეულღესა მისა ძესა შ<sup>ნ</sup> ლ<sup>ნ</sup>
37. თაგდირიძესა ნაეროზს შ<sup>ნ</sup> ლ<sup>ნ</sup>
38. ს<sup>ლ</sup>სა შარაბიძესა ხანკთისა დეკანოზსა ათანასეს და მისთა დედა ძამათა შ<sup>ნ</sup>ს ლ<sup>ნ</sup>
39. სულსა დეკანოზსა დემეტრეს და მისა ძმასა ი<sup>ნ</sup>ეს მირაქს შ<sup>ნ</sup> ლ<sup>ნ</sup> და მათთა დედა ძამათა შ<sup>ნ</sup> ლ<sup>ნ</sup>
40. ს<sup>ლ</sup>სა სუტის დეკ<sup>ნ</sup>ზსა კუციძესა მ<sup>ს</sup>ეს შ<sup>ნ</sup> ლ<sup>ნ</sup>.<sup>1)</sup>

სხვა ნივთებთა შორის რუისის ეკლესიისა უნდა აღვნიშნოთ:

I. წყვილი სამღვდელ-მთავრო ენქერი, მშვენიერის ხელობისა, სულ სირმით ნაკერი. ერთ მათგანს ლამაზის ასომთავრულით აწერია:

„ქ: შვიბ: მახვილი: შ<sup>ნ</sup>ი წე-  
 ლთა: შ<sup>ნ</sup>თა: ძლიერო: შ<sup>ნ</sup>ენიერე-  
 ბითა: შენითა: მოიხსენე: ჩ:  
 დედოფალი: რუსუდან: ა<sup>ნ</sup>:“

აქ მოხსენებული რუსუდანი უნდა იყოს ვახტანგ მეექვსის მეულღე, რომელიც გარდაიცვალა მოსკოვს 1740 წელს.

II. სამღვდელ-მთავრო სარტყელი, რამლის აბზინდებზე მხედრულათ აწერია:

ქ: მოიხსენე: უფალო: ბატონიშვილი: ლევან: და: თანა: მეცხედრე: ჩუენი: სულ: კურთხეული: გურიელის: ასული:

<sup>1)</sup> ქართული ტექსტები ხელთნაწერების მინაწერთა აქ პირველად იბეჭდება.

*გოქ, ძეგლის სხვაზე მე-11 სტ. მავს მიხედვით, გადამწერილი მავს მძახილს მიუხ. იხ. აქს. ქსან. I, 208-209 და სიყვ. მწ. სხვ. მძახილს, ზღვის ესტატი ძ, მთხარა*

ბატონიშვილი: თუთა: რომელმან: შემოგწირეთ: სამარხსა: ჩუენ-  
სა: სვეტს ცხოველს\*): ვინც: გამოსწიროს: ისიმც: რისხავს:

აქ მოხსენებული ლეევან არის ვახტანგ მეხუთის შვილი და თუთა მისი მეუღლე, ქაიხოსრო გურიელის ასული. თუთა გარდაიცვალა 1670 წელს.

III. დიდი ვერცხლის ფოდნოსი. რომელზედაც მხედრულათ აწერია:

ქ: საქართველოს: მეფის: ირაკლის: სძლის: მარიამის: მზითვის: არის: მისხალი: რჯგ:.

ეს მარიამ არის გიორგი მეთორმეტის მეუღლე, გიორგი ციციშვილის ასული, რომელიც გადაიცვალა მოსკოვს 1850 წელს.

ამ მარიამის დედა ყოფილა ელენე, რომელიც დამარხულია რუისის ეკლესიაში და რომლის ეპიტაფიის მაგიერ ჩვენ ზემოთ (იხილეთ პირველი ნომერი ეპიტაფიისა) შეცდომით დედოფლის როდამ ყოფილის ეკატერინეს ეპიტაფია მოვიყვანეთ. ეს ეკატერინე დამარხულია სვეტიცხოველის ტაძარში მცხეთას და სვეტიცხოველიდან გადმოღებული ეპიტაფია შემთხვევით მოჰყვა რუისის აღწერაში. ამ ეპიტაფიის მაგიერ უნდა იყოს:

„დასაბამ და არსებ ჩემდა იქმნ[ა] ბძანება დამბადებელისა მიწა ხარ მიწადვე იქეც მომიპოვა მეც მიწადვე მისა ღები მშაბელი (sic) საქართველოს დედოფლის მარიამასა (sic) და თანა მეცხედრე თავადის სარდლისა გიორგისა ციციანოვის ელენე აღმამკითხველთა ამისთა შენდობას ჰყ[ო]ფდეთ. ქრისტეს აქეთ ჩუენს\*\*):“ ჩუენს.

IV. რუისის ეკლესიაში 1873 წელს დ. ბაქრაძეს უნახავს კიდევ სამღვდელ-მთაწრო ომფორი, სირმით ნაკერი, შეწირული ცნობილი მარიამ დედოფლის მიერ, როსტომ მეფის მეუღლისა, მაგრამ ეხლა ეს ომფორი ეკლესიაში მთელათ აღარ

\*) აქედან ხჩანს, რომ სარტყელი წინეთ სვეტიცხოველის ყოფილა.

\*\*\*) ეს წლის აღრიცხვა ჩემს დღიურში წაშლილა და ამიტომ არ ვიცი უკანასკნელს ორი ასო მართალია თუ არა.

მოიპოვება. დაცულია მხოლოდ ერთი ნაჭერი, რომელზედაც წარწერა არ არის. როგორც გადმოძევა რუისის ეკლესიის მნათემ, მეორე წარწერიანი ნაწილი ომფორისა წაუღია რუისის ყოფილ დეკანოზს, აწ განსვენებულს რაჟდენ დეკანოზის-შვილს, და აღარ დაუბრუნებია. ეს მით უფრო სამწუხაროა, რომ ქართული ტექსტი ომფორის წარწერისა დ. ბაქრაძეს არ მოჰყავს. კარგი იქნება, ვისგანაც ჯერ არს, მოიკითხონ განსვენებულის რაჟდენ დეკანოზის-შვილის სახლობაში ეს საქართველოს საუკეთესო დედოფლის ნამუშავევი.

წ. სალაროში ინახება ყავარჯენი სპილოს ძვლით შემკობილი გველის თავის მსგავსად.

ეხლანდელი ხის ხელოვნური კანკელი რუისის ეკლესიისა, როგორც წინეთ მოყვანილი წარწერა უჩვენებს (ეს წარწერა ასომთავრულია და არა მხედრული, როგორც შეცდომით მოვიხსენიეთ ზემოთ) გაკეთებულია ირაკლი მეორის დროს 1781 წელს. წინეთ ეკლესიას ჰქონია, როგორც ურბნისში, ქვის კანკელი სულ დახატული. ეს მხატვრობა ეხლა სანახევროთ მოშლილია და აგრეთვე დაზიანებულია ქვის კანკელიც. ძველ კანკელს ოთხი რიგი მხატვრობა ჰქონია მხედრულის და ხუცურის წარწერებით. პირველ ქვედა რიგზე დახატული ყოფილა მსოფლიო მამათ-მთავრები, ერთ მათგანს აწერია: „წ. ოქროპირი“, სხვების წარწერები აღარ მოჩანან. მეორე რიგის მხატვრობაში მოთავსებულია წმიდა იოანე, დავით წინასწარმეტყველი (ამ ადგილზე ჩვეულებრივად ღვთისმშობელი უნდა ყოფილიყო, რადგან საკურთხეველის შუა კარის მარცხნივ არის), შემდეგ შუა კარის მარჯვნივ წაბლალული სურათი\*), რომლის ქართზე წარწერიდან ასომთავრულით შერჩენილა:

მართლი: იუც. ცხოვრებდ ხ: დევენულობაჲ: უღვთოჲსა..

შემდეგ დახატულია იოანე ნათლის მცემელი.

\*) ამ ადგილას ჩვეულებრივად ქრისტე უნდა იყოს.

მესამე რიგზე წარმოდგენილნი არიან სული წმიდა შუა ადგილას კანკელისა და აქეთ იქით ანგელოზნები საყვირებით, რომლის პირებზე აწერია ასომთავრულებით:

წა არს, წა არს, წა არს ონი ონი.

მეოთხე რიგის მხატვრობა ზემოთ სულ მოშლილია, გარდა კუთხეებისა. ამ ზედა რიგის ნახატების ზემოთ უნდა ყოფილიყო წარწერა, ვისგან არის გაკეთებული კანკელი, მაგრამ ეს ნაწილი კანკელისა სულ ჩამონგრეულია.

კანკელის მხატვრობა იმ დროს უნდა ეკუთვნოდეს, რომელსაც ეკუთვნის მცირეოდნად დაცული მხატვრობა არკებზე მარცხნივ და მარჯვნივ საკუროთხვევლისა. მარცხნივ დაცულს წელს ზემოთ ნახატს სურათებს აწერია:

წმიდა ბარბარე, წმინდა ეკატერინე, წმინდა ირინე, წმინდა თეკლა, წმინდა მარინე, წმინდა ნანო.

მარჯვნივ ზემოთ ერთი სურათი დაფარულია ფერისცვალების ხატის ფანჯატურით, სხვებზე ამოვიკითხეთ: „წმიდა არსენ, მამა პავლე.“ მარცხნივე კანკელისა მოიპოვება დიდი სურათი წმიდა გიორგისა ცხენით, ვეშაპის გამგმირავი.

წარწერა კედელზე დარჩენილის სურათებისა ისეთივე მხედრულია, როგორც ძველი კანკელისა. ჩვენის აზრით ყველა ეს მხატვრობა ვახტანგ მეექვსის დროის უნდა იყოს. ამ მოსაზრებას ჩვენ ვამყარებთ მხედრული წარწერების მსგავსებაზე რუისის და ურბნისის კანკელებისა: როგორც ხის კანკელები ორთავე ეკლესიებში ისაკლი მეორეს გაუკეთებია, ისე ქვის კანკელები ვახტანგ მეექვსეს ეკუთვნიან. შიგნით დანარჩენი ნაწილი ეკლესიისა კირით არის შეთეთრებული და ძველი მხატვრობა დაფარულია.

ვსარგებლობთ აქ შემთხვევით შევასწოროთ წინეთ მოყვანილი წარწერა სამრეკლოს აღმოსავლეთის ნაწილისა, რომელზედაც ასომთავრულით სწერია:

წ: ღოთა: შ: მეორედ: აღმა  
 შენებლი: სამრეკლოსა: ამის:  
 ღარაძე: დიონოსი: ამინ:

ეს წარწერა ცხად ყოფს, რომ სამრეკლო ძველი არის და დიონოსეს ის მეორედ აღუშენებია. ანუ უკეთ ესთქვათ განუახლებია და არა პირველად აღუგია, როგორც გრაფინია უვაროვისა შენიშნავს.

რუისის სამწყსოს წინეთ შეადგენდა მთელი ზემო ქართლი, ანუ უმეტესი ნაწილი ძველის შიდა ქართლისა. ჯერ კიდევ 1800 წელს რუისის ეპარქიაში, დ. ბაქრაძის სიტყვით, ითვლებოდა 46 სოფელი (ეპარქია რუისისა გაუქმდა 1811 წელს). მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისში რიცხვი სოფლებისა ორჯელ მეტი ყოფილა. ჩვენ გვაქვს ეხლა ხელში ერთი შესანიშნავი წიგნი, ა. ციმაკურიძის მიერ ჩამოტანილი ქართლიდან, რომელიც წარმოგვიდგენს დავთარს ანუ, როგორც შემდგენელი უწოდებს, მათიანეს რუისის სამწყსოსას. დავთარი შეუდგენია 1715 წელს ნაკლადან მრგველს დაბეჭდილს ანუ ყაფლანაშვილს. წიგნი 1763 წლამდის შეუკრავი ყოფილა და დაზიანებულია. ხსენებულს წელს მროველს გერმანეს წინამძღვრისშვილს შეუკრავინებია დავთარი და ლამაზი შავ ტყავ გადაკრული ყდა გაუკეთებია. ყდის წინ დატანებულ ქალაღზე გერმანე სწერს:

მე. წინამძღვრის. შვილმა. მროველ. მიტრაპოლიტმა. გერმანემ. შევაკრავინე. წიგნი. ესე. ყაფლანისშვილის. მროველისგან. დაწერილი. იყო. წამკდარიყო და გავაკეთებინე. ქკს უნა.

სულ დავთარი შეიცავს ექვს რვეულს. რვეულების სათვალავი ასომთავრულებით არის აღნიშნული. რვეულში რვა ფურცელია. მეოთხე რვეულს აკლია ერთი ფურცელი. აგრეთვე ერთი ფურცელი აკლია უკანასკნელ მეექვსე რვეულს. ეს ნაკლი ყოფილა მროველი გერმანეს დროსაც, ვინაიდან მის მიერ აღნიშნული ფურცლების სათვალავი მხედრულის ასოებით

ყველა ფურცლებზე სწორია. სულ ნაჩვენებია და დღემდის დაცულია 46 ფურცელი. ისტორიული, სტატისტიკური და იურიდიული მნიშვნელობა ამ დაფთრისა ექვს გარეშეა და ამიტომ საჭიროდ ვრაცხთ მთლიან მოვიყვანოთ აქ ეს ნაშთი საქართველოს სიძველენისა. პირველი გვერდი დაფთრის შესავალისა ძრიელ გადასულია და აქ ჩვენ გავარჩიეთ მხოლოდ რამოდენიმე სიტყვები. სხვა შენიშვნებს ტექსტის შესახებ, თუ საჭირო იქნება, სხოლიებში უჩვენებთ.

დავითნი რუისის სამწესოისა.

ქრისტეს აქეთ ჩდაე წელსა  
აპრილსა ერთსა თვით  
მკვდრეთით აღდგომასა  
უფლისა ჩვენისა იესო  
ქრისტესა [ალიწერა  
მატიანე ესე].

ქართველთა მეფეთ მეფისა დიდისა გიორგისსა და<sup>1)</sup> ძმისა მათისა იმერთა და კახთ მეფეთ მეფისა.. და ძმისა მათისა სრულად სპარსეთის მოსამართლეთ უხუცესისა ლევანისა, ამა მეფეთა დედის ძმისწულმა და საქართველოს მოსამართლეთ უხუცესისა ძემან ორბელის ძემა ნიკოლოზ მროველ ეპისკოპოზმა...

. . . . და აღვწერე ხელითა... . . . .  
. . . გლები და მამული სადაც ვის... . . . .  
. . . განწესებული რიგი და სალოცი ქირა... . . . .  
. . . . მღდელისა მათისა . . . . .

აწე ამას გვედრებით ყოველთა რომელნიცა იჯდეთ  
საყდარსა ამას ზედა რუისის ღვთაებისასა თქვენცა . . . .  
ესე რამეთუ არა რა სამე..\*) . . . . .

1) ეს სტრიქონი წითელის მელნით არის დაწერილი.

\*) აქ თავდება პირველი გადასული და გაფუჭებული გვერდი ხელნაწერისა. დანარჩენი საკმაოდ კარგათ არის დაცული.



ღიეს: ქრისტეს მცნებისათვის: რომელი ბრძანებს ემა მაღალ მოციქულის პავლეს პირითა: ურთიერას სიმძიმე იტვირთეთ და სჯული იგი ქრისტესი აღასრულეთო:: ჩემ ცოდვილისაგან: რაც შეიძლებოდა. ან დამცალდა აშენებითა: ყმისა და მამულის შემატებითა და რაც ღთს შემადლებინა მისი მატიანე ბოლოს დამიწერია:<sup>1)</sup> და ღღიეს წალმა უფალმან განაგოს: თქვენც ჩემი სიმძიმე იტვირთეთ ჩემ ცოდვილისათვის: თქვენის წმიდის წირვითა და ლოცვით ვიკსენიებოდე: უფლისა ღთისა ჩვენი-საგან: ვედრებითა თქვენითა ვპაო ცხონება სულისა ჩვენი-სა და სახიერმან ღთმა მოგმადლოსთ კეთილი მწყესობა: და სულიერი კეთილ ცხოვრება: ხოლო უკეთუ სათნო იჩინოთ ჩემ მიერ განწესებული ესე გარიგება თქვენცა ესრეთ ყავთ: და უკეთუ არა გინდესთ თქვენ რომელი ინებოთ იგი ქენით: და მე უკანონო ვიყო:.

ამასაც ვიხვეწები: ამ სამწყსოს დავთარს მეფის მოსაქმეს ნურავის აჩვენებთ: კოდის პურსა და საურზე ქვეყანას გარჯიან: და მე არ მიჯობს: მე ღრამისთვის ავწერე: საყდარს მოსაელის ანგარიში არ დაეკარგოს: ღთის სიყვარულისათვის ამ სამწყსოს მატიანეს ნურას მეფის მოსაქმეს ნუ აჩვენებთ: თუ ქრისტე გწამსთ:\*)

ამას გარდა ამ საყდრის მამული და ყმა: სულ დამიწერია: თარხანი ვინ არის და თარხნობით რა სამსახური აძეს: და მო-

<sup>1)</sup> ეს ცალკე სია ნიკოლოზის შექმნილის ყმის და მამულებისა ჩვე წამდის მიღწეულს წიგნში არ არის, ალბათ ბოლოს იყო დართული და დაიკარგა.

\*) აქედან სჩანს, რომ საქართველოში მღვდელ მთავრები თავიანთი ინტერესის დასაცველად საეკლესიო ყმების სია მეფეთ მოხელეებს უმაღვიდენ, რომ მათ კოდის პური და საური არ აეღოთ. ფეოდალურ წეს წყობილებაში ანტაგონიზმი ფეოდალებთა და მეფეთა შორის ყოველთვის არსებობდა. ეპისკოპოსები საქართველოში მუდმივ სტდილობდენ თავიანთი ყმები სახელმწიფო გადასახადიდან გაენთავისუფლებინათ: ჩვენამდის მრავალ სიგელ-გუჯარს მოუღწევია, რომლებიდანაც სჩანან რომ ეპისკოპოზებს გამოუთხოვიათ თავისუფლება სახელმწიფო გადასახადისაგან ამა თუ იმა საეკლესიო ყმებისა. იმ დროს, როდესაც ჩვენი მატიანეა შედ-

ბეგრე ეინ არის და რა ბეგარა აძეს:<sup>8)</sup> და თქვენ რომელიც გინ-  
დოდესთ ვიცი იმას იქით: და მე კი ნუ დამწყევთ: რაც მე შემი-  
მატებია: ის როგორც გვინდოდა ისე დამიბეგრავს: და ნურც  
მოუშლით: და რაც თქვენ შეიმატოთ: ის როგორც გენებოსთ  
ისე გაარიგეთ: [წინა] მემკვიდრებისა ჩემს უწინდელის მროვლე-  
ბის გარიგება როგორც ყოფილა მე არ მომიშლია რა: ამას  
იქით თქვენ იცით...

### ახადეთს:

- ქ. იშხნელიშვილი ფირან. საწირავი აძეს:.
- ქ. იშხნელიშვილი იოვანე. საწირავი აძეს:.
- ქ. იშხნელიშვილი ნიკოლოზ. საწირავი აძეს:.
- ქ. იშხნელიშვილი დავით. საწირავი აძეს:.
- ქ. იშხნელიშვილი მერისელი. საწირავი აძეს:.
- ქ. ქუმსიაშვილი ზაზუა. საწირავი აძეს:.
- ქ. მაზანაშვილი გიორგი. საწირავი აძეს:.
- ქ. მუჩაიძე ფირან. საწირავი აძეს:.
- ქ. მაისაძე ზაქარია:.
- ქ. თოდიძე ნიკოლოზ:.
- ქ. თოდიძე ნადირა:.
- ქ. თოდიძე საბა:.
- ქ. დევიძე მანეელა:.

გენილი, რუისის სამწყსოს ნუსხა, როგორც სჩანს, მეფის მოხელეებს არა  
ჰქონიათ, მაგრამ სტატისტიკური აღწერილობის საჭიროება კარგათ ჰქონ-  
და შეგნებული ვახტანგ მეექვსეს და ეს იყო მიზეზი, რომ მან მოახდინა  
განკარგულება და აღაწერინა თითოეული სადროშო ქართლისა. მეწინავე  
სადროშოს ანუ საბარათიანოს აღწერილობამ მოაღწია ჩვენამდის, დაის-  
ტამბა და მალე გამოვა, ხოლო დანარჩენი სადროშოების აღწერილობანი  
ჯერ არ აღმოჩენილან.

<sup>8)</sup> სია თარხანთა და მობეგრეთა განცალკავებით არ მოიპოვება ჩე-  
ნამდის მოღწეულს წიგნში შესაძლებელია, რომ ამგვარი სიაც დართული  
ჰქონდა ბოლოს ჩვენს წიგნს, მაგრამ აღარ შენახულა.

- ქ. კიკოლიასწვილი პაატა:.
- ქ. გელიასწვილი გიორგი:.
- ქ. ტიტვინიძე პაატა:.
- ქ. ხუციასწვილი პაპუნა:.
- ქ. გუგულასწვილი ლეკვია:.
- ქ. თადუღასწვილი ავთანდილ:.
- ქ. ნამორასწვილი იორამ:.
- ქ. ბერიძე იორდანე:.
- ქ. ტიტვინიძე საბა:.
- ქ. ბერაძე თამაზა:.
- ქ. ოთიასწვილი ივანე:.
- ქ. სულიასწვილი ბერი:.
- ქ. ბერუკასწვილი ბერი:.
- ქ. კოკოღასწვილი პაპუნა:.
- ქ. მამასახლისი ოთარი:.
- ქ. გიგითი გიორგი:.
- ქ. მირიანასწვილი ზურაბა:.
- ქ. მირიანასწვილი გოგია:.
- ქ. საღარასწვილი ივანა:.
- ქ. მკეცაძე პაპუნა:.
- ქ. როსათასწვილი თევდორა:.
- ქ. მღღელი ათანასე:.
- ქ. როსათასწვილი გიორგი:.
- ქ. მუჩაიძე ლონგა:.

37 \*)

ღრამას ბოვანო ნახევარ კოდსა: და სხვა სრულს კოდს  
იღებენ: ამათი სახუცო მარჩილი ოთხი და უხალთუნი:.

### სადგაღასწვინს:

- ქ. ძმაორასწვილი დემეტრე:.
- ქ. ძმაორასწვილი შალვა:.
- ქ. ჯავახასწვილი დემეტრე:.
- ქ. ჯავახასწვილი სეხნია:.

\*) სათვალავი კომღებისა დედანში ხუცური ასომთავრულეებით არის  
ნაჩვენები.

- ქ. ჯაფახაშვილი ზაქარია:
- ქ. ჯაფახაშვილი დათუნა:
- ქ. ელიჯანაშვილი გიორგი:
- ქ. მღღელი გაბრიელ:

8

დრამას ბოგანო ნახევარ კოდსა და სხვა მთელს კოდს იღებენ: ამათი სახუცო ექვსი შაური არი:.

### სამეზას:

- ქ. კალატოზიშვილი მიქელ: საწირავი აძეს:.
- ქ. კალატოზიშვილი სოსია: საწირავი აძეს:.
- ქ. კალატოზიშვილი არდაშელ: საწირავი აძეს:.
- ქ. გივიტაშვილი ივანე:
- ქ. მურვანაშვილი პაპუნა:
- ქ. ლაშიანი ბერი:
- ქ. ტაბატაძე ნანუა:
- ქ. გოგიაშვილი დათუნა:
- ქ. კუტიშვილი ბერი:
- ქ. ღვინიაშვილი ბერი:
- ქ. ბარტყიაშვილი ივანე:
- ქ. გვრიტიაშვილი ზაქარია:
- ქ. შათირიშვილი გიორგი:
- ქ. შავკაბისტოშვილი ბერი:
- ქ. ნადიაკვენევიშვილი ლ'თისია:
- ქ. კბილაშვილი გიორგი:
- ქ. ფცქიალაძე ნასყიდა:

17

ღვინიაშვილის გარდა ყველა ნახევარ კოდს დრამას იღებენ: და ღვინიაშვილი მთელს კოდს იღებს: ამათი სახუცო მარჩილი ერთი არის:.

### დარბს:

- ქ. ეგნატაშვილი მღღელი იესე: საწირავი აძეს:.
- ქ. ეგნატაშვილი დემეტრე: საწირავი აძეს:.

- ქ. ეგნატაშვილი ზაზა: საწირავი აძეს:.
- ქ. ხუცისშვილი გოდერძი: საწირავი აძეს:.
- ქ. დეკანოზი ბასილი: საწირავი აძეს:.
- ქ. გაბრიელიშვილი გაბრიელ: საწირავი აძეს:.
- ქ. გაბრიელიშვილი ხუცია: საწირავი აძეს:.
- ქ. გულიაშვილი დათუნა:.
- ქ. კვირიკაშვილი ივანე:.
- ქ. ბაჩურიშვილი თამაზა:.
- ქ. ბაჩურიშვილი იორდანე:.
- ქ. გელბახიანი ბერი:.
- ქ. გვარამული ბერი:.
- ქ. ხახანაშვილი პაპუნა:.
- ქ. ახალკაციშვილი დათუნა:.
- ქ. ოქრუაშვილი ხახანა:.
- ქ. მეგრელი მამუკა:.
- ქ. გიორგაშვილი თამაზა:.
- ქ. სირაძე ბერი:.
- ქ. ბეჟანიშვილი ივანე:.
- ქ. ეფრემაშვილი ივანე:.
- ქ. სოზაშვილი პაატა:.
- ქ. ერაძე მამუკა:.
- ქ. ერაძე შიო:.
- ქ. ნიადაგიშვილი დემეტრე:.
- ქ. ნიადაგიშვილი იორამ:.
- ქ. ნიადაგიშვილი დათუნა:.
- ქ. კირმაძე თანდილა:.
- ქ. ბადაშვილი პაპუნა:.
- ქ. ირემაშვილი ბერი:.
- ქ. გელუტაშვილი ლაზარე:.
- ქ. ქვრივისშვილი მახარა:.
- ქ. ძუძუნაშვილი პაპუნა:.
- ქ. გულიაშვილი ქიტია:.
- ქ. ნაფროზაშვილი გიორგი:.

- ქ. მეჯოგიშვილი ბასილა:.
- ქ. მეჯოგიშვილი პაატა:.
- ქ. მეზვრიშვილი გიორგი:.
- ქ. ნინიაშვილი თამაზა:.
- ქ. ტატუნაშვილი ბერი:.
- ქ. ქურდამელაშვილი გიორგი:.
- ქ. ჯანუაშვილი სოსია.
- ქ. ჯანუაშვილი ივანე:.
- ქ. ნანუჩაშვილი ამირინდო:.
- ქ. ნანუჩაშვილი იმედა.
ქ. \*)

ქ.

ქ. კიკნაძე პაატა:.

ქ. ჩაჩანიძე გიორგი:.

ქ. ჩაჩანიძე ზაქარია:.

ქ. გომარელი ბექუა:.

ქ.

ქ.

ქ.

11

ღრამას ნაცვლად თვითო ფოხალი სამარხო აძეს:.

### შოდისხარს:

ქ. მღივანი ღუშია: საწირავე აძეს:.

ქ. ღონლაძე საზვია:.

ქ. ტოტაძე ბიძინა:.

ქ. ტოტაძე სეხნია:.

ქ. ჭაბუკაძე პაპუნა:.

ქ. ოსაძე პაატა:.

ქ. ოსაძე კაცია:.

ქ. ოსაძე მახარა:.

ქ. კილაძე დათია:.

ქ. თეთროძე ზაქარია:.

ქ. გედაძე დათუნა:.

ქ. ბეჟანაშვილი სეხნია:.

ქ. ბეჟანაშვილი ბექუა:.

ქ. ბეჟანაშვილი პაპნია:.

ქ. ბეჟანაშვილი კიდევ ბექუა:.

ქ. ხიზანაშვილი პაატა:.

16

---

\*) ეს და ამას ქვემოთ დატოვებული ცარიელი ადგილები დედნისა მოწმობენ, რომ შემადგენელს საზოგადო რაიცივი სცოდნია, მაგრამ სახე-ლები და გვარები არ მოჰგონებია.

ღრამა ბოგანოს ნახევარ კოდსა: სხვა მთელ იღებს: ამათი  
სახუცო სამი მარჩილი:.

### ქვიშხეთს:

- ქ.
- ქ. გუდაბრელი ივანა: საწირავი აძეს:.
- ქ. ავალიშვილი სვიმონ: საწირავი აძეს:.
- ქ. სამადაშვილი გიორგი: საწირავი აძეს:.
- ქ. მუსტაფაშვილი ოთია:.
- ქ. მუსტაფაშვილი ბეჟუა:.
- ქ. მჭალაშვილი თამაზა:.
- ქ. მჭალაშვილი თევდორა:.
- ქ. მჭალაშვილი ზაქარა:.
- ქ. მჭალაშვილი შოშიტა:.
- ქ. მალლაფერიძე ზურაბა:.
- ქ. მალლაფერიძე ბერუკა:.
- ქ. მალლაფერიძე ბეჟუა:.
- ქ. ჩიტაძე თამაზა:.
- ქ. ჩიტაძე ბეჟია:.
- ქ. ჩიტაძე გიორგი:.
- ქ. ლაცადიძე გელა:.
- ქ. ლაცადიძე მკვდელი:.
- ქ. ლაცადიძე პაპუნა:.
- ქ. კლიბაძე ზაქარია:.
- ქ. კლიბაძე თამაზა:.
- ქ. მცხვედაძე ზაქარია:.
- ქ. მცხვედაძე პაპუნა:.
- ქ. ბლუაშვილი ზაქარია:.
- ქ. ბლუაშვილი ივანა:.
- ქ. ბლუაშვილი დათუნა:.
- ქ. არსენაძე პაპუნა:.

დრამა ბოგანო ნახევარ კოდსა: და სხვა მთელსა: ამათი  
სახუცო ოთხი მარჩილი:\*)

ზანაეს:

- ქ. ქურცაკაშვილი სულხანა:.
- ქ. ქურცაკაშვილი ივანა:.
- ქ. ქურცაკაშვილი გულისა:.
- ქ. ქურცაკაშვილი ხიზანა:.
- ქ. გოსტაბაშვილი ბერუკა:.
- ქ. გოსტაბაშვილი ძულია:.
- ქ. გოსტაბაშვილი თამაზა:.
- ქ. გოსტაბაშვილი დათუნა:.
- ქ. ესიაშვილი ნასყიდა:.
- ქ. ესიაშვილი გიორგი:.
- ქ. ესიაშვილი ბეჟუა:.
- ქ. ესიაშვილი პაატა:.
- ქ. ესიაშვილი ზაქარია:.
- ქ. ფოცხვერაშვილი ზურაბა:.
- ქ. კიკაძე თამაზა:.
- ქ. კიკაძე პაპუნა:.
- ქ. კიკაძე მამუკა:.
- ქ. კიკაძე ივანა:.
- ქ. კიკაძე მამუკა:.
- ქ. კიკაძე თევდორა:.
- ქ. კიკაძე საქუტა:.
- ქ. კიკაძე კაკია:.
- ქ. სხალაძე მახარა:.
- ქ. სხალაძე პაპუნა:.

24

დრამას ნაცვლად თექვსმეტი ლიტრა თევზა: ამის: ამათი  
სახუცო მარჩილი სამი:.

\*) ეს ორი სიტყვა სხვა ხელით სწერია.

## საგანსკეგს:

- ქ. მახარებლიშვილი პაატა:.
- ქ. მახარებლიშვილი ბერუკა:.
- ქ. ბადრიაშვილი დომელა:.
- ქ. ბადრიაშვილი გოსიტა:.
- ქ. ბადრიაშვილი კიდევ პაატა:.
- ქ. ბადრიაშვილი ბეჟუა:.
- ქ. ბადრიაშვილი ზურაბა:.
- ქ. ფაფელაშვილი ხიზანა:.
- ქ. მარგველაშვილი როსიტა:.
- ქ. მარგველაშვილი შოშია:.
- ქ. მარგველაშვილი ბერუკა:.
- ქ. მარგველაშვილი ბერი:.
- ქ. მარგველაშვილი ჭეჭუა:.
- ქ. ქაცახაძე დათუნა:.
- ქ. ქაცახაძე თევდორე მღვდელი:.
- ქ. ქაცახაძე როსიტა:.
- ქ. ფცქიალაძე ბასილა:.
- ქ. ფცქიალაძე თევდორა:.

18

დრამის ნაცვლად თევზი ლიტრა თორმეტი აძქსთ: ესე და ზანავი ერთს ხუცეს ჰქონდა: მარჩილი ხამი:\*)

## გამოღმა ახადდაბას:

- ქ. ურიაყოფილი თამაზა:.
- ქ. ურიაყოფილი შიო:.
- ქ. ურიაყოფილი დათუნა:.
- ქ. ურიაყოფილი კაცია:.
- ქ. ზენაშვილი მარინდა:.
- ქ. ზენაშვილი ოთია:.
- ქ. ზენაშვილი პაატა:.

\*) ეს ორი სიტყვა სხვა ხელით სწეხია.

- ქ. ზენაშვილი ბერი:.
- ქ. მესხიძე ივანა:.
- ქ. მესხიძე მახარა:.
- ქ. მესხიძე გიორგი:.
- ქ. ფცქიალაძე გელოა:.
- ქ. იმერელი:.

ღრამის ნაცვლად აძეს: თევზი ლიტრა რვა: ამათი სა-  
ხუცო აბაზი. ოთხი:.

### ტაშისკაბი:

- ქ. ბეჩელი საწირავი აძეს:.
- ქ. ჩიკვაიძე ფირან: საწირავი აძეს:.
- ქ. ჩიკვაიძე ივანა: საწირავი აძეს:.
- ქ. ჩიკვაიძე საბა: საწირავი აძეს:.
- ქ. ფასიტაშვილი შიო: საწირავი აძეს:.
- ქ. ფასიტაშვილი გიორგი: საწირავი აძეს:.
- ქ. კანტიძე ბასილა:.
- ქ. კანტიძე პაპუნა:.
- ქ. ხუმარაძე პაპუნა:.
- ქ. სხირტლაძე ივანა:.
- ქ. სხირტლაძე ოთია:.
- ქ. დევაძე დათუნა:.
- ქ. ბითაძე თამაზა:.
- ქ. ბითაძე ივანა:.
- ქ. მექვაბიძე გოგია:.
- ქ. ლუკაშვილი ოთარა:.
- ქ. საგინაშვილი ბეჟან:.
- ქ. საგინაშვილი კიდევ ბეჟან:.
- ქ. საგინაშვილი ზაალ:.
- ქ. მარგველაშვილი თევდორა:.
- ქ. მარგველაშვილი გივი:.
- ქ. სუთიაშვილი თანდილა:.

- ქ. სუთიაშვილი თამაზა:.
- ქ. მეზერიშვილი ბერი:.
- ქ. ჩიკვაძის ყმა ზაზუტა:.

25

დრამა ბოგანო ნახევარ კოდსა: სხვა მთელს იღებს: ამათი სახეცო მარჩილი სამი:.

#### გორბათს:

- ქ. ნათიშვილი ონდურე: საწირავი აძეს:.
- ქ. ნათიშვილი პაპუნა: საწირავი აძეს:.
- ქ. ლონენაშვილი პატა:.
- ქ. ზაზუტაშვილი ქიტია:.

4

აზაურშვილის ცოლი ეინც აღსრულდეს. ნიშანი: გამო-  
ართვი და საწირავი: \*)

#### შინდარას:

- ქ. ქოტიშვილი ნასყიდა: საწირავი აძეს:.
- ქ. კვებიაშვილი გივი:.
- ქ. სვიმონაშვილი ივანა:.
- ქ. ბედიანაშვილი ზაქარია:.
- ქ. ბედიანაშვილი გიორგი:.
- ქ. ბედიანაშვილი ალექსი:.
- ქ. კვახიაშვილი გიორგი:.
- ქ. ლომინაშვილი გელია:.
- ქ. ლომინაშვილი ბეჟუა:.
- ქ. ლომინაშვილი დათუნა:.
- ქ. ლომინაშვილი ზაზა:.
- ქ. მაზაძე ბერი:.
- ქ. კუსრაძე გიორგი:.
- ქ. ბოლოკაძე დათუნა:.
- ქ. ნიქოზელი გიორგი:.

---

\*) უკანასკნელი ორი სტრიქონი სხვა ხელით არის დაწერილი.



- ქ. ნიქოზელი ბიძინა:.
- ქ. ნიქოზელი ბერუკა:.
- ქ. ნიქოზელი ოთარი:.

18

ღრამა როგორც სხვისა დამიწერია ისე სძეს: ამათი სა-  
ხუცო აბაზი ხუთი:.

### ქარელში:

- ქ. ამატაკიშვილი გიორგი: საწირავი აძეს:.
- ქ. ამატაკიშვილი პაატა: საწირავი აძეს:.
- ქ. ამატაკიშვილი იესე: საწირავი აძეს:.
- ქ. თოფჩიაშვილი მამუკა: საწირავი აძეს:.
- ქ. თოფჩიაშვილი შაბურა: საწირავი აძეს:.
- ქ. თოფჩიაშვილი:.
- ქ. თოფჩიაშვილი:.
- ქ. ლასურა საწირავი აძეს:.
- ქ. ტაბატაძე გიორგი:.
- ქ. ტაბატაძე მამუკა:.
- ქ. ტაბატაძე გიორგი:.
- ქ. როსაბაშვილი ბერი:.
- ქ. ცენკეაშვილი თამაზა:.
- ქ. სოფრომაძე გიორგი:.
- ქ. სოფრომაძე ზაქარია:.
- ქ. ოქროპირიშვილი ბერა:.
- ქ. ოქროპირიშვილი თევდორა:.
- ქ. თოფჩიაშვილი ივანე:.
- ქ. ბუში ბარამ:.
- ქ. ონიაშვილი დათუნა:.

20

მა როგორც სხვა აწერია: ამათი სახუცო აბაზი ხუთი:.

### საშუკას:

- ქ. ბექუტაშვილი ედიშერ: საწირავი აძეს:.
- ქ. ილიშვილი სენია: საწირავი აძეს:.

- ქ. გივიშვილი სეხნია:.
- ქ. გივიშვილი გივი:.
- ქ. ქუზიაშვილი თამაზა:.
- ქ. აქიმაშვილი ბერი:.
- ქ. ალექსაშვილი ძამა:.
- ქ. ინდიშვილი პაპუნა:.
- ქ. ინდიშვილი ბერი:.
- ქ. შოშიტაშვილი დარჩია:.
- ქ. აბიაშვილი ბადურა:.
- ქ. აბიაშვილი ოთარი:.
- ქ. მლდელი გიორგი:.
- ქ. მისი განაყოფი ბერა:.
- ქ. მალაძე ხოსია:.

15

ღრამა როგორც სხვისა დამიწერია: ამათი სახეცო მარჩი-  
ლი ხუთი:\*)

#### ასაჯრს:

- ქ. კელუბანიშვილი ბეჟან: საწირავი აძეს:.
- ქ. შოშიტა საწირავი აძეს:.
- ქ. ნოზაძე ბერა:.
- ქ. ნოზაძე გელა:.
- ქ. ხუცისშვილი ზაზა:.
- ქ. ხუცისშვილი რჩეულა:.
- ქ. თომაშვილი გიორგი:.
- ქ. პაპაშვილი თამაზა:.
- ქ. კუტიშვილი ზაქარია:.
- ქ. ბერუაშვილი ბეჟია:.
- ქ. ბერუაშვილი თამაზა:.
- ქ. ზაქუაშვილი ბერი:.
- ქ. ზაქუაშვილი ბასილა:.

\*) წინეთ ვგონებ წერებულა: „აბაზი ხუთი“. მერმე ეგ წაუშლიათ  
და დაუწერიათ: „მარჩილი ხუთი“.

- ქ. დაბრუნდაშვილი გიორგი:
- ქ. დაბრუნდაშვილი მამუკა:
- ქ. ხაბელაშვილი ხოსიტა:
- ქ. გელაშვილი ბერი შოშიტასი:
- ქ. თანდილაშვილი ივანა:
- ქ. აუშტარი ბერი:
- ქ. საბაიკიძე შოშია:
- ქ. ფარეში დათუნა:
- ქ. კოჩაძე ივანა:
- ქ. კოჩაძე დათუნა:
- ქ. მალიძე გიორგი:
- ქ. ბაქრაძე შოშიტა:
- ქ. იმანაძე იმანა:
- ქ. იმანაძე გელია:
- ქ. ჩინჩალაძე ივანა:
- ქ. მერაბაშვილი შოშიტას ბოგანო:

28

დრამა როგორც სხვათ აწერია: ამათი სახეუცო მარ ჩილი  
ოთხი:

**ჭადის სოფელს ზეძე:**

- ქ. ბლიაძე გია:
- ქ. კიკაძე შიო:
- ქ. აიშაშვილი ლეკვია:
- ქ. ქადაგიშვილი გივი:
- ქ. კვალაძე ბერი:
- ქ. ჩადუნელი ხოსია:
- ქ. კახი ბერუკა:
- ქ. კვამლაძე ჯავახი:
- ქ. იორდანაშვილი მამუკა:
- ქ. ხარშილაძე ბერი:
- ქ. ფრცველი:

11

. . . . . \*)

\*) აქ აღვნიშნავთ დატოვებული, მაგრამ სოფლის სახელი არა სწერია.

- ქ. პეტრიაშვილი დათუნა:.
- ქ. ბეთიაშვილი ბერი:.
- ქ. ძამანაშვილი ბერუკა:.
- ქ. თორელაშვილი რამაზა:.
- ქ. ქვრივისშვილი ბერი:.
- ქ. გოგატაშვილი ბერი:.
- ქ. ჩიტააშვილი თამაზა:.
- ქ. ყერეუცაშვილი დათუნა:.
- ქ. მალიძე ბერი:.
- ქ. ნაკაშიძე გიორგი:.
- ქ. ჯავახი ზაქარია:.
- ქ. კახი ბერი:.
- ქ. შავარდენიძე პეტრე:.
- ქ. შავარდენიძე ოთარა:.
- ქ. გონგლაძე გიორგი:.
- ქ. წმანელი პაატა:.
- ქ. ლუქუნიძე პაატა:.
- ქ. ბლუაძე მამუკა:.
- ქ. ლაკლაკი ნასყიდა:.
- ქ. ოთია:.
- ქ. ბარქოზაძე ნიკოლოზა:.
- ქ. ამ. გუჯარში. ვინც. აზნაურშვილები. სწერიან. ცხენი  
ნიშანი. და გარდასახურავი. ყველას. სძეს:\*)

21

### ღუბრმას:

- ქ. ჩინჩალაძე თამაზა: ა
- ქ. მეკრე მახარა: ა
- ქ. ბლიაძე გოგია: ა
- ქ. როინა: ა
- ქ. ლომიძე ზაქუტა: ა
- ქ. მრაკველი თამაზა: ა

---

\*) უკანასკნელი ორი სტრიქონი სხვა ხელით არის დაწერილი.

- ქ. სვიმონასშვილი გიორგი: ა
- ქ. ქაქანაშვილი შიო: ა
- ქ. ქაქანაშვილი მკედელი: ა
- ქ. საეზიანიშვილი ივანა: ა
- ქ. მასხარაშვილი რამაზა: ა
- ქ. მამასახლისი დათუნა: ა

12

ღრამასა როგორც სხვისა დაგვიწერია: ამათს ხუცეს აძეს  
აბაზი ხუთი:.

### ახალსაფელსა:

- ქ. ჩიტაშვილი ივანა: ა
  - ქ. ელიკაშვილი გიორგი: ა
  - ქ. სხალაძე თევდორა: ა
  - ქ. მამასახლისი ბეჟუა: ა
  - ქ. თისლეელი თამაზა: ა
  - ქ. ყვიტინაძე გოდერძი: ა
  - ქ. ქალიაშვილი სეხნია: ა
  - ქ. ირემაძე ნასყიდა: ა
  - ქ. ალავიძე ბერი: ა
  - ქ. ოსი ოთია: ა
  - ქ. ტოტაძე დათუნა: ა
  - ქ. ირემაძე რამაზა: ა
- ამათს ხუცეს აძეს მარჩილი სამი:.

12

### სატყვეს:

- ქ. ქურციკაშვილი ნასყიდა: საწირავი აძე:
- ქ. ნადირაშვილი გივი: საწირავი აძე:
- ქ. ლამბაშიძე გივი: ა
- ქ. ლამბაშიძე გიო[რ]გა: ა
- ქ. ლამბაშიძე იესე: ა
- ქ. ხუციშვილი თამაზა: ა
- ქ. შუმბითიძე თამაზა: ა

- ქ. ნოზაძე ივანე: ა
- ქ. ნოზაძე ბერაია: ა
- ქ. დიასახლისი ნადირა: ა
- ქ. ბოჭორაძე გიორგი: ა
- ქ. ოსაძე თამაზა: ა

12

აყრილი ბევრია: თუ მოვლენ ყველა მეტი უნდა მოგცენ:  
სახუცო და დრამა: ესე და ახალსოფელი: დრამა როგორც  
სხვისა სწერია: ამათი სახუცო მარჩილი. ორი:

### ქგისა:

- ქ. ციმანკურიძე ფირან: საწირავი აძეს:
- ქ. მჭედელი თევდორა: ა
- ქ. ღვინიაშვილი მამუკა: ა
- ქ. ღვინიაშვილი ბერეკა: ა
- ქ. ხივრაძე გიორგი: ა
- ქ. ღვინიაშვილი პაატა: ა
- ქ. ღვინიაშვილი გოდერძა: ა
- ქ. ძაღლიბანაშვილი ესტატე:
- ქ. გუნაშვილი ბერი: ა
- ქ. ლაზარეშვილი ელიოზ: ა

10

დრამა როგორც სხვათა დაგვიწერია: ამათს ხუცეს შაური  
თოთხმეტი:

### გაყას:

- ქ. ნადირაშვილი ივანე: ა
- ქ. ნადირაშვილი მამუკა: ა
- ქ. ნადირაშვილი ქიტია: ა
- ქ. ნადირაშვილი ნადირა: ა
- ქ. ნადირაშვილი გიორგი: ა
- ქ. ზემბედაშვილი მამუკა: ა
- ქ. კბილაშვილი ბერი: ა
- ქ. ზესელაშვილი ბერი: ა

- ქ. მლდელი სეხნია: ა
- ქ. ქოჩორაძე გიორგი: ა
- ქ. მეგრელიშვილი მამუკა: ა
- ქ. დალაქიშვილი გიო[რ]გა: ა
- ქ. საყვარელაშვილი პაპუნა: ა
- ქ. დათუკაშვილი ბერი: ა
- ქ. იმერილიშვილი გიორგი: ა
- ქ. ხუციშვილი დათუნა: ა
- ქ. ტატიაშვილი ნაეროზა: ა
- ქ. ბანძუაშვილი გიორგი: ა
- ქ. დათუკაშვილი ლონია: ა
- ქ. იმერლიშვილი სეხნია: ა
- ქ. ხოტივრაშვილი ქიტესა: ა
- ქ. ყიფიანიშვილი დათუნა: ა
- ქ. ბაბადიშვილი გიორგი: ა
- ქ. მამუკაშვილი ბერი: ა
- ქ. ნაცვლიშვილი მამუკა: ა
- ქ. ინანაშვილი მამულა: ა
- ქ. გაჩაგედაშვილი ბერი: ა
- ქ. შიკრიშვილი ბერი: ა
- ქ. მოურავი გუგულა: ა
- ქ. მლდელი ბახუტა: ა

30

ამათი ღრამაც ისევე: ამათი სახუცო აბაზი შვიდი:

ქ. ამ გუჯარში ვინც საწირავიანი. აზნაურშვილნი: სწე-  
რიან. ცხენი ნიშანი და გარდასახურაფი სძესთ: (სამანეთი\*).

---

\*) უკანასკნელი ორი სტრიქონი სხვა ხელით სწერია.

აქ თავდება ჩვენი დედანი. უკანასკნელ რვეულს, როგორც მოვი-  
ხსენიეთ, აკლია ერთი ფურცელი. დედანს სხვა რვეულიც უნდა აკლდეს  
ჩვენის აზრით.

ზემო მოყვანილ რუისის სამწყსოს დავთარში, ჩვენ გვეგონა, თითო გვარით და სახელით აღნიშნულია საზოგადოდ ოჯახი ანუ კომლი და არა ცალკე გვამი, სული. სია ჩამოთვლილ სოფელთა არის 84, ხოლო კომლთა 1839. მაგრამ, როგორც შევნიშნეთ, ჩვენს დედანს აკლია შუაში ორი ფურცელი და ბოლოშიც რამდენიმე ფურცელი. ამიტომ ნამდვილი სია სოფელთა და კომლთა მეტი უნდა ყოფილიყოს. ძველი ოჯახი ანუ კომლი უფრო ჯარი სულისაგან შესდგებოდა ვიდრემ დღემანდელი; გაყოფა ძველათ სათაკილოთ და საზარალოთ მიაჩნდათ. თუ თითოეულს კომლში, ცოტადგან მაინც, ხუთ სულს ვიანგარიშებთ, გამოვა სულ 9095 სული. თუ დაკლებულ ფურცლებსაც მივიღებთ ანგარიშში, მაშინ სულ რუისის სამწყსო ორი ათას კომლიამდე ავა და რიცხვი სულთა 10000 აღემატება \*).

### ახაღქაქი (გორის მაზრა)

უგანათლებულესი თავადის ელენე გრუზინსკის სახლში ჩვენ გავსინჯეთ შემდეგი საყურადღებო ხატები და ნივთები:

---

\*) ზემოთ ჩვენ მოვიხსენიეთ მარიამ დედოფლის, როსტომ მეფის მეუღლის, ნაკერი ომფორი, რომელიც წაეღო რუისის ყოფილ დეკანოზს რაჟდენ დეკანოზიშვილს და ამის შესახებ გამოვაცხადეთ სურვილი მისი მოკითხვისა. ეხლა, როგორც აცნობეს „მოამბის“ რედაქციას ეს ომფორი დაუბრუნებიათ რუისის ეკლესიისათვის. გარდა ამისა ვსარგებლობთ შემთხვევით შევასწოროთ ზემოთ ჩვენ მიერ საეჭვოთ დადებული თარიღი მარიამ დედოფლის (გიორგი მეთორმეტის მეუღლის) დედის ეპიტაფიისა. როგორც, ჩვენის თხოვნით, გვაცნობა ურბნისის მღვდელმა სეით გამრეკელმა, აქ ყოფილა ნაჩვენები ჩჰიზ (1817) წელი.



I. ჯვარი ოქროსი მილანქრიანი მშვენიერი ხელობისა.

II. ხატი წმიდა გიორგისა ნაწილებითურთ და ოქროს ძეწკვით, კარგი ნახელავი.

III. დიდი ვერცხლის ხატი წმ. გიორგისა ოქროთი დაფერილი, რომელიც ბატონიშვილს ბაგრატს გაუკეთებინებია თავის შვილის გიორგის სახელისათვის. (ეს გიორგი ბაგრატის-ძე დამარხულია ანჩისხატში). ხატი შემკობილია ძვირფასი ქვებით.

IV. ხატი წმიდა ნიკოლოზისა, რუსული ხელობისა, წარწერით:

წა ნიკოლაოს მეოხ მექმენ მე(ფის) ძე ბაგრატს მეუღლით ჩე (ჩემით). და ძით. და ასულით. მოსკოვს 1810 წელსა.

V. ხატი ღვთისმშობლისა ძითურთ, შექედლი ოქროთ დაფერილი ვერცხლით, ძველი ხელობისა.

VI. ხატი სვეტი ცხოველისა განგებ შეკვეთილი ბატონიშვილის ბაგრატის მიერ 1803 წელს. მოკვეთილ ნაძვის ძირში მოჩანს დამარხული სიდონია, ზედ დასდგომია ჯვარით და ეტრატით წმ. ნინო, მარცხნივ მოჩანს წმიდა გიორგი, ზემოდან ანგელოზებს ჩამოაქვთ ნელნელა სვეტი-ცხოველი. ხატს აწერია:

საქართუტლოს მეფის. 13 გიორგის ძემან ბაგრატ. დავა-ხატვინე ხატი ესე სულისა ჩემისა საოხად მეუღლისა ჩემისა ეკატერინას საოხად ძეთა და ასულთა ჩემთა კეთილად აღსაზრდელად, თთუტსა ნოემბერსა: წელსა 1803 სამეუფო ქალაქს მოსკოვს.

VII. პატარა ხატი ღვთის მშობლისა, იტალიანური ხელობისა, ვერცხლის კუბოთი. მეორე მხარეზე აქვს მხედრული წარწერა:

დედისა ვიდრემე ღისა ხატი მტვირთჳსლი წიალთა შა  
ოჯჳამოისა ძისა და უკანასკნელ ჟამსა შა შობილისა ყრმისა  
რომლისა თაყუანისცემა პირმშოსა შართ სახისა აღიწევის  
რლსა შა მდებარე არს ძელი ცხოველ-მყოფელი სხუათა  
წთა ნაწილთა თა რომელიცა ესე არმადნად სძლუანე დედისა  
შართ და ნათლულის დედისა ჩემის ბრწყინვალისადმი ორბე-  
ლოვანის ასულის თინათინის და არხიმანდრიტმან დოსითეოს  
ნივთი არ ხწნადი და უხრწნელი მყოფელი მფარველად მრჩობლ-  
თა ცხოვრებათა მისთა ამინ. ფებერვალსა ა: წელსა ჩდჳო.

VIII. ჯვარი ხისა ათონური ხელობისა, ხის კუბოთი.

IX. აკენის ხატი ბაგრატ ბატონიშვილისა ღვთის მშობ-  
ლისა და წმიდა ნიკოლოზისა, დასაკეცი, ძელი ქეშმარიტის  
ნაწილით, შემკობილი ძვირფასი ქვებით და ოქროს ძეწკვით,  
პატარა, მაგრამ ლამაზის ხელობისა.

X. ღვთის მშობლის ხატი, ოქროთი დაფერილ ვერცხ-  
ლით შექედილი, რუსული ხელობისა.

XI. აღდგომის ხატი იტალიანურის ხელობისა, ხუცური  
წარწერით: აღდგომა.

XII. წმიდა ანტონი მარტომყოფელის ხატი, ოქროთი  
დაფერილ ვერცხლით შექედილი, ხუცურის წარწერით:

წაო. მამაო ჩვენო ანტონი მარტო მყოფელო მეოხ ექ-  
შენ ქე-ს თანა. მადიდებელსა შენსა მ[ე]ფის ძეს ბაგრატს. მეუ-  
ლლითა. ძეებით. და ასულით ა:პ. ბ: წეა: 1818: იანვრის 19:  
ავად... (დანარჩენი ნაწილი სიტყვისა დაფარულია ვერცხლის  
არშიით).

XIII. ხატი მაცხოვრისა ოქრო დაფერილ ვერცხლით შე-  
ქედილი.

XIV. პირი მაცხოვრისა შვენიერი, ძველი ხელობისა, ვერ-  
ცხლის არშიით და მრავალის ძვირფასის ქვებით შემკობილი,  
ძვირფასი ნივთია.

XV. ღვთისმშობლის ხატი ძითურთ, ოქროთ დაფერილის  
ვერცხლით შექედილი.

XVI. ხატი მთავარ-ანგელოზებისა მიხაილ და გაბრიელი-სა, იტალიანური ხელობისა, ოქროთ დაფერილ ვერცხლით მოქედილი.

XVII. ხატი ბასილი დიდისა, ოქროთ დაფერილ ვერცხლით მოქედილი.

XVIII. ხატი ღვთისმშობლისა მორთმეული ელენე გრუზინ-სკისადმი მარიაშის მიერ, ბატონიშვილის ალექსანდრეს მეუღლისა, ერეკლე ბატონიშვილის დედისა.

XIX. ხატი ღვთისმშობლისა, ოქროთ დაფერილ ვერცხლით მოქედილი, შემკობილი მარგალიტებით, კუთვნილი მეფის ძის მიხაილისა, ზემოთ ხუცურათ აწერია: „დედა ღთისა იჲჳ ქე“. მეორე მხარეზე მხედრულათ:

„21 დღესა ნოემბერსა წელსა 1861 სანკპეტერბურღს აღესრულა განგებითა ღთისათა მეფის გიორგის ძე მიხაილ: ეს სასწაულთ-მოქმედი ყდ წმიდის ღთიმშობლისა ხატი მისი უგანათლებულესობის ჩჳსნის ბიძის ნაქონები: და შემდგომ შისის სიკჳდილის ჩვენ გვერგო მეფის ძის ბაგრატის ძეთა დავითს და ალექსანდრეს. ხოლო მე შემომიწირავს ჩემი კუთნებული ნაწილი თქჳსნთვს საკუთრად, რათა მეცა კურთხეულ(ვ)იყოთმცა მარად ჟამისად მაგ ღთისმშობლის მადლით ჩემის რძლით და ეგრეთვე ჩემის ძმისწულებით-თურთ სანკტ. პეტერბურღს დეკემბრის 9. დღესა. წელსა 1861“.

XX. ხატი მაცხოვრისა ოქრო დაფერილ ვერცხლით მოქედილი, ძველი ხელობისა, ქვემოთ არშიაზე აწერია:

„ჩჳსნ ყისა საქართველოს მეფისა მეათცამეტის გიჲს ძემან პანკრატ მოვაქედინე ხატი ესე ვნებისა საცხოვრებლად მეუღლისა ჩემისა ეკატერინისა და ძისა ჩემისა სპირიდონისა აღსაზრდელად რათა მეცა შემწე მეყო მრჩობლთავე ცხოვრებათა შინა წელსა: ჩყ: 1800: მისხალი: 33:.

XXI. ხატი იოანე ნათლისმცემლისა, პატარა, ვერცხლით მოქედილი.

XXII. ხატი მაცხოვრისა ახალი ხელობისა.

XXIII. ხატი ღვთისმშობლისა ახალი რუსული ხელობისა.

XXIV. ხატი წმ. მიტროფანესი, პატარა, ვერცხლით მოქედლილი.

XXV. ხატი ღვთისმშობლისა რუსული ხელობისა, ისიდორე ეგზარხოსის ნაჩუქარი.

XXVI. ჯვარი ათონური, ხისა.

### ხელნაწერები და წიგნები:

I. დაუჯდომელი ღვთისმშობლისა მინიატურული. ბოლოს სწერია:

„იესო შეიწყალე მწერალი ამისი ნიკოლაოზ ქკს უღე“ (1747). შემდეგ სხვა ხელით:

„სიონის დეკანოზი ნიკოლაოზ“.

„ეს ლოცვაები არის ორბელიანის (ი)ოანეს სარდლის ასულ(ი)ს მზითვისა. ელენე შანშე ერისთვის მეუღლისა.“

II. სახარება მხედრული, გადაწერილი ბაგრატ ბატონიშვილის ხელით და შემკობილი მახარებლების სურათებით, რომელნიც იოანე ბატონიშვილს დაუხატავს. მინაწერი:

„წა მათე მახარებელი მეფის ძემ იოანე დავხატე წელსა 1814“. შემდეგ კიდევ: „შეიწყალე იკ ძეო მლთისაო ცოდვილი მეფის ძე ბაგრატ აღმწერელი ამისი 18<sup>წ</sup>14-ს პეტერბურხსკი.“

„წა მარკოზ მახარებელი მეფის ძემ იოანე დავხატე წელსა ჩყიდ.“

III. სახარება დაბეჭდილი 1709 წელს ტფილისს და მასთან ერთათ სლავიანური სახარებაც ერთ მშვენიერ ნახელაფ ოქროთ დაფერილ ვერცხლის ყდაში. სახარება შემკობილია ბატონიშვილის ბაგრატის მიერ 1803 წელს პეტერბურგს. მინაწერი:

ჩვენ საქართველოს მეფის 13 გიორგის ძემან მოე(ა)კედინე სახარება შეოხად ჩემდა და მეუღლისა ეკატერინასსა და ძითა და ასულითა ჩემთათჳს წელსა 1803 სექტემბერს 1.

IV. პატარა სახარება დაბეჭდილი 1817 წელს.

V. ლოცვანი გადაწერილი კნენა ელენე გრუზინსკის ქმრისაგან, მხედრული ხელთნაწერი

VI. დაუჯდომელი დაბეჭდილი 1809 წ. ივლისსა.

VII. სახარება დაბეჭდილი 1817 წელს.

VIII. დავითნი დაბეჭდილი. თავში უწერია:

საქართველოს მეფის ძის ბაგრატისა არის ეს წა დავითნი ვინცა მოიპაროს მისი მადლი გაუწყრეს ამ სოფელსა და იმ სოფელსა. გიორგი მღდელმა შამელიქიშვილმან მომიტანა ქართლიდამ კაცმან ღირსმან და წმიდამან წელსა 1814.

IX. დაუჯდომელი ხუცური, პატარა ხელნაწერი. ბოლოს ტექსტის ხელით აწერია:

უო ღო ნუ წააღთენ მრმს გი აბშიძის ქალს ივ ქე ყნო წინო ღისნო.

ეს მარიამი იმ გიორგი აბაშიძის ქალია, რომელიც გამეფდა იმერეთში მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისში.

ნ. თარხნიშვილის ოჯახში ჩვენ გავშინჯეთ შემდეგი ხატები:

I. ხატი ღვთისმშობლისა,  $30 \times 24,5$  სანტ., ოქროთ დაფერილი ვერცხლით შექედილი, რამოდენიმე ძვირფასი ქვით-სახე ღვთისმშობლისა ლამაზია.

II. ხატი ღვთისმშობლისა ძითურთ,  $30,5—25,5$  სანტ., ძველი ხელობისა.

III. წმიდა ნინოს, წმ. ბარბარეს და წმ. ეკატერინეს ხატი,  $34 \times 24$  სანტ., წმიდა ნინო გამოხატულია შუაში ვაზის ჯვარით ხელში. წმიდანები დახატულნი არიან ფიცარზე და ხუცურად უწერიათ მათ მათი სახელები: წა ნინო, წა ბარბარე, წა ეკატერინე.

ხატი გაკეთებული უნდა იყოს მეჩვიდმეტე საუკუნეში.

IV. ხატი სამთა მსოფლიო მამათ, გრიგოლისი, ვასილისი და იოანე ოქროპირისა, შუაში წმიდა გრიგოლია გამოხატული,  $30,5 \times 24,5$  სანტ., წმიდანებს უწერია:

წა გრიგოლი ღვთის მეტყველი, წა ვასილი დიდი, წა იოანე ოქროპირი.

V. პირი ღვთისა, 28 × 22 სანტ., ძველი ხელობისა.

VI. ამალღების ხატი, რომლის გარშემო სხვა-და-სხვა სახარების სცენების სურათებია, ტილოზე ნახატი, 35 × 30 სანტ.

**ერთაწმინდა.** ახალქალაქის მახლობლათ თეზმის ხეობაში, მომადლო გორაზე ამართულია უზარმაზარი და საუკეთესო ხუროთ მოძღვრების ეკლესია ერთაწმინდისა, ანუ ერასტი წმინდისა. ხელოვნების მხრით ერთაწმინდა წარმოადგენს ქართულ ხუროთ მოძღვრების ნაწარმოებს XI—XII საუკუნისა და ძლიერ წააგავს სამთავისის ეკლესიას. დროს და ჟამს ამ ნაშთისათვის ბევრი რამ შეუბღალავს და შეუღახია, მაგრამ ეხლაც დიდ შთაბეჭდილებას ახდენს მნარველზე თავის მშვენიერის სტილით, ფსადებით და ჩუქურთმა-გრეხილებით. სრული ლიტერატურა ერთაწმინდისა ნახე: II. Iosseliani. Жизнь Великаго Моурава, стр. 89—111; Д. Бакрадзе Кавказъ въ древнихъ памятникахъ христіанства, стр. 170—171; Brosset. Rapp. VI, p. 31—36; Кондаковъ. Русскія древности, вып. IV, стр. 72. აქ სამწუხაროდ უნდა აღვნიშნოთ, რომ ის ხატები, ნივთები და წარწერები, რომელნიც პლატონ იოსელიანს უნახავს ერთაწმინდას 1847 წელს, დღეს სანახევროდ აღარ არის დაცული.

### კედლების წარწერებ,

I. ჩრდილოეთის კედლის ერთ ქვაზე მხედრულათ უშნოთ დაწერილია:

1. ქ. ამ ქკნი უნს მეფე ირაკლი და რუს
2. ის ჯარი აწვია.
3. ოსმალო გაქცივა სამი ათასი
4. თავი მოსჭრეს ლეკისა და ოსმალოსი.

წარწერა იხსენიებს ირაკლი მეორეს ცნობილს ასპინძის ომს 1770 წელს.

II. იმავე ჩრდილოეთის კედელზე უშნო მხედრულის ხელით სწერია:

„წმინდისა ესტატეს დეკანოზი სვიმონ შეიწყალე უფალო. ქკნს უზგ“.

ქორონიკონი უდრის 1765 წელს.

III. სამკვეთლოში შესავალის ზემოთ პლატონ იოსელიანს ამოუკითხავს ხუცური წარწერა, რომელიც ეხლა აღარ არის:

„ადიდე ღმერთო მეფეთ მეფე პატრონი როსტომ და თანა მემცხედრე მისი დედოფალთ დედოფალი პატრონი მარიამ.... შეწვენითა ღუთისათა და მეოკებიტა წმინდისა ევსტატესითა, ბრძანებითა პატრონის იორამისათა.... ვახტანგისა.... დავახატვინე მეორედ. . . . .“

ამ წარწერიდან სჩანს, რომ ერთაწმინდა მეორედ დახატული ყოფილა 1634—1658 წლებში როსტომ მეფის დროს. ეხლა მხატვრობა სრულებით აღარ მოჩანს, ხოლო პლატონ იოსელიანის დრო კიდევ შესამჩნევათ ყოფილა.

ეხლანდელი კანკელი ერთაწმინდისა, პლატონ იოსელიანის სიტყვით, გაუკეთებია დედოფალს დარიას, ირაკლი მეორეს მეუღლს, 1772 წელს. აღბათ პლატონის დროს რაიმე წარწერა ყოფილა ამ ფაქტის მაჩვენებელი, რომელიც ეხლა აღარ არის. კანკელის ხატებთა შორის სამი დიდი ხატი წმინდა ესტატესი არის.

### ხატებო.

I. ხატი წმინდა ესტატესი, 27 X 23,5 სანტიმეტრი, ვერცხლის არშიით, ქვემოთ მხედრულათ აწერია:

1. ქ ზ დილო მთავარ მოწამეო ევსტათი: რომელმან გიძღვენ ხატი ესე და მოვაქედინეთ ჩვენ ამილახორმან დ

2 იმიტრიმ ჰ'ლ მამა ჩვენს ამირახორს ბატონს გიორგის გასაკეთებლად მიეცა და ჟამთა ვითარებათაგან გაუკეთებელი დარჩო

3. მოდა აწ. კ'დ. შეგიმკვეით ხატი მამისა ჩვენისა სულთა საოხად და დღეთა ჩვენთა წარსამართებლად და ცოდვათა ჩვენთა შესანდობელად

4. მეოხ და მფარველ გვექმნე დღესა მას დიდსა განკითხვისასა: ქრისტეს აქათ ჩღმზ: თვესა: სეკდემბერსა: ღ: ქ'კს: :უღე: (1747). \*).

II. ხატი წმიდა ესტატესი. 34,5 X 29 სანტ. წმიდა ესტატე გამოხატულია ცხენზე მჯდომარე შუბით ხელში, წინ უდგის ირემი, რომლის რქებს შუა მოჩანს ჯვარი ჯვარცმულის სახით. ზემოთ ხუცურად აწერია: „წ'ე ესტატე“, და ქვემოთ მხედრულათ:

1. ქ'ეს აქეთ: ჩღით: ქ'კს უზ:

2. მე: ცოდვილმან: დეკანოზმა პავლემ: მოვაქედინე: და შემოგწირე: წ'ს ევსტათის: ერთაწმიდას: შენდობით: მმიკსენეთ.

III. პატარა თევში მხედრულის წარწერით:

ქ: ტუჩასშვილმა შევაწირე წმიდა ესტატეს სეფისკრისათვინ. ზემოთ სწერია: „აღდგომელას“.

IV. წმიდა ესტატეს ხატის შემკულობის ნაწყვეტი ვერცხლისა, ოქროთ დაფერილი, სახე წმ. ესტატესი და ირმისა დაცულია და შემკობილია ძვირფასი ქვით. ზემოდ ხუცურად აწერია: წ'ე ევსტათე.

V. წმიდა ესტატეს სანაწილე, ვერცხლით შემკობილი, მხედრულის წარწერით:

დიდებულო მთავარ მოწამეო ევსტათი. შემოგწირე მე ცოდვილმან დედაკაცმან ანნამ იმერთა დედუფალმან პატიოსანი და წ'ა მკლავი შენი სულისა ჩემისა საოხად. მხილველთა შენდობა ბძანეთ ჩემთვის.

აქ მოხსენებული ანნა დედოფალი არის იმერთა მეფის დავით მეორის მეუღლე, მათე ორბელიანის ასული (†1836).

\*) ეს წარწერა არ აქვს მოყვანილი პ. იოსელიანს.



პლატონ იოსელიანს უნახავს კიდევ შემდეგი ხატები და ნივთები წარწერებით, რომელნიც დღეს აღარ მოიპოვებიან ეკლესიაში:

VI. ხატი თეოდორე ტირონისა წარწერით: „ტომობით ასული ათაბაგთა, შემამკობელი მეორედ ჯუარისა ამის, გვედრი წმინდათა ამათ ყოველთ სატრფოდ მსასოსა და სურვილით მამკობს მე თეოდორას ძითურთ მფარველ მექმენით-ღმერთო შეიწყალე ათაბაგთა ასული თეოდორა. ქორონი-„კონს უო.“ ქორონიკონი უდრის 1782 წელს. პლატონ იოსელიანის აზრი, ვითომც ეს ქორონიკონი ეკუთვნოდეს მეცამეტე მოქცევას, და ათაბაგობა საქართველოში ყოფილიყოს თამარ მეფემდის, ჩვენ საფუძველს მოკლებულად მიგვაჩნია.

VII. წმიდა ესტატეს ხატი, რომელზედაც გამოხატული ყოფილა მუხლ-მოდრეკილი წმიდა ესტატეს სურათის წინ მეფე დიმიტრი მეორე თავდადებული და ქორონიკონი წერებულა ფუჯა (531), რომელიც უდრის 1311 წელს.

ეს ქორონიკონი არ ეთანხმება დიმიტრი მეორის მეფობას პლატონ იოსელიანის აზრით ამას უნდა გამოვაკლოთ 32, ვინაიდან ქართველები სრულ ციკლს 532 წელსა, უცოდინარობით აკლებდნენ 32 წელსაო, მაგრამ ეს აზრი არაფრით არ მართლდება.

VIII. წმიდა დიმიტრის ხატი, რომელზედაც წერებულა: „ღმერთო შეიწყალე ცოდვილი დიმიტრი.“

პლატონის აზრით, აქ იგულისხმება დიმიტრი მეორე თავდადებული.

IX. ვერცხლის ბარძიმი, ფეშხუმი და კოვზი შეწირული ქვრივი ქეთევანის მიერ, ბატონისშვილის ვახტანგის მეუღლისა. ვახტანგ ბატონისშვილი იყო პირველი შვილი ირაკლი II და თექვსმეტის წლისა გადაიკვალა ყვაველით.

XX. საცეცხური ვერცხლისა, რომელზედაც წერებულა: ცად ზენად აღჰხჳდ ევსტატი სრული, გიძლჳნი ელენე მეფის ასული.

მისხალი ოზ.

ელენე იყო მეფის ირაკლის II ასული, მეუღლე იმერეთის მეფის სოლომონ პირველის ძმის ბატონიშვილის არჩილისა.

### წიგნება.

I. სახარება დაბეჭდილი 1786 წელს. ყდა ვერცხლისა აქვს ოქროთ დაფერილი. შუაში გამოხატულია იესო ქრისტე, კუთხეებში ოთხი მახარობელი და შემკობილია ოთხი ძვირფასი ქვით, ფირუზით, იაგუნდით და ლალით, მეორე მხარეზე აწერია მხედრულათ:

1. ქ: ჩვენ ყოვლისა საქართველოს მეფემ
2. ირაკლიმ შემოგწირე სახარება ესე
3. წმინდის ევსტატის ეკკლესიასა ერთაწმინდას:
4. რათა მეოხ მექმნა თანა მეცხედრით:.
5. ჩემით დედოფლით დრჯანით:.
6. ძეებით და ასულებით:.
7. ზედამხედველი ამისი თარხანი
8. გიორგი წელს ჩღზთ:\*)

II. სახარება in 8<sup>o</sup> დაბეჭდილი 1739 წელს მოსკოვს ვერცხლის ყლით. შუაში გამოხატულია იესო ქრისტე, კუთხეებში მახარობლები. სისქეზე ყლისა მხედრული წარწერა მოიპოვება:

1. ქ: საჩინოსა მთავარ: მოწამესა: დიდსა: ევსტათის: გიძღვნი
2. წა. ამას სახარებასა. სასოებით. დადიანის ასული საქართველოს დედუფალი.

---

\*) ეს წარწერა არ აქვს მიყვანილი პ. იოსელიანს. მხოლოდ მოხსენებულთა, რომ სახარება ირაკლი II შემოწირულია.

3. დარეჯან. მრავალ. წელობად. საქართველოს. მეფის.

4. ირაკლისა. და სიმრთელით. სულისა.

5. და კორციითა. ჩვენ. და. ძეთა. და. ასულთა. ჩვენთა. დასაცველად. \*)

III. წმიდა ესტატეს ცხოვრება და ლოცვანი, ხუცური ხელთნაწერი ყლით. ბოლოს მხედრულათ აწერია:

ესე პატიოსანი წიგნი წიწის მოწამის ევსტატისთვის შეწირული არის ახალქალაქს ერთაწმიდაში, ქკს უუ: (1802)

ამას შემდეგ სხვა ხელით სწერია: „წელსა ჩეკე წმინდა ესტატეს ვიყავით სალოცავად მაისის პირველსა მუხრან-ბატონი თეიმურაზ ცოლშვილით“.

პლატონ იოსელიანის დროს აქ ყოფილა კიდევ შემდეგი წიგნები, რომელნიც დღეს აღარ არიან.

IV. მარხვანი in folio გაეშვულ ქალაღზე ორ სვეტად, გადაწერილი 1615 წელს.

V. თათუნის (აგვისტოსი, სექტემბრისა და ოქტომბრისა), გადაწერილი 1548 წელს იერომონახის მიხაილის მიერ რომელიც, ერთი მერმენდელის მინაწერით ამავე წიგნისა, შემდეგ ყოფილა ნიქოზის ეპისკოპოსი.

VI. სადღესასწაულო. მინაწერით: „დამწერი ფილიპე მღუღელი, ქრისტე შეიწყაღე, ქრისტეს აქათ ჩღოკ“.

VII. მეტაფრასი რამოდენიმე მსოფლიო წმინდა მამათა.

### ეპიტაფიები \*\*).

ერთაწმინდის ეკლესია არის სასაფლაო თავადების თარხან-მოურავებისა, გიორგი სააკაძის შთამომავლებისა, მე-XVII

\*) ამ წარწერას სრულებით არ იხსენიებს პ. იოსელიანი.

\*\*\*) ეპიტაფიების ტექსტი სრულათ არც ერთი არ აქვს მოყვანილი პ. იოსელიანს, მხოლოდ იხსენიებს, ვინ როდის მომკვდარა, მაგრამ ეგ მოხსენება უმეტეს შემთხვევაში არ ეთანხმება ჩვენს ცნობებს.

საუკუნის დასაწყისიდან. აქ ჩვენ გადმოვსწერეთ შემდეგი ეპიტაფიები:

I. მარმარილოს ქვაზე:

ქ. ზედა დამქვრეტნო ჩემისა დამფარველისა ლოდისანო ჩემთა გითხრობ შესაწყალთა ამო ამბავთა: ვიყავ ოდეს[მე] თვსთა ჩემთა თანა შვებით დავტრფოდი ახალთა რტოთა ძე[თა ჩემთა] მადლობით და აჰა მყის წარმიტაცა ანაზღად განსაცდელმან სიკუდილისამან და ესრეთ დამაკვეთა მიწასა ზედა მტურად დაუტევენ საწყალობელნი სახლი და ძენი ჩემნი [ორ]ნი გლოვასა და ტირილსა უნუგეშოსა, რომელი ვიყავ მის უმაღლესობის სრულიად ქართლისა და კახეთის მეფის ირაკლის ერთგული მსახურებასა შინა სიბერედ მიწეული მის მიერ ერდგულად ცნობილი და მისანდობელი საიდუმლო თარხნისშვილი ნაიბეშიკალაბაშ უორისაუღბაში შამშადილისა ზე შამქორის ზედამხედველი ზაზა წლისა 66. გვედრები მხედთა ლმობით ოხანი მაგეთ. აღვესრულე ჯაგვისტოს კვ: ქკს: უო. (1782).

II. 1. [ვიქმ]ენ [მდებარე] მო

2. [ურა]ვის შვილი

3. თვთ მოურავი თა

4. [რ]ხნის შვილი

5. მეჯინიბეთ [უხ]

6. უცესი ავთა

7. ანდილ.. თანა

8. — რულისა სიკ

9. ვდილისაგან

10. მოვაკლდი ნა

12. თესავთაგან ჩე

12. მთა დავემარხე

13. ა . . . .\*)

14. ერთაწმინდას...

\*) ავთანდილი სამი იყო თარხნისშვილებში, აქ ლაპარაკი უნდა იყოს გიორგი მეორის შვილზე, რომელიც ცხოვრობდა მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისში. იხ. გიორგი სააკაძის შთამომავლობის შტო პ. იოსელიანისა.

## III. მარმარილოს ლოდზე:

ქ. წარმავალისა: ამის: საწუთო  
 საგან: გარდაცვალებულვიქმენ:  
 სიჭაბუკესა: ჩემსა: წლისა: ათცა  
 მეტიისა: მონა: ღთისა: დიდის:  
 ორბელის: ძის: ოთარის: ასული: როდა  
 მ: და: მყუა: მეუღლედ: ძე: დიდისა: მო  
 ურავისა: მამუკა: და: დავემკვდრე  
 სამარხოსა: ამას: ეკლესიასა: ახო  
 ვნის: მოწამის: ევსტატესასა: რათა: მეოხ: მეყოს: და:  
 უფლისა: მოსლვისასა: ვინცა: ვინ  
 იხილოთ: სამარხი: ესე: და: ტ  
 აძარი: ჩემგან: შემკული მა  
 რტვილობა: ჩემი: შეიბრალეთ და შენდობა ყავთ.  
 ჩემთვის: რათა თქუენცა მოგანიჭოს ღწ შენდობა:  
 ქკს. ტჟწ. ნოენბერს: აბ: ქრისტეს აქათ **ჩ: დ: ა: (1710).**

## IV. მარმარილოს ქვაზედ:

ქ. არსი მმარსისა ნანკ  
 ნაგი ნამქმი მისსავე  
 ამის დავედვა შედგმუ  
 ღნი მწვალა სულ  
 ად და კორცად რომელი  
 მკედარ ვმსრბოლობდი  
 მეგობართა შორის და ვი  
 სწრაფდი მეფეთა წინ  
 სისხლისა დათხევასა  
 აჰა უგრძნეულოდ.... წარტყვენს სახლ  
 სხეულისა და დახსნ  
 ნა მოძრაობანი ანაგებ  
 თანი ხოლო აწ კნინსა  
 ტაგრუსსა ვესტ  
 უმრე აწ მიწა ქმნილი  
 თარხნიშვილი ზაზა

აღვესრულე თვესა ნოემბერსა,  
 კო ქკს უღ<sup>6</sup> (1750)

V. სხვა ქვაზე:

ქ. წარმავალისა ამის საწუთროსა და ბრძანებითა შემო-  
 ქმედისა მზადის

ყლთასა რომელი ბძანა ვ<sup>6</sup>დ მიწა ხარ და მიწადვე  
 მიქეც ს<sup>6</sup>დ ყ<sup>6</sup>ლნი მივიქცევით და უბ<sup>6</sup>წნელნი  
 ესე ხრ<sup>6</sup>წნილ ვიქმნენით ვინცა მე თანა წარყვანებულ  
 ვიქმენ ცხებულ მეფის თეიმურაზისგან ყვენის წინაშე  
 და ამა მეფისა სამსახურსა შინა აღვესრულე ქა  
 ლაქსა სპარსთასა და მუნითგან მოღებულ მყვეს ტაძარსა  
 და ტაგრუცსა ამას შინა მდებარე ვიქმენ [გიორგი] მოურავისა  
 ძის ძე თარხანი ლუარსაბ ვინცა ნახვიდეთ ლოდსა ამას შენ-  
 დობასა უყოფდეთ იანვრის ა ქკს უღ<sup>6</sup> (1747)

VI. სხვა ქვაზედ;

ქ. მომიხსენეთ ცოდვილი აღრე დამტევებელი სურ  
 ვილით გარდაცვლილი თარხანის ლუარსაბის ძე.....

გვედრებით შენდობას. ქკს უბ (1714)

VII. მეუვიდე. ქვაზე წარწერა გადასულია, მოჩანს მხო-  
 ლოთ ქირინიკონი: უგ (1715 წელი). ამ ქორონიკონს პლა-  
 ტონ იოსელიანი უჩვენებს ავთანდილ თარხნიშვილის გადაცვა-  
 ლების თარიღათ, იმ ავთანდილის, რომელიც იყო გიორგი  
 შააკაძის შვილის შვილის შვილი.

## ბრძენი აღმოსავლეთისა ანუ განზრახვად მისი საჯელმწიფოაღსათუს მმართველობისა

პოლიტიკური ტრაკტატი, რომელიც ნაჩვენებ სათაურით მოყვანილია ქვემოთ, ეკუთვნის ალექსანდრე ამილახვარს. ალექსანდრე იყო ძე დიმიტრი ამილახვარისა. ორთავე მამაშვილთა მიიღეს მონაწილეობა ირაკლი მეორეს წინააღმდეგ შეთქმულობაში 1765 წელს, და ორივე სასტიკათ-დასჯილ იქმნენ, სხვათა შორის ალექსანდრეს მოსკრეს ცხვირი და ფეხის გული, რომელნიც მან, როგორც ამბობენ, შემდეგ მოირჩინა. 1771 წელს ალექსანდრეს და მის ძმას ნიკოლაოზს ჩვენ ვხედავთ მოსკოვში, სადაც მათი მშობლები ცხოვრობდნენ. 1774 წელს ნიკოლაოზმა მიიღო ნებართვა საქართველოში დაბრუნებისა, ხოლო ალექსანდრეს მიეცა უფლება ეცხოვრა რუსეთში, სადაც მოისურვებდა, მაგრამ იმ პირობით, რომ რუსეთიდან არსად წასულიყო. ეს პირობა ალექსანდრემ დაარღვია და 1779 თუ 1780 წელს მოვიდა იმერეთში. მისი განზრახვა იყო შეერთებოდა ბატონიშვილს ალექსანდრეს, მეფის ბაქარის შვილს, ირაკლი მეორის წინააღმდეგ მოქმედებისათვის. ალექსანდრე ბატონიშვილი ცდილობდა ჩამოეგდო ტახტიდან ირაკლი და თვით გამეფებულიყო ქართლ-კახეთში. იმ დროს ირაკლი მეორეს და იმერეთის მეფის სოლომონ პირველს შუა განხეთქილობა იყო ჩამოვარდნილი. სოლომონმა გაგზავნა სპარსეთში ბესარიონ გაბაშვილი, ცნობილი პოეტი, ბესიკად წოდებული, და მოაყვანია შირაზიდან ალექსანდრე ბატონიშვილი. ალექსანდრე გამოქცეული იყო რუსეთიდან და ცხოვრობდა ქერიმ-

ხანთან. ის უცდიდა შემთხვევას ქართლში შემოსვლისა და თავის წადილის აღსრულებისა. რაკი ეხლა ის დაიბარა სოლომონმა და აღუთქვა შემწეობა, ალექსანდრე მოვიდა იმერეთში. ამ დროს მოვიდა მასთან რუსეთიდან ალექსანდრე ამილახვარიც. მაგრამ ცდამ ქართლში არეულობის მოხდენისა ფუჭად ჩაიარა, ვინაიდან ქართლელნი მტკიცედ იდგნენ ირაკლის ერთგულობაზე. უღონო მქნილი ალექსანდრე ბატონიშვილი წავიდა რაქაში, გადავლო დიდგორი და მივიდა ჩერქეზეთში, იქიდან წავიდა შამხალთან და შემდეგ დერბენდში ფატ-ალი-ხანთან. ფეტ-ალი-ხანმა მეფე ირაკლის თხოვნით ალექსანდრე ბატონიშვილი, ალექსანდრე ამილახვარი და მისი ძმა ტიმოთე მისცა რუსის მართებულობას. ფეტ-ალი-ხანი დიდი მომხრე იყო რუსების, რადგანაც რუსებმა მას დახმარება აღმოუჩინეს და დაუპყრეს დერბენდი (1775 წ.). რუსეთის მოხელეებს ნაბრძანები ჰქონდათ ეკატერინე დიდისაგან მოენახათ ალექსანდრე ბატონიშვილი და წარედგინათ მისთვის. მიიყვანეს რა მოსკოვს, ალექსანდრე ბატონიშვილი პატიმარ-ჰყვეს სმოლენსკის ციხეში, სადაც ის კიდევაც გადაიცვალა, ხოლო ალექსანდრე ამილახვარი და მისი ძმა (ერთის ცნობით ევგენი, მეორეს ცნობით ტიმოთე) დააპატიმრეს ვიბორგში. 1792 წელს ალექსანდრე ამილახვარმა, ცხრა წლის დაპატიმრების შემდეგ ვიბორგში, ძლივს გამოითხოვა ნებართვა განთავისუფლებისა (Brosset. Hist. de la Géor. II, 2, pp. 238, 248). გარდა ჩვენი პოლიტიკური ტრაკტატისა, ალექსანდრე ამილახვარს ეკუთვნის თხზულება რუსულ ენაზე დაბეჭდილი 1779 წელს ამ სათაურით: „Исторія Георгіанская объ юношѣ кн. Амилахварѣ, съ краткимъ прибавленіемъ исторіи тамошней земли отъ начала до нынѣшняго вѣка, которую разсказываетъ Усимъ, купецъ Анатольскій. Пер. Н. С. 1 ч. С. П. Б. 1779,“ ეს თხზულება ავთ იხსენიებს ირაკლი მეორეს, ასე რომ ეს უფრო პოლიტიკური პამფლეტია ვიდრე ისტორია. ირაკლი გაკიცხულია აგრეთვე „კითხვა-მიგებაში“, რომელიც დაუწერია ალექსანდრეს და რომელშიაც ის



მოგითხრობს თავის გადასაფალს (H. G. II. 2, p. 248, n. 1), საუკეთესო თხზულება ალექსანდრე ამილოხორისა არის ქვემო მოყვანილი პოლიტიკური ტრაქტატი. თუმცა ამ შრომას სათაურში უწერია „ბრძენი აღმოსავლეთისა“, მაგრამ მასში გამოთქმული აზრები უფრო დასავლეთის ბრძენთ ეკუთვნიან ვიდრე აღმოსავლეთისას. ამ თხზულებაში გატარებულია ის განათლებული აზრები და იდეები, რომელნიც აღელვებდნენ და ასულდგუმლებდნენ დასავლეთ ევროპას მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში და რომელნიც ეკუთვნოდნენ ვოლტერს, მონტესკიეს, რუსსოს, ენციკლოპედისტებს და ფიზიოკრატებს. როგორც ეკატერინე დიდმა იხელმძღვანელა მათი აზრებით თავის *Наказъ*-ის შედგენაში, ისე ჩვენ შემამულეს უხელმძღვანელებია ამ აზრებით. ნამეტნავათ ემჩნევა ალექსანდრეს შრომას ზედ-გავლენა მონტესკიეს თხზულებისა „გულის ხმის ყოფისათვის სჯულთასა“ (*Духъ законовъ*). ზოგიერთი ადგილები ამ შრომისა სიტყვა სიტყვით არის მოყვანილი ჩვენს ტრაქტატში (იხ. ქვემოთ მეშვიდე თავი). რასაკვირველია, ყველა ამ აზრებს ალექსანდრე გაეცნობოდა რუსეთში. თვით სტილი წერისა და ზოგჯერ სიტყვებიც გვიმტკიცებენ, რომ ზოგიერთი ადგილები პირდაპირ რუსულიდან არის ნათარგმნი, მაგალითად „ქრისტეს“ მაგიერ ყოველთვის ხმარობს „ხრისტე“, სასვენი ნიშნები, რომელნიც ჩვენ მხოლოდ მცირეოდენათ შევცვალეთ, და მახვილები (*ударенія*), რომელნიც სულ ტყვილათ მოჰყავს ავტორს, გვიმტკიცებენ რუსული ენიდან თარგმნას და მის გავლენას. არა სჩანს, რომელ-წელშია დაწერილი ან მირთმეული სოლომონ პირველისადმი ეს ტრაქტატი, მაგრამ თუ მივიღებთ მხედველობაში ალექსანდრეს დაბრუნებას საქართველოში 1779 თუ 1780 წ. და სოლომონ პირველის გადაცვალებას 1782 წ., თხზულება უნდა მივაწეროთ 1779—1782 წ., უფრო 1780 წ. ვიდრე შემდეგებს.

ხელთნაწერი, (№ 303 წ. კ. ს.) რომელშიაც მოიპოვება ქვემო მოყვანილი ტრაქტატი, მოწიწებით გადაწერილია მოსკოვს 1826 წელს თავადის დავით გიორგის ძის ავალოვის მიერ და შეიცავს კრე-

შულს მრავალ სხვა და სხვა ლექსებისას და თხზულებათა. მაგალითათჳ აქ შეკრებილია ლექსები მამუკა ბარათაშვილისა, ვახტანგ მეფისა, დიმიტრი ორბელიანისა, ზაქარია გაბაშვილისა, დიმიტრი სააკაძისა, მამუკა გურამიშვილისა, დიმიტრი ბაგრატიონისა, ალექსანდრე ჭავჭავაძისა, ივანე გრიგორის ძის მურატოვისა და სხვა, და აგრეთვე, „ჭაშნიკი“ ბარათაშვილისა; გალობაჲ სინანულისა თქმული დავით მეფისა მიერ აღმაშენებლისა; აღსარებაჲ სარწმუნოებისა მათის დიდებულების პრუსიის კოროლისა, რომელიცა მოხდა რეგენბურღსა შინა; წესნი და კანონნი ეთიოპელთა და აბაშთა ქრისტიანობისა სარწმუნოებათანი; წინასწარმეტყველებანი 1644 წლისათვის; შემთხუცვანი იმერთა მეფის სოლომონის ძის ძისა გიორგი-ალექსანდრესისა; თარგმანი მამაო-ჩვენოსი; ალექსანდრე და მეუღაბნოე კავკასიასა შინა, რუსულიდან თარგმნილი თავადის გიორგი ივანეს ძის ავალოვის მიერ; წინასწარ-თქემული ნეტარისა იერონიმე აღათანგელისა, თარგმნილი რუსულიდან გიორგი ავალოვის მიერ. ბოლოს ხელთნაწერს დართული აქვს მთავარნი ასოთანი, ანუ ჩართული ასომთავრულები, შედგენილი შროველ მიტროპოლიტის ნიკოლაოზის მიერ 1728 წელს; აქ წარმოდგენილია სრული ანბანი თავის სახელებით (ან, ბან და მხვა), ბოლოს ასომთავრულებით ჩართულათ სწერია: „ნიკოლოზ,“ შემდეგ შენიშვნა:

მკედრული ასომთავრული ძველითგან არა ყოფილ არს: აწ მე გავაკეთე, თუ ვისმე ნებავეს ამის გვარის მიცემა, შემინდვია: ჩემი მოგონილია:.

მხედრული ასომთავრულები ჩვენს ხელთნაწერში არ არის.

მეორე შენიშვნა:.

ქართული ქვი ჯდებოდა: უიე: მეათხუთმეტე (უნდა იყოს შეათოთხმეტე) მოქცევაში ვიყავით:

ქ: მთავარნი ესე ასოთანი ძველადვე ქართველთა ეწესა: და არღარავინ იყო სწავლულ ამისა თვინიერ უხუცესისა ძმისა ჩემისა: სულხან საბა ორბელის ძისაგან კიდე: მასცა მამისაგან ჩემისა ესწავა: და მან მასწავა: უამსა მას რომელთა ინებეს

კელთაგან ჩემთა ისწავეს: ად (არამედ) ვერა სწორ კმნულთა. ჩემთასა: . მის ჟამისა მეფენი და შემდგომნი მათნი მოწოდებდნენ ამა წერათა: მე ქართველთა იმერელთა და კახთა. მეფეთ დედის ძმისწულმან: და საქართველოს მოსამართლეთ უხუცესის ორბელის ძემან: მროველ ეფისკოპოზმან: და აწ ტფილელ მიტრაპოლიტმან უღირსმან ნიკოლოზ: ან ბანი ესრეთ დავწერე: ტრფიალი მსწრაფლ გულის ხმა ჰყოფს: და მოსურნე ადვილ მიხუდების: ურთიერთას დაქსელვა. და გვარ-კეთილობა. საჩინო მიქმნიეს: და უმეტესა გვარსა ნუ ვინ შესძინებს: ჩემსავე ცხოვრებასა ვიხილე ჩემ მიერ სწავლულისა მიერ: ვითაც მას ენება ეგრე გვარიან ყოფდა: თუ ვისმე ძალ ედვას სხვა თვით მოიგონოს: და ჩვენსა: პირველად მყოფსა შლად არა ჯერ არს: . გვარი და ერთმანეთში დაქსელვა ესრეთ კამს: გულის ხმიერისაგან სხვა და სხვარიგად დაიქსელვის: ტანის სისხო ყოველთავე სწორედ კამს: მე თხოვებულის თვალით დავწერე: რამეთუ ვიყავ ორმეოცდა ათექვსმეტისა წლისა: ამის წერაშია: მხილველთაგან შენდობას ვითხოვ დეთის სიყვარულისათვი: ჩემი სიმძიმე იტვირთეთ: და სჯული ქრისტესი აღასრულეთ: ქალაქსა დიდსა სამეუფოსა შინა მოსკო(ვ)ს: 1728: აგვისტოს: ა:

ამ შენიშვნის შემდეგ მოგვყავს ალექსანდრე ამილახვარის პოლიტიკური ტრაკტატი.

ბრძენი აღმოსავლეთისა

ანუ განზრახუად

მისი

საკელმწიფოადასათჳს მმართველ-  
ბისა.

შეძენობილი სამმადლობელად აწ-მპყრო-  
ბელისა მეჴისად, იმერთა  
სოლომონისა.

თაგადისა მაერ აღექსანდრე ამაღახორის  
შვილისა.

უოგლად მოწყადუო მეფეო,  
დადებულო სოლომონ!

წყალობა და კეთილნი დიდებულებისა თქტუნისა ეგზომ დაბეჭდვილ არიან გონებასა შინა ჩემსა, რაზომ იგი ბოროტებანიცა სიყრმითგან მდევნელისა ჩემისა; რომელსა მომცემიეს გრძნობაჲ ორთადტჳს, ჴამითგან პირველისა მამისა მიერ ზისა მისგან ცნობადისა ბოროტისა და კეთილისა; რომლისათჳსცა ვლადადებ სიღრმით გულისათ, ვითარ იგი ბოროტებასა მისსა, ეგრეთტჳს კეთილსა შენსა, ყოველსა ჴტყუანასაზედა, და რაზომცა ვალვდებულ ვარ დიდებულებისაგან თქტუნისა, გამოჴქსნითა მდევნელისაგან ჩემისა და ცხოვრებითა აწ კურთხევეულსა შინა საკელმწიფოსა, ეგზომ მკურვალეებაჲ გულისა

ჩემისა მოწადეობს თქუენდა ღირსისა მადლობისა მიცემად; გარნა უღლონობითა ჩემითა, სხვსა ვერაჲსა მპოვნელი შესაფერთა მეფობისა თქუენისა საძღვნოთა, მოგიძღუნი მცირესა ამას ნაშერომსა ჩემსა, განზრახუასა აღმოსავლეთისა ბრძნისასა ჩემ მიერ მოპოვნებულსა. მოჰხედე სიმაღლით კარისხისა შენისა მცირესა ზედა ამას ძღუენსა, მიიღე კეთილად, და შეჰრთე სიჭრტლესა შენსა განზრახუაჲცა აღმოსავლეთისა ბრძნისა მის. ჰმეფობდე სვანად და კეთილ-დღიანად, მჰსგავსად ყოვლად-ბრძნისა მის მოსახელისა შენისა.

უმაბლესი მონა  
მეფობისა თქუენისა,  
თავადი ალექსანდრე  
ამილახორისშვილი.

### თავი ა. მეფეთა მმართველობისათვის.

ნეტარ არს ერი მქონებელი მეფისა ბრძნისა, და ნეტარ არს მეფე მყოფელი ერისა მორჩილისა თვისისა, ურომელთაოდ რომლისაცა ერთისა, ბედნიერება მეორისა არა სრული იქმნას. მმართველამცა მე პირველად მეფეთაგან თხოვად ნებისა, მიცემისათვის ერისა უპირატესობისა, გარნა მოიმედებინ მოტევებისა ღირს-ყოფად, ვიკადრე პირველ-კსენებაჲ მათი, ვინაჲთგან დიდებულებაჲცა მეფეთა არა უმეცარ-არს მისთვის, რომლისაცა მიზეზით დიდებაჲ მათი აღმატებულ-არს სხუათა თვთოსახეთა კაცთაგან.

თანამდებ ვარ პირველსა შინა ამას თავსა, მეფეთა მმართველობისა, განმარტებად თვთეულისა მკითხუელთად, რომლისა ჰკამს არა უმეცრებაჲ, რომელ არა დამჭირნო იყო ერისა მარტოდ სახისა ეზომ უპატივოსნებისა მიცემაჲ, არა თუ ერისა მშველობისათვის და დღე კეთილობისა, რომელსა მოიღებენ ყოველნი თვთეულნი ბრძენთაგან მართველთა თვისისა გამორჩევილისათა, და რომელთა მოიმედეთა თვისისა დღე-

კეთილობისა სიმრავლედ თვისი ერთსა ქრისტე პირსა დაამორჩილეს.

ჟ! რაზომ ბედნიერ არს და უმეტეს სანატრელ მეფე, მგრძნობელი თავსა შორის თვისსა ვალდებულებისა თვისისა, და მტკრთულებლი ღირსად სიმძიმისა გვირგვინთა სამეფოთასა, რომელსა არა უჩნს ჰსუბუჟად უღელი მისი, და რომელმან იცის პყრობაჲ ჰსკიპტრისა, რომელსა არა მიჰსცემიეს კელთა ყრმებრივად სამღერელად, არათუ მამუზდებლად შინაგანთა აღშფოთებათა და მომგერებლად გარეშე მტერთა, და რომელმან იცის უფლება თვისი არა უსამძღვროდ, და რომელი მიიჩნევს მათცა თანაჰსწორად თავისა კაცთა, რომელთა მიჰსცეს მას უფლება თავსა ზედა თვისსა, და იქცევის მათთანა უმეტეს მჰსგავსად უკუცესისა ძმისა, ვიდრე თავ-მოყუარისა მეფისა, და რომელსაცა არა ჰშურს უკანაჰსკნელიცა სიცოცხლედ თვისი მათისა მუზდობისათვის, რომელი ყოველსა ჟამსა გინა წამსა სიცოცხლისა მისისასა განატარებს ფიქრსა შინა მოპოვნებად გზისა მათისა დღე-კეთილობისათვის.

რაზომ განყოფილ არს მეფედ ესე გჳარი, მეფისად ესრეთისა, რომელი ჰგონებს თავსა თვისსა თვთ უფლად ერთა ზედა თვისთა, და ერთისა მარტოდ დიდებისათვის თვისისა შექმნულად ერსა; ვაჲ ერისა მის შევარდნილისა უფლებასა ქრისტე ესე გჳარისა კაცისა, რომელი ნაცულად მათისა დღეკეთილობისა ეძიებს მარტოდ განცხრომასა თვისსა და სიცოცხლესა ზედა მათსა შეექცევის, ვითარ სამღერელსა რასმე ნივსასა; არა ჰსჭირს მტერთაგან მოწყვედასა ზედა მათსა, არცა სახლეულთა მისთა წარტაცებასა, ჰფიქრობს თავისა ოდენ გარდარჩომასა და მათ მონაცუალედ ჭირთა შინა თვისთა დაბადებულად ჰგონებს; ითმენს სულგრძელად ტირილსა ქრტივთასა, და ვაებასა ზედა ობოლთა მათთასა არა რაჲ ეჭირვის; უხარის მარტოდ სიცოცხლედ თვისი, და სახლეულთა თვისთა გარემო თვისსა ყოფანი; დაუვიწყებია ფიცი თვისი და ვალი, რომლითა ვალდებულ ექმნა ერსა უკანაჰსკნელისაცა სიცოცხლისა დადებად მათისა მუზდობისათვის, რომელი არა თუ მოგერებასა გარეშე

მტერთასა ცდილობს, შინაგანისაცა აღშფოთებასა მოწადეობს ერისათჳს უფლებისა თჳსასა დამტკიცებისა, და ესე არა იცის; რომელ გაოხრებასა უკან ერთასა, უბედურებაჲ მისდაცა მიახლოვდების, რომელი თუმცა დამჭირნე იქნეს, ვერლარა ძალიდებს გარდარჩომასა მტერთაგან, გინა შინაგნითა აღშფოთებათა, რომელი უძვრეს მტერთასა საზარელ არს, რომლისა მრავალნი სახენი წინაგვიძს წარსლვულთა ჟამთაგან. რაზომ შებრალებისა ღირს არს სიბრძნე ერისა მის, რომელთა მოცემული ღმრთისაგან ეზომ-მცირეჲსა ხანისა სიცოცხლეჲ, იგრცაკელსა ქრისტეჲსეგუარისა კაცისასა მიანდჳს, და გამოუძიებლად ზნისა და მიდრეკილებისა მისისა, ერთისა ოდენ ჩინებულებისათჳს გუართა მისთასა, დაემორჩილნენ.

არა შეურაცხებისათჳს გუართასა ვიტყუ ამას, რომელ არა პატივს ვჰსცემდე სისხლთა მეფეთა და თავადთასა, რომლისა მამათა მოიღეს პატივი იგრ სახელოვნებითა თჳსითა და დაუტევეს ჩამომავალთა თჳსთა მას შიგან შობილებითა ნიჭად თჳსისა მჰსახურებისა მამულსაზედა თჳსსა! გარნა უმეცრებაჲ ამისი არა ჰკამს შვილთაგან მათთა, რომე მამათა მათთა მოიღეს ღირსად პატივი იგრ, აწ მათგან თჳსებული, მრავალ გუართითა მჰსახურებითა მამულთაზედა თჳსთა; ეგრეთჳს ძენიცა მათნი თანამდებ იქმნებიან განშორებასა მისგან, ბოროტ ქცევულებითა თჳსითა მამულსა შინა თჳსსა; რომელთა არა მოუღიეს სიმაგრით, და რომლისა უფლება კელთა შინა ერთასა დაჰშთომილ არს, ბოძებად კეთილისათჳს და წარხვმად ბოროტისათჳს, რომელნი თუ არა სიბრძნით ვითარ საღმრთოსა რასამე თაყუანის-ჰსცემენ გუარ-ტომობასა მისსა.

არა ყოველისა გუარისა აღკოცასა და მიუჩნეველობასა ვიტყუ, არა თუ მათ შიგან ბოროტთა გამოკლებასა, რომელი არა უპატივო ჰყოფს გუარსა მას, თუცა გარდააცილო კარისხნი იგი მას, რომელი არა სათნო არს ერთობისათჳს, და მიჰსცე უღირსესსა მისსავე გუართასა, რომელნი ზოგჯერმე ერთსა შინა გუარსა იპოვნებიან უმეტეს ოცისა კაცთა; ნუ თუ ყოველნივე საუბედუროდ წინათა მათთა უკმარ არიან და არცა

ერთი ეპასუხების სახელოვნებასა მათსა. მე პატივს ვჰსცემ გუარსა, ვმივიჩნევ ნამსახურსა, გარნა ვთაყუანის ვჰსცემ კეთილ მოქმედებასა, ვითარ ღმრთაებასა რასმე, რომელი დამპყირნო ესე არს ყოვლისა კაცებისათჳს, ურომლისოდაც ყოველი არარად შეირაცხების.

მე მეფეთა უფლებისა ქონათა და თავისა ღიდებათა არა ვუზრახნავ, ვინათგან კარისხსაცა მათსა იგი შეეფერების; გარნა არა მძლავრებით თვსებული, არა თუ ღირსებით მოპოვნებული. დასასრულსა შინა პირველისა ამისა თავისა მეფეთა მმართველობისასა მინდა კითხუაჲ, თავ-მოყუარეთა მეუფლეთათჳს და მოსურნეთა სრულისა უფლებისა კელთა ქონებად. რაჲ არს უმჯობეს კეთილ-მოქმედებისა, რომელსა ბოროტ-მმოქმედნიცა ეშიშვიან, და წინაშე პირისა მისისა წარდგმად ირცხუნიან? რაჲ არს უქლიერეს მოწყალებისა, რომელსა მტერნიცა ემორჩილებიან? რაჲ არს უდიდეს მართლ-მსაჯულებისა, რომელსა მჰსგავსებაჲ ღმრთისა მოუღიეს თავსა შორის თვსსა? რაჲ არს უმტკიცეს სიყუარულისა, რომელი მქონელთა მისთა უმაგრეს ჯაჰკსა შეჰკრავს? და რაჲ არს უამის ეგრეთისა უკლმრავლობისა, რომელსა ღირსად პატივს მამულთა მამობისა მოუღიეს; რომელნი კითხუასაზედა ჩემსა შეურაცხებით მეტყვიან შეძლებასა, სხვთ გზითცა მოპოვნებისათჳს სახელოვნებისა და უფლებისასა უკმარებელად ზემორე კსენებულთა კეთილთასა. ესე გუართა მწყემსთა, არა თუ კაცთა, პირუტყვთაცა მწყსად, ღმერთო! ვშევეზარდები.

### **თხვი ბ. თაგადია და მთაგართხვს სამეფოჲსათა.**

სახელი კელმწიფისა ერთი არს, გარნა მჰყრობელობაჲ მისი განიყოფების მრავალ უფლებად მოწყესეთაგან კარისა მისისათა. ზოგჯერმე მეფეჲ ბრძენი და კეთილ მმოქმედი ერთურთ მორჩილით მრავალთაგან ამათ უფლებათა შეიცულებიან და ნაცულად თვსისა ღღე-კეთილობისა აღშფოთებასა შევარდებიან, რომლისათჳს დამპყირნო არს აქა, ვითარ სიფრთ-



ხილვე ერისა გამორჩევასა ზედა მეფისასა შეუცთომელად, ეგრეთჲს მეფისაგან ბრძენისა და კეთილ-მმოქმედისა მჰსგავსება. ღმრთისა ჭეშმარიტებით შემზადებასა ზედა გუამისა საეროთასა, ვითარ იგი ღმერთმან მუშაკობისაზე პირველისა კაცისა საყოველნი ასრნი შესაწვენელად და დამცუტლად სიცოცხლისა მისისა მოჰსცნა მას, ეგრეთჲს მეფე ბრძენი, შექმნილი თავად საეროსა გუამისა, თანამდებ არს შეკრებად თვთეულთა ასოთა შესაფერათა თვსთა, რომლითა ერთბაშად კეთილ დამცუტლი იყუნენ ერისა თვსისა, რომელსა ვმივიჩნევ სიცოცხლედ მათდა, რომელი არს ეგრეთჲს ჭეშმარიტებით, ვითარ იგი უსიცოცხლოდ გუამი ყოველითურთ ასოთ უკმარ არს, ეგრეთვე უეროდ მეფე და ყოველნი დიდებულნი მისნი.

ამისთვის ჰკამს რჩევულთა კაცთა ყოფაჲ, განმგედ კარისა სამეფოაჲსათა, რათა უწესოდ ქცევულებამან მათმან არა გამოაჩინოს მეფეჲ საპყრად. ვითარ იქმნას სისრულეჲ გუამისა სამეფოაჲსა, თუცა ზედამხედუტლნი თავთა სასამართლოთა, მეფისა ნაცუტლად, იყვნენ კაცი მესისხლენი, რომელნი თუალად მეფეთა შეირაცხვან, და რომელნი გამოაჩენენ მეფეთა, მჰსგავს ვასილისკოაჲსა\*), რომლისა შეხედუაჲ ვერ ითმენს სიცოცხლესა კაცთასა და წამსა თუალისასა მიჰხდის მას ყოველსა ნახეულსა თვსსა; ეგრეთჲს უწყალოება მოსამართლეთა მოჩივართა ზედა, რომელნი არა მიუთხრობენ მეფესა, და თვთ მძლავრებითა თვსითა განაგებენ ნებისამებრ თვსისა. წარმოადგენენ მეფესა ყურთა უფსკრულად, მიუწვდომელად სმენისა, რომელი არა ჰგრძნობს ჭირსა მათსა და ვერცა ისმენს ღალადებასა მძლავრებულთასა. ეგრეთჲს თვთეულნი ასონი სამეფოთანი, მქონებელნი ბოროტისა აგებულებისა, მომწვენელ არიან სასიკუდიწეჲსა სენისა გუამისათვის საეროთა გინა სამეფოთასა, თუ არა განჰკურნო იგრ მოკუტითთა ესე ვითართა ასოთასა.

\*) ვასილისკი—ზღაპრული ცხოველია, სანახევროთ ფრინველი, სანახევროთ გველი, რომელიც ერთის შეხედვით კლავს სულდგმულს.

### თავი გ. მხედართა და მთავართა მათთათჳს.

წესნი სამკედრონი შეირაცხვან ურჩევულესად ასოდ გუამისათჳს საეროთასა, ურომელთაოდ არ შეიძლების ცხოვრებაჲ შორის მტერთა გინა მეზობელთა მის სამეფოთასა; ვითარცა კაცი უკელოდ, რომელი ვერცა ძალიდებს მოგერებასა მტერთასა და ვერცა შეწვენასა მეზობელთასა.

ამისთჳს ჰკამს კაცთა რჩევულთა სიბრძნითა და სიმკნითა ყოფაჲ მკედართ-მთავრებად, და ქტსშეთა მათთა ვითარცა სიმკნითა, ეგრეთჳს მორჩილთა სმენითა ბრძანებათა მთავართათჳსთასა, რომელნი ესრეთჳს ვალდებულ არიან ერთი ერთისა, ვითარ იგი საერთოდ მეფე წყალობად და სიყუარულად, და ყოველნი მისად მორჩილად და ერთგულად; თანაჰსწორვე მთავარნი მკედართა და მკედარნი მთავრისად თჳსისა, რომელნი ესე გუარითა წესითა უმეტეს მოიყუანენ ქტსშეთთა თჳსთა მორჩილებასა შინა, ვიდრე შიშითა და რისხვთა; ვინაჲთგან ესე ყოველთა იციან, რამეთუ შიში უწესო მოსაწყენელ არს ყოველთა, ხოლო სიყუარულსა მტკიცესა არა აქუს დასასრულნი. არცა ჯერ არს უკუცესთაგან მეტობისათჳს კარისხისა თჳსისა შეურაცხებაჲ უმრწემისა თჳსისა; ვინაჲთგან იციან არა ყოველთა ყოფად უფლად, არცა ყოველთა ყოფად მჰსახურად, გარნა ერთი ერთისა შემწედ დადგინებულ არს, და ყოველნი ერთობით დამცუტლად მამულთა თჳსთა.

აქა ჯერ არს სიტრთხილჲე მეფეთა, გამორჩევასაზედა მკედართ-მთავრად, ვითა გამოცდილთა ბრძოლასა შინა, ეგრეთჳს ერთგულთა და მოყუარეთა და ჰეშმარიტთა შჯლთა მამულისა თჳსისათა, რათა არა იშიშვოდეს მათგან ორგულეებასა და, ღირსებისამებრ მათისა, მათზედა უხვებდესმცა მინიჭებითა შესაფერთა მათთა წყალობისათა; ეგრეთჳს ქტსშეთთა ზედა კელისა მათისათა, რათა ყოველნი, კარისხისამებრ მათისად ღირსებისა, მიიღებდნენ სრულეებასა თჳსსა, ვინაჲთგან ყოველნი თანა-ზიარ არიან მორჩილებითა თჳსითა კეთილად მყუანებ-

ლობისა მთავრისა თვისისათა, გარნა სიმრავლეა ჯარისა და სისრულეა მათი შეძლებისამებრ შემოსავალთა სამეფოთასა, ვინაჲთგან უმეტესობაჲ ზომისა, ძალისა ნაცუღად, მოიყუანს უძლეურობასა შინა; არამედ სრულიად უყოლელობაჲ მათი არ ეგების, ვინაჲთგან ვითარებაჲ სოფლისა ამის უმეტეს მიდრეკილ არს შურისა და ბრძოლისა, ვიდრე მშვიდობისა და სიყუარულისად, რომლითა ბუნებაჲ ჩუნი უფროს მიმჰსგავსებულ არს მკეცთა, ვიდრე პირუტლისა მის კაცისა, ღმრთისაგან სრულებით ქმნულისა.

### თავი დ. სამღუდლოთა წესთათჳს.

წესი სამღუდლოჲ დასაბამითგან თვისით დადგინებულ არს კეთილისა განზრახვით, ხოლო უმეტეს მამშვიდებელად და აღზრ-ჰსხმად ბოროტებასა კაცთასა; გარნა რომელსამე ჟამსა და თვით ჩუნი საცა გამოჰსჩნდნენ რომელნიმე, ნაცუღად მშვიდობისა, აღმშფოთებელად, არა თუ მართოდ მამულთა თვისთა, თუ ითქემის, ყოველისა სოფლისა. და ესე არა ვიცი, რომლისა მობაძავობით ქრისტესა, ანუ ანტისა მისისა.— ქრისტე \*) არავის კრმლითა, არცა მაკრატლითა უქადაგებდა; რომელსა აწინდელნი ჰხშირად ჰკმარობენ. ქრისტე აქა სიგლახაკესა აჩუნიებდა, და მოადგილეთა მისთა მეფობასა გული უთქვამსთ. ქრისტე ერთი ერთისა ლოცვასა ეტყოდა, და ესენი ერთი მეორესა შეაჩუნიებენ. იგი ყოველისა სოფლისა ერთ-მწყემსობასა გვითქვმიდა, და ამათ მოქცევულნიცა მისი გაამრავალ-მწყემსეს, და თუმცა მოქმედებაჲ სიტყვსა ქრისტესისა გერწამს ჰეშმარიტებით, არღა რაჲსა კეთილისა გემართებს მოლოდინებაჲ, ვინაჲთგან კრვულნი მათნი აქაცა და იქაცა შეკრვულ არიან, რომელნი ერთი ეკლესია მეორესა შეაჩუნიებენ და თვით საქმითაცა ჰსჩანს ესრეთ, რომელ დაპყრობილ არს სოფელი

\*) აქა და სხვებ შემთხვევაშიაც ეს სიტყვა ჩვენს დედანში ნახმარია ფორმით: „ხრისტე“ (?)

უფროს ბოროტებითა, ვიდრე სახარებულისა მშვედობითა, და ამისთვის ვჰგონებ უმჯობეს იყოს რჩევითა მათითა, არა ვშევა-იწრებდეთ სხატათა მესარწმუნოეთა და ნებას ვჰსცემდეთ ჰსჯულისამებრ თვისისა აღსაარებასა, ვინაფთგან უფლებაჲ სულისა მათისა არა არს ჩუენდა მოცემულ, არცა ვეპასუხებით მათ შინა ღმერთსა, და არცა ვჰსცოდებთ წინაშე მათისა სიწმიდისა, თუცა მათ ვითარცა კაცთა ვდაუდვათ სამძლურარ, რათა არა გარდაჰკდენ, ვინაფთგან სოფელსა შინა არა რაჲ არს უსამძღვრო და ჰგავს არცა რაჲსა ჯერ-არს ყოფაჲ უმისოდ, გარე-შე ღმრთისა, რომელი ვითარ უსამძღვრო არს, ეგრეთჲს მიუწვდომელ, და ჰსჩანს მცირეცა ერევის მოკლესა ამას ცხოვრებასა ჩუენსა, ვინაფთგან სულ-გრძელი მსაჯული სულ-მოკლეობასა ჩუენსა ვერა კმა-უყოფს უწინარეს გარდაცუთალებისა ჩუენისა საუკუნესა და უსამძღვროსა სამეფოსა მისსა. არა ამისთვის ვიტყვ, რომელ არა პატივის-ვჰსცე მწყემსთა სამღვდელთასა, რომელნი მოურავად სოფლისა მის დადგინებულ არიან, სადაცა აუტომელად გარდაშენებაჲ მცირე ჟამისა ამის საწუთროსაგან გვმართებს ყოველთა, არა თუ განრჩევასა მათსა სოფლიერთა ამათ კაცთაგან, და რათა არა ერევოდნენ შეუფერთა თვსთა საქმეთა შინა, და რათა ჩუენცა ვშემძლებელ ვიყუნეთ მიცემად შეურევნელად კეისრისა კეისარსა და ღმრთისა ღმერთსა.

### თავი ე. ვაჭაროათჳს.

არა რაჲ არს ესრეთ განმამდიდრებელი და განმამდიდრებელი საკელმწიფოჲსა, ვითარ სიმრავლეჲ ვაჭართა და ვაჭრობაჲ მათი, რომელნი მოვლიან ყოველსა სოფელსა და შემოჰკრებენ ყოველგნით კეთილსა მამულსა თვისსა, და დამჭირნოსა ცხოვრებისათჳს კაცთასა. ამისთვის ჰკამს ცდაჲ განმრავლებისა მათისა და გახალისებაჲ მათი საქმეთა შინა მათთა, და ნუცა ვინ შეურაცხ-ჰყოფს საკელმწიფოსა შინა მათ, რომელნი შეი-

რაცხვან სიმაგრედ ჯარისა, შემოსელ ერისა და დიდებად მეფისა. რომელსა ჰსძულს ვაჭარნი და შეურაცხ-ჰყოფს, ნუმცა უყუარს მას სიმრავლედ თეთრისა და ნუმცა დიდებით ცხოვრებად თვისი, ურომელთაოდ არა ეგების არცა ერთი, და რომელთა ვმივიჩნევ დიდად მონაწილედ კეთილოვნებისა სამეფოადასა. ვაჭართა მიუღიესთ თავსა შორის თვისსა მჰსგავსებად ბუნებით კეთილ-გონიერისა ფუტკრისა (რომელი, მპოვნელი მზესა ქუტუშე ყოვლისა სიტკბოებისა, შემოჰკრებს ბუდესა თვისსა და აღავსებს თავსა თვისსა და პატრონსა სიტკბობითა), ხოლო თუმცა ეჰპოვნებდეთ რასამე ნაკლულევანებასა ვაჭართა შინა, ჰკამს ეგრეთ მომთმენელ ვიყუნეთ, ვითარ იგი პატრონი ფუტკართა ისარსა მისსა.

### **თავი ვ. გლეხთათჳს განა მიწის-მპოქმედთა კაცთა.**

კარისხი მათი თუმცა უკანაჰსკნელად შერაცხილ არს საკელმწიფოსა შინა, გარნა მოქმედებად მათი მოიღებს პირველობასა, რომელნი შეირაცხვან მზრდელად ყოვლისა საერთობოსა; ყოვლისა ნაკლულევანებისა მოთმენად შემძლებელ არს კაცი და არა უსაზრდოებისა, რომლითა ბუნებად ჩუტნი უწინარეს ყოვლისა მას ითხოვს, და არცა რისად ჰსცალს სხვსა განზრახუად, პირველ განმტკიცებისა თვისისა, და რა სრულ უყოფს აგებულებასა თვისსა, მაშინ გონებად მისი განვრცელების და მიჰსწუდებისცა კიდედმდე ყოვლისა სოფლისა მრავალ გუარითა განზრახვთა თვისითა.—აწ ამ გუართა დამჭირნოთა ნივთთა მომპოვნებელთა და მუშაკთა მისთა, რა გუარ ჰმართებს დაცუად და შეწვენად განსამკნობელად საქმეთა შინა მათთა, ესე ყოვლისა კეთილ-გონიერისა კაცისა უწყებულ არს და არცა ჯერ არს ვისიმე შეურაცხებად, ვინაჲთგან ერთი მეორესა დამჭირნო არს; უკანაჰსკნელი პირველისა და პირველი უკანაჰსკნელისა დამოკიდებულ არს, და არცა ვის ძალუძს თქუამდ თვისა უმჯობესობად, ვინაჲთგან ერთი მეორესა

საკმარად ვიშუტებით და ერთი ერთისაგან ვგამოვიზარდებით ცხოვრებასა ჩტნსა, და ყოველნი ერთად და თანაჰსწორად ვგარდავშენდებით უცნაურსა მას ჩტნგან საუკუნესა; ხოლო ოდესცა ვგავჰსინჯავთ, აქაცა თანაჰსწორად ვშობილვართ, და არავინ არს უმჯობეს ერთისა, არცა ვინ უარეს მეორესა, გარნა ყოველივე ერთისა გტამისა საერთოსა ასოდ, და ნეტარ არს ერთი და უმეტეს ბედნიერ, სადაცა ბუნებითი ესე გაჰსინჯვულება დაივანებს საერთოსა შინა კეთილოვნებისა მათისა საეანესა.

### **თავი ზ. სამოქალაქოთა ჰსჯულთა დადებისათჳს.**

ყოველისა კეთილ-გონიერისა ჰსჯულის-მდებელისა თანამდებ არს, პირველად სამისა ნივთისა შეკრებაჲ, გინა გამოძიებაჲ, და მერმე ერისა თჳსისა სასარგებლოჲსა ჰსჯულისა დადებაჲ. პირტლად მდგომარეობაჲ ჟამისა, მეორედ ჩტსეულებაჲ ერისა და მესამედ ბუნებითი გაჰსინჯულებაჲ, ურომელთაოდ შემზადებული ჰსჯული, მოჩილებისა ნაცტლად, მოიყუანს ერსა ურჩებასა და აღშფოთებასა, გინა უმჯობეს ყოველისა ჰსჯულისა იყოს იგი; ვინაჲთგან ჩტსეულებასა მათსა და ზნესა, ეუცხოვების, და რადგან ყოველი კაცი ვითა სხჳსა და სხჳსა სახისაჲ, ეგრეთტ სხტა და სხტა გაჰსინჯჳსა და ზნისა; ვითა ყოველი ქტსყანაჲ სხჳსა და სხჳსა ჰაერისა, ესრეთტ მას შინა მცხოვრებნი, სხტა და სხტა ჩტსეულებისა, და ამისთჳს არა ეგების ერთისა ქტსყანისა ჰსჯულისა მეორესა შინა დადებად, არა თუ შესამჰსგავსთა მათთა შეძლებისამებრვე მათისა, და ყოველისა მუკლისა მქონებელისა თავსა შორის თჳსსა, სიმტკიცისა ჰსჯულიერისა ჰმართებს დადებაჲ გულის-კმიერად და დიდისა სიფრთხილით, რათა არა დამჭირნო იყოს ცტლილებისა ქტსშე შევარდნად, ვინაჲთგან არა ჯერ არს და არცა სარგო არს ერთხელ დადებულთა ჰსჯულთა ჰმშირად ცტალებაჲ. ხოლო რაჲცა შეეხების დამნაშავეთა კაცთათჳს, ყოველისა ზღვევინებისა მიწერად შესაძლებელ არს ღირსებისამებრ მისისა,

გარეშე მისა, რომლისაცა მიცემაჲ არ დაღ გედუას, მას ნუ წაუხვამ, და თუ იგი წა ხემელ იყოს სხვსად, მაშინ ჯერ არს, სიმართლითა ჰსჯულისათა, მისიცა ზღვევაჲ, წესისამებრ ძტუ-  
ლთა ჰსჯულთასა, სისხლისა წილ სისხლი და შემდგომნი. და რომელი არცა ბუნებისა ჰსჯულთა წინააღმდეგობს, გარნა ვჰგონებ მაშინცა სიცოცხლისა მინიჭებად და საუკუნოდ ექსო-  
რიასა ღირსად, ვინაჲთგან ცოცხლისა სიკუდილი ყოვლისა კაცისა შესაძლებელ არს, და აღდგინებაჲ მისი არა ვისგან.

### **თავი 6. ჰსწავლისათჳს მეცნიერებისა და კელოგებისა.**

ჰსწავლაჲ მეცნიერებისა არს განმანათლებელ თუალთა და გონებათა კაცთასა, და მომპოვნებელი გზისა ოდესმე უზრ-  
დელობით შეცთომილთასა. ჰსწავლაჲ არს მსგავსი ნათლისა დღისისა, რომელსა შინა არა დამჭირნო არს ბრწყინებულბაჲ სანთელთა, ღამისა სიბნელეთა შემწისა, და რომელსა შინა ვეალს კაცი, ყოვლისა დაუბრკოლებელად, სადაცა ენებოს, რომ-  
ლისათჳსცა ჰკამს მეუფლეთა ცლად განმრავლებისა ქტსყანასა. შინა თჳსსა მეცნიერთა კაცთასა, რომელი დიდად ჰშემწეობს უმეტეს მართებასა შინა ერთასა, და არცა ჯერ არს უმეცარ-  
თა კაცთა მთავრობაჲ ვისიმე, ვითარ იგი ბრმაჲ ბრმისა წინა მძღვომელად. რაზომ განმრავლდეს მეცნიერებაჲ საკელმწიფოსა შინა, ეგზომ უღელი მეფეთა შერომისა შემჰსუბუქდების, ვი-  
ნაჲთგან მეცნიერთა კაცთა ერთისა სიტყვთა უადვლეს არს და-  
მორჩილებაჲ, ვიდრე უგუნურთა ასითა განმარტებითა, და რაჲ-  
ცა შეეხების კელოსანთა კაცთა, არა უმცირეს სხუათა ჰშემ-  
წეობს საკელმწიფოსა, რომელთა ჰსწავლულებითა ყოველი იგრ-  
ნივთი საკმარი თავისა ქტსყანასა შენსა ჰპოვნო, და არლა იყო დამჭირნე სხვათა ქტსყანასა შინა ძიებად, და ყოველი ძკრი მუნადმდე იეფად გიჩნდეს შეწვევითა კელოსანთა კაცთასა, და მგონიეს უამეს იყოს და სასარგებლოჲცა ნივთი იგრი ქტსყანასა. შენსა ნამუშავევი, გინა მცირეთა რაჲთამე უძკრეს გიჯდეს.

სხტასა ქტსყანურთა ნიეთთაგან, ვინაჲთგან თასი იგი ქტსყანა-სავე შენსა დაჰშთების და ერივე შენი ისარგებლების, და არცა შეირაცხვს შენთვს წარგებად, რადგან ყოველი მათი შენი არს, და შენი ყოველი მათი,

**ა. ზგა თ. საჭუნჭულთა უმეტეს ისახელებისა მეფეჲა, ანუ მშჯდობათა?**

საჭურველი, რომელსა ბუნებითადცა აქტს თავსა შორის თვსსა თვსებაჲ ჟღერისა, ფრიად მრავლის ხნით კაცთაგან განდიდებულ არს, და ცათადმე აღწევილ გრგვინვით სახელი მარჯტსდ მკმარებელისა მისისა, გარნა არა ვისგან შესაძლებელ არს დამტკიცებად საბედნიეროდ კაცთა შემოღებაჲ მისი, არა თუ საუბედუროდ, რომლითა, შემოღება-თგან მისით, ვჰგონებ, უმეტესი რიცხვ მოწყვედილ არს მით, ვიდრე ბუნებით საჭურველისა სიკუდილისა მიერ. და ამისთვს, არა თუ შემომღებელი მისი მკმარებელითურთ ვაქო, თუ კელნიცა მისავე განზრახვთ ჩტსნდა მოცემულ იყოს ღმრთისაგან, განზრახტსაცა მისსა ვშევეუზარდები, და უძვრეს კბილთა მტაცებელთა მკეტთასა ვჰშევერაცხ მას, ვიდრე ურჩევულესად ასოდ კაცთათვს, და ესრეთ მკმარებელი მისი, არა უსახელოვნეს არს მკმარებელთა დარიშხანისა, რომლითა უკანაჰსკნელი ესე უმეტეს ერისა მოწყტსდასა შეიძლებს ერთისა ლიტრისა დარიშხანითა, ვიდრელა პირველი ასისა ლიტრითა წამლითა, თუმცა ბოროტის მოქმედებაჲ სახელოვნებად მისაჩნეველ არს, და მგონიეს, მეძიებელი ესე გტართა სახელთა, რაზომ წინაშე კეთილად შემმოქმედისა ჩტსნისა ჰსცოდებს, ეგზომ ბუნებისა შორის თვსსა წინააღმდეგობს, და არა ვიცი, რომლისა მკრით ელის თავისა თვსისა სახელოვნებისა მიწერად, არა თუ მოძულეთაგან ნათესავისა კაცთასა. უკეთუმცა ქეშმარიტისა სახელოვნებისა მეძიებელ არს ვინმე, რაჲ არს უსახელოვნეს მშჯდობისა? თუმცა ძალ იდტას, რათა მეფობისა ზე-განკუდებულ იყოს ყოველი



საჭურველი და ნაცულოდ მისა სიბრძნე და გულის-კმეირებაა ზედან უფლებდენ, რომლითა პირტულისავე ბედნიერებისა მომქცევ იქმნეს ნათესავისად კაცთასა, და არცა ვინ აქუნდეს მას ჰსწორად თავისა სახელოვნებით, რომელი ჯერეთ ვერავის მოეპოვნეს, და პირის-პირ ამისა საჭურველითა სახელოვანნი არა თუ მეფენი, ავაზაკნიცა მრავალნი უმჯობეს თავისა ჰპოვნოს, რომელთა სახენი წარსლოვულთა ჟამთაგან მრავალნი წინა გვიქნ. კელი და საჭურველი კეთილ არს დასაცულოდ სიცოცხლისა, არა თუ ოდენ უბრალოდ სისხლთა ღურად ერთისა ოდენ სახელისათვს.

### თავი ი. საყუგელთოდ გასინჯულობისათვს.

ყოველისა კაცისა თანამდებ არს გონებისა თვისისა სარკესა შინა ქტრეტად და გასინჯუად გულის-კმეირად, თუ რაა ირს იგი, ანუ რაასა ზედა დაფუძნებულ არს ცხოვრებაა მისი, ხოლო უკეთუ ვინმე შემძლებელ იქმნას მას შიგან ჰსწორად თავისა დანახუასა, ვერასა ვპოვნებთ ჭირით შობისა, შერომით ცხოვრებისა და მჰსწრაფლ არა რად შეცუალებისა მეტსა. გარნა რაზომცა სარკეა ესე გონებისა ჩუხნისა დაბინდებულ არს ორთქლითა თავ-მოყუარებისა ჩუხნისათა, ეგზომ გონებაა ჩუხნი შეცდომილ არს ჭეშმარიტისა გზისაგან. ამისთვს ყოველნი წინააღმდეგად ვპხედავთ, და სრულიად სხუასა ვპგონებთ. შობასა ჩუხნსა ვმივიჩნევთ შუბბით, ცხოვრებასა ჩუხნსა განცხრომით, და დღეთა ჩუხნთა დაუსრულებით. და უკეთუ ესე არა ესრეთ იყოს, ყოველნიმცა თავსა ვმოვეგნეთ და საზომსა თვისსა არა ვპშევსცილდეთ. მეფენიმცა არა გარდაჰკდენ სამძლურასა დიდებითა თვისთა. მთავარნიმცა არა მალლობდენ კარისხითა თვისთა. მკედარნიმცა არა იქებოდენ სიმახვლითა საჭურტულისა თვისთათა. მღუდელნიმცა უშურველად და უსასყიდლოდ იკურთხევიდნიან. ვაჭარნიმცა არა მეტისა სარგებლისა მეძიებელ იყუნენ. გლეხნიმცა უღრტუნველად

შვრებოდნენ, და ყოველნიმცა იყვნენ დღე-კეთილობით და ბედნიერობით, განზრახვსამებრ პირუტლითგან კეთილად შემმოქმედისა ჩუპნისა, რომელი არს ყოვლისა უმაღლეს, და ჩუპნ ყოველნივე თანა-ჰსწორ წინაშე მისსა, რომელთა იგიმცა გვექმნების შემწედ, რათა ვმოვეგნეთ გონებასა და ვგანვატარებდეთ მოკლესა ამას ცხოვრებასა ჩუპნსა მშვიდობით, რათა არა წინააღმდეგად ვგამოვჰსჩნდეთ წინაშე მისსა საუკუნესაცა.

მცირე ვჰყავ ჭირი, ვაუბენ პირი, შესაწევნელად მამულ-  
[თა თვსთა,  
სიყრმითგან ჩემით, ჰკჳა გასაჩემით, შევუპყრავ შურსა კეთილ-  
[თა ვისთა,  
თუ ჩემებრ ძმანი, ცდილობდენ სხუანი, ბედნიერ ჰყოფდენ  
[ყოველთა მისთა,  
არ ჰქონდესთ თვისი, ივასხონ სხვისი, კულავ შეიწევდენ ზე-  
[ძალთა ღმრთისთა.

**თელავი.** თელავის სობორო ანუ ირაკლი მეორის კარის ეკლესია აშენებულია ირაკლის მიერ 1758 წელს. ეკლესია ოთხკუთხედიანია, აგურით ნაშენი, სიგრძე აქვს 21 ადლი და 14 გოჯი, განი 13 ადლი და 13 გოჯი. უკან, დასავლეთის მხრით მიშენებულია ოთახი ახალია, შესავალი აქვს სამხრეთით და დასავლეთით. ფანჯარა 4 აქვს, ორ-ორი ჩრდილოეთით და სამხრით. საკურთხეველს 3 ფანჯარა აქვს. ხელობა შენობისა მდარეა. წინეთ ეკლესიის კანკელი შემკობილი ყოფილა აბრე-შუმის ქსოვილზე დახატულის სურათებით, რომელნიც კათოლიკეთა მისიონერებს უძღვნიათ საქართველოს მეფისათვის (ირაკლისა თუ გიორგისთვის დაქვეშარიტებით არ ვიცით). პირველ შეხედვითვე ეტყობა, რომ ეს სურათები კათოლიკე ნამუშევარი არის, სურათებში აღმოსავლეთის ჩვეულებრივი სახეები სრულებით არ შეგხვდებათ. ამას გარდა ქართული წარწერები, ეტყობა, მხატვარს მიბაძვით გადმოუღია ქართულის ნაწერიდან, მაგრამ ყველა ასო ისე ვერ გამოუყვანია, როგორც საჭირო იყო და ამიტომ არა ჩვეულებრივი სახის წარწერები გამოსულა. არ ვიცით, რისთვის დაუწუნებიათ ეს თავისებური ისტორიული სურათები, მოუგლეჯიათ ისინი და ახალი კანკელი გაუკეთებიათ ეკლესიისთვის 1888 წელს. ეს ძველი იტალიანური ხელობის სურათები მე რომ ვნახე ცალკე

ინახებოდა ეკლესიაში და ტფილისის საეკლესიო მუზეუმის წევრთა სხდომაზე განაცხადე სურვილი მუზეუმში გადმოეტანათ ეს ნაშთები, მაგრამ ვგონებ ჯერ არ ჩამოუტანიათ. მოგვყავს აქ წარწერები სურათებისა, რომელნიც მათ შინაარსს გვაჩვენებენ:

1) მოსემ იხილა მაყლოვანი, 2) დავით და კონსტანტინე, 3) დაბადებაჲ ქრისტეს. დიდება მალალთა შა ღა დიდისა, 4) წმ. ანტონისა, 5) მაცხოვარი, 6) მთავარ ანგ. მიხაილ, 7) მიძინება ლთისმშობლისა, 8) წმ. ლუარსაბ, 9) დანიელ იხილა გამოკვეთილი, 10) წმიდისა მოციქულთა სწორისა ნინოსი, 11) ყდ წმიდა, 12) სამება, 13) ანდრია კრიტელისა, 14) ელისაბედ და მარიამის ხილვა, 15) ანგელოზები ეჩვენა მწყემსებს, 16) კვერთხი არონის აღმოცენებული, 17) ეგვიპტეს წასვლა, 18) ხარება, 19) წმ. ქეთევან, 20) წმ. მოწ. არჩილი, 21) ყდ წმიდა, 22) სერგია და ბაქოსი.

ეკლესიაში კედლებზე ჩამორიგებულია სურათები თორმეტთა მოციქულთა ახალი ხელობისა, როგორც ეხლანდელი კანკელი.

ძველ ნივთებთა შორის აქ ინახება:

I. ხატი ოქროსი მთავარ ანგელოზთა მიქელ და გაბრიელისა,  $325 \times 244$  სანტიმეტრი, წარწერით: „მიქელ გაბრიელ. შუაში გამოხატულია მაცხოვარი. ხატს აწერია:

1. დიდო: მთვრ ანგელოზნო: მზ: გუეყე-
2. ენით: წინაშე: ღა: მსავსა: თქვენსა: ირ-
3. დიშერს: ძით: და: მეცხედრით: ჩუეწმ. რომ-
4. ელმან: მოვაქედინე ხატი ესე: ქქსა: სოზ: (1589).

II. ხატი მაცხოვრისა ოქროსი,  $21,4 \times 15,5$  სანტ., შემკობილია 14 ლალით, ორი ზურმუხტით, შვიდი ფირუზით და ექვსი მარგალიტით. ზემოდ გამოხატულია ყდ წა, ივ ქე, იწე მახარობელი, ქვემოთ—გედეონი, დავითი და იესე. ხატს ხუცურად აწერია:

1. ქ: ი<sup>ო</sup>: ქ<sup>ე</sup>: ძ<sup>ო</sup>: ლ<sup>ო</sup>: მცველ: დ
2. მფ<sup>რ</sup>ელ: გ<sup>ო</sup>ქმ<sup>ნ</sup>: ორ<sup>თ</sup>ე; ში<sup>ა</sup>: ც<sup>ხ</sup>
3. ოგრ<sup>სა</sup>: ჩ<sup>ნ</sup>: მეფ<sup>სა</sup>: ალ<sup>ს</sup>ნდრ<sup>ს</sup>: ლ<sup>ე</sup>: მც
4. ხედრ<sup>სა</sup>: ჩ<sup>ნ</sup>სა: დ<sup>დ</sup>ფ<sup>ლ</sup>სა: თ<sup>ნ</sup>თნის რ<sup>მ</sup>
5. ელმ<sup>ნ</sup>: მვქ<sup>დ</sup>ინ<sup>თ</sup>: ხ<sup>ტი</sup>: ესე: მცხოვრისა
6. ლ<sup>ე</sup>: შ<sup>ვ</sup>მკევეით: თვ<sup>ლი</sup>თა: დ<sup>ე</sup>: მ<sup>რ</sup>გლტი
7. თა: წ<sup>რ</sup>ს მრთებლ<sup>დ</sup>: მე<sup>ზ</sup>სა: ჩუ<sup>ნ</sup>ის
8. ა: ლ<sup>ე</sup>: ცდ<sup>ვ</sup>თა: ჩ<sup>თა</sup>: შ<sup>ს</sup>ნდობლ<sup>დ</sup>:

III. იოანე ნათლისმცემლის ხატი ვერცხლისა ოქროთ დაფერილი, 33 X 24 სანტიმეტრი, ზედ გამოხატულია ხე და ხის ძირში ცული. ხელში ნათლისმცემელს აქვს ეტრათი, რომელზედაც ხუცურად აწერია: „აჰა ესერა ცული ძირთა თანა ხეთასა ძეს ულმნ ხემან რ<sup>ნ</sup> არა გამოილოს ნწყფი კეთილი მოეკვთოს.“ წარწერა ხუცური აქვს: წ<sup>ა</sup> ი<sup>ე</sup> ნ<sup>თ</sup>ლისმცემელი. და შემდეგ:

1. წ<sup>ო</sup>: ი<sup>ე</sup>: ნ<sup>თ</sup>ლის: მცემელი:
2. მ<sup>ხ</sup>: ექმ<sup>ნ</sup> ორთვე: შ<sup>ნა</sup>: ცხოვრებს
3. ა: მ<sup>მ</sup>კობსა: დ<sup>ე</sup>: მ<sup>დ</sup>ბლსა: შ<sup>ნ</sup>სა: ერდ<sup>შ</sup>რს: ამინ:

IV. ხატი ღვთის მშობლისა ოქროსი, რუსული ხელობისა, 22 X 17,5 სანტიმეტრი.

V. ჯვარი ხისა ათონური ხელობისა, ვერცხლით შემოჯედილი.

VI. საცეცხური ვერცხლისა.

VII. სახარება 1709 წელს დაბეჭდილი მშვენიერის, ოქროთი შემკობილის, ყლით, მოსკოვში გაკეთებული.

VIII. ხომლი ვერცხლისა მხედრულის წარწერით:

ქ. ჩვენ ქართლისა და კახეთისა და სხვათა მპყრობელმან მეფემან ირაკლი მეორემან გავაკეთებინეთ კვამლი ესე თელავს კარისა:.. ღვთის-მშობლის ეკლესიისათვის კარის წინამძღვრობასა ამბაკომისასა ქვეყნავადისასა მხვამლი ესე წელსა ჩ<sup>დ</sup>ზ<sup>გ</sup>:.. ამისა

ზედამხედველი მღვდელი იოსებ კარისა და მუშაკი უღირსი გაბრიელ: მისხალი...

IX. ჯვარზე, რომელიც უნახავს ბროსეს და რომელიც მოუპარავთ 1895 წელს წერებულა: ეს წმიდა ჯვარი და წმიდა ბარძიმ-ფეშხუმი გაკეთებული ორის თეფშით და თავისის გოვზ-კამარით და ეგრეთვე წმიდის სახარების ოთხი დასაკრავი ფოლაქი, მახარებელი, შუაზე მაცხოვარი და მეორეს გვერდზედ ფოლაქები მძიმეთ დაფერილი მე კარის წინამძღვარმან ამბაკომ ჭავჭავაძემ მოვატანიე კარისა ღვთისა მშობლისათვის:

X. მეორე კანდელზე წერებულა:

თელავს დიდ საყდარში არის შეწირული ესე კანდელი: ამ ეკლესიიდან ამის გატანას ნურავინ იკადრებს, ვითარცა მჩხრეკელი ეკლესიისა უღირდეს: გიორგი. ეს გიორგი უნდა იყოს მეფე გიორგი მე-XII. \*)

### ხელთნაწერები.

I. თარგმანებაჲ მათეს სახარებისაჲ ძველ ქალილდზე მე-XII-XIII საუკუნის ხელით. 44 X 32 სანტ., თავი და ბოლო ჰკლებია და მეთვრამეტე საუკუნის ხელით არის შეესებული დაკლებული ძველი ტექსტი, მაგრამ სრულიათ არც ეს დამატებაა დაკული. სულ დაკულია „ფმბ“ კაბადონი.

1) „მე-საგ“ გვერდზე მხედრულის მერმენდელის ხელით სწერია:

ქ. მე. ფდ. ცოდვილმან მღვდელ. მონაზონმან. გერმანემ. ფრიადი. სურვილი. და ტფიალება. მქონდა. წიგნისა. ამის. და. ახალციხელი. მღუდელი. იოანე. გავგზავნე. ვარძიას. და, იმან. მიყიდა. წმიდა. ესე. მათეს. თავის. თარგმანი. ფასი. მივეც. შვიდი. თუმან[ი]. ორი. თუმანი. თავის. გასამსჯელო. ხუთი მინალთუნი. მოსაცხოველები. ხუთი. მინალთუნი. შესაკრავი. მაგრა. თუ მეცნიერი: კაცი. გასინჯავს: ფასი: არა.

\*) ნახ. ბროსეს Voyage, 1 Rap. p., 63.

სძეს. ვინც. იზილვიდებო. შენდობით. მომიხსენებდით. სრულ. იქმნა. წმიდა. წიგნი. ესე. იანვარს ა ქკსა. უ:.

ამავე. ქკსა. აპრილის. კბ: მფე ვახტანგ. წაბძანდა. ისპანს. ყენთან: ვნახოთ. ღთი. რას. მოწყალებას. მოუვლენს. საქართველოს:-

2) ამას ზემოთ ძველი მხედრულით სწერია: ქ. ლმერთო: და წმინდაო; იოვანე: მახარებელო: შე[ი]წყალე: სული: ქაი-ხოსროსი: ათაბაგის: ვინცა: შენდობა. ბძანოთ. თქუენცა: შე-გინდეს: ღნი:

3) პირველი წარწერის ქვემოთ ხუცურად სწერია:

არს. ქეშმარიტად. ღივ- სულიერი. წიგნი. ესე. თარგმა-ნი. სახარებისა. მათესი. მათის. მეფობის. სიმაღლის. მეფისა. ირაკლი. მეორის. კარის. ეკლესიის კარისა ღის მშობლისა თელავს ქკს უშბ \*)

4) „სჟვ“ გვერდზე ტექსტის ხელით და კინოვარით სწე-რია: ქე შე სლი ნიკზისი.

5) „ტკგ“ გვერდზე ტექსტის ხელით: ქე შე ატნი (ანტონი).

6) „თ“ გვერდზე, აშიაზე ძველი მხედრულით: ყდ წმიდაო. იონე მახარებელო. შეიწირე. მცირე. ესე. შესაწირავი. მათე. მახარებელის. ნათქუი. ამა. შენის. მოსახელის. ინე. ოქრო-პირის ქრისტეს. პირის. პავლეს. მიერ. მოცემული. თქუენდა]... ენე (ერისთავთ) ერისთვის. აბუსერისაგან(?) თქუენთუის მოკრთებული(?)... (წაქრილია აშია). შემდეგ ფურცელზე:

ქ: აწ. ვინც. და რამანც გუარმან. აღამიანთამან რაიცა. მიზეზითა. მოუშალოს. წმიდას. მახარებელს. რისხავსმცა... (ქაქრილია).

7) „ჟე“ გვერდზე ტექსტის ხელით: მოვა გლახ ჟმი ოდეს ამისი მწერალი მიწა და მტუტრ ქმნილ იყოს მზნ—შე სლი ჩი ქე ძვრ უკსნბლო.

\* ქორონიკონი ასო მთავრულით სწერია.

8) „პლ“ გვერდზე ძველი მხედრულით: ჩემმა შვილმა: მე ივანე არც...

9) „პს“ გვერდზე: ივ ქე: შე: ანტონი ვარძიელი:.

10. „რიბ“ გვერ. არა ტექსტის ხელით ხუცურათ: სულსა: გაბრიელსა: გაბრიელს: შნ ღნ.

11) „ფი“ გვერ. ტექსტის ხელით:

ღო შე ვაშყმაძე\*) ნიკოლოზ და მისი მეუღლე შამადუხს შნ ღნ.

12) „ფლა“ გვერ. ტექსტის ხელით:

ღო შე სლითა ბასილისა.

II. დაბადება მხედრული ხელით ნაწერი, ქალაქდზე, 37 X 26 სანტიმეტრი, თავი და ბოლო აკლია, აგრეთვე აკლია შიგა და შიგაც და ეს ნაკლები აღნიშნულია ყოველთვის, კინოვარით ნაჩვენებია, თუ რამდენი ფურცელი აკლია. ხელი მეჩვიდმეტე საუკუნის უნდა იყოს.

ერთ ადგილას ტექსტის ხელით უწერია:

ცოდვილს ელენესათვს შენდობა იყავნ.

ქ. როსტომ როჭიკაიძე.

არა ტექსტის ხელით უწერია:

ქ. ღთო აცხოვნე და აღღეგრძელე ამისი მწერალი ნიკოლოზ. ნიკოლოზ კათალიკოზი (ჩართულათ უწერია ეგორი სიტყვა).

ერთ ადგილას ხელჩართულათ აწერია: მეფე ერეკლე.

შემდეგ არა ტექსტის ხელით სწერია:

ქ. განცვიფრდი კაცო გულითა, რა ნახო ღვთისა ნებანი. ემონე მდაბლად, ნუ რიდებ, არ მოგცეს სულსა ვნებანი. კაცთ გითხრან მადლიერობა, ანგელოზთ მრავლად ქებანი, ორღანოთ გაქონ წინწილით, ქნარს გიცენ ებან ებანი.

სეკდემბრის ივ, ქკს უფ.

სხვა ადგილას არა ტექსტის ხელით:

\*) ვაშყმაძენი გვართ ეხლა გურიაში, სოფელ ლეხოურში, ცხოვრობენ.

ოდეს ზორაბაბელ ისრაელთა კვროს მეფე გამოართვა ბა-ბილონით იერუსალემადვე მოიყენა ოცდა თუთხუთმეტი ათასი ხუთას და ოთხმოცი იყო ამათი რიცხვი. რუსთველმან აღვ-რაცხე ნიკოლოზ ესე ესრეთ. ამაში ოთხი ბევრი ორათას სამას სამეოცი სწერია. ჩვენ ამას ხით ძენი ვიანგარიშეთ თვი-თოეულად და რიცხ[ვ]ი ეს მოვიდა. ამაში უფრო ჭეშმარიტი ეწერება. აწ თქვენ აღრაცხეთ, ვის გინდოდეს...

მე ყოველთა კაცთა უნარჩველესმან ფდ უბადრუკმან ფარემუზ ზრდილმან ბესარონისამან და მონაყოფილმან დედო-ფლის თამარისმან ასე აღვრაცხე მათი წიგნი... და დიდათ მწუხარე ვიქმენ უსაქმოებისათვის და ბედნიერის ყვენის ბრძა-ნებით მეფე და დედოფალი ქვეით ბძანდებოდენ იმ შეწუხება-ში ესე ვიკითხე და ეს ასე აღრიცხული ვპოე... მე აღვრაცხე ოცდა თხუთმეტი ათას შვიდას ოთხმოცდა ათ ჩვიდმეტი.

III. გულანი ხუცური ხელით ნაწერი მეჩვიდმეტე-მეთვრა-მეტე საუკუნისა, 26,5 × 24 სანტიმეტრი. დაწერილია ქალაღ-ზე, ყდა აქვს. თავი და ბოლო აკლია.

IV. ძველი აღთქმის ისტორია, მხედრული ხელთნაწერი ყდაში, 28,5 × 27 სანტიმეტრი, თავი და ბოლო აკლია.

ფერისცვალების ეკლესია ანუ ყოჩიბაშების რუსიშვილე-ბისა. ეკლესია ოთხკუთხედიანია, ქვით ნაშენი და შიგნით შე-ლესილი. სიგრძე აქვს 31 ადლი და 9 გოჯი, განი 16 ადლი და 9 გოჯი. დასავლეთით მოშენებულია კოშკის მსგავსი შე-ნობა და მასზე სამრეკლოა წამოდგმული ექვსი არკით. კედელ-ში დატანებული სათოფეები უჩვენებს, რომ ეხლანდელი სამ-რეკლო წინეთ სიმაგრეც ყოფილა, შესავალი აქვს დასავლე-თით და ამავე მხარეს არის ორი ფანჯარაც. შიგნით ეკლესია იყოფა სამ ნეფათ, შუა ნეფი ამალღებულია სხვებზე, გუმბათი დამყარებულია ოთხ სვეტზე. კარი აქვს ჩრდილოეთის მხრით და მეორე სამრეკლოდან დასავლეთით. ფანჯრები აღმოსავლე-თით სამია, შუა საკურთხეველში ერთი, დიდი, და თითო პატარ პატარა გვერდებისაში. თვით საყდარს ოთხი ფანჯარა აქვს,



ორ-ორი ჩრდილოეთით და სამხრეთით. კანკელი ხისაა, ათორმეტთა საუფლოთა სურათები დახატულნი არიან ხეზე ქართულის წარწერებით. ეკლესია განუახლებია ბეჟან ყორჩიბაშს მეთექვსმეტე საუკუნეში. ეკლესიაში ჩვენვ ნახეთ შემდეგი წიგნები:

I. პირი ღვთისა ვერცხლისა, ოქრო დაფერილი არშიით, 68 × 52 სანტიმეტრი, ხატს ამკობს 14 ლალი და 25 ფირუზი. სირმით ნაკერი სუდარი შემოუწირაეს ანასტასია პოსტნიკოვისას 1860 წ.

როგორც მოგვითხრობს ზეპირ გადმოცემა, ეს ხატი უნახავთ მიწაში ჩაფლული მე XVI საუკუნეში. პირველად ის ყოფილა მოტანილი ათონიდან წმ. ანტონის ხატთან ერთად, რომელიც ეხლა იყალთოშია.

II. ხატი ღვთის მშობლისა ძითურთ წარწერით: ყ<sup>დ</sup> წ<sup>ა</sup> ივ ქ<sup>ე</sup> შემდეგ სწერია:

შემო(ვ)სწირე ხატი ესე ამა თელავის ღვლავების ეკლესიასა ესე ღვთის მშობელის მარიამის ხატი სულისა ჩემისა საოხებლათ მე თელავში მცხოვრებელმა მიხაილ დავითის ძემ ლაბაფშოვმა. წელსა ჩვენვ, აპრილს.

III. ვერცხლის ფეშხუმი, ირგვლივ უვლის მხედრული წარწერა:

ქ. მე ივანე ნაზირს მამირთმეფია ღვთებისათჳს თჳს ჩემ სასულიეროთ მოსახსენებელთ სეფისკერისთჳს მისხალი ნიგ, ქკს უოს (1800 წ.)

IV თეფში განსაზავებელი წარწერით:

ქ. შენ ღ<sup>თ</sup> მთავართა ღთაებასა სახურსა გიძღვენ კნინი ესე შესაწირავი. ს<sup>დ</sup> საქართველოს მეფის გიორგის ასულმან ბარბარე და თანა მეცხედრემან ენდრონიკასშვილის სვმონისამან მიიღე ესე ვითარცა ქვრივისა მწვლილი და ნაცვლად მიმინიქე ხორცთა კურნება და სულისა ღმრთობა სამარადისო მისხალი ჳიბ.

V. ხელით მოქარგული დიდი ხატი წმ. ნიკოლოზისა, რომელიც შემოუწირავსა კნიაჟნა დარია რამაზის ასულს რუსიევისა 1863 წელსა.

VI. ჯვარი ხისათონური, ვერცხლის არშიით

VII. ჯვარი ლბრალო რამოდენიმე ფირუხით შემკობილი, მხედრული წარწერით:

ჩემის შვილის გლახას სადღე[გრ]ძელოთ. ქ, კილუტის პეტრემ შევწირე ღთვების ეკლესიას.

VIII. ბარძიმი ვერცხლისა მხედრულის წარწერით:

ქ: ეჰა რომელმან: ქმენ: ყოველი: დასაბამი: და: იდიდები: ყოველთა: არსთაგან ექმნები შემწე ყოველსა მოსავს შენისა აწ მექმენ მე შემწე: და სასოცების: შენისა: მონდობით: ვიქმენ: ყანდჰარს: მსვლელი ყორჩიბაშიშვილი ბარამ და შევარდი განსაცდელს: ფრიადა და ვევედრე ხატსა სასოა: და შესავედრებელსა ყოველსა ქრესტანეთასა რომელი მინდობილი შესავედრებელისა ჩვენისა სამკვიდროსა ხატისა მღთებისასა თელავისას მინდობითა ვიქმენ კვადად (sic) თაყვანისმცემელი ტაძრისა შენისა რადგან შენისა მონდობით ვიქმენ მოსული ვიგულისმოდგინე მცირე ესე შესაწირავი და შემოგწირე ბარძიმი სესე (sic) სატასა შენთსა (ხატსა შენთსა) მე ბარამ ყორჩიბაშიშვილმა რათ(ა) მექმნა ჯერსა ყოველსა მცველი მოსახსენად მამა დედათა ჩემითა ვინც შესწიროთ სულითა მსხვერპლი შენდობა ბძანეთ ამინ. ქორნკოს უკვ: თეს სეკტენბერსა დ.

IX. ვერცხლის ფინჯალი, დოქის მომზგავსო, მხედრულის წარწერით:

ქ. ყდ: წმიდასა: ეკკლესიასა: ღთაებისასა: შემოგწირე: კნინი: ესე: შემწირავ: მე: უნდო მან კევალმან მეფის ასულმან ვარვარამ იმრთმელე ესე და ნაცვალ მაგე კურნება სენტა და საუკუნო დიდება თანა მემცხედრით და ძით ჩემითურთ ამინ წელსა ჩღუთ: მისხალი ოა:

X. ვერცხლის სურა მხედრულის წარწერით: ქ. ხარაზი მარტირუხას შვილი გიგოლას შეწირული ღვთებისა.

XI. ვერცხლის სურა მხედრულის წარწერით: შამოგწირე: . ყორჩი: . ბაშის: . შვილმა: . დიმიტრიმ: . კვთებას სალხინებელად ჩვენთა მისხალი ლ.

XII. ღვთის მშობლის ხატი ვერცხლისა ოქროთ დაფერილი, უზის ერთი დიდი ლალი და ოთხი სხვა ძვირფასი ქვა,  $27,5 \times 23$  სანტიმეტრი.

XIII. ჯვარი ვერცხლისა, წარწერა არა აქვს.

XIV. ვერცხლის საცეცხური წარწერა არა აქვს.

XV. ხატი წმ. ნიკოლოზისა  $9 \times 8$  სანტიმეტრი. წარწერა არა აქვს.

XVI. შანდალი ვერცხლისა მხედრულის წარწერით:

ქ: ბატონის: შვილმა გიორგიმ: მოგიძღვენით მღთების საყდარსა შამდანი (sic) ნურავენ იკადრებს გამოწირვად მისხალი ჭყჭ: ყორჩბაშანთ საყდარში ხთების ხატსა.

XVII. ვერცხლის სადგისი.

XVIII. პატარა ხატი მაცხოვრისა შემკობილი მარგალიტებოთ  $6,5 \times 6$  სანტიმეტრი.

XIX. ხატი ღვთისმშობლისა ვერცხლისა 13 ძვირფასი ქვით შემკული;  $32 \times 27,5$  სანტიმეტრი.

XX. ვერცხლის სურა მხედრულის წარწერით:

შემოგწირე შენ თელავის ღვთების ეკლესიას კნენა გუქამ მაყოლისამ ჩემის ძის თონიკეს სადღეგრძელოდ და ჩემის სულის საოხად ჩეკბ წელსა მარტის კ დღესა.

XXI. ჯვარი ვერცხლისა მხედრულის წარწერით:

ქ. რამაზ ყორჩიბაშის შვილის ქვრივმა და ობოლმან დავითმან შემოგწირეთ ჯვარი ესე თქვენ ბრწყინვალეს ხვთებას ჩვენად სადღეგრძელოდ და სასულიეროდ თიბათვს ა, ქკს უოე. (1787). მისხალი მკ:

XXII. სეფის კვერის თეფში ვერცხლისა, მხედრულის წარწერით: მე ივანე ნაზირს მიმირთმევია ღვთაებისათვს ჩემ სასულიეროდ მოსახსენებელად სეფისკვერისათვს, მისხალი ნაგ.

XXIII. საბურველი ხელთუქმნელისა ხატისი, შეწირულია მარიამ დედოფლის მიერ, მეფის გიორგი მეთორმეტის ცოლისა 1797 წ.

XXIV. ფეშხუმი ვერცხლისა მხედრულის წარწერით: საქართველოს მეფის ირაკლის ძის გიორგისა. მისხალი ჯზ. და ნახ: (ნახევარი).

XXV. კამარა ვერცხლისა მხედრულის წარწერით. საქართველოს მეფის ძის გიორგის არის, მისხალი სიე \*). ძველ გალავანთან არის წყარო, რომელსაც ძველ გალავანის-წყაროსაც უწმიდებენ და უკუდავების წყაროსაც თავის სიკარგისათვის. ამ წყაროს ქვაზედ სპარსულად აწერია „ჰაჯი-ბენ-სალიან“, ალბათ სახელი წყაროს ქვით შემომზღუდელისა \*\*). ძველი გალავანი შემორტყმული ჰქონია ეხლა დანგრეულ სიმაგრეს სამხრეთ აღმოსავლეთის კედრით ეხლანდელი ქალაქისა და როგორც ამბობენ აუშენებია კვირიკე დიდს, კახეთის ქორიკოზს. რომელმაც იწოდა თავის თავი მეფედ და გადაიცვალა 918 წელს.

ამის ახლოს მოიპოვება ძველი ეკლესია, რომელიც ერთხელ ქართველების ყოფილა, ხოლო შემდეგ დროებში მიუციათ სომხებისათვის. ქვემოთ ძველი ქალაქისა არის კიდევ წყარო, რომელსაც მაწანწარას წყარო ჰქვია. ამ წყაროს ქვაზედ აწერია: აღვაშენეთ წყარო ესე მოსეს გრიქუროვმა და მეუღლემან ჩემმან სულის მეოხეთ ჩვენ ჩყლდ \*\*\*).

ეკლესია გახვასიშვილებისა. ეს ეკლესია ოთხკუთხედიანია, აგურით ნაშენი, სიგრძე აქვს 15 ადლი და 9 გოჯი, განი 8 ადლი და 13 გოჯი, ფანჯარა სამი აქვს: თითო აღმოსავლეთით, ჩრდილოეთით და სამხრეთით. სამხრეთისავე კედრით მოშენებული აქვს ეგვტერი, რომელზედაც ამართულია პატარა

\*) უკანასკელი ექვსი წარწერა ნახე ბროსის Voyage-ში, Rapp. I. p. 61-62.

\*\*) ibid.

\*\*\*) ibid.

სამრეკლო, ექვსი არკით, ეგვტერს სამი ფანჯარა აქვს. დახუ-  
რულია საყდარი კრამიტით. სამრეკლოზე ორი ზარი ჰკიდია  
მხედრულის წარწერებით:

პირველზე, რომლის დიამეტრი 37 სანტიმეტრია:

ეჭა შენ ზეშთა ღთთ მთავრისა პირითა წამებულო, უფ-  
როსად ნაშობთა შორის დედათასა, დიდო ქადაგო, კარისა  
ლთისა ნათლის მცემელო წმიდაო იოანე, ჩვენი მოტყინარის  
გულითა შენდამი მსასოებელნი და ცვა ფარვათ მინდობილნი  
ვახვახისშვილი ბაზიერთ უხუცესი და მანდატურთ-უხუცესი  
ზაალ, გიძღვნი მცირეს შესაწირავსა ზარსა საოხად სულისა ჩე-  
მისა და მეუღლისა ჩემისა ანნას ძისა ჩემისა დიმიტრის აღსაზრ-  
დელად და ასულთა ჩემთა კეთილ-დასაცველად. თთვესა ივ-  
ნისსა დ განკორციელებითვან სიტყვისა ჩღჟე.\*)

მეორეზე, რომლის დიამეტრი არის 30 სანტიმეტრი:

ჴოი შენ ახოვანო სტრატილატო და მენეო მკედარო  
წისა სამებისაო დიდო მთავარ მოწამეო გიორგი ჩვენ შენდა  
შემოვრდომილნი და ცვა ფარვათა ქვეშე შენთა მყოფნი ვახვა-  
ხისშვილი ბაზიერთ-უხუცესი და მანდატურთ-უხუცესი ზაალ  
გიძღვნი კნისსა ამას შესაწირავსა ზარსა ამას სასათლაოსა ჩვენისა  
ეკლესიასა აღსაზოცელად ცოდვათა და საოხად სულისა ჩემისა  
და მეუღლისა ჩემისა ანნასა და ძისა ჩემისა დიმიტრის აღსა-  
ზრდელად და ასულთა ჩვენთა კეთილ დასა-ცველად თთვესა  
ივნისსა დ ქვს აქეთ ჩღჟე.

ამ ეკლესიის მახლობლად ბროსეს უბოვნია ქვა, რომე-  
ლიც ეხლა აღარ არის დაცული და რომელზედაც წერებულა:

დიდება ღმერთსა სრულ მყოფელსა ყოველთასა. სრულ  
იქმნა ზღუდე ესე ქვთკიროვანი მეფისა თეიმურაზ მართლ-  
მადიდებელისა ძისა საქართველოს მეფის ერაკლესა და დე-  
დოფლობასა დედოფლის თამარ კეთილ მორწმუნისა ბატონის-  
შვილის ერაკლესზე ბაგრატოვანისა: მრავალ ჟამიერ ყოს ღმერთ-  
მან ცხოვრება მათი. ჩვენ მათ მიერ წარმართებულმან ბაზიერთ-

\*) ბროსე შეცდომით კითხულობს ჩღჟე (Vyage, I Rapp; p. 59).

ხუცის ძემან. თვთ ბაზიერთ უხუცესმან ზაალ და ძმამან ვახუშტიმ აღვაშენეთ და სრულ ვყავით [შენობა მა]თი და აწ თქვენცა გევედრებით მხილველთა ამის ნაშრომისათა და აღმომკითხველთა ძეგლისა ამის შენდობით...

ეს წარწერა თუმცა ცხად ჰყოფს, რომ ზღუდე თელავის სიმაგრისა ირაკლი მეორის დროს არის აღშენებული, მაგრამ ყველა ცნობების შეთანხმება შეუძლებელია, ვინაიდან ირაკლი ქართლის მეფედ გახდა 1762 წელს, დედა მისი თამარი გადაიცვალა 1746 წელს. ბატონიშვილი ირაკლი გარდა ირაკლი მეორისა იმ დროს ცნობილი არ არის და თუ ეს ირაკლი მეორეა, რად იხსენიება ერთ და იმავე დროს საქართველოს მეფეთ, როდესაც ის დედის სიცოცხლეში მარტო კახეთის მეფე იყო? სამწუხაროა, რომ ეს ქვა დაკარგულა და ჩვენ აღარ გვაქვს შეძლება წარწერა შევამოწმოთ ნამდვილს.

იყალთო. იყალთოს გუმბათიანი მონასტრის აღწერაზე არ შევჩერდებით. ეს ცნობილია. \*) ძველი მონასტერი განახლებულია იოანე ბოდბელის მიერ და ეხლა კირით არის შეთეთრებული, როგორც თითქმის ყველა ეკლესიები კახეთისა.

აღმოსავლეთის კედელში ეკლესიისა დატანებულია პატარა ქვა ზედ ამოჭრილი ჯვარით და ძნელად გასარჩევი ხუცური ხელით. ქვა მერმეა ჩასმული ეკლესიის კედელში. წარწერის ზოგიერთი სიტყვები ვგონებ ასე იკითხება:

გლახაკი მათე.. და შვილი ღ'თნ.. ან.

მე გლახაკი ცოდვილი.. მომიხსენე.. ან.

### ნივთები.

I. მაცხოვრის ხატი ვერცხლისა, 32 X 36 სანტიმეტრი, ქვემო აშიაზე მხედრულად აწერია:

1:.. თვთ მამულისა არსებისა ხატო უცვალებელო სიტყვაო ღ'ო პატივად შენ პირმშოსა სახისა შევამკევ ხა-

\*) იხ. Д. Бакрадзе. Кавказъ въ древнихъ памятникахъ христіанства, стр. 73. Brosset, *rapport*, 1, p. 75—76, *Иоселіани*, Путевыя записки по Кахетіи, стр. 88—90. Муравьева. Грузія и Арменія ч, 1, стр. 190—194

2. ტი ესე უენი და მოუძღვანე ტაძარსა ღთაებისასა წისა მამისა არსენი იყალთოეღისასა მშობელთა ჩემთა სასაფლაოსა მონამან შე
3. ნმან მაყაშვილის ომანის ძემან ბოდბელ მიტროპოლიტმან იოანნე სალხინებელად ჩემდა და მშობელთა ჩემთა და ძმათა
4. საუკუნოდ სახსენებელად:.  
წელსა ჩღჟ. (მისხალი) რღგ.

II. სამების ხატი ვერცხლისა ოქროთ დაფერილი, 44 X 33 სანტიმეტრი, ზედ აწერია:

ღირს არს და ჰეშმარიტ თაყვანისცემა მამისა და ძისა და წისა სულისა სამებისა ერთ არსისა და განუყოფელისა

III. საცეცხლოური ვერცხლისა მხედრულის წარწერით:

1. ძეო და სიტყუაო წისა მამისაო, რმლი განცხადენ იორდანესა
2. შინა და კმა მამისა გწამებდა ძედ საყუარელად და სული
3. სახედ ტრედისა იხილვა უენ ზედა სულსა ჩემსა შევავედრებ უენსა
4. სახიერებასა უღირსი ბოდბელი იოანე ჩელა წელსა, მისხალი სე.

IV. ბარძიმი ვერცხლისა მხედრულის წარწერით:

შემწირველი წისა ამის ბარძიმისა და განმაახლებელი სდამალლების ეკკლესიისა ყოველთავე უენებითა შიგნით და გარეთ და ეკკლესიის სამკაულითა ყთავე გიძღუნი უენ წისა მამასა ზენონს საოხად სულისა ჩისა და მოსახსე[ნე]ბელად მშობელთა ჩემთა და ძმათა ყდ სამღუდელო ბოდბელი მიტროპოლიტი მაყაშვილი იოანე ომან მაყაევის ძე წელსა ჩეკწ-ს აგვის[ტო]სა: ა: მისხალი რღგ.

V. კოვზი ვერცხლისა მხედრულის წარწერით:  
ბოდბელი იოანე მაყაოვ.

VI. ფეშხუმი ვერცხლისა მხედრულის წარწერით:

შემწირე მშობელთა ჩეთა მონასტერსა და ათოთხმეტსა ასურელთ მამათაგანსა ზენონ და არსენი იყალთოელსა მაყა-  
შვილსა გაბრიელ ბერმა მაყაშვილმა მოსახსენებლად მშობელ-  
თა ჩემთა და ძმათა ფეშხტნი ვარსკუთლავი კოვზი ლახვარი  
ტაკუკი განსაზაებელი.

VII. მაცხოვრის ხატი, ოქროცურვილი ვერცხლით შე-  
ქედილი,  $32 \times 27$  სანტიმეტრი, ქვემოთ მხედრულათ აწერია:

1. ქ. მე იყალთოელმა ზამთარეულმა ვეფხიამ და ჩემმა  
შვილმა ხიზანამ ივანემ და გოგიამ
2. შევწირეთ ესე ხატი კარსა ლთეების ეკლესიისა ჩვენად  
მოსახსენებლად ქკს უაბ. (1784)

VIII პატარა ხატი ღვთის მშობლისა, ხის კუბოთი და  
ვერცხლის არშიით  $14 \times 11,5$  სანტიმეტრი.

IX. დიდი ღვთის მშობლის ხატი ვერცხლით შექედილი,  
 $70 \times 62$  სანტიმეტრი.

X. აზარტაშა ვერცხლისა მხედრულის წარწერით:

ქ.: ბეჟან. ერისთვის. ასულის. ანნასი. ვარ.

XI. ხელით ნაკერ და მოქარგულ საბურველზე ზენონ  
- იყალთოელისა მხედრულით აწერია:

წელსა ჩყლთ მაისისა წმიდაო მამაო ჩვენო ათორმეტა-  
განო ზენონ გიძღვენ ნაშრომი ხელთა ჩემ ცოდვილისა თამა-  
რისათა სულთა ჩემთა საოხად ანდრონიკოვის ასული და მა-  
ყაევის კნენა.

XII. კანკელში მრავალი ხატებია და სხვათა შორის აბბა  
იოსებ, წმინდა ზენონ, სვეტი ცხოველი და სვეტის ძირში  
დამარხული სიდონია. წარწერა ამათი მხედრულია:

ღთისადმი განსტუნებულის მამა გაბრიელის მღუდელ  
მონაზონის სურვილი აღუასრულე მე თანა ხუცეს მონაზონმან  
ხატებისა ამის დახატვითა გარნა მუნ დასტუნდეს სადაცა  
მიტროპოლიტ ბოდბელ იოანემ ინებოს: წელსა ჩყლბ: თთჳსსა  
ავვისტოსა; გ:

XIII. ცალკე კიოსკში მარცხნივ სამი ხატია: პირი ღვთი-  
სა, ქვემოთ ღვთის მშობელი და ზემოთ იესო ქრისტე. ხა-



ტები შექედილია ოქროთ დაფერილ ვერცხლით, წარწერები არ აქვთ.

XIV. სამების ეკლესიაში არის დიდი ხატი სამებისა კარგი ნახელავი,  $39,5 \times 20,4$  სანტიმეტრი. ხატზე წარმოდგენილია მხატვრობანი მამა ღმერთისა, ესო ქრისტესი და მათ ზემოთ მტრედის მსგავსად სული წმინდა და ყველას ერთათ აწერია: „სამება“. ქვემოთ ეკატერინა, შუშანიკი, არსენი იყალთოელი, სტეფანე პირველ მოწამე, ანნა და ქეთევან დედოფალი.

XV. ღვთის მშობლის ეკლესიაში ახალი კანკელია ზედ წარწერით: წელსა ჩემს სეკდემბრის კ. ვიგულს მოდგინე განახლებულება ყოველისფრით და შემკობა კანკლითა იყალთოს ღვთების მონასტერში ღვთის მშობლის ტაძრად მიყვანების ეკლესიისა საუკუნოდ მოსახსენებელად სადაცა მდებარე არს მეუღლე ჩემი თავადი პოდპოლკოვნიკი იოვანე ერისთოვი და სულისა ჩემისა საოხად ჭავჭავაძის ასულმან კნენა მაკრინე ერისთოვისამან.

### ხელთნაწერები.

იყალთოს მონასტერში ჩვენ გვაჩვენეს რამოდენიმე ხელთნაწერი, რომლის დაწვრილებით განხილვის დრო არა გვექონდა, მოგვყავს აქ ის, რაც ერთი თვალის გადავლებით მოვასწარით:

I. კლემექსი მხედრული ხელთნაწერი,  $22,5 \times 17,5$  სანტიმეტრი, რომელსაც აქვს ასეთი წარწერა: ესე წიგნი იოანე კლემექსი მღუთაების ეკლესიას შესწირა არაგვის ერისთავის ასულმა მაყაევის კნენამ ანნა ბეჟანის ასულმა მოსახსენებელად სულისა და შვილთა თვსთა საოხად და სადღეგრძელოდ მდაბალი ხუცესი ამავე ეკლესიისა დავით მეცა მოწამე ვახლავარ და ხელსაც ვაწერ.

II. ლავსაიკონი in 4<sup>o</sup>, მხედრული ხელთნაწერი ყდაში,  $23,5 \times 18$  სანტიმეტრი. ერთ ადგილას უწერია: არაგვს ერის-

თვის ასულო დედაც ანაჲ ლაგსაიკონი ესე მოგართვი სახსოვ-  
რად ჩემდა ძემან შენმან გაბრიელ ბერმან ვინათგან მსურველ-  
ხარ წერილისა კითხვასა.

სხვა აღგილას;

მეფენი საქართველოსანი დავით გარეჯის მონასტერში-  
ბერათ შემდგარნი სახელ-წოდებულნი: ალექსანდრე, დავით,  
ლევან და დიმიტრი.

ქ. გრემის ქალაქის აოხრება იქმნა წელსა ჩქვ, ქკს სუდ.

ქ. მეფე ირაკლის ქარიდამ გამოქცევა იქმნა წელსა ჩქნ,  
ქკს ულწ.—ვახანის წახდენა ორმოცდა ცხრა წელი არის ამ  
როცხეში ჩუდბ.

ქ. ასპინძას გაიმარჯვა მეფემ ირაკლიმ ჩქდა.

ქ. ყვარლის ციხის შემოდგომა ლეკთაგან წელსა ჩქნგ.

ქ. ქალიჯვარს გაიმარჯვა მეფემ ირაკლიმ ჩქნდ.

ქ. თბილისის ქალაქი წახდინა აღამაჰმადმა აეკდენბრის:  
ამ: ქკს უმთ:

შემდეგ კიდევ უდახე:

ლაგსაიკონი ესე შეესწირე მღვთეების ეკკლესიასა ბეჲან  
არაგვის ერისთვის ასულობა ანამ: წელთა ჩუდდ:—მეცა მღვდე-  
ლი დავით მოწამე ვარ ამ წიგნის შეწირვისა.

III. სადღესასწაულო, ხუცური ხელთნაწერი, დაშლილი,  
ერთ აღგილას ასეთი წარწერა აქვს:

ესე სულითა განმანათლებელი და წელიწადთა ათორმეტ-  
თა თოვთა განმაშვენებელი წიგნი სადღესასწაულოსი მე გი-  
ორგი მილახვრის ქალმა დარეჯან ვპოვე და გულს მოდგინედ  
დავიხსენ ექუსი თუმანი სახსარი მივეც და რადგან ღთაებისა  
იყო კუალად მასვე ღთაებისა წმიდასა მონასტერსა შეესწირე  
სულისა ჩემისა საოხად და შეილთა ჩემთა აღსაზრდელად და  
უკეთუ რომელმაცა ადამის ძეთაგანმან გამოსწიროს იგიმც გა-  
მოიწირვის დღეთა სიგრძისაგან და მან წმიდამ მონასტერმა მას  
ჰკითხოს: ამინ: წელსა ქრისტესით... (აკლია).

IV. მარხვანი ეტრატზე ხუცური ხელნაწერი თავი და ბო-  
ლო აკლია. ერთ აღგილას აქვს ტექსტის ხელით მინაწერი:

ლაიწერნეს: წნი: ესე: მარხვანი: კლითა: გნი: დკნისათა: ღნი: გარშმუნოს: წნო: ღისნო: წთა: შა: ღცვთა თქნთა: ნუ დამივიწყებთ: რა ონი: ღნი: თქნცა: სასყიდელი: მოგანისკოს: შრომათა: თქნთა და უცბად წერისთს შემინდევით დიად მოსწრაფე ვიყავ.

სხვა ხელით: ქ. მოქუელსა ლაზარეს შნ ღნი ანი. და ვინცა ბრძნოთ თქნცა შეგნდნს ღნი ანი

აქა მოქუელი მოვიდა კურთხეულ ღმრთისაგან. და. ცოდვანი შეგნდნეს ღნი ანი.

V. საღვთისაწაულო, ხუცური ხელთაწერი, დაშლილი, თავი და ბოლო აკლია. წიგნი აღწერილია არაგვის ერისთვის სარიდნის ძის ბეჟანის ასულის ანნას მიერ ჩელს წელსა, ივლისის ორსა.

VI. მეტაფრასი, მხედრული ხელთაწერი, მეცხრამეტე საუკუნისა. 33,5 × 20 სანტიმეტრი, ყდაში, დაშლილი, მეტაფრასი აღწერილია წინა წერილებში ცნობილის ანნას მიერ. უკანასკნელი სტატია სხვა ხელით არის და შეიცავს ქადაგებას პირველსა კვირიაკესა მარხვათასა, რომლის ბოლოს უწერია:

ბრწყინვალისა თავადის ასულო ქეს მოყუარეო ანნა, ვიხილე რა ღვაწლი ესე მოღუაწეთა დიდთა თქტნთა მხილებულ ვიქმენ შინაგანისა მსაჯულისა ჩემისაგან უდებისათვს ჩემისა და ბაძვად თქტნდა ადგომილმან აღგიწერეთ ქადაგება ესე უქმად დანაშთენსა ამას ქარტასა ზედა. ნ თქტნ ყდ პატიოსანო დედაო იმრთმელე კინი ესე ძ(ღ)ტნი ჩემგან ვა საყუარლისა ძისა თქტნისა გაბრიელისაგან და ნუმცა დავიწყებულ ვიქმნები წსა ლოცვასა შინა თქვენსა გლახაკი ბერი ტარასი.

ზანდუკი წიგნისა შედგენილია ანნას ძმის სოფრონოსის მიერ დეკემბრის 23, წელსა ჩელს.

VII. ეამნი, ხუცური ხელთაწერი, ყდაში, 15,5 × 12 სანტიმეტრი. ერთ ადგილას ტექსტის ხელით აწერია: ქე შე ცნი იე.

სოფელა იყალთო. იყალთოში ღენერალ ვლადიმირ ათანასეს ძის მაყაშვილის ოჯახში ჩვენ ვნახეთ შემდეგი ხელთნაწერები:

I: ხრონოლოგიური არჩილ მეფის თაოსნებით თარგმნილი და შედგენილი, მხედრული ხელთნაწერი 32,5 × 23 სანტიმეტრი, ყლით. თავში აკლია ერთი ფურცელი, შეიცავს სულ 649 გვერდს, გადამწერი არა სჩანს, ხელი მე-XVIII საუკუნის არის.

II. ვეფხის-ტყაოსანი ლურჯ ქაღალდზე in folio დაშლილი, ყდაში, 35,5 × 21,5 სანტიმეტრი, გადმოწერილია მე-XIX საუკუნის დასაწყისში ვახტანგ მეექვსის აღბეჭდილის ვეფხის ტყაოსნისაგან.

III. კითხვა-მიგება და შემდეგ კანონები იოანე მმარხველისა, ვასილისი და სხვა, მხედრული ხელთნაწერი, ყდაში. სათაურები ასომთავრული გრებილით არის ნაწერი; შეიცავს სულ 195 გვერდს. მიწერილი აქვს ტექსტის ხელით:

ყდ უსამღუდელოესს წას მეუფეს არხიმანდრიტელ ნინო წმინდელ მიტროპოლიტს სულითსა მწყემსა ჩემს მოწყალეს ხელმწიფეს.

წინასიტყუაობა წიგნისა ამის რაღასა ეზედწოდების ნაცვალ სიტყუაობა.

ქოძე თავი. მრავალმთის ნათლის-მცემლის მონასტერსა შა უდაბნოსა გარესჯისასა წელთა ქრისტესითგან: 1801. ჩყა. თთვესა დეკემბერსა ათერთმეტსა: თქუპნი უქუპნაესი მონა ოდესმე მისის სიმაღლის მეფის ირაკლის კარის არხიმანდრიტ ყოფილი ყდ უხმარი და უღირსი: გერონტი:.

ბოლოს ხუცურად სწერია:

ღაღიხივე ყ'დ უღირხმან ბერმან ნიკოლოზ: ივლისის 4  
წელსა ჩეიზ.

აქ მოხსენიებული ნიკოლოზი გვარად ყოფილა კიკნაძე:  
შემდეგ მოყვანილია ანბანთ-ქება და ბოლოს უწერია:

ანბანთ ქება ესე გაბრიელ ბერიხაგან გადაწერილი იყო.  
სამა ფურცელ ქალაღზე და მე სურვილის გამო ამ წიგნზე  
გადავსწერე დაუკარგაობას მიზეზით ანნამ.

IV. მხედრული ხელთნაწერი ყდაში ლურჯ ქალაღზე.  
21 × 16 სანტიმეტრი, შეიცავს შემდეგ შრომებს:

1) კურთხევა მირონისა.

2) ისტორია საქართუბლოასა აღწერილი ჭრანციცისა  
ღენარალ კარლოს მიერ, ხოლო თარგმნილი ჭრანციცულით  
რუსულად უფლისა პრორეფთისაგან. ხ რუსულით ქართულსა  
ენასა. ზედა თარგმნილი. თავადის თარხანოვისაგან წელსა  
1782:-

სულ ეს ისტორია შეიცავს 4 ფურცელს. ბოლოს სწერია:  
სრულ იქმნა წიგნი ესე თჳსსა ფებერვალსა 5-სა წელსა  
1823-სა.

3) მოხილვა წმინდა ადგილთა ტიმოთე მთავარ ეპისკოპო-  
სისა.

ბოლოს სწერია:

სრულ იქმნა დიდება ყოვლსა მპყრობელსა ღმერთსა ამინ  
1822 წელსა აგვისტოს 20.

V. სიტყვანი წმიდათა მამათანი, მხედრული ხელთნაწერი  
ლურჯ ქალაღზე, ყდაში, 33 × 22 სანტიმეტრი. წიგნის ბო-  
ლოს ვრცელი მინაწერი უჩვენებს, რომ წიგნი გადაწერილია  
ბეჟან ერისთვის ასულის ანნას მიერ:

„სრულ იქმნა ივნისის. 11. წელთა. ჩეიღ.“

ბოლოს მოყვანილია ეპიტაფია ზეორგი ზეუნანისძის პრავის ერისთავის შვილისა გადმოწერილი ტფილისის მთაწმინდის ეკლესიისაგან მის დის ანნას მიერ. გეორგი ყოფილა 21 წლისა, სამს წელს და რვა თვეს მეუღლედ ყოფილა. ცოლად ჰყოლია იმერთა მეფის დის ასული.

VI. ცხოვრება პარასკევასი და ავეაროზი, მხედრული ხელთნაწერი ქალაღზე, 16, 5 X 10, 5 სანტიმეტრი. გადაწერილი ჩეკვ წელსა, ჰკუთნებია ერისთავის ასულს ანნას.

VII. წიგნი სამუელ რაბინ იუდიანისა ერთი რვეული, შეიცავს 87 გვერდს, მე-82 გვერდზე სწერია:

იყალთოს წმიდა შიოს ეკლესიას აწერია შემდეგი ეპიტაფია:

საქართველომ თქვა: მეც ვიყავ, დრო მქონდა კეთილ  
[მყოფელი,  
ვადიდნი ჩემნი მოსაგენი, ვტანჯნი უარი[ს]მყოფელნი,  
ვევაოდი სამოთხის მსგავსად, არ ვიყავ გასაყოფელი  
და ვინც ახლა მნახონ, გაშინჯეთ რა ამოა სოფელი.

ნეტარ დროსა, რომელსა იყავ შენ აღშენებული  
აღესილის მადლის წყაროთი და სიბრძნით განათლებული  
შემკული ყოვლის წესითა და ესრეთ განბწყინებული  
და ვინ არ ვიტროს, რა გნახოს აწ ასე გაცუდებული.

წიგნი გადაწერილია ნიკო ათანასის ძის მაყაშვილის მიერ 1860 წელსა, 20 იანვარს.

VIII. ცხოვრებანი იოანე გლახაკისა, ალექსი ღვთისა კაცისა, ქსენეფორესი, ანდრონიკესი, ანტილონესი, ევპრაქსიასი. ბოლოს იამბიკო არის ამა წმინდათათვის იოანე მონაზონის თქმული, ხელთნაწერს ყდა აქვს, დაწერილია ქალაღზე მეცხრამეტე საუკუნის ხელით, 15 X 10, 5 სანტიმეტრი.

IX. ცხოვრება და მოქალაქეობა წმიდისა ნასიმეხი, პარაკლისი წ. ნინოსი, თხოობა ღვთივ სულიერ ღირსისა ბენიამე,

ნისა ქორწინებისათვის, მხედრული ხელთნაწერი, მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისისა, ბოლოს სწერია: ითარგმანა ესე წიგნი.

უღირსი ხუცესი  
იოანე ოსეს ძე  
ოკტომბერსა თთჳს-  
სა, დღესა 17:  
წელსა 1785:  
ტფილისს.

ბერძენი იოანე  
მიხაილის ძე  
პაპუწისშვილი  
ქსიფი-  
ლიონ.

X. ცხოვრება და მოქალაქეობა მარიამ ეგვპტელისა, ხუცური ხელთნაწერი, რვეულათ, 54 გვერდი, 20 × 16, 5 სანტიმეტრი, უნდა ეკუთვნოდეს მე-XVIII საუკუნეს.

XI. წამება კვირიკესი და ივლიტასი რვეულათ, ქალაღზე მეცხრამეტე საუკუნის ხელით.

XII. სიტყვა იოანე ოქროპირისა, 21 × 16 სანტიმეტრი, ლურჯქალაღზე, გადაწერილია ცნობილის ანასაგან ფებერვალს 17, 1833 წელს. აქვე სიტყვა ჩვილთათვის ბასილი ისავრელ ეფისკოპოსისა და სხვა საკითხავები, ბოლოს სწერია: ყოვლად სამღვდელო არსენ არხიეპისკოპოსი კაწარელი მაყაშვილი ბრძანებულა. ყოვლად სამღვდელო კაწარელი იოანე მაყაშვილი ბრძანებულა.

დოდოს მონასტრის არხიმანდრიტი ეპიფანე მაყაშვილი ბრძანებულა.

იერო-დიაკონ-მონაზონი ზაქარია მაყაშვილი.

მღვდელ მონაზონი გაბრიელ მაყაშვილი.

მიტროპოლიტი ბოდბელი იოანე მაყაშვილი ბრძანდებოდა.

XIII. წამება ქეთავან დედოფლისა დაბეჭდილი 1819 წელს და მასთან ერთათ ხელთნაწერიც იმავე ცხოვრებისა, თხზული მეფის თეიმურაზის მიერ, რვეულათ, ერთ წიგნათ შეკრული, ანას ნაქონი.

XIV. წიგნი მაქსიმე აღმსარებელისა და იოანე დამასკელის სიტყვა, პარაკლისი დავით გარესჯელისა (ეს ხუცურად

არის ნაწერი, სხვები მხედრულად), 16 × 11 სანტიმეტრი. ბოლოს უწერია:

ღო შე ფდ ცი გლაზკი  
ბერი მკრიოს წინდაო და  
ღირსო მშო დთ უნდო  
ესე შრ[ო]მა მიირთვი სახდ  
სლისა ჩა ქკს ქს აქთ ჩდეზ.

XV. პარაკლისი წ. გიორგისი მხედრული ხელთნაწერი, 16 × 11 სანტიმეტრი, მეცხრამეტე საუკუნეს უნდა ეკუთვნოდეს.

XVI. განმარტება სამღვდლო შესამოსლისა; შემოკლებით მოთხრობა ისტორიის წთა მამათა, რომელნიცა მოსრნა შახაბაზ უდაბნოსა გარესჯისასა; ხილვა მარტომყოფელისა დანიილისა, რომელი იხილა 1764 წელსა, ნოემბერსა თვესა. მხედრული ხელთნაწერი, ყდაში 16 × 10 სანტიმეტრი, ბოლოს სწერია:

ხოლო ღირსისა დანიელ მარტო მყოფისა ძილის შორისი ესე გამოცხადება ბერძულისაგან ქართულსა ენასა ზედა ითარგმანა წმიდის ქეს საფლავის არხიმანდრიტის ვენედიკტეს მიერ სამეუფოსა ქალაქსა შინა ტფილისსა 1823 წელსა, იანვრის 23 დღეს.

XVII. ჟამნი ხუცური ხელთნაწერი ქალაღზე, ყლით, 16,5 × 11 სანტიმეტრი. ბოლოს უწერია:

უო ივ ქე შმიწყლე მე  
ცდვილი ამის მწერლი  
თომა ვინც იხილოთ და  
წრიკითხოთ შენდობა  
ჰყვთ ჩმთს და ჩმთა  
მშობლთა თს ღის  
გლისა თს ნუ მწყევთ თუ



რამ შეცთომით მოძსლოდეს  
 რამე, არა ვინ რს აღმის  
 მონათესავე უცთომელ:  
 აღიწერა წმესე ქმნი ქლქსა  
 ტფლისსა ტძრსა სიონსა  
 კლითა ჩმ ცდვლის თომას  
 მრ ქკსა: . უკგ. (1738).

XVIII. ცხოვრება მარიამ ეგვიპტელისა მხედრული ხელთნაწერი, რვეულათ, მეცხრამეტე საუკუნის ხელით, 22 X 17 სანტიმეტრი, გადაწერილი და ნაქონია ანნასი.

XIX. წამება პირველ მოწამისა არხიდაკონისა სტეფანესი, რვეულათ, მხედრული. წიგნი მიურთმევია ათანასი მაყაშვილისათვს გაბრიელ მღვდელს. აქვე სწერია:

მხილველნო წიგნისა ამის ლოცვაჰყავთ ცოდვითა მდიდრისა სულით გლახაკისა ბერის გაბრიელისათვს. წმინდის დოდოს ქართველის საფლავის ლავრა დაიცალა უღმრთოთა ლეკთაგან: წელსა ჩდნე-სა.

წიგნი გადაწერილია გაბრიელის ბრძანებით იოანე ნათლისმცემლის მონასტრის დიაჩოქის მიხაილ ხანდალოვისაგან ჩყდ-სა წელსა, იანვრის ა დღესა, ქკს იფიზ.

ამავე მაყაშვილის ხელთ ნაწერში ჩვენ ვიპოვნეთ ეპიტაფია იოანე ბოდბელისა მაყაშვილისა, რომელიც ბოდბის ეკლესიის საფლავის ქვიდან გადმოუწერია 1861 წელს ნიკოლოზ მაყაშვილს:

..შენი ვარ... მაცხოვნე, რამეთუ მცნებანი შენნი... მრწმენეს მე.

დაშრტა ლაპარისა ესე მღვდლარე სასანთლესა ზედა ქეშმარიტისა მღვდელთ მთავრობისასა ხაჩინო მწყემსი ბოდბელ-მიტროპოლიტი სანატრელი იოანე კახთათავაღლაგანი მაყაშვილი რომელი მწყსიდა სიტყვიერთა სამწყსოთა ქქსთა 54 წელ და განაშვენებდა წმინდასა ამას ტაძარსა და აღვილსა ყოვლი-

თა შემკულობითა და წესიერებითა და აწ მასაკ სობერისად მიწეხნილმან დაუტეხნა საწუთრო ესე 24 სექტემბერს თვესა 1837-ისა წლისასა და დასხნა აქა 94 წლისა მონაზონებით დამა-შურალნი სხეულნი თვისნი სახსენებელად საუკუნოდ და თვთ წარდგა წინაშე მეუფისა თვისისა.

შუამთა. შუამთის გუმბათიანი და ლამაზი მონასტერი ღეთისმშობლისა ძევს შვიდ ვერსზედ თელავიდან ცივ-გომბორის მთის კალთაზე, რომელიც ამ ადგილას თავის სილამაზით და ატეხილის ტყე-მადნარით სწორედ რომ წალკოტს წარმოადგენს. ახალი მონასტერი შუამთისა აშენებულია მეთექვსმეტე საუკუნეში დედოფალ თინათინის მიერ, კახეთის მეფის ლეონ მეორის მეუღლისა და გურიელი მამიას ასულისა. თინათინი აქვეა დასაფლავებული ჩრდილოეთის კედელთან კანკელის მახლობლად. შიგნით ეკლესია ძველათ სულ დახატული ყოფილა მშვენიერი ნახელავი სურათებით, მაგრამ მხატვრობა დღემდის სანახევროდ მოჩანს აქა-იქ, სხვა შეთეთრებულია კირით. შერჩენილ მხატვრობათა შორის ჩვენ გავარჩიეთ სურათები ეკლესიის მაშენებელთა დედოფალ თინათინისა და ლეონ მეფისა ძითურთ, რომელთაც ხელები გაპყრობილი აქვთ აქვე დახატულის, მაგრამ ცუდათ შენახულის ეკლესიის გეგმისკენ. ეს სურათები მოიპოვება დასავლეთის სვეტის მარჯვენე. სხვა სურათებს წმინდანებისას უჩვენებენ ასომთავრული წარწერები: „წა ტრფნ, წა თე ტირონი, თე ევხატელი, წა ნიკიტა, წა აკაკი, წა მინა, წა გი, წა ნიკოლოზ ახალი, სოლომონ წწყლი, დთ წწყელი“; ჩრდილოეთის კედელზე შენიშნავთ მხატვრობას, რომელნიც წარმოგვიდგენს ჯვარიდან ჩამოღებას იესოქრისტეს გვამისას, დასავლეთის კედელზე მეორედ მოსვლას, ზემოთ ღეთისმშობლის მიძინებას და სხვა.

ეკლესიის მახლობლათ ამართულია მაღალი ოთხ-სართულიანი სამრეკლო, რომელიც, როგორც ვადმოცემა ამბობს, ალუშენებია თინათინ დედოფლის ძიძას.

გარ-შემო მონასტერს უვლის მაღალი ქვითკირის კედელი კოშკებითურთ, რომელიც იფარავდა ძველათ მონასტერს მტრების შემოსევიდან\*). ეკლესია განახლებულია ირაკლი მეორეს დროს და ამ განახლების ამბავს მოგვითხრობს სამხრეთის კარის ზემოთ ნაწერი მხედრულათ:

1. ქ: ეკლესია ყდ შობისა აღშე[ნე]ბული სანატრელად
- 2 ხსნებულის დედოფლის თინათინისა დაძველებული და დაქცეული და ლორფინიდგან
3. განძარცული კდ მეფემან სდ ქვემესა საქართველოს-მნ მეორემან ჰრაკლიმ ბრძნებითა და სფასთა
4. წარგებითა გუბათით მოკიდებით სმხროებით.....

### ნივთება

1. ხატი ღვთისმშობლისა ძითურთ ოქროსი 49 × 41,5 სანტიმეტრი, მღაღრულად შემკობილი ძვირფასი ქვებით, ფირუზებით, ლაღებით, მარგალიტებით და ზურმუხტებით და მრავალის (44) ნაწილებით. ამ ხატის პირი გადმოღებულია თინათინ დედოფლის დროს გელათის ხახულის ღვთისმშობლის ხატიდან. ხატს აწერია ასომთავრულით:

ქ. ყდ წა ივ ქე.

მეორე გვერდზე:

1. ქ: ჩრდილოდ: მთდ: კიბედ: კიდობნდ: და: ტრპზ: ბქედ:
2. და კრძლულ: კურთხდ: აღყებლდ: მგ<sup>ს</sup>წვბდეს: შნ: წწყლნი.

\*) სრული ლიტერატურა შუამთის მონასტრისა იხილვ: Пл. Ис-селиани. Путевыя записки по Кахети, стр. 91—99. Brosset. Voyage arch., Carr. I, p. 57—58. Муравьевъ. Грузія и Арменія. ч. I, стр. 194—202. Хахановъ. Экспедиціи на Кавказъ. Матеріалы по археол. Кавказа, вып. VII, стр. 4—7.

3. ღისა: დედაო: ქწლო: უბიწო: მეცა: გქდაგზ: კოდ:  
ღის: მშო
4. ბლად: იესეს: ძირით: აღმსრლო
5. ქლწო: შნგ: შობილსა: მე
6. უფესა: ესრეთ: არქუ: გიყრ:
7. თუ: ტკბილო: ძეო: ჩმო:
8. ისმინე: მამკბსა: ჩმსა:
9. მეფესა: ლეონს: და: თნა:
10. მეცხედრესა: პტონსა
11. დფლსა: თინათინს: ნუ
12. დასჯი: რჟს: გნიკთხვდე: კცთა: შევმკვით: ხტი:  
ესე: ხხლისა
13. ღის: მშბლი: მფობსა: ჩნისა: წრსამრთებლდ: და:  
სლისაჲ ჩნისა: საკ
14. სრად: და: ძეთა: ჩნთაჲ: სადღეგრძელოდ: ან. ან. ან.

უქარაგმოთ ეს წარწერა ასე უნდა წავიკითხოთ: „ჩრდილოდ, მთად, კიბედ, კილოზნად და ტრაპეზ-ბქედ და კრძალოლად, კვერთხად აღყვავებულად მოგასწავებდეს შენ წინასწარმეტყველნი, ღვთისა დედაო, ქალწულო უბიწო, მეცა გქდაგებ ქეშმარიტად ღვთის მშობლად, იესეს ძირით აღმოსრულო ქალწულო, შენგან შობილსა მეუფესა ესრეთ არქვი: გიყვარ თუ, ტკბილო ძეო ჩემო, ისმინე მამკობსა ჩემსა მეფესა ლეონს და თანა-მეცხედრესა პატრონსა დედოფალსა თინათინს ნუ დასჯი, რაჟამს განიკითხვიდე კაცთა. შევამკვით ხატი ესე ხახლისა ღვთისმშობელი მეფობისა ჩვენისა წარსამართებელად და სულისა ჩვენისა სახსრად და ძეთა ჩვენთა სადღეგრძელოდ, ამინ, ამინ, ამინ“.

ამ ხატის საბურველზე ბროსეს წაუკითხავს (ჩვენ არ შეგვინიშნავს):

ღვთისმშობელო ქალწულო მარიამ, საბურველი გვამისა შენისა ეკლესიასა შენსა შევსწირე კნეინა მარიამ ერისთოვმან

მამისთვის. გვევდრებით მშვიდობა მომადლე სამთა ძეთა ჩემთა, მეოხ ეყავ სულთა ჩვენთა.

ფოტოგრაფიული სურათი ამ ხატისა მოიპოვება როინოვის ფოტოგრაფიაში.

II. გარდამოხსნის კუბოზე გადასაფარებელი ხეცური წარწერით:

ჩედ წელსა აპრილის იგ მარიამ რევაზ მაყაევის ასულმა ვიმუშაკე სულისა ჩემისა საოხად.

III. ჯვარი რუსული ხელობისა ამობერვით განჭედილის სურათით იესო ქრისტისა. ქვემოთ ხეცურათ უწერია:

ღო: შე	ქეს
ამისი	აქეთ
გამკე	ჩღზდ
თებელი	
არხივ	
ისკობო	
სი რუსთ	
ველი	
ინე	

IV. იოანე ნათლის მცემლის, ხატი კარგი ნამუშაკევი, ფიკარზე, 35, 5 × 25, 5 სანტიმეტრი. აწერია ასო მთავრულით: „იოანე ნათლის მცემლი“. სხვა წარწერა არა აქვს.

V. ბარძიმი ვერცხლისა მხედრულის წარწერით:

ქ: შეწვენითა: მლთისათა: ჩვენ: მეფემ: ირაკლიმ: შევწირეთ: წმინდა: ბარძიმი: ესე: ხახულისა მლთის მშობელს მისხალი ღოდ. ქქს: უმგ: (1758).

VI. ოთხი ხომლი ვერცხლისა ყველა ერთგვარი მხედრულის წარწერებით:

ქ: ჩვენ: მეფემ: კახეთისამ ირაკლემ: გავაკეთებინე: კანდელი ესე: ხახულისა: მლთის: მშობლისა: მისხალი უთ. ქქს უმგ (1758). მეორეზე მისხალი ანაჩვენებია „უგ“, მესამეზე „რ“ და მეოთხეზე „წ“.

VII. ხომლო ვერცხლისა მხედრულის წარწერით:

ქ: ჩვენ: მეფემ: ირაკლიმ. გაგაკეთებინეთ: შუამთის: ხახულისა: მღვთიშობლისათვის თავისის მამულოს: შემოსავლიდამ: კომლი: ესე: მისხალი: ცხრაას: ორმოცდა: ცამეტი: ქკს უნა: (1763).

VIII. ვერცხლის თასი მხედრულის წარწერით:

ქ. დივნის ქალის ქეთევანის ნიშნისა ვარ მისხალი რღმ შემოგწორე აბაშიძის ქალმან სიღონიამ სასულიეროთ მიცვალელებულა ჩემთა.

VIX. განსახავებელი მხედრული წარწერით: შ.ს. მ.ს შე მდ გ.ს. სოფიო კურდღელოვისა.

X. პატარა თებში წარწერით: სოფიო ქუ (კურდღელოვისა).

XI. ფეშუმე ვერცხლისა მხედრულის წარწერით:

ქ. შეწვენითა: მღთისათა: ჩვენ: მეფემ: ირაკლემ: შეეწირეთ: წმინდა: ფეშუმე: ესე: ხახულისა: მღთის: მშობელს: მისხალი ოთ: ქკს: უმგ: (1758)

XII. ღვთისმშობლის ხატი, დახატულია ფიცარზე და აწერია: ყდ წა.

XIII. საცეცხური მხედრულის წარწერით: მდაბალი არხი-მანდრიტი კარდანეხს წიწ საბისა პ[ა]ფნოტიოს.

ხელთნაწერები და სხვა ნივთები შუამთის მონასტრისა ჩვენ ვერ გავშინჯეთ, ვინაიდან ჩვენს იქ ყოფნის დროს ეკონომი იქ არ იყო და გასაღები მას წაეღო. ესლა ხელთნაწერები შუამთის მონასტრისა გადმოტანილია საეკლესიო მუზეუმში, ზოგიერთ მათგანს იხსენიებს პლატონ იოსელიანი.

### ეპიტაფიები.

აქ მოვიყვანთ სრულათ ზოგიერთ ეპიტაფიებს და სხვებისას მხოლოდ მოკლე შინაარს გადმოვსცემთ:

I. ეკლესიასა ამას შინა მდებარებს მარიამ თავადის გარსევან ჭავჭავაძის მეუღლე ასული ავალიშვილის თავადის იოა-

ნესი შობილი პარილის პირველს 1752 წელსა და გარდაცვლილი 19 მაისს 1826.

II. საფლავი თავადის ალექსანდრე ქავჭავაძისა, რომელიც გარდაცვლილა 60 წლისა ექვს იანვარს 1846 წელს. ზედ სხვათა შორის სწერია: მარად საუფიწყოა სიმამრისა სამარესა დავსდევ ფიქალი ესე მთავარმან დავით დადიანმა.

III. აქვეა დამარხული მისი შვილი დავით ალექსანდრეს ძე ქავჭავაძე, რომელიც დაბადებულია 1818 წელს და გარდაცვლილა 15 იანვარს 1884 წელს.

IV. სოფიო ბატონიშვილი გარდაცვლილი პირველ იანვარს 1868 წელს.

V. საფლავი ომანის ძის მაყაშვილისა, გარესჯის მწირ-მონაზონისა, რომელიც გარდაცვლილა 1831 წელს.

VI. საფლავი ენდრონიკაშვილის ასულის თინათინისა, აბელ ჩოლოყაშვილის მეუღლისა, რომელიც გარდაცვლილა 29 ივნისის 1839 წელს.

VII. საფლავი სერაფიონ კიკნაძისა, რომელიც ბროსეს მოგზაურობის დროს ცოცხალი იყო და მას მიეგება შუამთის მონასტერში:

ლოდსა ამას შინა ქუცზე აკლდემა და მას შინა განისვენებს ამიერ სოფლით გარდაცვალეული მღვდელ მონაზონი სერაპიონ კიკნაძე ოზ-სა წლისა მონასტრისა ამის ნამსახური მხილველნო შენდობა ბძანეთ შობითგან წლისა ყ-სა. ღმერთმან აცხონოს სერაფიონ.

ძველი შუამთი. სამი ვერსის მოშორებით ახალი შუამთის მონასტერიდან, არის შესანიშნავი ნაშენები ძველი შუამთისა. ეკლესია ძველი შუამთისა თუმცა პატარაა, მაგრამ ძრიელ ღამაზია გეგმით, გუმბათი დაბალი აქვს, როგორც ყველა უძველეს დროის ეკლესიებს. გარშემო სხვა ეკლესიების და სენაკების ნანგრევებია და მასთან ძველი გეგმისვე სამრეკლო, რომელიც ცალკე საყდარსაც წარმოადგენს იმავე დროს. ეკ-

ლესია ძველი შუამთისა შესანიშნავია სხვათა შორის ძველი ლამაზი ალუბასტრის კანკელით, რომლის მიხედვით გააკეთა გაგარინმა ტფილისის სიონის ახალი კანკელი. ეკლესიის კედლები შემკობილი ყოფილა ძველათ მშვენიერის სურათებით, რომლის ნაშთები ემჩნევა, როგორც კედლებზე ისე კანკელზედაც. აქ კიდევ განირჩევა სურათები მთავარანგელოზების მიხაილისა და გაბრიელისა, ღვთისმშობლისა ძითურთ; მსოფლიო მამების სურათებზე იკითხება: წმ გრიგოლი, წმ ბასილი, წმ ნიკოლოზ, წმ პავლე. კანკელზე მხედრულის არა ძველის ხელით ჩვენ ამოვიკითხეთ:

ღო შე ფრიად ცი ალავერდელი არსენი.

საკურთხეველში მარცხნივ ეპისკოპოზ კირიონს ამოუკითხავს წარწერა, რომელიც ჩვენ არ შეგვინიშნავს:

ქე შე ამ... ივნე თემას (?) ძეა.

სხვა ძველი წარწერა აქ სამწუხაროთ არ შენახულა. მხოლოდ მუხის კარებზე მოიპოვება. ასომთავრული წარწერა არა უგვიანესი მეთუთხმეტე მეთექვსმეტე საუკუნისა: „ჯი ქსი“ და შემდეგ:

ღო: შე: პტე:

რი\*) შგულ:

ესე: კარი:

მნ ქნა

წღო და ყდ წო

შლენ: მძლრი:

ნკზ: და ხრონი: მქლ

და დტრე: წ: ღო: შე

ბჭკრი: შიო: ან:

უქარაგმოთ: ღმერთო შეიწყალე პეტრე, რომელმან შუაგულ ესე კარი ქმნა.

\*) უკანასკნელი ასო უფრო წააგავს „კ“-ს ქარაგმით.



წმიდაო ღმერთო და ყოვლად წმიდაო შეიწყალენ მოძღვარი ნიკოლოზი და ხურონი მიქელი და დემეტრე. წმიდაო ღმერთო, შეიწყალე ბუქუკური შიო ამინ.

დაწერილებით ცნობები ამ ძველი შუამთის შესახებ იხილეთ ეპისკოპოსი კირიონის სტატიაში: Старая Шуамта. Духовный Вѣстникъ за 1901 г. № 6—7.

წმინდა

კისიტაუნი. თავადის კიაზო ერისთვის სახლში, რომელმაც დიდი სტუმართ მოყვარეობა გაგვიწია, ჩვენ ვნახეთ შემდეგი წიგნები და ხელთნაწერები:

I. ჯვარი ათონური, 39 × 14 სანტიმეტრი, ვერცხლის არშით, ქვემოთ ვერცხლის ტარზე აწერია მხედრულად:

ჟი:.. შენ საშინელო ჯვარო ცხოველს მყოფელო მე მარავალ (sic) ცოდვილი და წყალობისა შენისა უღირსი მარიამ შემწიყალე მომხედე. ოდეს მოუკდა ქართლის კემწიფე მეფე გიორგი სამს მარიამობისთვის დღესა პარ[ა]სკევსა მოიღე შენი წყალობა და იხსენ ყათლავსაგან ჩემი გიორგი და ბარძიმ აფთანდილ და ონოფრე გაუმარჯვე სრულა ქართველზედ იმ დ[რ]ოისათვის მოგაქედინეთ შემინდვი ცოდვანი და მიდღეგრძელე შეილები ამინ\*).

აქ მოხსენებული ამბავი ეკუთვნის გიორგი მეთერთმეტის დროს, 1688 წელს და მოთხრობილია ვახუშტის მიერ (ქ. ცხ. II, გვ. 59). გიორგი და ბარძიმ იყვნენ არაგვის ერისთავები, აფთანდილ და ონოფრე მათ ძმებათ ბროსეს გენეალოგიურ რუქაში ცნობილი არ არიან. მარიამი, დედა ამათი, ყოფილა ერისთვის ოთარის ანუ ოტიას მეუღლე.

II. ხატი ღვთისმშობლისა, ვერცხლ შემოქედილი, 31 × 23 სანტიმეტრი, ზოგიერთი ძვირფასი ქვებით შემკული, ნაწილებით, რომელთაც აწერიათ: იოანე ნათლის მცემელი, პანტე-

\*) ამ წარწერას ნამდვილზე ყოველი სიტყვის შემდეგ უზის სამ-სამი წერტილი, რომელსაც ჩვენ არ ვიცავთ.

ლეიმონ, ბართლომე, მარკოზ, ესტატე, მათე, აბიბოს, წ. სერგისა, ნიკოლოზ, იაკო<sup>1</sup>, კალიმია, ბაქოს.

მეორე გვერდზე აწერია:

1. ქ.: წყალობითა მლთისათა ჩვენ ცვითა და ფარვითა მისითა მინდობილმან და ყოვლად უ
2. ღირსმან ციციშვილმა სარდარ სახლის უხუცესმა ზაზამ და თან მეცხე
3. ღრემან ჩვენმან ღთის მოყვარულმან ციციშვილის მანუჩარის ასულმან პატ-
4. რონმან ანუკამან მოვაჭედინეთ ხატი ყოვლად წმინდის ესე ღღეთ ჩვენთა წ
5. ასამართებლად ძისა და ნაყოფის მომაცემელად ცოდვათა ჩვენთა შესნდობლათ
6. რათა მეოზ გვაყავა (sic) დღეს მას დიდსა განკითხვისას ამინ ქკს ტნზ (1669).

ქვემოთ წინა პირზე უფრო ახალი დროის წარწერაა:

1. ქ. მე არაგვის ერისთავმა მღივანბეგმა ბეჟანმა მოვაჭედინე ესე მღთის მშობლის ხატი სულ
2. თა ჩემთა საოხად და ძეთა ჩემთა სადღეგრძელოდ ენკენისთვის ა წელსა ჩეგ\*\*).

### ხელთნაწერები

I. დაუჯდომელი ხუცური ხელთნაწერი, გაეშვილს ქალღღღზე, შემკობილი მშვენიერის ნახატვებით, 20 × 14 სანტიმეტრი. სულ 70 ნახატვია სხვა-და-სხვა წმიდანებისა. ყველა ნახატეს ერთი და იმავე შინაარსის წარწერა აქვს:

ღო: დღეგრძელობიდ: აკმარე: კათალიკოზს: ნიკოლოზს:-

თქვენ: მეოზ: ექმენ: წინაშე: მლთისა: კზს: ნიკოლოზს:

---

\*\*\*) ამ წარწერასაც ყოველი სიტყვის შემდეგ უზის სამ-სამი წერტილი. მაგრამ ჩვენ არ აღვნიშნავთ.

სულ ხელთნაწერი შეიცავს 86 ფურცელს. სათაურები ნაწერია ჩართულის ასომთავრულით და ოქროთი. ბოლოს სწერია:

ღბქ ლა ყლისა კთლისა წარმმართველსა რისა შეწევნითა აღვაწერინე წქესე წიგნი დაუჯდომელი მისის შედეგებითა და ზიარების ლოცვანი შევამკვე და დავახატვინე მე ამლქხორის შვილმონ კზნ პატრონმონ ნიკზს ცდვთა ჩნთა შესანდობლად დღეთა ჩნთა წარსამრთებლად: მფობასა პტრონის გრგისსა: ქკსა: ტჳთ: კლითა მიქელისთა: ლო შე ფდ ცდვლი მიქლი ლო შე ფდ ცდვლი კზნ ან რ.

ბოლოს ამ ხელთნაწერს მიკერებული აქვს ორი ფურცელი, რომელზედაც მოყვანილია ნუსხახუცურით ნაწერი ორ სვეტად ქრონიკა, რომელიც იწყებ ბაგრატ IV სიკვდილიდან და თავდება 1605 წლით. ვინაიდგან ეს ქრონიკა ცალკე გამოვეცი, აქ აღარ განვიმეორებ (ნახ. Хроника Мристовскаго Акаѳиста XXIX вып. «Сборника матеріаловъ для описанія мѣстностей и племень Кавказа», стр. 1—20).

II. ფსალმუნის განმატება, მხედრული ხელთნაწერი ყდაში, ქალღმერთზე, 17 × 11 სანტ., თავში სწერია კინოვარით: ამბავი მაჰმადისი თარგმანთა შა ფსალმუნთასა შემოხმული და წიგნთაგან მაჰმადიანთასა გამოღებული და ნათესაობა მათი:

ბოლოს: აღვწერე წიგნი ესე განმარტებაჲ პ: ბ: ფსალმუნისა. რლცა გვაუწყებს წვლილად სარწმუნოებათა მაჰმადიანთასა და სჯულსა მათსა ყლისა კეთილ-მსახურებასაგან განვრდომილსა გარე: ქსით წელსა 1822: ჩეკბ: ხ ქართულისა წელთ მოქცევსა დასაბამიდგან მეთათხმეტისა ქორონიკონისასა; 509: ფთ, ს: პეტრებუკრგს:

ვა ნათლისა და შარავანდედისა გაშორება შეუძლებელ არს მზისაგან ეგრეთვე არა ძალიდების ქეშმარიტისა ქრისტიანეთა სარწმუნოებისაგან განშორება სამართლისა და კეთილ მოქმედებისა. ხ სარწმუნოება და ჰსჯული მოცემული მოჰმედის მიერ ყოვლითურთ საცთურ წინა აღმდგომ არს ამისსა: მაშასადამე ბნელ არს იგი და ყოვლითურთ საცთურ: არა ქე-

შმარტება ად სიცრუე და არა კეთილის მოქმედება ად ყლი ბოროტის მოქმედება რლიცა მდის შეუდგების მას და წარწყმედს დიდებისაგან ღისა ყლთა შემდგომთა მისთა: მე ესე წიგნი გადმოვსწერე უმეტნაკლებოთ მღვდელმა დიმიტრიმ ოქროაშვილმა სანკტ-პეტერბურღს: ფებერვლის. კდ. დღესა. წელსა ჩყკდ:

III. სამართალი ვახტანგ მეფისა.  $34,5 \times 21,5$  სანტიმეტრი, მხედრული ხელთნაწერი ლურჯ ქაღალდზე. თავში მოიპოვება სრული საძიებელი სხვა ხელითა. ბოლოს აწერია:

„კოდვილო დავით ღმერთმან გაცხონოს აშინ“. მეცხრამეტე საუკუნის ხელნაწერია.

IV. გვირგვინი. მხედრული ხელთნაწერი. ტყავ გადაკრულ ხის ყდაში, თეთრ ქაღალდზე.  $21 \times 14$ . სანტ., ოცდა სამეტი რვეული. ბოლოს არის თარიღი ამ რიგათ: 1796. 5. 13. ჩღჟვ. იგ. პორფირი (ასო მთვრულით ჩართული).

V. წმიდა გიორგის ცხოვრება: თვესა აპრილსა. კგ. წმ. გიორგისა. დაწერილია მოლურჯო ქაღალდზე ხუცურის ნუსხა ხელით. შეიცავს 52 გვ. ზის ტყავ გადაკრულ ხის ყდაში,  $11,5 \times 9,5$  სანტ.

VI. დაუჯდომელი მინიატურული, მხედრული ხელნაწერი, კარგი ნამუშავევი, ყდაში,  $5,6 \times 3,6$  სანტ. სულ 8 რვეული. ხელი ძრიელ წვრილია. მე-18 საუკუნის ხელთნაწერი.

VII. დაუჯდომელი მხედრული ხელთნაწერი ყდაში, მე-18 საუკუნის ხელით,  $8,5 \times 6$  სანტ. სულ თოთხმეტი რვეული.

VIII. სძილის პირი  $13,5 \times 9,5$  სანტ. ხუცური ხელთნაწერი ყდაში,  $13 \times 9$  სანტ. თავი აკლია, სძილის პირის გარდა ამ წიგნში არის განმარტებანი შეიდთა ცოდვათანი და აქვე რუქები მხატვრობით მადლთა, საკითხავები ეფრემ ასურისა; ნუსხა მსოფლიო კრებათა. სძილის პირის ბოლოს აწერია, „დ ბა ქესა სრლ მყფლსა. კოდვილმნ. რომანოზ:. ა“. შ. კ.“ ბევრ ალაგას არის მოხსენებული ტექსიტის ხელით:

:.ქე შეე ცი რომანზ:—წიგნის ბოლოს სწერია:

ქე შე უღირსი. მღღელ მონაზნი რომანოზ:—ოდეს იგი მოხვიდე:

კიდევ წარწერა ტექსტისავე ხელით: ღო შე ფდ ცნი მონაზანი. მთავრ დიაკონი. რომანოზ:—აქვე არწივი დახატული ჯვარით. შუაში ერთი ლოცვა სომხურათ არის ტექსტის ხელით ხუცურათ დაწერილი.

IX. დაუჯდომელი მხედრული ხელთნაწერი უყდოთ, დაშლილი მეცხრამეტე საუკ. ხელით. თავი და ბოლო აკლია,  $10,5 \times 7,5$  სანტიმეტრი.

X. სამართალი მეფე ვახტანგისა ყდაში,  $22 \times 66,6$  სანტ. ლურჯ ქალაღზე კარგის ხელით და სარჩევით, 97 გვერდი. ბოლოს სწერია: დიდება პატივი და მადლობა. დამბადებელსა. და სრულ-მყოფელსა ყოვლისა კეთილისასა: ფებერვლის. წ. 1810.

აქ მარტო ვახტანგის სამართალია.

XI. სამკედრო ტიბიკონი, თარგმნილი მეფე ირაკლი მეორის ბძანებით არხიმანდრიტის და თელავის სემენარის რექტორის გაიოსის მიერ ტფილისს წელსა 1764. მხედრული ხელთნაწერი ყდაში,  $33 \times 31,5$  სანტ, ზანდუკით, 14 რვეული. მერმე მოყვანილია ეგზერციცია, რომელიც გაიოსს უთარგმნია 1784 წელსა.

XII. წიგნი საუნჯე ანტონ კათალიკოსის წინასიტყვაობით, მხედრული ხელთნაწერი ლურჯ ქალაღზე ყდაში. ბოლოს აწერია: „ვეჯინს, და სრულ იქმნა სეკდენბერს. იდ. წელსა 1812, ქკს ფ:“  $35,5 \times 21,5$  სანტ.

XIII. ლოლიკა აბბატ კონდოლიაკისა თარგმნილი რუსულიდან ბატონიშვილის იოანეს მიერ 1806 წელსა, დეკემბრის 10, ლურჯ ქალაღზე ყდაში. ბოლოს დართული აქვს გეომეტრიული ფიგურები, 15 რვეული,  $33,5 \times 20,5$  სანტ. წინ ხელნაწერს მიუძღვის იოანეს საკუთარი წერილი დავით რექტორთან მოწერილი 1807 წელს, მარტის 6 პეტერბურგიდგან.

XIV. ოქროს წყარო, ხუცური ხელთნაწერი, ლურჯ ქალაღზე ყდაში, 19 რვეული,  $17 \times 11$  სანტ. ბოლოს აწერია:

სრულ იქმნა სულისა ჰმო მრწყველი ოქროს წყარო: 17<sup>5</sup>/<sub>27</sub> 96

XV. ვისრამიანი მხედრული ხელთნაწერი, დაშლილი, ყდაში, 5 რვეული, დაწერილია მე-17 საუკუნის ხელით, ხოლო დანარჩენი მე-18 საუკუნის,  $23 \times 66,5$  სანტ.

XVI. ესტეტიკური განსჯანი,  $33,5 \times 19,5$  სანტ. ლურჯ ქალღმერთ ყდაში. თავში მოყვანილია წერილი დავით ბატონიშვილისა მის ლალა დავით რექტორთან. ბოლოს აწერია: გაიმართა 1819-სა წელსა, ივნისის 14-ს დღესა მეჯვრისკეცს. შემდეგ: ამისი მშრომელი უფალი ანსილიონ სკოცხლებდა 1833 წელში. წიგნი ეს შრომა დავითისა მიუძღვნია ბატონიშვილს დავით რექტორისათვის.

XVII. მეორე ეკზემპლიარი ამისი ამავე ფორმატისა გადმოუწერია ანნა ივანეს ასულს ერისთვისას კიაზო ერისთვის მეუღლეს.

XVIII. კათილორია მხედრული,  $14,5 \times 10$  სანტ., კარგი ხელით ყდაში, 26 რვეული. ბოლოს აწერია: სრულ იქმნა შონასტერსა. ნათლის მცემლისასა მრავალ მთას:

წელთა ქეს ჩღჳა: კელითა ყდ უღირსისა დიაკონისა გაიოსისათა:-

XIX. აზრი ჟანჟაკ რუსოსანი სხადა სხაათა საგანთათვის. წიგნი არის ჭრანციკულიდამ გადმოღებული პეტრე ანდრიევისაგან, ხოლო რუსულიდამ ქართულსა ენასა ზა თარგმნილი საქართველოს მეფის ირაკლის ძის ჭარნავაზის მიერ; ლუბერსკი პრავლენის სტამბასა შინა წელსა ჩე—1800. ბოლოს აწერია: შესრულდა გარდმოწერა წიგნისა ამის იანვრის 13 სა დღესა ჩეკტ-სა წელსა დაწყებული ამა იანვრის ორის რიცხვიდამ, ხოლო შესწორებით პი სახესა თა განმართულ-იქმნა ამავე იანვრის იდ-სა რიცხუსა სოფელს ქვეშ\*). 88 გვერდი, რვეულათ, უყდოთ,  $22 \times 18$  სანტ. მხედრული ხელთნაწერი.

XX. წმიდისა მამისა ჩუბნისა ვასილი კესარიელ კაბადუკისა მთავარ ეპისკოსისა ექვსთა დღეთათვის თქმული: მხედ-

\*) ეს ქვეში გორის მაზრაშია, ამავე სახელით სოფელი მოიპოვება ზორჩალოს მაზრაშიც.

რული ხელთნაწერი უყდოთ, in folio, 35,5 × 21 სანტ., ბოლოს აწერია: სრულ იქმნა საძიებელი ექვსთა დღისა, რომელი არს ქმნილი რეკტორის დავით ალექსიევისა. ვინაჲთგან 3<sup>ლ</sup> არა აქტუნდა საძიებელი ამა წიგნსა ექვსთა დღეთასა, ამისთვის იზრომა სახმარებისათვის აღვილ პოვნისა. ხელთნაწერი ეკუთვნის მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისს. სულ შეიცავს 17 რვეულს, თავში აწერია: ქსნის ერისთვის ასულის ანნასია.

XXI. კვინტოს კურციოს ისტორია ალექსანდრე მაკედონელისა, 22 × 16,5 სანტ. მხედრული ხელთნაწერი მშვენიერს ყდაში. თავში აწერია: „ეს. წიგნი. მუსხელაშვილმაროსტომმა მოსკოვიდამ. მოიტანა. ყიზილარს. წელსა: ჩღუთ აპრილის. 6“. სულ შეიცავს 10 წიგნს ერთათ შეკრულს და ამიტომ წიგნი ძრიელ სქელია, ბოლოს აქვს სარჩევი, ანუ ნუსხა განთავისება ანბანთ ზედა. სულ 3დ (84) რვეულია, თითო რვა ფურცლიანი. რვეულების რიცხვი ასომთავრულებით და ბერძნულის ასოებით არის აღნიშნული. არა სჩანს როდის არის გადაწერილი, მაგრამ ხელის მიხედვით მე-18 საუკუნის დასაწყისს უნდა ეკუთვნოდეს.

XXII. ცხოვრება და მოქალაქეობა მაქსიმე ამლსარებელისა, რომელსაც ზედ მისდევს კითხვა მიგება, 22,5 × 18,5 სანტ. მხედრული ხელთნაწერი ყდაში. შეიცავს სულ 477 გვერდს. ბოლოს აწერია: სრულ იქმნა შეწვევითა ღისათა წიგნი ესე ფებერვლისა: კ-სა დღესა კვირასა, წელსა ჩყნე-სა კნენა კონია ერისთვისაგან, რომელიცა ვიყავ ამ წიგნის წერაში წლისა ორმოცდა მეთხუთმეტეში და მყავდა სამნი ძენი და ექვსი ასული და ერთიცა შეილიშვილი: მკითხველნო წერილისა ამის რაცა შეცდომა ნახოთ მომიტევეთ, ცოცხალ ვიყო ილოცვით სული-სა ჩემისათვის და თუ მკვდარი ვიყო შენდობა უბრძანეთ სულსა ჩემსა:.

XXIII. მილორდიანი, ლურჯ ქაღალდზე, მხედრული ხელთნაწერი, 36 გვერდია, ტყავით გადაკრულ ხის ყდაში. ბოლო აკლია. მეცხრამეტე საუკუნის ხელთნაწერია. 36 × 21,5 სანტ.

XXIV. მოთხრობა მშვენიერის ქალისა და წამება ქეთევან დედოფლისა ახლად თქმული თავადი დიმიტრი ბაგრატიონის

მიერ. წამება არის ლექსად თქმული. ორივე დაწერილია ლურჯ ქალღმერთზე. მხედრული ხელთნაწერია. გარშემო აქვს კარდონის ყდა. მეცხრამეტე საუკუნის ხელთნაწერია. 32 × 22 სანტიმეტრი.

XXV. მოძღვრება ზნეობითისა ფილოსოფიისა, შეთხზული ადამ ჭერლიუსონისაგან, დოხტორისა ჰსჯულთა-მდებელთასა, და პრეფესორისა ზნეობითისა ფილოსოფიის სწავლისა, ცდინ-ბურღისა ოჯნივერსტის სწავლითა ანუ სასწავლებელთა მოწაფეთათჳს, ანლიურის ენისაგან გარდმოღებული რუსულსა ენასა ზედა ვასილი სოზონოვისაგან, სანკბეტერბურლსა შა დაბეჭდილი სტამბასა შა ყნორინისასა: წელსა ქეწ აქეთ. 1804;-სა. 25,5 × 20,5 სანტიმეტრი.

მეორე ფურცელზე სწერია:

მეთასამეტის სდ საქართუბლოს მეფის გიორგის ძის იოანეს მიერ დავითიან ბაგრატიონისა, რუსთა ენისაგან ნათარგმნი ქართულსა ენასა ზა, სასარგებლოდ ერთ მემამულეთა ჩნთათჳს; ვიზრომე ვინადგან წიგნი ესე ზნეობითისა ფილოსოფიისა, ყოველგან ევროპისა შა არს მიღებულ და უმეტეს ასწავებენ ანლიისა სასწავლებელთა შა და ამისთჳს თარგმნეს ესე ზნეობით ფილოსოფია რუსულსა ენასა ზა რათა განეხილა მისისა დიდებულებასა სდ რუსეთის კელმწიფეს ალექსანდრე პავლეს ძეს და ამა წიგნიდგანაც მიელო სასარგებლო სწავლანი რომელიცა საკუთრად სახელსა ზედან ამა კელმწიფისასა თარგმნილ იქმნა წიგნი ესე ვინადგან ასწავებს ზნეთ-სწავლულებასა ეგრეთჳს ასწავებს ჰსჯულვილებათაცა.

მესამე გვერდზე სწერია:

ბრწყინვალეო თავადო მოწყალეო კელმწიფეე ერისთავო იოანე ელიზბარისძეე.

მესმა სურვილი, და გულს-მოდგინება ბრწყინვალეობისა თქვენისა, აზნაურებითა კელოვნებისა ჰსწავლათა; და ამან მაიძულა. ამა ნაზრომისა ჩემისა მორთმად თქვენდა. ვინაიდგან



გისწავლესთ თქვენ წერილნი ჭილოსოფიურნი; და ვინააღდგან მეცნაფნი ჭილოსოჭიისანი, უმეტეს სხუათა ყოველთა შა ესე გუართა წერილთა უფროს ამოვნებით მიიღებენ, მეცა ამისთვის საკუთრად სახელსა ზედან თქვენსა გარდმოვიღე, რათა გულს-მოდგინედ განიხილოთ. და აღმოივსოთ ამისგანცა სარგებლობიანი ჰსწავლანი, და ამის ძლით მეც ვიყო თქვენგან დაუვიწყებელ.

სხვებრ დავჰმთები ბრწყინვალებისა  
თქვენისა ჭეშმარიტისა პატივისცემისა  
და სამსახურისა.

თვესა იანვარსა. 28

წელსა. 1826.

სანკტპეტერბურლს                      საქართველოს მეფის ძე იოანე.

ბოლოს სწერია:

წელსა. 1817. განხორციელებიდან ქესა

თთჳს სეკდემბერსა: 17:

სანკ პეტერბურლსა შა

ჩემ მიერ შრომილი. მეფისძე. იოანე.

შიგნიდან ბოლო ყდაზე სწერია:

1830 წელსა აპრილის 3-სა მივიღე გორს. შანშე ერის-  
თოვის მიერ:

XXVI. დასაბამობითნი საფუძველნი მცნობელობითისა.  
ფისიკისანი: ქმნილება უფლისა ბრისსონისა, პარეჟულისა სწავ-  
ლა აკადემიის წევრისა, ფისიკისა და ბუნებითისა ისტორიისა  
მოძღურისა ყრმათა ჭრანციის კოროლისათა, საკოროლოსა პრო-  
ფესორისა მცნობელობითისა ფისიკისა საკოროლოს ნავარრის  
კოლლეჯიასა შა და საკოროლოს, ცენზორისა. თარგმნილ  
არს პეტრეს მიერ სტრაზოვისა, მეექუსის კლასის მცნობელო-  
ბითისა ფისიკისა პროფესორისა და ორთავე ღიმნაზიათა უნი-

ვერსიტეტსა თანა ინსპექტორისა: სახმარებელად მოსწავლეთა საიმპერატოროსა მოსკოვის უნივერსიტეტსა შინა, ტომი მესამე, მეორე, პირველი. 21,5 × 17 სანტიმეტრი. I ტ. გვ. ფკდ: II ტ. უაზ გვ; III ტ. ფა გვ.

XXVII. დიონოსი არიოპაგელი. ღვთის მეტყველება მოლურჯო ქაღალდზე, შეიცავს 205 გვერდს. ხელთნაწერი ეკუთვნის მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისს. დაწერილია მხედრულის ხელით. 31,5 × 20 სანტიმეტრი.

XXVIII. მართლ მადიდებლობითი მოძღვრება: ანუ შემოკლებული საქრისტიანო ღწის მეტყულება საკმარ ყოფისათვის იმისის იმპერატორობის სიმაღლისა ყდ უბრწყინუალესისა კეთილ მსახურისა კელმწიფისა ცესარევიჩისა და დიდისა კნიაზისა პავლე პეტროვიჩისასა: ქმნილი მისის იმპერატორობის სიმაღლისა მოძღურისა იერომონახისა (რომელიც აწ არს სინოდის წევრად არხიეპისკოპოსად მოსკოვისა და კალუგისა, და წწის ტროიცის სერგიის ლავრისა არხიმანდრიტად) პლატონისაგან: წ რუსულით ქართულსა ენასა ზა გარდამოდებულ იქმნა არხიმანდრიტის რექტორის გაიოზის მრ, სამეუფოსა ქალაქსა ტფილისს წელსა 1781:.

ბოლოში დედნის ხელით:

ერისთვის ძის იოანესი. არის. ღწთ აკბაროს კეთილდღეობით.

იკორთის მონასტრის მღჭდელმა დიმიტრი ოქროაშვილმა აღესწერე, მაისის .ბ. ქკს უუთ: 1811 წელსა:

გვერდი არის 256. 22 × 17 სანტიმეტრი.

XXIX. მეტაფისიკა თარგმნილი ანტონ კათალიკოზისა, დაწერილია ლურჯ ქაღალდზე მხედრულის ხელით. 15 რვეული და რვა ფურცელი. ბოლოს აწერია:

აღიწერა კელითა დიკასტირიის მწერალ მწიგნობრის ანჩის-ხატის დეკანოზის ძის დიმიტრისათა წელსა. ჩყბ. თთუტსა

მარტსა კ. ქკს უუ: დავით რეკტორი. გამართულია. 22 × 17,5 სანტიმეტრი. ტყავ გადაკრულ ხის ყდაშია.

XXX. სარკე თქმულთა მხედრული ხელთნაწერი ყდაში 22,2 × 18 სანტ. ქალაღზე. პირველ გვერდზე აწერია: ქსნის ერისთვის იოანე ერისთვის ასულის ანნასი არის ეს წიგნი სარკე თქმულთა. 264 გვერდი აქვს წიგნს, და ექვს გვერდს კიდევ შეიცავს სარჩევი, სულ 270 გვერდი. ბოლოს აწერია: დიდება ოთხსა სრულ მყოფელსა ყოვლისასა, სრულ იქმნა ძალითა ღვთისათა, კელითა ღუბერსკის სეკრატორისა იოანე ილღუზის ძისათა, ივლისს; ზ-ს დღესა. ჩეკჭ-სა წელსა. დასახატავი ადგილები დატოვებულია.

XXXI. ჭილოსოფია: ბუნების სამართალი, ითიკა და პოლიტიკა ანტონ კათალიკოზის ნათარგმნი, მხედრული ხელთნაწერი ყდაში, 21,4 × 17 სანტ. ქალაღზე. ბოლოს აწერია: დომენტი არხიმანდრიტისა არის. სულ წიგნში არის. 22 რვეული რვა რვა ფურცლიანი

XXXII. ითიკა, ანუ საითიკო ფილოსოფია ანტონ კათალიკოზის ნათარგმნი ლურჯ ქალაღზე, მხედრული ხელთნაწერი ყდაში, 23 × 17,5 სანტ. ბოლოს სწერია: აღმწერელი წიგნისა ამის სიბრძნის ტრფიალი, დიკასტერის მწერალ-მწიგნობარი დავით რეკტორი (ჩართულად) წელსა ჩებ. თთჳს მისსა. ჭ. ქკს უუ:

გამართულია.

სულ არის 14 რვეული.

XXXIII. წყობილ სიტყვაობა ანტონი კათალიკოზისა ლურჯ ქალაღზე გაიოზ არხიეპისკოპოზის წინასიტყვაობით, მხედრული ხელთნაწერი ყდაში, სრული. ბოლოს აწერია: დიკასტირიის მწერალ მწიგნობარი ალექსიძე დავით რეკტორი (ჩართულად). გამართულია, წელსა ჩებ. იჟლისის აგ:

სულ შეიცავს 14 რვეულს და ორს ფურცელს, 22,5 × 17,5 სანტიმეტრი.

XXXIV. დასაბამობითისა გამოცდილებისა ფილოსოფიისა ნაწილი პლი. საიმპირიკო პსიხოლოგია ანუ დამკრეპლობითი

სულთ მეტყუტლება, ნათხზი უფლისა სნელლესი ნემეცთა ენით რომლითამე სხოლოებით და ზედა-დაპროთუაებითურთ უთარგმანებეს საიმპერატოროჲსა ყაზანის უნივერსიტეტისა აღუნკტისა ქილოსოფიისასა აღექსანდრე ლობკინსა. ყაზანი. საუნივერსიტეტოსა შა სტამბასა ჩეიგ-სა წელსა. მხედრული ხელნაწერი ყდაში. თავში იამბიკო არის, რომლის კიდურ სიტყვაობაში იკითხება:

„იოსებ გონიერ სულსა.“ ბოლოს იამბიკოს აწერია: ქმნილი მ. ი. გ.

თავში აწერია: ეს წიგნი მივიღე 17 ოკტომბერს 1847 წელსა ს. ქვეშს გორით იოსებ ქრისტეფორიჩის მამაცევისაგან და ამის რუსული დედანი მივიღე ნათხოვარობით მისვე მამაცოვისაგან ტფილისს ჩელ-სა წელს, მაისის იგ-სა დღესა.

XXXV. ლექსიკონი საბა სულხან ორბელიანისა ლურჯ ქალაღლზე in folio, 34,5 × 21. სანტ., 391 გვერდ. ლექსიკონს აქვს წარწერა: დიდითამე სურვილითა ვიძულეზოდი ადრითვე გარდაწერად ამა წიგნისა სიტყვსა კონისა, რლ არს ლექსიკონი. რ მაქვდა სამართლად ქონებაჲ ამისი საჭიროებითსა შა. ნ დავეყენებოდი ამა მიზეზთაგან ოდესმე არა შოვნითა დედნისათა და ოდესმე დაღათუ ვიშოვნიდიცა გარნა არა ეგრეთსა, რლიცა კმასაყოფელად სთნებოდა გონებასა ჩემსა რსილვანი არა სრულებითა ნიშანთანი გარე აქცევდენ მნებებლობაჲ ჩემსა ხ შდ მიზეზითა რლითამე დავეკვეთე ესრეთსა ხვედრსა რლ ვიხილე ლექსიკონი მათისა უგანათლებულესობისა ყლინისა საქართველოსა მეფის სძლის წერეთლის ასულის ქეთავანისა, რლიცა სთნდა გონებასა ჩემსა და მასმიოდაცა არა რადა ყოფასა საქართველოსა შა უმჯობესისა და უსრულესისა ლექსიკონისა და მუნით გარდმო-ვსწერე ლექსიკონი ესე ფდ სიმართლისა მეცადინობითა. რაოდენცა აქვდა თავისუფლად ამის ჟამისა უცალოებისა და სხვად მიმზიდთა მიზეზითა გამოუძლურებასა გონებისა ჩემისასა, რლიცა ვითხოვ ყლთა გულის-კმიერ-კითხავთაგან შრომისათვის სიყვარულითა და ლოცვითა მოკსენებასა და ცთომათთვის სიყვარულითავე შენდო-

ბასა, რათა კეთილ კრებულნი საღმრთოჲთა სიყვარულითა მიე-  
ნახეობასა მიემთხვინეთ საზოგადოსა საღმრთოჲსა ტრაპეზისასა.  
წ მათისა უგანათლებულესობილდმი ჩემ შრ ესრეთისა კადნიე-  
რებისა მიზეზისათვის არა მიმნდობელი საკუთრად თავისა ჩე-  
მისა: . მოუწოდ შეგმწედ ყთა განმაბრძნობელსა ყდ წმიდასა  
სულსა ღთ მთავრებრივსა, რათამან კეთილ წარმართებისადმი  
მოსცეს სისრულეჲ ვა შუტნის და სათნო არს მისისა სახიერე-  
ბისადმი. რლსა შევენის დიდება უკი უკე ამინ:

XXXVI. საბა სულხან ორბელიანის ლექსიკონი. 21 × 17,5  
სანტიმეტრი, ხელთნაწერი ქალაღღზედ. 511 ფურცელი. ბო-  
ლოში სწერია:

ცოდვილი ბერი ზოსიმე ამ ლექსიკონის აღმწერელი და  
პატრონი: . ძმა ზემოკსენებულის სულხან ყოფილის საბასი.  
მოიხსენეთ. ქრისტეს სიყვარულისათვის: ზაალ ყოფილი ზო-  
სიმე: ქკს უდ. მარტს. კბ: . ოდესცა მონაზონიქმნა ზოსიმე:  
იყო მაშინ ქკნი ტპზ: .—

დაიბადა სულხან: ქკს: ტმგ: ღვინობისთვის: კდ: დღესა  
კვირიაკესა: .

ასომთავრულ ასოებით ჩართულია:

ზაალ ყოფილი ძე ორბელისა ზოსიმე.

XXXVII. ფილოსოფია (ბაუმეისტერისა) ახალ პაექრო-  
ბითი მპყრობელი თვს შს განსაზღვრებათა და დადებლებათა.  
ბოლოში სწერია:

ერისთვის ძის იოანესი არის: ღთნ ახმარნეს სიგრძესა შა  
დღეთასა ამინ: აღიწერა კელითა იკორთის ეკკლესიის მღჳდლის  
დიმიტრი ოქროაშვილისათა ქეს აქეთ ჩყი ქკს უჟწ: გამარ-  
თულ იქმნა მეჯვრისხვეს წელსა 1811: ფებერვლის 17. დაწე-  
რილია მხედრულის ხელით ლურჯ ქალაღღზე. ზის ტყავ-  
გადაკრულ ხის ყდაში. 225 × 17 სანტ.

XXXVIII. ფისიკა კათალიკოზ ანტონისა თარგმნილი. თავში  
უწერია: ვარდმოვიდე ფისიკაჲ ესე სხტათა და სხტათა აექსონთა

შემკრებელმან, მით რ ვოლფიოსისგანსა სისტემასა სოფლისასა მივრიდე:

ბოლოში აწერია:

„აღმწერელი წიგნისა ამის სიბრძნის ტრფიალი დიკასტი-რიის მწერალ მწიგნობარი დავით რეკტორი. სრულ იქმნა წელსა ჩებ. თთჳსა მაისსა. ჯ. ქკს უუ: გამართულია“. დაწერილია მხედრული ხელით ლურჯ ქალაღზე,  $22,5 \times 17,5$  სანტ.

XXXIX. სძილისპირი, მხედრული ხელნაწერი ყდაში, კარგ ქა-ლაღზე,  $11 \times 9,3$  სანტ., 22 რვეული. მე-18 საუკუნის დასა-წყისს უნდა ეკუთვნოდეს.

XL. კათილორია არისტოტელისა, მხედრული ხელნაწერი ყდაში, ლამაზი ხელით დაწერილი, უნდა ეკუთვნოდეს მეცხ-რამეტე საუკუნეს,  $10,5 \times 8$  სანტ.

XLI. ჟამნი მხედრული ხელნაწერი, რომელსაც მიკერე-ბული აქვს დაბეჭდილი ჟამნი მხედრული 1722 წელს ტფილ-ში დასტამბული. თავი და ბოლო აკლია. ხელნაწერი მე-17—18 საუკუნის არის,  $14 \times 9$  სანტ.

XLII. დაუჯდომელი მინიატურული ხუცური, მშვენიერი მხატვრობით შემკობილი, კინოვარის სათაურებით და წარწე-რით, ყდაში, ბოლოს სხვა ხელით აწერია: „ქ.ეს წიგნი მათის უმაღლესობის მეფის ირაკლის სძალმან მეუღლემან ჰიძის ჩემის მეფის ძის ლევანისამან ენდრონიკასშვილის ასულმან ნინომ მიბოძა მე შვილის წულსა თვისსა იმერთა მეფის სოლომონის დის ბატონისშვილის არჩილის ასულს მარიაჲს დროსა უკეთილ-მსახურესისა და უმაღლესისა ს<sup>წ</sup>დ საქართველოს მეფის ირაკლი-სა მოწყალესა პაპისა ჩემისასა უღირსად შემწყნარებელისა ჩე-მისა ღმერთო შეიწყალე სული მისი და ძენი და ასულნი მისნი ამინ“.  $7,5 \times 5$  სანტ. ოქროს ვარაყებით და ზასტაგვებით. ხელ-ნაწერი უნდა ეკუთვნოდეს მე-18 საუკუნის დასაწყისს. 36 ფურცელი.

XLIII. ფსალმუნის დავითისი, ხუცური ხელთნაწერი, ყდაში, 10,5 × 7 სანტ. რვეული 29. ხელი ძრიელ წერილია: ბოლოს დართული აქვს ანდერძი გიორგისი მთაწმინდელისა და მერმე სწერია:

აღვსწერე. ყდ. უღირსმან. მონაზონმან. რომნოზ. წა. ესე. დთი. გრესჯის მრავალ. მთას. მონასტერსა. წინა მორბედის. იე ნათლის მცემლისს. გის ერისთვს. ძემნ დავსწერე ჩმის სულის სლხინებელად: მოიხსენე ო. მამა. დედა ჩმი. ძმნი დანი ყნი. ჩმნი თვსნი. და აღმზრდელნი. მოიხსენე. და განუსვენე. ქე გნსსვენებელსა. შნსა სადა იგი არს გდობა და ზ[ა]ტიკობა. ფუფუნბა. და წყლნიცა ცხოელნი დიან სულნელითა მით ნიავ სულნელებისთა. სადა იხილვების. ფდ მყუდროება. შუენიერებითა მით ანგზთთა. მუნ დააწესე. ბებია ჩმი ძარმ და ბიძა ჩმი ონოფრე ქე კცთ მოყვრე ნუ მოიხსენებ. ძვირთა მთთა: და მეც მთთან დამაწესე: ვიწყე. წა ესე დთი დღეთა ზტიკისათა. მენელსცზბლეთა. კკის წინადლით შბთს. და. სრულ ვყვ. შობითგნ ბრმის კკის წინა დლით შაბათს. დღესსწლსა. წთა მეფეთა კოსტანტინე და ელენესთა. ჯის გმოჩენსა: თა მისსა: კა: ქართლს მეფობსა იესესა. ძისა ლევანისსა: კათალიკოზობსა. ძმისა მისსვე დომენტისა: კქსა: უგ (1715):. მოიხსენე ქე ივ ცი მონა ში რომანოზ ამინ.

XLIV. წიგნი ლოცვათა გნკითხვათასა: კლიტენი მკურვლედ ქმნილნი რნი გნხუმენ გლისა კრთა დაკშულსა ცოდვთა მრ: თარგმნილი ჰეს მრ მოძღურისა ტფლისელისა. იტალიურისა ენისაგნ სომხურად. და სომხურისა ენისაგნ ვე მესამედ გნზრახვადმდე ქართულსა კმასა შა მეშვდე ინე ჯენ-ბაკურიან ორბელითისგნ. და მისსა ქუცმორე ვე ბოლოდმდე მესხის დთისაგან კდ ქართულად: (კინოვარით).

XLV. ლცვაჲ გნბის გნხილვისა ლათინელთა გნკარგვთაგნ ახლდ თარგმნილი სომხურის ენისგნ ქართულდ: ინე ორბელიანისა: ქეს აქეთ: 1739: დაწერილია თეთრ ქაღალდზე ხუცურის ნუსხა ხელით. შეიცავს 14 რვეულს. 16 × 10,5 სანტ.

XLVI. მანანა. მხედრულის ხელით დაწერილია თეთრ ქალღმერთს. ეკუთვნის მეთვრანეტე საუკუნეს. ზის ტყავით გადაკრულ ხის ყდაში.  $14,5 \times 10,5$  სანტ.

XLVII. დასაბამი ჭილოსოფიის სახლისა სარგებლად ყრმათა სხოლის შინათა ქმნილი ანტონისგან 1762 წ. ივლისსა 30. დაწერილია მხედრულის ხელით თეთრ ქალღმერთს. ზის ტყავით გადაკრულ ხის ყდაში,  $16,5 \times 11,5$  სანტ.

XLVIII. მიხითარ ყდ ბრძნისა მოძღვრისა სომეხთასა სევასტიელისა ქმნილი წიგნი რიტორიკა გარდმოღებული ქართულს ენაზედ ანტონის მამათ მთავრისგან 1764 [წელსა], თთვესა მეხუთესა:—აღიწერა მონასტერსა ნათლის მცემლისასა მრავალ მათს კელითა ყდ უღირსისა დიაკვნის გაიოსისათა. წელსა ქვეს აქეთ ჩდწზ, თთვესა იანვარსა 8:—

ბოლოში დართული აქვს დედნის ხელით დაწერილი რვა ფურცელი შემდეგის სათაურით:

უწყება მიზეზსა ქართუტლოთა მოქცევისასა. თუ რწლოთა წიგნთა შა მოიხსენების:—დაწერილია მხედრულის ხელით თეთრ ქალღმერთს.  $16 \times 10,5$  სანტ.

XLIX. ჩარ-დავრიშინი თეთრ ქალღმერთს დაწერილი მხედრულის ხელით. ჩელა. წელსა. ოკდომბრის იგ.,  $21,5 \times 17,5$  სანტიმეტრი.

L. ვაზდუბუღიანი მეფის თეიმურაზისა. მისგანვე გრემზე და მის ბალის სახლებზე ნათქვამი ლექსები დაწერილი მხედრულის ხელით ლურჯ ქალღმერთს,  $20,5 \times 16,5$  სანტ.

LI. ცხოვრება და მოქალაქობა და ღვაწლი წისა და ღირსისა დედისა ჩვენისა ნინასი, რომელმან ჰქადაგა ქეღი ჩუტნი ქუტყანასა ჩრდილოჲსასა და განანათლა ნათესავი ქართუტლოთა. ბოლოს სწერია: სრულ იქმნა სულისა განმანათლებელი ესე ცხოვრება წისა დედისა ჩვენისა ნინასი, თუტსა აგვისტოსა ბ-სა:.

წიგნის მეორე ნაწილს შეადგენს:

მეფობის ტახტზედ აღსლვა თამარ მეფასი: ცხებულის მეფის გიორგის ასულისა: დავითიან პანკრატოვანისა: რწლნ კრმლითა თვისითა დაიმორჩილა თავრიზი, მარანდი, მიაწია ყაზმი-



ნადმდე და სისტანისა გურგანის წყლადმდე და დიდი იგი ქალაქი ხორასანი წარმოსტყვენა: ბოლოში აწერია ამ ნაწილს:

აღვსწერე წიგნი ესე მრავალ მთის იოანე ნათლისმცემლის უდაბნოსაშინა, არხიმანდრიტმან სოფრონიოს არაგვის ერისთვის უვილმან, და მიუძღვანე მრავლად ქირნახულდებულს ძმისწულსა ჩემსა კიაზოდ სახელდებულს გიორგის სახსოვრად ჩემდა:—ჩენბ-სა წელსა, ოკდომბრის აგ-სა დღესა:

ამას მიყვება ამავე წიგნში:

1) მოკლე ზნეობითი ჰსწავლა. 2) შემოკლებული სამღუდლო ისტორია. 3) ლოცუანი სავედრებელნი და ყოველდღე სათქმელნი: 4) შემოკლებული კატეხიზმოს. 5) უკწყება და სასწაული მართლისა სარწმუნოებისა წმიდათა კრებათათვის, რომელთა დაამტკიცეს მართლი სარწმუნოებაჲ, რლი ესე ჯერ არს ყთა ქვანეთათვის, რა კეთილად და გამოწულილივით მეცნიერ იყუნენ: აქვე უწერია: იესო ქე აღიდე სული წისა მამისა გიორგისა, რლნ თარგმნა წმიდა ესე წიგნი საუკუნო იყავნ ხსენება მისი ამინ. 6) თქმული წისა მამისა ჩჷსნისა ევთიმი მთაწმიანდელისა კითხვა-მიგება. ამ სტატიას ბოლოში აქვს მინაწერი: ეს კითხვა მიგება წის მამის ევთიმი ქართუ-სლისაგან ნათქუამი, რუსეთში ენახა იერომონახს ტარასი აღიქსივეს ერთს ძველ კელნაწერს კურთხევანში. რომელიც ყოფილიყო რუისის ლთაების ეკკლესიისა. ავალიშვილის მრავლისაგან გატანილი. და მეფეს არჩილს გადაჰყოლოდა რუსეთს და იქილამ გადმოეწერა. 7) შემოკლებული მოთხრობა საქართულოს აღშენებისა 8) პატიოსნისა და დიდებულისა მთაწმიდისა ქართუსლთა მონასტრისა და ყოვლად დიდებულისა სამლოის პორტაიტის ხატისათვის, რომელ არს თარგმანებით კარის ლის მშობელი. 9) ნაშთი. ეკკლესიურისა ისტორიისაგან ევსევი ეპისკოპოსისა პალესტინის კესარიისა ისტორია ედესიის მფლობელისათვის. წიგნი ა, თავი აგ: 10) პირი წერილისა ავგაროს მთავრისაგან ქეს მიმართ მიწერილისა და წარვლინებულისა მისდა იერუსალიმად მალემსრბოლისა ანანიას მიერ: 11) ეპისტოლე მიწერილი ქე იესოს მიერ ავგაროსის მიმართ. 12)

სახოვნება უფლისა ღვთისა და მაცხოვრისა ჩუპნისა იესო ქრისტიანისა გამოწერილი ძუტლთა რომაელთა კელთწერილთაგან. 13) პირი წიგნისა წარვლინებულისა იერუსალიმით ტიბერიოს იმპერატორისა მიმართ პუბლიო ლენტულიო მთავრისაგან ურიასტინისა იესო ქრისტესთვის. 14) სახე უსჯულოსა მის სასჯელისა წინააღმდეგ ქრესა, რომელიცა ჰყუტს იერუსალიმს შინა მთავართა ურიათათა. 15) განწესება ქრეს ზედა. 15) თათყსა მაისსა ზ ჟამსა მესამესა დღისასა ჯრის გამოჩინებისათვის ქალაქსა შინა იერუსალიმსა. ბოლო სტატიის შესახებ სწერია შემდეგი დასასრულში:

1829 წელს ფრანციცის ბროსეთისგანან პარიჟის ქალაქს შინა ქართულად დაბეჭდილს პატარას ქართლის ისტორიიდან გამოეწერა მღუდელ მონაზონს ტარასი ალექსიევეს, გამოეწერა პეტრებურხს, და იქიდანვე მე გადმოვსწერე ზემო აღწერილი ჯუარის გამოჩინების ისტორია: ხთარგმნილ არს 1820 წელს: მთელი წიგნი დაწერილია მხედრულის ხელით სქელს ქალაღდზე, 22 × 17,5 სანტ.

LII. რიტორიკა რვეულად მხედრულის ხელით დაწერილი, მეცხრამეტე საუკუნის ხელნაწერი.

LIII. შეყვანილება დეოდრაფისა შინა, თავი აკლია დაბოლო. მხედრულის ხელით არის დაწერილი ლურჯ ქალაღდზედ. მეცხრამეტე საუკუნის ეკუთვნის.

LIV. ესოპეს ცხოვრება მხედრულის ხელით დაწერილი თეთრ ქალაღდზე. ეკუთვნის მეცხრამეტე საუკუნეს.

LV. სასო წარკვეთილობა ლომარტინისა, ლორდ ბაირონისა, დაწერილია თეთრ ქალაღდზე მხედრულის ხელით.

LVI. თვს პლისა ნაწილისა სამკვერ მეთქვოჲსა ესე იგი პოენისა. დაწერილია თეთრს სქელ ქალაღდზე მხედრულის ხელით. 18 გვერდი, მეცხრამეტე საუკუნის არის.

LVII. შობა ყოველად წმინდისა ქალწულისა მღთის მშობლისა მარიამისა და მშობელთა მისთა იოაკიმ და ანნასი. 78 გვერდზე სწერია:

აქ დასრულდა მოთხრობა ღთის მშობელისა. აღვსწერე წიგნი ესე ათას რეაას სამოცდა ოთხსა წელსა იანვრის. და დღესა კნენა კონია ერისთავისამ. დაწერილია თეთრ ქალაღლდზე მხედრულის ხელით.

LVIII. თხზულება ლომარტინისა: გარმონია პოეტური და სარწმუნოებრივი. (სული ჩემი მოწყენილ არს ვიდრე სიკვდილამდე), 18 გვერდი.

LIX. რიტორიკა. თავი აკლია. დაწერილია სქელ თეთრ ქალაღლდზე მხედრულის ხელით. თავდება § 100-ით, მეცხრამეტე საუკუნის არის

LX. სოფლის აღსასრულისათვის. დაწერილია სქელ თეთრს ქალაღლდზე მხედრულის ხელით. ბოლოში აწერია:

ამას წიგნსა ეწოდების ბერძულად აპოკროფა რლ არს მოძღვართა ხოლო კითხუა და არა ყნისა საჯმნო ყოფად უცებთა და უმეცართა ად მეცნიერთა, ენა ჰსჯულის კანონი; უწყის უფალმან, თუ მიხვდეს კაცი ბრძენი გულისხმიერი დედა არს ყნისა მეცნიერობისა. ესე გარდმოიწერა თანასწორ დედნისა ლექსითი ლექსად; თვესა ივლისსა, იბ ჩუღე წელსა სოფელსა ქუტაშს.

LXI. შემოკლებულნი განსჯანი უსაჩინოესთა საგანთათვის ქრისტეანებრივისა ცხოვრებისათა თარგმნილი ნემეცურიტ რუსულსა ზედა. გარდმოცემული მეორედ განმართული და შესრულებული სანკ-პეტერბურლსა მედიცინის ტიპოგრაფიასა შინა 1820 წელს. დაწერილია ლურჯ ქალაღლდზე მხედრულის ხელით.

LXII. თვესა ივნისსა კთ წმიდათა და თავთა მოციქულთა პეტრესი და პავლესი თქმული წმიდისა იოანე ოქროპირისა: დაწერილია სქელ თეთრ ქალაღლდზედ მხედრულის ხელით. 12 გვერდია. მეცხრამეტე საუკუნის არის.

LXIII. დასაბამითისა გამოცდილებისა ფილოსოფიისა ნათ-  
ხზი უ. სნელლესი. ნემეცთა ერთ ჰროსიულ რომელთამე სხო-  
ლიოსებით და ზედა დაპრთვითურთ ჰსთარგმნა საიმპერატოროსა  
ყაზანის სასწავლოსა თანამწემან სიბრძნის მოყვარებისამან ალე-  
ქსანდრე ზუბკინი ჩეიგ წ. დაწერილია თეთრ ქალაღზე მხე-  
დრულის ხელით. მეცხრამეტე საუკუნის არის.

LXIV. ქორწილი იმერეთის თავადისა, კომედია ქმნილი  
აზნაურის ოქროპირ წერეთლისაგან და წარმოდგენილი თავის  
საკუთარს სოფელში I აპრილს 1845 წელსა. დაწერილია თეთრ  
ქალაღზე მხედრულის ხელით.

LXV. სოფლის აქიმი. მოთხრობა დელაჟენიესი. დაწე-  
რილია თეთრს ქალაღზე მხედრულის ხელით. რვეული შეი-  
ცავს 46 გვერდს. მეცხრამეტე საუკუნის არის.

LXVI. მოკლე შემეცნება მათემატიკისათს საზოგადოდ და  
ნაწილთა მისთა. დაწერილია ლურჯ ქალაღზე მხედრულის  
ხელით. მეცხრამეტე საუკუნის არის.

LXVII. დამატება გამოჩენისათვის აფროდიტისა მზესა ზა  
შესწავებული სანტპეტერბურლის საიმპერატოროსა შა აკა-  
დემიასა სწავლათასა, მაისის 26 დღესა, 1761 წ. დაწერილია  
ლურჯ ქალაღზე მხედრულის ხელით.

LXVIII. ბარამიანი. თავი აკლია. დაწერილია ლურჯ ქა-  
ლაღზე. ბოლოშია: 1816 წელსა, იანვრის. კთ. ოქროაშვი-  
ლი მღუდელი (დედნის ხელით). დიმიტრი (ჩართულია).

LXIX. წერილი ანტონ კათალიკოზისა. თავი: ანტონი კათა-  
ლიკოსი პატივოსანსა მღუდელსა უკპირატესსა ალექსის უკსა  
მიერ გახარებ. ბოლოშია: აგვისტოს 6. წელსა: 1796: (კათო-  
ლიკოსი).

LXX. ხსენება დავით აღმაშენებელისა. დასაწყისი: თვესა  
იანვრისა. კვ. კსენება კეთილ მსახურისა მეფისა: დავით მესა-  
მისა ყოვლისა საქართველოასა: და ზედ წოდებულისა აღმა.

შენებელისა. გკნ მამაო:—ერთი ფურცელია მხედრულის ხელით დაწერილი უბრალო თეთრ ქაღალდზე. მეცხრამეტე საუკუნის არის.

LXXI. თტსა აგვისტოსა. კო. საკითხავი თქმული წიწსა თეოდორე სტოდელთა წინამძღუროსა თავის კუბთისათვის იოანე ნათლის მცემელისა, გკხენ მამაო: დაწერილია სქელ თეთრ ქაღალდზე. მეცხრამეტე საუკუნის არის.

LXXII. სიტყუა დღეს მთავარ ანგელოზთა და სხუათა უსხეულოთ ძალათა. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრულის ხელით, მეცხრამეტე საუკუნის არის.

LXXIII. კარაბადინი მხედრული, მდარე ნაწერი in folio, 34 × 22 სანტ., ყდაში. თავში აქვს სარჩევი. შეიცავს წამლის რეცეპტებს. თავში აწერია: იოვანეს ძის რაჟდენისა ცხვედაძის არის ეს კარაბადიმი. მეორე ადგილას: წიგნი ესე კარაბადიმი არის მღვდლის რაჟდენ ცხვედაძისა. სულ შეიცავს 109 გვერდს. ბოლოს მოყვანილია ლარაძის ლექსი მიწერილი დედოფალთან (სახელი არ არის). შემდეგ აწერია: წელსა ჩყავ ოკდომბრის კზ. მერმე ვკითხულობთ საყურადღებო შენიშვნას:

„მოსკოვს სობოროს საუნჯეში არის სამსჯვლის ბუდე, ასე აწერია:

მეფე ყოვლისა საქართველოისა დავით ძე რუსუდანისა აღმშენებელი წმიდისა სამსჯვლისა სასვენებელისა ამის.

LXXIV. განმხოლოება, პოემა ბარონისა დე კრონეკისა ოთხთა გალობათა შინა. მხედრული ხელნაწერი ლურჯ ქაღალდზე, ყდაში ფურცლებ არეული, მეცხრამეტე საუკუნისა, 24,5 × 18, 5 სანტ. 180 გვერდი.

LXXV. ოქროს აღანაქუსი სამუილ რაბინ იუდიანისა რვეულათ, მხედრული ხელნაწერი. ბოლოს: უთუაღლებო ესე შესიტყუებაჲ გარდავსწერე, და უძღუეწნ ერისთავს იოანეს: მო-

ნამან ბერმან იოსტოს. ზემოთ არის იამბიკო; კიდურ სიტყვა-ობაში იკითხება: იოანე. მეცხრამეტე საუკუნის ხელნაწერი,  $20 \times 16,5$  სანტ. 5 რვეული.

LXXVI. ოქროს ანაქუსი მხედრული ხელნაწერი, ბოლო-სხვა და სხვა ლექსები, ყდაში. მდარე ხელი. მეორე გვერდზე სწერია: „ეს წიგნი რუსულისაგან გარდმოღებული ქმნა ქართულსა ენასა ზედა დიმიტრი გიორგისძის ბაგრატიონისაგან ჩღვგ: წელსა“: შეიცავს 111 გვერდს და შემდეგ ლექსებს უჭირავს თითქმის იმდენივე.

LXXVII. კარაბადინი  $21,5 \times 15,5$  სანტ. ლურჯ ქაღალდზე დაწერილი მხედრულათ, ყდაში, გადაწერილი 1867 წელს აგვისტოს 1 ქ. ახალციხეს ივანე ასათიანის მიერ. რომელიც ყოფილა მაჰმადიანი წინეთ და რქმევია იეხია ეფენდი. 58 გვერდი. წიგნი უძღვნია ავტორს კონია ერისთვისათვის ს.ქვეშს 15 იანვარს 1865 წელსა.

LXXVIII. ქება ღიდება შესხმა და გალობა ღვთისმშობლისა, ლურჯ ქაღალდზე მხედრულათ. 11 რვეული, უყდოთ,  $22 \times 19$  სანტ. მეცხრამეტე საუკუნის ხელნაწერი.

LXXIX. ლოდიკა მეორე ნაწილი. ჭეშმარიტებისათვის საზოგადოდ, რვეული, ლურჯ ქაღალდზე. სათეორიო ლოდიკა. მეცხრამეტე საუკუნის მდარე ხელნაწერი.

LXXX. წინასიტყვაობა ღილოსოფიისა და ნაწილთა მისთა, რვეულათ. მდარე ხელნაწერი მეცხრამეტე საუკუნისა.

LXXXI. ველიზარიონი მარმანტელისა, თარგმანი რუსულით გაიოსის მიერ 1787 წელს, ოკდომბერს 34, კრემენჩუკს, 11 რვეული,  $22,5 \times 17$  სანტ. მეცხრამეტე საუკუნის ხელნაწერი.

LXXXII. ზაირა ტრალედია ხუთთა მოქმედებათა შინა ვოლტერისა, თარგმნილი რუსულით ჩელა-ს წელსა, in folio მხედრული ხელნაწერი ყდაში,  $35 \times 22$  სანტ.

LXXXIII. შემოკლებული კატეხიზმო, მხედრული ხელნაწერი. ბოლო აკლია,  $17 \times 11$  სანტ. მეცხრამეტე საუკუნის არის.

LXXXIV. ქორონიკონების და ზედნადების ახსნა, პატარა რვეული მხედრული მეცხრამეტე საუკუნისა არის.

LXXXV. ვეფხვის ტყაოსანი, თავი და ბოლო არა აქვს, ერთი რვეული, ლურჯ ქალაღზე, მეცხრამეტე საუკუნისა არის.

LXXXVI. მოთხრობა იოანე ოქროპირისა მეორესა მოსელისათვის, ერთი რვეული, მეცხრამეტე საუკუნის ხელით.

LXXXVII. სწავლა ორმოცსა შინა კვირიაკესა პირველსა დიდ მარხვისასა ერთი რვეული კარგის ხელით დაწერილი. ფერადიანი ზასტავკით. ბოლოს აწერია: „წარმოთქმულ არიან სწავლანი ესე უწმინდესსა სამიტროპოლიტოსა დიდებულსა ქალაქსა ნეაპოლს: ჭფიდ. წელსა.“ 20 ფურცელი.

LXXXVIII. ქართლის ცხოვრება თეიმურაზ ბატონიშვილისა დაშლილი, რვეულებათ, აღწერილი 1862 წელს ქვეშ კონია ერისთავის მიერ ოკდომბრის 24 დღესა ქვეშ სოფელსა (გორის მაზრაში), გადმოწერილია დაბეჭდილისაგან.

LXXXIX. წიგნი შობისა იესო ქრისტესი ერთი რვეული in folio მეცხრამეტე საუკუნის ხელით.

XC. წამება წესა ეკატერინასი და მერმე შალვა და ბიძინასი ქსნის ერისთვთა, შემდეგ ანასტასიასი. ერთ რვეულათ, უყდოთ, მეცხრამეტე საუკუნის ეკუთვნის.

XCI. ეპიტაფიებრი სიტყვა, მხედრული ხელთნაწერი, ერთი რვეული მეცხრამეტე საუკუნისა.

XCII. ისტორია ვაშფაპის და გოლიათის ჭრანციელ ვენეციანისა და მშვენიერის კოროლის ასულისა სენცივენასი. რვეულათ მხედრული, მეცხრამეტე საუკუნისა.

XCIII. გალობა სინანულისა დავით აღმაშენებელისა ერთი რვეული მეცხრამეტე საუკუნის ხელთნაწერი.

XCIV. ცხოვრება სილიბისტრო რომთა პაპისა ლურჯ ქაღალდზე კარგის ხელით. რვეულათ შეკრული, მე-XIX საუკუნისა.

XCV. შეყვანილება არისტოტელისა ანტონი კათალიკოსის მიერ თარგმნილი, ერთი რვეული, მხედრული ხელნაწერი მეცხრამეტე საუკუნის არის.

XCVI. სვინაქსარი, 34 X 25 სანტიმეტრი, დაწერილია მშვენიერს ეტრატზე ნუსხა ხუცურის ხელით ერთ სვეტად. სათაურები ნაწერია კინოვარით. ყდა მაგარი აქვს ხისა ტყავ ზადაკრული, სულ შეიცავს 38 რვეულს, რვეულში რვა კა აღონია, გარდა უკანასკნელი რვეულისა, რომლის მარტო ორი კაბადონი შენახულა. სხვა აკლია. წიგნი საზოგადოდ კარგათ არის დაცული. დასაწყისი კინოვარით:

სვინაქსარნი: რ<sup>ლ</sup> არიან კრებანი ღა წესნი და გ<sup>ნ</sup>გებანი: დაწესებულნი წ<sup>თ</sup>ა მღდელთ მოძღუართა მიერ: რ<sup>ლ</sup>სა შ<sup>ა</sup> წერილ არს ეკლესიისა საწელიწადოჲ გ<sup>ნ</sup>გებაჲ. ფ<sup>ნ</sup>ებისათ<sup>ს</sup> და გ<sup>ლ</sup>ობისა და წიგნის კითხვისა...

მეოთხე გვერდის ბოლოს ძველი მხედრულის ხელით აქვს მინაწერი:

ქ. ესე: წიგნი: ამა: წერილსა. ზედან: მე: ხუდადად; თბილელმან: დავტირნე ამა წიგნსა: გარდვეკიდე: და: ფასი: არა: მქონდა: რომე: მეყიდა: და: ასრე: დამრჩა: ტყუეობაჲ: შიგან: ვინცა ქართველი: კაცი: გარდვეკიდოთ: ანუ შეეყაროთ: რათაცა: ეგებოდეს: ესე: წიგნი: დაიქნათ: ტყუეობიდან...

მეექვსე გვერდის აშიაზე მერმენდელის ხუცურით: ო<sup>რ</sup> ო<sup>რ</sup> ცოდვანი შეუდნეს ღ<sup>ნ</sup> გიორგის ამა წიგნისა დამკნელსა ტყუპბისგ<sup>ნ</sup> და მისა მეუღლესა მურღინს და მათა ძეთა აღბულს შ<sup>ნ</sup> ღ<sup>ნ</sup> ამინ და ვინცა შენდობა თქ<sup>ს</sup> მ<sup>ს</sup>ცა შ<sup>ნ</sup> ღ<sup>ნ</sup> ამინ.

აბ-რვეულის უკანასკნელ გვერდზე სწერია ასომთავრულით და კინოვარით:



ღთისათვის ლოცვა ყავთ გლახაკისა გიორგისთვის: და ჩემისა ბერისა გიორგისთვის. რლისა ბრძანებითა და მადლითა ვთარგმანე წა ესე წიგნი: თქნა ღონ მდლი მოგანიკოს:.

მე-ლგ რვეულის ბოლო, სადაც უნდა წერებულ იყო ანდერძი მთარგმნელისა, წაჭრილია და ახალი ფურცელი აქვს მიწებებული. ანდერძიდან დარჩენილა მხოლოდ ბოლო:

.. რა ფდ საკრძალავი წიგნი არს და სლთა სარგებელი და ეკლესიისა წინამძღუარი უცთომელი, და სქმეთა სულიერთა და შუენიერთა მომთხრობელი და გლთა ჩნთა ღმობიერ მყოფელი და ღუაწლისა წთასა მაუწყებელი. რლი დღესამომდს სასმენლსა ჩნსა არა სმენილ იყო. და არცა თუ ბერძენთა უფროაქსთასა რ სოფია წდას არს. და საპატრიარქოთა ეკლესიათა. და მთა წმიდას ესე ვითარი სჯნაქსარი:..:

შემდეგ დაიწყება განგება წმინდათა მარხვათაჲ. ხელთნაწერი უნდა ეკუთვნოდეს მეთერთმეტე-მეთორმეტე საუკუნეს.

ამით ვათავებთ კიაზო ერისთვის და მისი მეუღლის ხელთნაწერების შესახებ ცნობებს.

